Despite the fact that Shalva Dadiani's tragedy "Baratashvili" (1930) is dedicated to the life and work of the great Georgian romantic poet, it is also an attempt to describe the reality of Georgia in the 30-40s of the XIX century. It clearly shows the national attitude of the society of those times. National problems interpreted by Shalva Dadiani that existed in Georgia during the Russian government were aimed not only to contradict the colonial politics of Tsarist Period but to show the writer's indirect fight against the pseudo-international ideology of those times. In this case it should be noted that he did it in the 30s of the last century during the bloody repressions. With this work the writer uncompromisingly confronted with the anti-national policy of the government.

**Key words:** Georgia, Baratashvili, Dadiani, Anti-national policy.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

### შალვა დადიანის ტრაგედია „ბარათაშვილი“ შესაბამისი პერიოდის მოვლენათა კონტექსტში

ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არაერთი ქართველი მწერლისათვის იქცა შემოქმედებითი შთაგონების ობიექტად, არა მარტო მისმა პოეტურმა გენიალობამ განაპირობა არსებითად, არამედ ტრაგიკულმა ცხოვრებისეულმა ხვედრმაც. ამ ინტერესის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს ისიც წარმოადგენდა, რომ თავისი პიროვნული ცხოვრებით ნ. ბარათაშვილი იმავდროულად შესაბამისი პერიოდის დიდმნიშვნელოვან მოვლენებთანაც იყო სისხლხორცეულად დაკავშირებული.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოში მიმდინარე ეპოქალურ მოვლენათა ამსახველ თითქმის ყველა ნაწარმოებში ნ. ბარათაშვილის პიროვნული სახეც ფიგურირებს მეტნაკლები მასშტაბურობით (გავიხსენოთ: მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, შალვა დადიანის „ბარათაშვილი“, სერგი ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“, სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“, ალიო მირცხულავას „მე და ბარათაშვილი“, კლავდია დევდარიანის „სიჭაბუკე პოეტისა“, ალექსანდრე კალანდაძის „სოლომონ დოდაშვილი“, გურამ ბათიაშვილის „შეთქმულება“ და სხვ.).

შალვა დადიანის ტრაგედია „ბარათაშვილი“ (1930 წ.), მართალია, დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, მაგრამ იგი XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ქართული სინამდვილის მხატვრულად წარმოჩენის მცდელობასაც წარმოადგენს. სტრუქტურული თვალსაზრისით ეს ნაწარმოები იმდენად განსხვავდება დრამატურგის სხვა ქმნილებათაგან, რომ ფაქტობრივად ლიტერატურული ინსცენირების შთაბეჭდილებას უფრო მეტად ტოვებს, ვიდრე დამოუკიდებელი მხატვრული ტექსტისას.

ამ თვალსაზრისს არსებითად განაპირობებს ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასთან დაკავშირებით მწერალს ხსენებულ ნაწარმოებში ახალი თითქმის არაფერი უთქვამს, გარდა ორიოდ უმნიშვნელო ეპიზოდისა, რომელნიც მისი ფანტაზიის წარმოსახვის შედეგს წარმოადგენს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი – ნაწარმოების ბოლო ნაწილი, სადაც ავტორი გონჩა-ბეგუმის თვითმკვლელობით შეძრწუნებულ პოეტს საკუთარი სიცოცხლის ხელმყოფით ამთავრებინებს

ცხოვრებას – რეალურ საფუძველს მოკლებული ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

სხვა მხრივ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისეული ხვედრისწარმოჩენის დროს შ. დადიანი პოეტის ბიოგრაფიიდან ფართოდ ცნობილ ეპიზოდებს ემყარება და ძირითადად მის პოეტურ ქმნილებებსა და პირად წერილებზე დაყრდნობითა და საზგასმულად პათეტიკური ფორმით-მოგვითხროს ტრაგიკული ბედის მქონე ამ პიროვნების თავგადასავალს.

ასე რომ, თითქმის ყველა შთამბეჭდავ ამბავს, რაც ბარათაშვილის ბიოგრაფიას უკავშირდება, მკითხველი ერთად ნახავს თავმოყრილს პიესაში. თავისთავად, ეს ყველაფერი, მართალია, საკმაოდ ზრდის ნაწარმოების შემეცნებით მნიშვნელობას, მაგრამ ამ მასალის მხატვრული დამუშავება და თვითმყოფად შემოქმედებით ღირებულებად გარდაქმნა, ვფიქრობ, შ. დადიანის მწერლური შესაძლებლობების დონეზე ვერ დგას.

ნ. ბარათაშვილის ტრაგიკული ცხოვრების მოთხრობის დროს დრამატურგისთვის ძირითადი წყარო, პირველ ყოვლისა, თვით მწერლის შემოქმედებაა. კერძოდ, თავად ბარათაშვილი და მისი ნაცნობ-მეგობრები საუბრის დროს ხშირად წარმოთქვამენ ხოლმე ფრაგმენტებს პოეტის ლექსებიდან და წერილებიდან, ახდენენ მათ იმპროვიზაციას. მიმაჩნია, რომ ეს გრძელი, მოჭარბებული სანტიმენტალობით აღბეჭდილი ტირადები, რომელთა შინაარსი კარგადაა ცნობილი ფართო მკითხველისათვის, ხშირად ვერ ახდენს სასურველ ეფექტს და ახალი სიღრმით ვერ წარმოაჩენს პოეტის სულიერ და ცხოვრებისეულ ტრაგიზმს.

სქემატურია და სასურველი ფსიქოლოგიური სიღრმით ვერაა გააზრებული ნ. ბარათაშვილის ინტიმური ცხოვრებაც. ამ თვალსაზრისით პიესაში მეტად მკრთალად გამოვლინდა იმ ლეგენდარულ-რომანტიკული ტრფობის ამბავი, რომლითაც ბარათაშვილი იყო ეკატერინე ჭავჭავაძესთან დაკავშირებული.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შალვა დადიანის პიესას გარკვეული მხატვრულ-ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი ღირსებებიც აშკარად აქვს. კერძოდ, პიესაში ხელშესახები ემოციურობითაა გამოკვეთილი იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების ეროვნული განწყობილება და ღრმად შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოდგენილი მაშინდელი ეპოქალური მოვლენები.

ნაწარმოების ამ ეპიზოდებზე საუბრის დროს საზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი მწერალს მძაფრად გამოხატული პატრიოტული სულისკვეთებით აქვს გააზრებული. ამ გარემოებას ესოდენ განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც მინდა მივაქციო,



რომ ნანარმოების დაწერის პერიოდშიცა (1930 წ.) და წიგნად გამოცემის დროსაც (1939 წ.) საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეულ ჩვენს ქვეყანაში მსგავს საკითხებზე მსჯელობა მკაცრად იდეოლოგიზებული არტახებით იყო შებოჭილი და დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებას მოითხოვდა.

ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ პიესის ისტორიულ პერსონაჟთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმოსახვის დროს შალვა დადიანი რადიკალური ფორმით გამოხატულ მათ ანტირუსულ სულისკვეთებასაც წარმოაჩენს ყოველგვარი შენიღბვისა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, შ. დადიანის ამგვარ მოქალაქეობრივ გაბედულებას კიდევ უფრო მეტ მასშტაბს სძენს ის გარემოება, რომ ეს ყველაფერი მან იმ დიდ უსიამოვნებათა მიუხედავად გააკეთა, რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ უკვე ჰქონდა გადატანილი მისი პირველი რომანის – „უბედური რუსის“ გამოქვეყნების გამო (ცალკე წიგნად პირველად გამოიცა 1924 წელს).

შ. დადიანს მაშინ უმკაცრესად შეუტყის იმის გამო, რომ მისი რომანის ეროვნული სულისკვეთება პრინციპულად არ შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას. კერძოდ, ამ იდეოლოგიის მესვეურთათვის სრულიად მიუღებელი იყო ის ფაქტი, რომ ხალხთა „ინტერნაციონალური ძმობა-მეგობრობის გაფურჩქვნის ხანაში“ შ. დადიანმა ქართველი მკითხველის გულში მძლავრი ემოციური შთამბეჭდაობით გააცოცხლა ეროვნული თვითშეგნებისა და სიამაყის მინავლული გრძნობა, გაახსენა მას თამარისდროინდელი საქართველოს დიდება, ის დრო, როცა ჩვენი სამშობლო მთელს წინა აზიაში უძლიერეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ახალ ბიზანტიად იყო გამზადებული და ყოველივე ამის ხელყოფისა და გაბედიების მცდელობა რუსი უფლისწულის სახელთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

არც ერთი და არც მეორე მხარე არ შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო საბჭოთა იდეოლოგიისთვის. იმ დროს, როცა საქართველო უზარმაზარი იმპერიის უფლებო ნაწილს წარმოადგენდა, ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილი სახელმწიფოებრივი წარსულის გახსენება ჩამოღრწობილის ოჯახში თოკზე საუბარს ნიშნავდა. მეორეც, „დიდ“ რუს ხალხთან „ლენინური დამბობილებისა და დამეგობრების“ ხანაში, როცა საბჭოთა იდეოლოგიები ყველაფერს აკეთებდნენ ხალხთა ერთმანეთისაგან „გამმიჯნავ“ ეროვნულ ინდივიდუალობათა განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ამოსაძირკვად, წარსულშიც კი ისეთი რუსების „გამოძებნა“, რომლებიც კაცს უარყოფით ემოციებს აღუძრავდნენ მათ

მიმართ, იდეოლოგიური პოზიციებიდან უკვე იყო უპატივებელი დანაშაული“ (ნიკოლეიშვილი 2003: 99).

შ. დადიანის რომანისთვის დამახასიათებელი „ეს მანკიერ მხარეები“ ამ დროიდან მოყოლებული მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არერთმა კრიტიკოსმა „დაგმო და ამხილა“ უმკაცრესად. მაგალითად, პლატონ ქიქოძის შეფასებით, „უბედური რუსი“ „ობიექტურად რეაქციონური ნაწარმოებია იყო“ რომელიც „მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ელემენტარული პრინციპების სრულ დამახინჯებას“ წარმოადგენდა. კრიტიკოსის განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ შ. დადიანი თამარის ეპოქას „საქართველოს იდეალად“ მიიჩნევდა; რომ „თამარის ეპოქისებური ლალი, მშვენიერი, დიდებული და ბრწყინვალე საქართველოს არ ჰქონია და არც ექნება... რომ მაშინდელსავით თავისუფლად არასოდეს უცხოვრია ქართველ ერს“ (ქიქოძე 1928).

ანალოგიური შეფასება „უბედურ რუსს“ მოგვიანებით გ. ნატროშვილმაც მისცა. კერძოდ, მისი მტკიცებით, შ. დადიანის ნაწარმოები „მავნე იდეების ზეგავლენით“ შექმნილი რომანია, რომელშიც ისტორია გაყალბებული, ფალსიფიცირებული სახითაა მოცემული. კრიტიკოსის განსაკუთრებულ შემფოთებას, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი იწვევდა, რომ რომანში „რუს-ქართველთა ურთიერთობა მრუდეს სარკეში იყო ნაჩვენები“. ამდენად, გ. ნატროშვილის დასკვნით, „ფეოდალიზმის გამაიდეალებელ და ხალხთა ურთიერთობის წარსულის არასწორად გამაშუქებელ“ ამ წიგნს, როგორც „ამკარა ხარკს ნაციონალიზმის წინაშე“, „მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო ხალხთა მეგობრობის საქმისათვის“ (ნატროშვილი 1952).

მიუხედავად პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი მძაფრი კრიტიკული თავდასხმებისა, რაც ხელისუფლების მხრიდან იყო სანქცირებული, შ. დადიანს უკან მაინც რომ არ დაუხევია და პოლიტიკური რეპრესიების მძვინვარების პერიოდშიც კი უკომპრომისოდ გამოხატავდა თავის ეროვნულ თვალთახედვას, ამას არა მარტო „ბარათაშვილი“ ადასტურებს, არამედ იმხანად შექმნილი მისი სხვა მხატვრული ნაწარმოებებიც.

მართალია, თავისი ცალკეული ქმნილებებით მან იმჟამინდელი იდეოლოგიური კონიუნქტურის სასარგებლოდაც გაიღო გარკვეული ხარკი, მაგრამ მწერლის ეროვნული მრწამსის შეფასების დროს არსებითად მნიშვნელოვანი მისი ის ნაწარმოებებია, რომელთა მეშვეობითაც მან თავისი დროის იდეოლოგიური პოლიტიკისთვის აშკარად შეუსაბამო ფორმით გამოხატა საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ტრაგედია

„ბარათაშვილიც“ სწორედ ერთ-ერთ ასეთ მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

შ. დადიანის პიესაში მკვეთრად გამოხატული რადიკალიზმით უპირისპირდება ერთმანეთს, ერთის მხრივ, XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ქართველ მამულიშვილთა, პირველ ყოვლისა კი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა, ეროვნული მრწამსი და, მეორეს მხრივ, საქართველოში რუსული კოლონიური პოლიტიკის რეალურად განმახორციელებელ რუს მაღალჩინოსანთა და ამ პოლიტიკის ქართველ მსახურთა ანტიქართული თვალთახედვა.

იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პერიოდის საქართველოში რუსეთთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი თვალთახედვა არსებობდა, შ. დადიანს არც ეს პრობლემა დაუტოვებია უყურადღებოდ. კერძოდ, ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილი – ძირითადად 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, რომლებიც სათანადო სასჯელის მოხდის შემდეგ უკვე იყვნენ სამშობლოში დაბრუნებულნი, კვლავაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დამყარებას საქართველოში. მათ ამგვარ პოზიციას ყველაზე მეტად მწერალი ალექსანდრე ორბელიანს გამოახატვინებს. მიუხედავად იმ დიდი სიფრთხილისა, რომელსაც ის თავისი პატრიოტული შეხედულებების გამოხატვის დროს იჩენს, 1832 წლის შეთქმულების ეს ერთ-ერთი თავკაცი კვლავაც დარჩა მკაფიოდ გამოხატული ანტირუსული თვალთახედვის მქონე მამულიშვილად.

მაგალითად, აი, როგორ უხასიათებს იგი მის მეგობრებს რუსეთს, როგორც ჩვენი ქვეყნის დამპყრობ ქვეყანას: „იმაზე უკეთესს რას გეტყვით, რაც ირაკლი მეფის სოლომონ-მსაჯულმა ბრძანა... „ვნახე რუსეთი: მთანი, ვაკენი, ქალნი უნიფხვო... ვაჟნი მაკენი! თავს ხურავთ ჩაჩი, – ვირს უთხრან აჩი“ (დადიანი 1939: 23).

რაც შეეხება ქართველ მამულიშვილთა მეორე ნაწილს, რომელთა შორისაც შ. დადიანი გარკვეულწილად ნ. ბარათაშვილსაც წარმოგვიდგენს, ისინი რუსეთთან საქართველოს შეერთებას შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობიდან თავის დასახსნელად მიღებულ მართებულ გადანყვეტილებად მიიჩნევენ. მაგალითად, აი, რას ათქმევინებს მწერალი ნ. ბარათაშვილს ამასთან დაკავშირებით: „მე უკვე შერიგებული კაცი ვარ, შევიფერე ახალი საქართველო რუსთ ბატონობის ქვეშ, ჩემი თავი მის ხელმწიფობასა და საზოგადოებას შევძლევ“ (დადიანი 1939: 111).

შ. დადიანის ტრაგედიისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მძაფრად კრიტიკული ის დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიმართ იჩენს. მიუხედა-

ვად იმისა, რომ მისი ამ კრიტიკის ობიექტს ცარიზმის დროინდელი რუსეთი წარმოადგენდა, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ მწერლის ამგვარი კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვის შეფარულიმიზანი საბჭოთა კავშირად გარდაქმნილი რუსული იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის მხილებაც იყო.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ნანარმოების ორი პერსონაჟი – კავკასიის მთავარმართებელი ნეიდგარდტი და ქართველი დიდგვაროვანი გიორგი მუხრანსკი, რომელთა საუბრებიც საქართველოს მომავალზე მკვეთრად გამოვლენილი ეროვნული ნიჰილიზმით ხასიათდება.

კერძოდ, გიორგი მუხრანსკი 1872 წელს რუსულ ენაზე გამოცემული თავისინიგნით – “Осуществе национальной индивидуальности и оиндивидуальном значении крупных народных единиц” ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვისა და დაეჭვების გარეშე ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში არსებულ მცირერიცხოვან ერებს, მათ შორის ქართველებსაც, არავითარი მომავალი არ ჰქონდათ და მათი გადარჩენის ერთადერთ რეალურ გზას მრავალრიცხოვან ერებთან ასიმილაცია წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მცირერიცხოვან ერთა ეთნიკური თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ყველა ნიშან-თვისება, მათ შორის ენაც, გ. მუხრანსკის მტკიცებით, დასაკარგად იყო განწირული.

როგორც ცნობილია, მისმა ამგვარმა რეაქციულმა და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულმა ფსევდომეცნიერულმა „თეორიამ“ ქართველ მამულიშვილთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია და მის წინააღმდეგ აქტიურად გაილაშქრეს ისეთმა დიდმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი და სხვები.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ შ. დადიანმა თავისი ტრაგედიის ერთ-ერთ პერსონაჟად გ. მუხრანსკიც გამოიყვანა და მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული მისი წიგნი ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან საკმაოდ დროის გასვლის შემდეგ დაინერა და გამოქვეყნდა, ამ რეაქციონერი პიროვნების ანტიქართული თვალსაზრისი მაინც აქცია მკაცრი კრიტიკის საგნად.

შ. დადიანის მიერ წარმოსახული გ. მუხრანსკი, რომელსაც მისი ზღვარდაუდებელი ეროვნული ნიჰილიზმის გამოპიესის პერსონაჟთა ერთი ნაწილი „ახირებული მოაზროვნისა“ და „საქართველოს ჭირვარამისთვის აღმაცერად მაყურებელი“ კაცის სახელით მოიხსენიებს, დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ „ყველა პატარა ერები უნდა დაილუპონ. მათ არ აქვთ გასაქანი, არა აქვთ ისტორიული პერსპექტივა“ (დადიანი 1939: 55). აქედან გამომდინარე, „საქართველოს ხელახალი

ალორძინებისთვის ფიქრი, გ. მუხრანსკის მტკიცებით, სრულიად ამაო მცდელობა იყო.“

როგორც შ. დადიანის პიესიდან ნათლად ჩანს, გ. მუხრანსკის მხატვრული სახის ხორცშესხმის უმთავრეს მიზანს არა მარტო ზემოთ ხსენებული მისი ნიჰილისტური ეროვნული თვალთახედვის მხილება წარმოადგენდა, არამედ პირადი კეთილდღეობის მოპოვების მიზნით საკუთარი სამშობლოსთვის ზურგნაქცევ და რუსეთის სამსახურში ჩამდგარ ქართველთა განზოგადებული ტიპის შექმნის მცდელობაც. კერძოდ, პიესის ერთ-ერთ ეპიზოდში ამ ადამიანთა ამგვარ ანტიქართულ მიზანსწრაფვას გ. მუხრანსკი ამ სიტყვებით გამოხატავს: „რუს-ხელმწიფე იგივე ჩვენი ხელმწიფეა! მან ჩვენი მეფისაგან მიიღო სამემკვიდროთ საქართველო და მე ქართველი უკეთუ ჩემს მეფეს ერთგულად ვემსახურებოდი, მის დღეინდელ მემკვიდრეს რუს-ხელმწიფესაც უნდა ვემსახურო“ (დადიანი 1939: 55).

სამწუხაროდ, გ. მუხრანსკი გამონაკლისი არ ყოფილა და რუსული მმართველობის დროინდელ საქართველოში მსგავსი ანტიქართული თვალთახედვის მქონე ქართველებიც გვხვდებოდნენ, საკუთარი სამშობლოსგან განმდგარნი და რუსეთის იმპერიის კოლონიური ინტერესების გასატარებლად აქტიურად მებრძოლნი.

რაც შეეხება კავკასიის მთავარმართველს ნეიდგარდტს, მისი მხატვრული სახის შექმნით შ. დადიანმა ახალი შტრიხები შესძინა ჩვენს წარმოსახვაში ზოგადად დამკვიდრებული რუსი შოვინისტის ტიპს. მთავარმართველის საბჭოს ერთ-ერთ რუს წევრთან საუბრის დროს ნეიდგარდტი შეუნიღბავად წარმოაჩენს მის უკიდევანო სიძულვილს ქართველობისადმი. მისი აზრით, ერთადერთი კარგი რამ, რაც ქართველებშია, ეს მხოლოდ ქალებია. სხვა მხრივ კი ისინი ნამდვილი ველურები არიან, თხები და ნადირები, კუდაბზიკები და ქარაფშუტებიო, გესლიანად ამბობს იგი და განაგრძობს: „საზოგადოდ, ქართველობა გადაგვარების გზაზე შემდგარი ხალხია და რაც უფრო ადრე და მალე მოხდება ეს ამბავი, მით უკეთესია რუსეთისათვის. ასიმილაცია თუ ისინის ამ მხარეს“ (დადიანი 1939: 64).

ნეიდგარდტი სულსწრაფად ოცნებობს იმ დროის დადგომაზე, როცა რუსეთის ძლიერება „შეუფერხებლად გადაეფინება ამ კეკლუც მხარეს“. ასეთია ამ შოვინისტი რუსის (მისნაირები კი, როგორც შ. დადიანის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებიდანაც ნათლად ჩანს, საკმაოდ მრავლად იყვნენ) ნიღბის იქეთა მხარე. ნიღბაფარებული კი იგი ფარისევლურად ეთვალთმაქცებოდა და სიყვარულს უმტკიცებდა ქართველობას.

ქართველებისადმი ნეიდგარდტის, როგორც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის აქტიურად გამტარებელი მაღალჩინოს-

ნის, დამოკიდებულების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება ქართულ-სომხურ ურთიერთობათა მისეულ ინტერპრეტაციასაც უნდა მივაქციოთ. კერძოდ, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ კავკასიაში მთავარმართებლად წარმოგზავნილი ეს ცბიერი ჩინოვნიკი მთავარმართებლის ერთ-ერთ რუს წევრს დაბეჯითებით არწმუნებდა იმაში, რომ კავკასიაში არსებული ერთადერთი ხალხი, რომელიც, ქართველებისაგან განსხვავებით, „გამრჯე, დაკვირვებული, მუყაითი და ნირშეუცვლელი მომუშავეა, სომხები არიან.“ ნეიდგარდტის მტკიცებით, იმისათვის, რომ რუსეთის იმპერიის ინტერესების სამსახურში „თავდადრეკით მდგარ“ ამ ხალხს მათ წინააღმდეგ „თავი არ წამოეყო“, რუსებს მათთვის „უნდა ელოლიავათ, ეალერსათ და ეცადათ მათსა და ქართველებს შუა შუღლი გაეღვივებინათ.“

ნეიდგარდტის აზრით, ქართველებსა და სომხებს შორის ამგვარი შუღლისა და დაპირისპირების გასაძლიერებლად კი რეალურ საფუძველს იმხანად თუნდაც ის გარემოებაც ქმნიდა, ქართველთა „მამულები და ხოდაბუნები ნელ-ნელ რომ გადადიოდა სომხების ხელში,“ „ქართველების დაუდევრობა და ხელ-გაშლილობა სომხებისათვის კიდევ სარფას“ წარმოადგენდა და ამ ორი ხალხის ერთმანეთთან დასაპირისპირებლად „მხოლოდ ერთი ნაპერწკლის ჩაგდება იყო საჭირო“ (დადიანი 1939: 64).

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რუსული კოლონიალიზმისადმი შ. დადიანის სწორედ ასეთი უკომპრომისო დამოკიდებულება ყველაზე მეტად გამოხატავს მისი ტრაგედიის მიზანდასახულების უმთავრეს არსს. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ პრობლემათა განმსჯელ-შემფასებელ ქართველ მამულიშვილთა აზრით, რუსეთის ცბიერი კოლონიური პოლიტიკა ალა-მაჰმად-ხანისა და მურვან-ყრუს პოლიტიკაზე ბევრად უფრო უარესი და დამთრგუნველი იყო. „ისინი პირდაპირ მაინც გვებრძოდნენ, მოგვერეოდნენ და ჩვენც მონები ვიყავით. ეხლა თითქოს მონები არა ვართ, თანასწორი მოქალაქეები ვართ, არც არავინ გვებრძვის, ზოგიერთ ჩვენგანს თავზეც ხელს უსვამენ, ყოველივე თითქოს რიგზეა, მაგრამ ნამდვილ და მტკიცე ნიადაგს კი გვაცლიან ფერხთაგან“ (დადიანი 1939: 53).

ვფიქრობ, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ რუსული მმართველობის დროინდელ საქართველოში არსებულ ეროვნულ პრობლემათა ამგვარი ფორმით დასმა და გააზრება მხოლოდ ცარისტული პერიოდის კოლონიური პოლიტიკის მხილებას არ ისახავდა მიზნად და შ. დადიანის ტრაგედიიდან დამონმებული თუნდაც ეს ფრაგმენტებიც სავსებით საკმარისია იმ გარემოებისთვის კიდევ ერთხელ საზგასამენლად, მწერალი ამ შემთხვევაში მისი ეპოქის ფსევდოინტერნაციონა-

ლურ იდეოლოგიასაც რომ უპირისპირდებოდა არაპირდაპირი გზით. აქვე ხზავსამით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ყველაფერ ამას შ. დადიანი გასული საუკუნის 30-იან წლებში აკეთებდა, სისხლიანი რეპრესიების აღზევების უამს.

იქიდან გამომდინარე, რომ სამხედრო კარიერაზე მეოცნებე ნ. ბარათაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის ხელმძღვანელობით მიმდინარე ომს, რომლის უმთავრესი მიზანიც რუსეთის კოლონიური უღლისაგან ამ მხარის განთავისუფლება იყო, პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა, შ. დადიანს არც ეს საკითხი დაუტოვებია უყურადღებოდ. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი გამონაკლისი არ ყოფილა და რუსეთს მაშინ ქართველ არისტოკრატთა დიდი ნაწილი არა მარტო სიტყვიერად უჭერდა მხარს, არამედ მათი არაერთი ცნობილი წარმომადგენელი შამილის წინააღმდეგ მიმდინარე ამ ომში პირადადაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

ქართველ არისტოკრატთა ამგვარი მოქმედების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ამ შემთხვევაში ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ ამით ისინი ჩრდილოეთ კავკასიელებს იმ მტრობის გამო უხდინდნენ სამაგიეროს, რასაც ისინი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ეწეოდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საპასუხო შურისძიების ეს გრძნობა მაშინ იმდენად ძლიერი იყო, რომ იმაზე არავინ ფიქრობდა, მათი ამგვარი ქმედებით ისინი რუსული კოლონიალიზმის განმტკიცებას არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში უწყობდნენ ხელს, არამედ საქართველოშიც.

როგორც უკვე ითქვა, თავისი დროის ქართველ არისტოკრატთა დიდი ნაწილის მსგავსად, ამ სამწუხარო მოვლენის მხარდამჭერის როლში ნ. ბარათაშვილიც მოგვევლინა.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება 1844 წელს დაწერილ ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტინისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს.“ ლექსში მკაფიოდ გამოხატულ ანტიდაღესტინურ და ანტიჩეჩნურ სულისკვეთებას ვ. კოტეტიშვილი იმით ხსნის, რომ ამ ხალხებმა საქართველოს ისტორიულად მრავალი უბედურება დაატყვეს ეს თავს. ამიტომაც იყო, რომ „რუსის ჯარის ყოველი გამარჯვება, ქართველი კაცის გმირობა და თავის გამოჩენა, ქართველობას სადღესასწაულო გუნებაზე აყენებდა. ამ საერთო რიცხვიდან არც ბარათაშვილი გამორჩეულა“ (კოტეტიშვილი 1965: 127). მიუხედავად იმისა, რომ, ვ. კოტეტიშვილის აზრით, დღეს უკვე „ჩვენ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ავტორისა და იმ დროს ქართველთა „სისხლის აღებით“ აღტაცება, ფაქტი ფაქტად რჩება და ჩვენი მოვალეობაა გავიგოთ მოვლენა, მოვუძებნოთ მას მიზეზი და ისტორიის ჩარჩოებში ჩავაყენოთ“.

ალბათ, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ ლექსით ნ. ბარათაშვილი, ნებისთ თუ უნებლიედ, რუსული კოლონიალიზმის მხარდამჭერის როლში მოგვევლინა და ხსენებული ნაწარმოები ფაქტობრივად საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შედეგად არასასურველად ტრანსფორმირებული ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერების ნაყოფია.

რაგინდ ძნელი ასახსნელიც არ უნდა იყოს, ნ. ბარათაშვილის განსახილველი ლექსი არაპირდაპირი ფორმით თავად პოეტის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვისთვის შეუსაბამო ნაწარმოებიცაა და დაღესტნელებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ მიმართული ქართული აგრესიის ახსნა ისტორიული შურისძიების გრძობით, უმთავრეს ლაიტმოტივად რომ გასდევს ნაწარმოებს, მხოლოდ რამდენადმე თუ შეიძლება იყოს მისაღები და გასაზიარებელი. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ავტორისეული სათქმელის არსზე, გავიხსენოთ ფრაგმენტი ლექსიდან:

**ძრწოდე, კავკასო, ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!  
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,  
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა  
და აღმორთმევიად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!**

პოეტი უდიდესი აღფრთოვანებით ასხამს ხოტბას ქართველთა ლაშქარსა და მის წინამძღოლებს, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების დასათრგუნად და მათ სამშობლოში რუსეთის იმპერიის გასაბატონებლად მიემგზავრებოდნენ. როგორც ითქვა, ასეთი შეფასების უმთავრეს საფუძველს ქართველთა მიერ მათთვის სამაგიეროს მიზღვევის ფაქტი წარმოადგენს, ამ ხალხების სამაგალითო დასჯა მათ მიერ საქართველოსთვის საუკუნეთა განმავლობაში თავსდატეხილ უბედურებათა გამო.

ამის დასტურად, ზემოთ დამოწმებული არგუმენტების გარდა, ლექსის ის ადგილიც უნდა გავიხსენოთ, სადაც პოეტი ხაზგასმით გვაუწყებს, რომ საბრძოლველად მიმავალი ქართველთა ლაშქარი მამულისადმი ერთგულების ფიცს დებს ქართლოსის საფლავისა და მეფე ერეკლეს აჩრდილის წინაშე: „კავკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი და მათ წინ ვერლა დაუდგენენ ვერც შენნი პირველ რჩეულნი!“ „ჰე, ძმანო, ნუთუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მადლით? გიხმობთ: „ქართველნო, ჰე, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე მადლით!“

ლექსში დასმული ე. წ. „ქართული პრობლემის“ კიდევ უფრო ღრმად გასაზრებლად აქ მინდა იმ კომენტარსაც მივუძღვიო ყურადღება, რომელიც ნაწარმოებს გ. ლეონიძემ გაუკეთა: „ლექსის იმ ვარიანტში,



რომელიც ფართო საზოგადოებისათვის დანიშნულ კრებულში უნდა მოხვედრილიყო, უფრო გვიან ტექსტში ცვლილება შეტანილი. ლექსის 30-ე ტაეპი, რომელიც ერეკლე მეფეს ეხება, ავტოგრაფში ასეა ჩანერილი: „მეფესა (აქ პირდაპირ მინიშნებულია ერეკლე მეფე) თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა“. ხოლო უფრო გვიან ეს ტაეპი ასეა გადაკეთებული: „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“. ეს არის კამოფლაჟი ცენზურის თვალის ასახვევად; ნამდვილი ტექსტი ლექსისა დანიშნული იყო თანამოაზრეთა ვიწრო წრისათვის, ხოლო „საგარეოდ“ დანიშნული ეს გადაკეთებული ვარიანტი ერთი სტრიქონისა... მიზნად ისახავდა ლექსის გადარჩენას მონინალ-მდეგეთა ბეზლობისაგან“ (ბარათაშვილი 1968: 270).

დალესტნელთა და ჩეჩენტა წინააღმდეგ მიმართული ისტორიული შურისძიების გრძნობა ავტორში იმდენად დიდია, რომ ლექსში იგი წარმოუდგენელი სისასტიკის სახესაც კი იღებს:

**ჰე, დალესტნელნო, სომხითის კედელნი, თქვენგან ნგრეულნი,  
მის ძეთა თქვენის თავებით ყონ ახლად აღშენებულნი!**

ისტორიული შურისძიების ამ გრძნობას პოეტი მასშტაბურ ხასიათს იმითაც სძენს, რომ მან ამ მოვლენის მთავარ შემოქმედ ძალად რუსები კი არ გამოიყვანა, არამედ ფაქტობრივად მთელი საქართველო, მისი თითქმის ყველა კუთხისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები (ქართლი, კახეთი, თუშეთი, სომხითი, თავადები, აზნაურები, გლეხები...). ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა დასათრგუნად გადახდილ ამ თავგანწირულ ბრძოლას ნ. ბარათაშვილი მეფე ერეკლესა და ჩვენს სახელოვან წინაპართა საკადრის გმირობად მიიჩნევს (ნ. ბარათაშვილის ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ: ნიკოლეიშვილი 2014: 351-370).

ნ. ბარათაშვილისა და მის თანამედროვე ქართველ არისტოკრატთა დიდი ნაწილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გამომხატველ ამ მხარეს ესოდენ განსაკუთრებული ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ იგი შ. დადიანის ტრაგედიაშიც არის წარმოჩენილი ფრაგმენტულად. კერძოდ, ამ მოვლენის შესახებ უდიდესი კმაყოფილებით საუბრობენ როგორც იმდროინდელ ქართველ წარჩინებულთა ცალკეული წარმომადგენლები, ისე საქართველოში რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოგზავნილი რუსი მაღალჩინოსნები.

მაგალითად, ზაქარია ორბელიანის მტკიცებით, იმ პერიოდის „მთელი კავკასია მთიელებთან ომით სუნთქავდა... საუკეთესო მისი ახალგაზრდობა იქ წინაურდებოდა, ყველა მისიანებიც – ბიძები, ბიძაშვილები, დიდ-ძალი ნათესაობა იქა მსახურობდა“ (დადიანი 1939: 44). ხოლო

ერთ-ერთი თავადი, უსაზღვროდ გულდანყვეტილი იმის გამო, რომ სიბერე შამილის წინააღმდეგ გამართულ ომში მონაწილეობის შესაძლებლობას არ აძლევდა, ამბობს: „ჰაი, დადადა! რა უთხრა ამ სიბერეს, თორემ რატომ მეც იქ არა ვარ ერთი იმათგანის, იმ ლეკებისა, იმისი სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯავდე ცოცხლად... რამდენი ჩვენთვის, ქართველობისათვის, სისხლი გაუფუჭებიათ ლეკებს“ (დადიანი 1939: 38).

რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში წარმოგზავნილი ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი, მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბეზაკი კი შამილის წინააღმდეგ მიმდინარე ომში ქართველთა აქტიურ მონაწილეობას ამგვარ შეფასებას აძლევს: „ქართველობა ეხლა ძლიერ გატაცებულია ლეკებთან ბრძოლით და მე მგონი, რომ ყოველი ახალგაზრდა შამილის დაჭერას ფიქრობს სიზმარში თუ ცხადათ და კარგათაც იქცევა. ამას მოითხოვს მეფისა და მამულის ერთგულება“ (დადიანი 1939: 14).

შალვა დადიანის ტრაგედიაზე საუბრის დროს აქ მეტად მნიშვნელოვან ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: იმ პერიოდში, როცა მწერალმა ეს ნაწარმოები შექმნა, ხელისუფლების მესვეურებსა და მათი პოლიტიკის მორჩილ პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ განაღებული კლასიკოს მწერალთა, მათ შორის ნ. ბარათაშვილისაც, წინააღმდეგ. ამ ბრძოლის განმაპირობებელ უმთავრეს საფუძველს ის გარემოება განაპირობებდა, რომ მათი მტკიცებით, კლასიკოს მწერალთა ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური თვალთახედვა პრინციპულად არ შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, რის გამოც კლასიკოს მწერალთა შემოქმედება „მავნე ზეგავლენას“ ახდენდა მშრომელ მოსახლეობაზე.

მაგალითად, პროლეტარული კრიტიკოსი პლატონ ქიქოძე კატეგორიული ფორმით ამტკიცებდა, რომ „კლასიკოსები მკვდრეთით აღმდგარნი იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ“ და შემოფოთებული ეძებდა გზებს ამ ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად (კრებული “ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ 1931: 16). ალიო მირცხულავა-მაშაშვილმა კი 1926 წელს ჟურნალ „მნათობის“ VIII-IX ნომერში პოემა გამოაქვეყნა სათაურით – „მე და ბარათაშვილი,“ სადაც ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასა და მის პოეტურ გვირგვინს – „მერანს“ ასეთი შეფასება მისცა:

**შენი მერანი? ჰო, არა უშავს,  
იქნებ ჩაღანდრად კლდე გადმოვიდეს,  
მაგრამ ტფილისში დღეს რომ გაუშვა,  
სადმე პროსპექტზე კისერს მოიტენს...**

**შენი ფიქრები სიშორეს მიაქვს,  
ცივ ღრუბელივით სდუმან თვალები,  
უსმენ მონყენით მთანმინდის ნიავს  
და მებრალები, და მებრალები!**

შალვა დადიანის ტრაგედიის ღირსებას ის გარემოებაც განსაზღვრავს არსებითად, რომ ხსენებული ნაწარმოები დრამატურგმა კლასიკოსი მწერლებისადმი სწორედ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების პერიოდში დაწერა და ამით არა მარტო პროლეტარული მწერლობის ანტიეროვნულ პოლიტიკას დაუპირისპირდა ცხადად და ამკარად, არამედ ამ პოლიტიკის დამამკვიდრებელ ხელისუფლებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტრაგედია თავისი მხატვრული დონითა და სიტყვიერი ხელოვნებით მწერლის საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებს ვერ შეედრება, იგი, როგორც ავტორის ეროვნული მრწამსის მკაფიოდ წარმომჩენი ნაწარმოები, მაინც უნდა მივიჩნიოთ მისი შემოქმედების საგულისხმო შენაძენად.

**დამონებიანი:**

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი*. თბილისი: 1968.

**დადიანი 1939:** დადიანი შ. *ბარათაშვილი. ტრაგედია*. თბილისი: 1939.

**კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. *რჩეული ნაწერები*. თბილისი: 1965.

**კრებული 1931:** კრებული: „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. თბილისი: 1931.

**მირცხულავა 1926:** მირცხულავა ა. *მე და ბარათაშვილი*. ყ. მნათობი. № 8-9. თბილისი: 1926.

**ნატროშვილი 1952:** ნატროშვილი გ. „მანკიერი რომანი და რედაქტორის უპრინციპო ბოლოსიტყვაობა“. გაზ. „კომუნისტი“, 8 ივნისი. 1952.

**ნიკოლეიშვილი 2004:** ნიკოლეიშვილი ა. *XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის ნარკვევები*. ქუთაისი: 2004.

**ნიკოლეიშვილი 2014:** ნიკოლეიშვილი ა. *ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი*. ორტომეული. ტ. I. ქუთაისი: 2014.

**ქიქოძე 1928:** ქიქოძე პ. *ქართული მწერლობის ერთი წელი*. ყ. მნათობი, № 3. თბილისი: 1928.

## HAIATE SOTOME

*Japan, Tokio*

Tokyo University

### **The Strategy of Ilia Chavchavadze and Georgian Romanticists on Condition of Russian Empire's Colonization**

It can be said that Ilia Ch'avch'avadze is one of the greatest writers of Georgian Realistic literature. However, we can also say that he is an authentic successor of Georgian Romanticist poets as well. We can see this argument in his early prose work, „Letters of a Traveler“, in which the writer strategically cites Romanticists' (concretely, G. Orbeliani's) poems, uses or criticizes their geopoetical strategies which H. Ram and Z. Shatirishvili point out, and adapts to his work their national consciousness against Russian Empire's colonial politics.

**Key words:** Ilia Ch'avch'avadze, Postcolonialism, Letters of a Traveler.

## **ჰაიატე სოტომე**

*იაპონია, ტოკიო*

*ტოკიოს უნივერსიტეტი*

### **ილია ჭავჭავაძისა და ქართველი რომანტიკოსთა სტრატეგია რუსეთი იმპერიის კოლონიზაციის პირობებში**

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ილია ჭავჭავაძემ სიახლე იმ კუთხითაც შეიტანა, რომ მან დაწერა რეალისტური ლიტერატურა. მისი თხზულებები „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“ და ა. შ. ქართული რეალიზმის შედეგად გვევლინება. ამ რეალისტური ნაწარმოებებით ილია აკრიტიკებს იმდროინდელ ქართულ რეალობას, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს კოლონიზაციას, რადგანაც ამ კრიტიკის მეშვეობით ცდილობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას.

თუმცა, თუ დაწვრილებით განვიხილავთ, რასაკვირველია, ლიტერატურული ისტორია არ იყოფა მკვეთრად გამოხატულ ორ ხანად – რომანტიზმი და რეალიზმი – იგი უფრო ჭრელი გრადაციანია. ილიას შემთხვევაშიც იგივე ხასიათი ჩანს; ილია ქართულ ლიტერატურაში რე-

ალიზმისადმი ახალ დამოკიდებულებას ნერგავს, მაგრამ ამავდროულად იგი ქართული რომანტიზმის კანონიერი მემკვიდრეცაა.

ილიას შემოქმედების ამ ხასიათზე ჯერ კიდევ პავლე ინგოროყვა მსჯელობს და ფიქრობს, რომ მასზე დიდი ზეგავლენა რომანტიკოსმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა იქონია. იგი ასე წერს: „ახალი ქართული მწერლობიდან ილია დიდად აფასებდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებს – ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს. განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანის „ღრმა ეროვნული პოეზია“ (–როგორც ამბობს თვით ილია) – ადრინდელე ყოფილა ილიას სიყვარულის საგანი“ (ინგოროყვა 1988: 231) გრ. ორბელიანისადმი ასეთი დამოკიდებულება, ინგოროყვას თქმით, ილიას ადრინდელი, ახალგაზრდობის პერიოდის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებშიც (მაგ. „აჩრდილში“) შეიმჩნევა. დასასრულს, მკვლევარი ასკვნის: „ნათესაობა და მემკვიდრეობითი კავშირი მათ შორის უდავოა“ (ინგოროყვა 1988: 237).

თუმცა, იგი დამატებით, ხაზგასმით შენიშნავს, რომ „...ეს ნათესაობა არ სცილდება გარკვეულ ფარგლებს. გრიგოლ ორბელიანის პოეზია, ჯერ ერთი, განუზომლად უფრო ვინრო დიაპაზონისაა, ხოლო რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ეპოქა, ორი სხვადასხვა სამყარო. ილიამ ჯერ კიდევ პირველ პოემაში „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი სამოქმედო პროგრამა დაუსახა ხალხს, ახალი შინაარსით აავსო ის შემოქმედებითი პატრიოტიზმის სული, რომელიც მან წინა თაობის პოეზიიდან მემკვიდრეობით მიიღო“ (ინგოროყვა 1988: 237-238).

თუკი, როგორც მკვლევარი ამბობს, ილიამ წინა თაობის მემკვიდრეობით ქართული ეროვნული ლიტერატურა მაღალ დონეზე აიყვანა, ჩნდება კითხვა – როგორ მოახერხა ეს?

ყურადღება მივაქციოთ ილიას ახალგაზრდობაში დაწერილ პროზაულ თხზულება „მგზავრის წერილებს“, რომელშიც ისევე, როგორც „აჩრდილში“, გრ. ორბელიანთან კავშირი ჩანს. თხზულებაში ორბელიანის ლექსიდან „სალამო გამოსალმებისა“ და პოემა „სადღეგრძელოდან“ ნაწყვეტებია ციტირებული. დაწერილებით განვიხილოთ, როგორ გამოიყენა ილიამ ორბელიანის ეს პოეტური ნაწარმოებები.

თხზულების მეორე თავში, როდესაც მგზავრი ვლადიკავკასს ტოვებს და თავისი სამშობლოსკენ – საქართველოსკენ იზამს პირს, მას ხვდება თერგი. სწორედ აქ გვახსენებს ავტორი გრ. ორბელიანის ლექსს („სალამო გამოსალმებისა“). ვლადიკავკასში მყოფი მგზავრის თვალწინ თერგი გაჩუმებულია: „ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰლრიალებს,  
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვემ არის გატარებულო, ან დიდი ჩინი მიულოაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი  
შავადა ზედ დასნოლიან  
და მრისხანებით ქვეყანას  
ნარღენითა ემუქრებიან“.  
(ჭავჭავაძე 1985: 7)

მეოთხე თავში კი ორბელიანის „სადღეგრძელოდანაა“ ციტატა. რუს ოფიცერთან გასაუბრების შემდეგ მგზავრი სტეფანწმინდაში ადის: „იმ სალამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი სალამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,  
რომელი კუთხე ქვეყნისა?“  
(ჭავჭავაძე 1985: 17)

როგორც ინგოროყვა ამბობს, ორბელიანისადმი ილიას დამოკიდებულება აქედანაც აშკარად ჩანს; იგი ორბელიანის შემოქმედებას კარგად იცნობს და დიდად აფასებს. თუმცა თუ დავაკვირდებით, ჩანს, რომ ეს ციტატები სხვადასხვა დატვირთვითაა გამოყენებული და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ილია ორბელიანისადმი პატივისცემითაა გამსჭვალული.

ამ დატვირთვის განხილვისას საყურადღებოა ჰარშა რემისა და ზაზა შათირიშვილის მიერ გაანალიზებული ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგია. მათი თქმით, ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგია, რომელიც რუსეთის მიერ კოლონიურ მდგომარეობას ითვალისწინებს, ძირითადად სამი ტიპისაა. ეს ტიპები ძირითადად კოლონიურ მდგომარეობაში არსებული ტრიქოტომიის – „რუსეთი/საქართველო/ჩრდილოეთ კავკასია“- ცვლილებაა რომანტიკოსთა პოემებში.

პირველი ტიპის მაგალითად სტატიის ავტორები ა. ჭავჭავაძის ლექსს „კავკასიას“ ირჩევენ და წერენ, რომ პოეტი იმდროინდელი რუსული ლიტერატურის სხვადასხვა პოეტური ნაწარმოებიდან იღებს მასალას და ლექსს ქმნის ნაკრებად. თუმცა, ეს რუსული ლიტერატურის უბრალო მიბაძვა არაა – პოეტი გარკვეულ დეტალებს ცვლის.

მაგალითად, როცა რუსი პოეტები ცარიზმს განადიდებენ (sublime), იყენებენ ორ ღერძს – ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურს. ჰორიზონტალური ღერძი პანორამური პერსპექტივაა, რომელიც იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების სიფართოვეს გულისხმობს, ხოლო ვერტიკალური კი მწვერვლის სიმაღლეა, რაც მეფე-ცარის სიდიადეს გულისხმობს. მკვლევრების აზრით, პოეტი ვერტიკალურ ღერძთან შედარებით ჰორიზონტალურზე მკვეთრად არ წერს. საბოლოოდ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძები ერთმანეთთან კონფლიქტს ქმნიან, რაც „პოეტისა და პოემის, როგორც მთლიანის, რუსეთის იმპერიასთან გაიგივება-იდენტიფიცირებას უშლის ხელს. ჰორიზონტალურად გადაშლილი დაპყრობილი ერები აქ არ იხატება“ (რამი ... 2004: 13). მაგრამ მაინც, ზემოთქმულ ტრიქოტომიასთან დაკავშირებით სტატიის ავტორები ასკვნის, რომ „ლექსი დასაწყისისთვის იღებს ტრიქოტომიას „რუსეთი/საქართველო/ჩრდილოეთ კავკასია“, რათა რუსეთს ეფექტურად დააპყრობინოს ჩრდილოეთ კავკასია და შთაანთქმევინოს საქართველო“ (რამი ... 2004: 13).

რაც შეეხება ქართველ რომანტიკოსთა სტრატეგიის მეორე ტიპს, აქ ტრიქოტომიური სქემიდან „რუსეთი“ იშლება და ტრიქოტომია დიქოტომიით – „საქართველო/ჩრდილოეთ კავკასია“- იცვლება. ამას მოწმობს ნ. ბარათაშვილის ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტინისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-სა“, რომელიც გვახსენებს იმ დროს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ჰქონდა და ლექსში ერეკლე II-ის ხმაც ჟღერს. სინამდვილეში ამ ლექსის დაწერისას, მე-19 საუკუნეში, საქართველო უკვე დაპყრობილია რუსეთის იმპერიის მიერ, მაშასადამე, როგორც სტატიაში წერია, ის, რაც ამ ლექსსა და სხვა პოეტურ ნაწარმოებებში („ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“) აისახა, ანაქრონისტული წარმოსახვაა და მასში მეორე სტრატეგიას კარგად ვხედავთ. „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობაში მონაწილეობით, ქართველები მხოლოდ წარსული ტრაემების და ზიანისთვის ანგარიშის გასწორებას კი არ ითხოვდნენ, არამედ იმ პოლიტიკურ კონტექსტსაც აღადგენდნენ, რომელშიც ეს ზიანი მიადგათ“ (რამი ... 2004: 17). აქ საქართველო დაპყრობის სუბიექტია და არა ობიექტი, როგორც ეს პირველი ტიპის შემთხვევაში გვქონდა.

მესამე ტიპი კი უკვე დიქოტომიაც აღარ არის. ბარათაშვილის „მერანში“ აღინიშნება ის სტრატეგია, რომელშიც არც „რუსეთი“, არც „ჩრდილოეთ კავკასია“ მითითებული აღარაა; მკვლევრების აზრით, „მერანი“ ბარათაშვილის ბიძის ილია ორბელიანის დატყვევების ერთგვარი გამოძახილი კი არის და რეაქციაა მომხდარზე, მაგრამ მისი წაკითხვა ამ რეალური კონტექსტის გარეშეც შეიძლება. ზემოთ

განხილული ნაწარმოებების საპირისპიროდ, „მერანი“ არსად ეხება ისტორიას, ან გეოგრაფიას – მათ შორის საქართველოსაც. ასეთი უტოპისტური დამოკიდებულებით, „პოეტის მიზანი იმ „ბედის სამზღვრის“ გადალახვაა, რომელიც მას მშობლიურ მიწას აბამს. რეალური სამყარო კი გაურბის პოემის გაუცხოების სტრატეგიას, იღებს რა საკუთარ თავზე ლირიკული გმირის დაკრძალვასა და დატირებას, რომელსაც ჩვეულებრივ, გმირის ნათესავები აღასრულებენ“ (რამი ... 2004: 21). ეს უდროო-უადგილო, უტოპისტური სტრატეგია პოლონელ პოეტ ა. მიცკიევიჩსა და რუს პოეტ მ. ლერმონტოვთან შედარებითაც კი უნიკალურიაო.

აი, ასე ხედავენ ზემოხსენებული მკვლევრები ქართული რომანტიკოსების „გეოპოეტურ“ სტრატეგიას. ახლა ამ ასპექტით გავარკვიოთ, რომელ ტიპს ეკუთვნის „მგზავრის წერილებში“ ციტირებული გრ. ორბელიანის პოეტური ნაწარმოებები.

ლექსი „სალამო გამოსალმებისა“, ა. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიასთან“ შედარებით, პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ კითხვებს არ სვამს. მაგალითად, ჭავჭავაძის ლექსში ნათქვამია „მამაცი ციციშვილი“, რომელიც პუშკინის „კავკასიის ტყვის“ ეპილოგში აღწერილ რუს გენერალს ენაცვლება და ქართველ მკითხველს ანუგეგმებს. ორბელიანის ლექსში ამგვარი ცხადი სურათი არ გვაქვს.

მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ლექსში დახატული კავკასიონის მთების, ტყის, თერგისა და კლდის სურათი. მათ შორის ყაზბეგის მთის სიმაღლეცაა, რომელიც ვერტიკალურ ღერძადაა ნაგულისხმევი რუსი პოეტების ნაწარმოებებში, ხოლო მრისხანე თერგი აღმოსავლური სიველურის სიმბოლოა და საზღვარიც, რომელიც რუსეთსა და კავკასიას ყოფს. ა. ჭავჭავაძის ლექს „კავკასიაშიც“ ასე ვკითხულობთ: „შეინრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი“. როგორც რემი და შათირიშვილი მიგვითითებენ, ა. ჭავჭავაძე ამ მხრივაც რუსული რომანტიზმის მემკვიდრეა და ორბელიანიც, რადგანაც მის ლექსში გამოყენებულია ბუნების სურათის ტიპური რომანტიკული წარმოსახვა, რომელიც პოლიტიკური და იმპერიალისტური მნიშვნელობითაა გამსჭვალული რუსი და ქართველი პოეტების მიერ. ასეთი კონტექსტუალური გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ორბელიანის ლექსი „სალამო გამოსალმებისა“, ან ამ ლექსის ბუნების წარმოსახვა მაინც, რომანტიკოსების სტრატეგიის პირველ ტიპს ეკუთვნის.

როგორც აღვნიშნე, მრისხანე თერგი აღმოსავლური სიველურის სიმბოლოა და თანაც „მგზავრის წერილებში“ ილიას ბაირონს აგონებს. თუმცა ილია სხვა ადგილას, სადაც ორბელიანის სტროფებია ციტირებული, თერგის ამ სიმბოლურ წარმოსახვას ცვლის: „ჩვენი დამთხვეუ-



ლი თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის...“ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ აქ თერგი იმიტომაა „ჩვენი“, რომ მგზავრი საქართველოსკენ მიდის და ლარსთან „გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ლელვა“. სამშობლოს ფერი და თერგის შფოთვა-ლელვა ამ წინადადებაში ერთნაირადაა აღწერილი. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ თერგის შფოთვა აქ ქართველობას უდრის. თუმცა ეს შფოთვა თერგს ვლადიკავკასთან ეკარგება და ჩუმდება, როგორც „როზგვეშგატარებული, ან დიდჩინმიღებული“. რასაკვირველია, ეს ორბელიანისა და მამების თაობის და, ზოგადად, კოლონიური ვითარების მკაცრი კრიტიკაა, რაც ნიშნავს იმას, რომ კოლონიზებული ხალხი კოლონიზაციას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ იღებს და აღიარებს.

ამ თვალსაზრისით თუ წავიკითხავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიას ეს კრიტიკა ორბელიანის „გეოპოეტურ“ ტრიქოტომიას მიემართება. გრ. ორბელიანის ლექსში, ა. ჭავჭავაძის „კავკასიისგან“ განსხვავებით, პეიზაჟის ცქერისას სუბიექტი არის პირველი პირი, „მე“ – რემი და შათირიშვილი მიგვითითებენ, რომ ალ. ჭავჭავაძესთან სუბიექტი მხოლოდ ლექსის ბოლოს ჩანს, როცა ნახსენებია პრომეთე. მათი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ „ბოლო სტროფამდე ა. ჭავჭავაძის ლექსი ადამიანური სამყაროს და ისტორიის მიღმა რჩება“ (რამი ... 2004: 11). ორბელიანის ლექსში კი აღდგა რომანტიკული და ლირიკული გმირი, რომელიც უპირისპირდება იმპერიალიზმითა და ორიენტალიზმითაა „გამსჭვალულ“ გაპეიზაჟებულ ბუნებას. აქ კოლონიური სქემაა: „სუბიექტი, რომელიც ხედავს და ობიექტი, რომელიც დანახულია“. ამ გაგებით შეიძლება ვთქვათ, რომ ლექსს „საღამო გამოსალმებისა“ კოლონიური ლიტერატურის ხასიათი აქვს. სწორედ ამ კოლონიურ და გეოპოეტურ სქემას ეკამათება ილია „მგზავრის წერილებში“ გრ. ორბელიანის ლექსიდან ირონიულად მოხმობილი ციტატით.

ლექსი „სადღეგრძელო“ კი ეკუთვნის მეორე ტიპს – დიქოტომიურ გეოპოეტუკას „საქართველო/ ჩრდილოეთ კავკასია“. აქ ჩანან საქართველოს ისტორიული გმირები – ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი და ა.შ. – რომელთა პოვნაც ილიას „აჩრდილში“ სურს და რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს მტრებს ებრძონენ. მაშასადამე, გეოპოეტური დიქოტომიური სტრატეგია მათი სახითაცაა განხორციელებული.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ლექსშიც არსებობს ბუნების რომანტიკური სურათი:

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცაღმდე ასულნი  
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლენლი;

უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალ-გადუწვედენელნი,  
სად მონადირე ჰსდევს ფიხვსა და მის ქვეშ ჰველენან ღრუბელნი.

(ორბელიანი 2013: 88)

ზემოთ მოყვანილი სტრიქონების შემდეგ გვხვდება ის სტროფები, რომლებიც ილიას „მგზავრის წერილებში“ მოჰყავს: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“ საქმე ისაა, რომ ილია ამ ციტატაში არ გულისხმობს ისეთ ირონიას, როგორსაც ლექსის „საღამო გამოლასმებისა“ ციტირებისას. ეს იმიტომაცაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნების სურათი „სადღეგრძელოში“ რუსული და ქართული რომანტიზმის მემკვიდრეა, ორბელიანი ამ სტროფით („სხვა...“) თავს არიდებს ბუნების სურათის რუსულ იმპერიალისტურ წარმოსახვაში – ანუ პირველ ტიპში – შთანთქმას; გავიხსენოთ, რომ პირველი ტიპი იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასია დასაღუპი ობიექტია, ხოლო საქართველო კი – შთანთქმისა. ამ ლექსში კი საქართველოს ბუნება და ისტორია არასოდეს ჩაინთქმება რუსულ იმპერიაში, რადგანაც ისინი საქართველოს არსებობის საწინდარია. აქედან გამომდინარე, ილია ამ სტროფს ციტატაში არ აძლევს ისეთ ირონიულ მნიშვნელობას, რომლითაც აკრიტიკებს რუსეთის იმპერიალიზმსა და იმ ადამიანებს, ვინც იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს მიჰყვება.

ილია, მისი წინამორბედი რომანტიკოსების გეოპოეტურ სტრატეგიებსა და მათ შორის განსხვავებას მწვავედ გრძნობს. იგი მხოლოდ პირველი ტიპის ლექსს „საღამო გამოსალმებისა“ ირონიული რეაქციით ციტირებს და აკრიტიკებს თავის თხზულებას „მგზავრის წერილებში“, ხოლო მეორეს ლექს „სადღეგრძელოს“ კი – არა, რადგანაც პირველი ტიპი საქართველოს რუსეთში კოლონიურ შთანთქმასა და მასთან გაიგივებას ნიშნავს, რაც ილიასთვის სრულიად მიუღებელია და რის საწინააღმდეგოდ ილია სიცოცხლეს სწირავს.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია, როგორც ქართული რომანტიზმის მემკვიდრე, რომანტიზმის ეროვნულ ცნობიერებას სტრატეგიულად გარდაქმნის და თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მასალად იყენებს.

## დამოწმებანი:

**ჭავჭავაძე 1985:** ჭავჭავაძე, ი. *რჩული ნაწარმოებები* ხუთ ტომად. ტ.2. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

**ინგოროყვა 1988:** ინგოროყვა, პ. *ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.

**ორბელიანი 2013:** ორბელიანი, გრ. *ერთგმეული*. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2013.

**რამი ... 2004:** Ram, H. and Shatirishvili, Z. “Romantic Topography and the Dilemma of Empire: The Caucasus in the Dialogue of Georgian and Russian Poetry.” *The Russian Review* 63, no.2(January) 2004.

## **GUZEL STRELKOVA**

*Russia, Moscow*

*Institute of Asian and African Studies Moscow State University (IAAS MSU)*

### **Romanticism in India and Chayavad**

Chayavad is often called Indian Romanticism. Hindi poets D.Prasad, S.Pant, S.T.Nirala, M.Varma expressed feelings, thoughts, Romantic attitude to the world, using style resembling English Romantic poetry. Their hero is not opposite to Nature, his knowledge was not in contrast to its ignorance. The hero was eager to accept the highest knowledge with the help of Nature. Their emotional poetry demonstrates nuances of a deep spiritual world and harmony of hero's relations with Nature. Chayavad poets were, for some extend, influenced by poetry of Tagore and Romantic Shelley, but in fact they were original poets with their own Ideology and style.

**Key words:** Indian Romanticism, Chayavad, Sumitranandan Pant.

## **Г.В.СТРЕЛКОВА**

*Россия, Москва*

*Институт стран Азии и Африки МГУ (ИСАА МГУ)*

### **Романтизм в Индии и поэзия чхаявада**

Индийскую поэзию конца XIX - начала XX века, особенно поэзию Рабиндраната Тагора или ту, что создавалась на одном из самых распространённых языков Индии – хинди - в 1920-1940-е годы XX века, сами индийцы часто связывают с романтизмом. С этим литературным направлением европейской литературы просвещённые индийцы, особенно в Бенгалии, где еще в 1773 году обосновалась Ост-Индская Компания, познакомились раньше, в первой половине XIX века. Один из первых индийских поэтов Нового времени бенгалец Майкл Мадхушудон Дотто

(имя Майкл он получил, обратившись в христианство) хорошо знал и английскую, и французскую поэзию романтизма. И предшествующая романтизму поэзия, Мильтона, в частности, и героические образы его поэм поразили воображение бенгальского поэта. Исследователи (Паевская 1979: 214) полагают, что именно «Потерянным раем» Мильтона вдохновлялся М. Дотто при создании своей лучшей поэмы «Гибель Мегхнада», основанной на классическом эпосе «Рамаяна». Её главным героем - вместо благородного царевича Рамы, земного воплощения бога Вишну, стал владыка Шри Ланки, демон Равана, воплощение зла, похитивший Ситу - супругу Рамы. Произведения и других английских поэтов эпохи Романтизма, особенно Китса и Шелли, были знакомы образованным индийцам, выпускникам колледжей и университетов. Необходимо учитывать то, что был довольно большой временной разрыв между европейским романтизмом и индийской поэзией, окрашенной романтическими тонами, которая развивалась уже в конце XIX и первой трети XX века, т.е. в совершенно другой исторической ситуации. При этом определённое сходство, несомненно, было, так как одна из главных идей романтизма – свободы очень им импонировала, мечта о независимости от колониальной Британии владела индийцами уже с середины XIX века. Точно так же, как и формирующееся в сознании индийской интеллигенции внимание к личности, индивидуальности, внутреннему миру человека, что особенно проявилось уже позднее, в XX веке.

Для индийской поэзии того периода был характерен культ чувств и особое, одухотворённое отношение к природе, при этом – у поэтов хинди практически не было отчаяния, безнадёжности, «мировой скорби». Не было в этой поэзии и «исключительного героя», противопоставленного миру – равнодушному и жестокому. Но было сближающее с романтизмом обращение к фольклору и к классическому наследию, которое для индийцев и по сей день означает высокую поэзию на санскрите, а также поэзию 16-17 веков, т.н. эпохи *рити* (букв. стиль, образ) на языке брадж. Эта характеристика относится к поэтическому направлению, называемое на языке хинди *чхаявад* - буквально «тенизм», которое сформировалось и развивалось в Северной Индии в 1920-30-е годы. И хотя в 1965 году будущий академик Е. П. Чельшев, один из первых отечественных исследователей этого поэтического направления, называл его, очевидно, вслед за индийскими литературоведами, романтизмом (Чельшев 1965: 77), впоследствии он более осторожно относился к этому определению. Представляется, что вернее называть *чхаявад* неоромантизмом или символизмом, хотя многие индийцы по-прежнему убеждены, что это был

романтизм, и что такое литературное направление существовало и на многих других новоиндийских языках. Считается, что это было почти естественным развитием индийской литературы, испытавшей влияние английского романтизма, который – без сомнений, оказал воздействие и на поэзию хинди того времени. Издаются исследования, даже книги, названные, например, Indian Romanticism/ Romanticism in India. При этом Википедия, например, сообщает, что «Чхаявад (छायावाद - «Shadowism», тенизм) относится к эпохе Неоромантизма в литературе хинди, 1917-1938. Он отмечен ростом внимания к романтическому и гуманистическому содержанию. Чхаявад был отмечен обновлённым чувством личностного и индивидуального выражения, проявляющегося в произведениях того времени. Он известен благодаря обращению к темам любви и природы, точно также как индивидуалистическому присвоению индийской традиции в новой форме мистицизма, выраженному субъективным голосом»<sup>1</sup>. Считается, что ещё большее влияние на поэтов - *чхаявадистов* оказала поэзия Рабиндраната Тагора, которая в то время, до середины 1930-х, была очень популярна по всей Индии. Но при этом оговаривается, что такой, как чхаявад, условно говоря, региональный романтизм отличается от Европейского романтизма. Это объясняется, как уже отмечалось, большим временным разрывом между расцветом Романтизма в Европе и временем его воздействия на индийских поэтов. Кроме того, такого рода неоромантизм был протестом по отношению к предшествующей «рациональной, дидактической» поэзии эпохи Двиведи<sup>2</sup>.

Отечественная исследовательница этого литературного направления Н.А. Вишневская, одна из соавторов «Истории Всемирной литературы», в книге «Чхаявад и проблемы формирования новой литературной системы в поэзии хинди XX века» (Вишневская, 1988) убедительно показала, чем отличается чхаявад от романтизма. Позже она посвятила развитию этой темы отдельную главу «Чхаявад и романтизм» в книге «Запад есть Запад, Восток есть Восток» (Вишневская 1996: 314-320). В ней были показаны все внешние сходства и имеющиеся при этом внутренние, специфические отличия. Например, неразрывность «старого» и «нового», или по-новому осмысляемое понятие культурного наследия. Для чхаявадистов это преемственность по отношению к индийской классической поэтике и эстетике, а не обращение к европейской классике и Средневековью, как для европейских романтиков. Их сближает «открытие самоценности внутреннего мира человека, индивидуального духовного и эмоционального развития» (Вишневская 1996: 315). Универсализм в чхаяваде выражен традиционными понятиями *атмана* (душа) и *Брахмана* (Абсолют), при этом

они базируются на идеях неоведантизма<sup>3</sup>, то есть обращаются к философии, возникшей на основе традиционных священных текстов. По словам Н. А. Вишневской, «Нешумная революция романтиков» - «революция взгляда на мир» - является отличительной чертой и чхаявадистов. Объединяет их и сходный поэтический стиль, «лирико-символическая стихия» (Вишневская 1996: 322). И главное – особое место, которое занимает в их поэзии пейзаж, тема любви и идея прекрасного. Вместе с тем, *чхаявад* – это философская лирика, в которой много сходно с немецкой романтической поэзией

Уверенность Мерани – от крайней неуверенности и грусти, когда сама героическая смерть, даже не испытавшего победы всадника – уже победа. Он написан в печальные для нации годы после раскрытия антиправительственного заговора, когда в конкретной, сегодняшней действительности гениальный поэт, всеми силами души погруженный в думы о судьбе Грузии, не видит возможности скорой победы нации в целом, не уверен в ее немедленном расцвете. Победа скрыта в грядущем. В этом смысле «Мерани» как бы старше и трезвее «Фариса».

«Монолог нации», как удачно назвал стихотворение Н.Март, сложен в уста человека неполных 25 лет. Истории было угодно, чтобы произнес его не кто-то из ссыльных поэтов, а юноша, страдающий за тех, кто в ссылке.

Волею судьбы почти все ссыльные участники антиправительственного заговора благополучно вернулись на родину. Общественная обстановка и непосредственные национальные задачи лучшей части грузинской интеллигенции сложились так, что многие участники заговора должны были служить и некоторые дослужились в дальнейшем до генеральских чинов.

Григол Орбелиани пережил племянника на 38 лет. Вахтанг Орбелиани – на 45 лет. Александра Чавчавадзе не стало через год после смерти Барагашвили, но ему было за шестьдесят. И лишь сам автор «Мерани», взявший на себя всю горечь нации, произнес ее гениальный монолог, умер молодым безвестным чиновником в Гяндже при единственном свидетеле – том синем цвете, в котором он мечтал раствориться.

И, может быть, потому его «Мерани» достиг тех высот общечеловеческих бед и надежд, того сокровенного разговора с вселенной, какие не присущи даже «Фарису». Для Мицкевича тяжесть одиночества соединена с трагической любовью, с горечью ссылки, с печалью о растерзанной родине.

Но здесь присутствует еще одно чувство, которое следует иметь в виду. Главная страсть «Фариса» – сражение со стихией, жажда борьбы с неведомым, с врагами, а порой и с недальновидными доброжелателями. Мицкевич описывает триумф «Фариса». Одиночество его победы – это одиночество судьбы. Но это и неизбежное одиночество гения, который заглядывает в недоступные иным области и пределы. Это одиночество гениальной личности, осознающей себя гениальной, а кроме того, признанной таковой. Поэтому, достигнув недостижимых пределов, всадник

ощущает сладостный восторг и одновременно – невозможность долгого пребывания в состоянии горней, одинокой победы. Выход – в соединении души с небесной высотой. Победа оказывается мигом перед смертью, но этот миг и борьба за него и составляют жизнь великих.

Вспомним последние строфы «Фариса»:

Вздыхнул свободно я и поднял к звездам взор.  
Очами золотыми все светила  
Послали мне привет в земной простор, -  
Мне одному: кругом безлюдие царило...  
Как сладостно дышать всей грудью, полной силой!  
Казалось мне, во всей полуденной стране  
Для легких воздуха не хватит мне [...]  
Как сладко обнимать красу природу милой!  
Я руки с нежностью вперед простер,  
И мнится мне: от края и до края  
Весь мир к мвоей груди я прижимаю.  
В безбрежную лазурь несется мысль моя,  
Все выше, в горине незримые края,  
И вслед за ней душа летит и тонет.  
Так, жало утопив, пчела с с ним дух хоронит.

(Перевод О.Румера) (Мицкевич: 1948, 1, 177)

Сравним их с тональностью последних двух строф «Мерани»:

Ведь не бесплодно же пропадет /не будет тщетно/ это стремление  
души обреченного!  
И путь непроходимый, протоптанный тобою, Мерани мой, все же  
останется,  
И после меня собрату моему облегчится трудность пути.  
И скакун бесстрашно пронесет его перед черною судьбою!  
Мчится, летит без дорог и тропинок мой Мерани,  
Вслед мне каркает злоокий, черный ворон.  
Несись вперед, Мерани, твоему бегу нет предела  
И с ветром смешай /ветру отдай/ мою мысль, мрачно /черно/  
волнующуюся!

(Подстрочный перевод –  
Бараташвили 1968 б).

У Бараташвили нет сладостного мига примирения с вселенной, он до конца в борьбе, до конца изгнанник, у него нет радостных, ясных чувств: до предела «черная дума», «черная судьбина». «Мерани» – это полет непризнанного гения, это подвиг отчаявшегося одиночества. Всадник, слившийся с Мерани, ощущает в себе гигантские силы, гениальные возможности. Но они в тот момент неприменимы. Светлого, с о с т о я в ш е г о с я финала в «Мерани» нет и не может быть. Перспектива отдачи отнесена в далекое будущее. Лишь присущее, навверное, всем гениям внутреннее сознание того, что деяния не пропадают удерживает отчаявшегося всадника от неверия. А признание таланта нужно не ради признания, оно необходимо для осмысления масштабов своего дарования, своей миссии, необходимой для современников. И поэтому сомнения не покидают поэта от «Таинственного голоса» (1836 г.) до «Злого духа» (1843 г.).

По той же причине раз в жизни необходимо смести все сомнения, пронестись мимо них в смерельном полете, включиться в разговор со звездами. И, осознав, что такие душевные силы не могут быть даром случайным, обратиться к будущим собратьям, посвятив им свой полет и свое горение. То есть раз в жизни нужно создать «Мерани».

Трагическое видение всадника на бешено мчащемся коне – не абстрактно-романтический образ, поднятый над тщетою жизни. «Это символ преодоления, найденное разрешение трагедии, философский, эмоциональный, художественный результат пройденной до конца «одиссеи духа» (Хихадзе 1978: 54-55)\*.

И в этом смысле «Мерани», быть может, даже более универсален, чем шедевр польского романтика. К «Фарису» Мицкевич подступался. До него уже написаны в 1828 году две первые касыды этого «арабского» триптиха – «Шанфари» и «Альмотенабби», без которых «Фарис» немислим. Стало быть, его полет подготовлен, он не исключает поэтического повторения. Это, как уже отмечалось, полет угнетенной нации, готовящейся к бою. И в самом «Фарисе», при тех страшных препятствиях, что выпало преодолеть бедуину, нет ощущения крайней, смертельной усталости.

Полет Мерани – самосжигающий. У него нет энергии извне. Он существует за счет внутренних сил. И потому Мерани летит на том последнем напряжении, сочетающемся с полной раскованностью, когда личность мобилизует свои предельные возможности. В таком полете взрываются. Из него нет возврата, нет даже такого краткого мига торжества и победы, как в «Фарисе». Торжество «Мерани» – лишь в процессе лета, лишь в победе будущих поколений. Потом появится «Злой дух», но «Мерани» уже

---

\* «Одиссея духа» - статья Г.Асатиани о «Мерани» (Асатиани 1968: 233-243).

запущен в полет, и «злой дух» накинется на автора, бессильный справиться с его творением.

И «Фарис», и «Мерани» написаны на одном дыхании. Но в «Мерани» горит невероятная сила, Мицкевичем уже отчасти отданная в предшествующих родственных стихах. Бараташвили эта сила оказалось необходимой для единственного полета. Для того, чтобы подняться над благополучным замужеством любимой, над безнадежностью увидеть свои строки напечатанными, над славой умного, слагающего стихи (но не более) юноши. И потому Мерани даже в творчестве его автора одинок (хотя образ скакуна Мерани восходит к Руставели и фольклорной традиции, к ощущению одиночества у юного роматика, к тому, какое наполнение он дал давней традиции, это не имеет отношения).

Нам представляется, что при рассмотрении текста следует учитывать эти, а также многие иные факторы. И «Фарис», и «Мерани» достигают той степени выражения общечеловеческих запросов и мечтаний, когда бледнеют, а со временем и забываются причины, якобы побудившие к их созданию. И действительно, внутренний заряд этих произведений несопоставим ни с пленением дяди Бараташвили Ильи Орбелиани, потрясшим поэта и вызвавшим к жизни «Мерани», ни с той бурей в Петербурге, в которую попал Мицкевич и ощутил необходимость ответить ей стихами.

Но исследование этих причин нельзя сбрасывать со счетов. «Фарис» написан в честь эмира Тадж-уль-Фехра (посвящен Ивану Козлову). «Под этим именем, – сам поэт, – был известен на Востоке граф Вацлав Ржевуский («Тадж» означает венец, «фахр» – слава) (Мицкевич 1948: 1, 478). Ржевуский – исследователь Азии, собиратель восточных рукописей, отважный наездник. И это повлияло на облик всадника, в этом кроется более конкретный, обладающий кровью и плотью образ скакуна. Его всадник – исследователь, рвущийся в неведомое, смельчак, доказывающий, что ему доступно недоступное.

Пленение любимого дяди Ильи Орбелиани потрясло Бараташвили и, по-видимому, заставило его осознать, что и он пленник, вызвало порыв, идентифицировав себя с дядей, вырваться из плена действительности, познать свободу. Вспомним слова Н.Бараташвили из письма к Григолу Орбелиани от 2 мая 1842 года: «Вот что поэт думает за Илико». Далее следует текст только что написанного «Мерани» (Бараташвили 1968 а: 122).

Причины отчасти родственны. И бедуина (не отождествляя его с прототипом) гонит в пустыню не самая радостная жизнь. И Мерани стремится из плена повседневности не в покой, не в блаженство, а смертельную борьбу с препятствиями. Причины пересекающиеся, но как бы разнонаправленные вызванные отличными переживаниями.

Следует учитывать и то, что у автора «Фариса» несравненно богаче жизненные впечатления. Это уже Мицкевич, преживший трагическую любовь, участвовавший в организации общества «филомагов», познавший его крах и сосланный в Россию, оплакавший казнь Рылеева, побывавший в Крыму и создавший классические «Крымские» и «Любовные» сонеты, принятый самыми блестящими литераторами в Москве, друг Пушкина, глава польского романтизма. И это подсознательно отражается в его творчестве, в том числе, в «Фарисе». Мы, безусловно, имеем в виду не большее число реалий в польском стихотворении, а осознание Мицкевичем преград как более конкретной категории. И в этом отношении «Фарис» старше и опытнее «Мерани».

Грузинского же романтика раздражает и это противоречие – бедность жизненных впечатлений и гигантские внутренние возможности. Сфера его пребывания – лишь родной город. И поэтому появляется тяга достичь иных пределов. В этом случае неожиданно, по непредсказуемой логике рождения шедевра бедность впечатлений реальной жизни становится взрывной силой, прорывом во внутреннюю бесконечность, делает стихотворение тем космическим, универсальным обобщением, которое поражает читателей и специалистов и о котором Б.Пастернак, непосредственно причастный к «русской жизни» Бараташвили сказал: «Взрывы изобразительной стихии в бесподобном, бешеном и вдохновенном «Мерани» ни с чем не сравнимы. Это «символ веры» большой, борющейся личности, убежденной в том, что движение человеческой истории отмечено благородной целью и смыслом» (Пастернак 1958: 6).

Итак, материал для сопоставления весьма значителен и выходит за рамки собственно исследования текста, а расширяется до типологического сопоставления двух романтических школ, включает в себя моменты психологии личности создателей, сходства и различия общественно-исторической ситуации двух стран. Однако компаративистское изучение двух или нескольких национальных школ романтизма и не может проводиться без учета исторического и политического фона.

Мы обратили внимание на некоторые различия в исследуемых стихотворениях, однако прежде всего для изучения восприятия грузинского романтизма польской культурой, и соответственно, польской литературы в Грузии, необходимо учитывать и черты, роднящие произведения. При всем отличии подтекста стихотворений ясно, что они заключают в себе сходный пафос, близкий по мощи и качеству: бежать от настоящего, от однозначной, пошлой действительности, через любые преграды, спасаясь в этой скачке на скакуне – своей надежде и спасти свою мечту

и надежду – скакуна, в полном одиночестве, против врагов, конкретных и возможных... Заглянуть за пределы доступного человеку и не отступить. Эти стихи в обеих литературах вознеслись над уровнем самых лучших образцов поэзии, даже над созданиями своих авторов, оставив за собой их же стихи, но стихи, исполненные оклебаний и сомнений. В истории создания подобных шедевров действует закон творчества с весьма сложной диалектикой, характерный, по-видимому, не только для романтизма. Безмятежные произведения поэтов, которым недоступны противоречия и сложная палитра чувств, отступали перед стихами, выражавшими горькие и неоднозначные раздумья о жизни. Так в России остаются позади поэты-современники перед мощной аналитической поэтической стихией Лермонтова. Но как отрицание несовершенства мира и общества, как спор с недостижимостью гармонии, в поэзии изредка происходят взрывы, хоть на миг выжигающие все сомнения. И они бывают доступны на каком-то неожиданном витке спирали лишь трагическим поэтам, испытавшим всю тяжесть душевного неуютя. Таковы «Фарис» и «Мерани». Отчасти таков «Мцыри» с обреченным, но непоколебимо стойким жизненным идеалом.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Асатиани 1978:** Асатиани Гурам. «Мерани» и его автор. Асатиани Г. *Классики и современники*. Тбилиси: 1978.

**Асатиани 1968:** Асатиани Гурам. «Одиссея духа». *«Дружба народов»*. Москва: 1968, №9.

**Асатиани, Буачидзе 1978:** Асатиани Гурам, Буачидзе Тенгиз. Грузинские романтики. *Грузинские романтики*. М: 1978.

**Бараташвили 1968 а:** Бараташвили Николоз. *Стихотворения. Поэзия. Письма*. Тбилиси: 1968.

**Бараташвили 1968 б:** Бараташвили Николоз. *Стихотворения*. Подстрочный перевод с грузинского А.Абашели, Мариджан, К.Надирадзе. Тбилиси: 1968.

**Липатов 1973:** Липатов А. Предромантизм на Западе и в Польше в XVIII в. (Опыт дефиниции и сопоставления). *Польский романтизм и восточнославянские литературы*. Москва: 1973. С. 86-107.

**Мицкевич 1948:** Мицкевич Адам. *Собрание сочинений в 5-ти томах*. Москва: 1948.

**Неупокоева 1973:** Неупокоева Ирина. Общие черты европейского романтизма и своеобразие его национальных путей. *Европейский романтизм*. Москва: 1973.

**Неупокоева 1969а:** Неупокоева Ирина. Язык мировой поэтической классики. Н.Бараташвили и европейская поэзия. *«Литературная Грузия»*: 1969, № 1.

**Неупокоева 1969б:** Неупокоева Ирина. Николоз Бараташвили и европейская поэзия. «Литературные взаимосвязи». Тбилиси: 1969, т.2, с. 383-406.

«Нива» 1889: «Нива», 1889, № 9.

**Пастернак 1958:** Пастернак Борис. *Стихи о Грузии. Грузинские поэты*. Тбилиси: 1958.

**Стахеев 1973:** Стахеев Борис. О польском романтизме в сопоставлении с русским романтизмом. *Польский романтизм и восточнославянские литературы*. Москва: 1973. С. 7-26.

**Оцхели:1973:** Оцхели Вера. Адам Мицкевич в грузинской литературе XIX века. *Романтизм в славянских литературах*. МГУ: Москва: 1973.

**Филина 1991:** Филина Мария. *Грузино-польские литературные взаимосвязи XIX-XX веков*. Тбилиси: 1991.

**Филина, Оссовска 2016:** Филина М., Оссовска Д. *Судьбы поляков на Кавказе. Часть I. «Тбилисская группа» польских ссыльных поэтов*. Тбилиси: 2016.

**Хихадзе: 1978:** Хихадзе Лина. *Из истории восприятия русской литературы в Грузии*. Тбилиси: 1978.

**Хитаршвили 1973:** Хитаршвили (Оцхели) Вера. «Фарис» Мицкевича и «Мерани» Бараташвили. *Польский романтизм и восточнославянские литературы*. Москва: 1973. С. 223-229.

**Цыбенко 1973:** Цыбенко Елена. Романтический герой в польской и русской прозе начала 40-х годов XIX века. *Польский романтизм и восточнославянские литературы*. Москва: 1973, 198-212.

**Чиковани 1963:** Чиковани Симон. *Избранные статьи*. Тбилиси: 1963.

**Янион 1973:** Янион Мария. Польский романтизм в европейском романтизме. *Польский романтизм и восточнославянские литературы*. Москва: 1973. С. 27-63.

**Filina, Ossowska 2015:** Maria Filina, Danuta Ossowska. *Losy Polaków na Kaukazie. Część I „Tbiliska grupa” polskich poetów zesłańczych*. Tbilisi: 2015.

**asaTiani 1955:** asaTiani guram. mickeviCi. „*mnaTobi*”. Tbilisi: 1955, # 11.

**dadiani 1968:** dadiani j. *nikoloz baraTaSvili*. Tbilisi: 1968.

**ingoroyva 1963:** ingoroyva pavle. *TxzulebaTa krebuli: Svid tomad*. Tbilisi: 1963.

**meunargia 1893:** meunargia iona. *cxovreba da poezia nikoloz baraTaSvilisa*.“iveria”, 1893, # 85-103.

**meunargia 1968:** meunargia iona. *cxovreba da poezia nikoloz baraTaSvilisa*. Tbilisi: 1968.

**meunargia 2016:** meunargia iona. *cxovreba da poezia nikoloz baraTaSvilisa*. Tbilisi: 2016.

**kotetiSvili 1958:** kotetiSvili vaxtang. *qarTuli literaturis istoria: XIX s*. Tbilisi: 1958.

**kveselava 1956:** kveselava mixeil. *adam mickeviCi: cxovreba da Semoqmedeba*. Tbilisi: 1956.



**NANA PRUIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **A Rose and Nightingale in Georgian Romanticists' Creation**

At the end of the 18<sup>th</sup> and at the beginning of the 19<sup>th</sup> centuries, tragic events caused very unprofitable conditions for developing literature in our country. It's not a surprise, that literary production created in the first half of the 19<sup>th</sup> century is sufficiently few.

Georgian romanticists' beliefs don't pick out with sharp innovatory approach and originality, but literary-aesthetical views expressed in their rhymes are interesting in many ways. More specifically, how did the western "rose and nightingale" transform in romanticists' works and how original were they compared to their Russian and European colleagues.

**Key words:** Rose, Nightingale, Georgian romanticism.

### **ნანა ფრუიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ვარდი და ბულბული ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში**

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ტრაგიკულმა მოვლენებმა ლიტერატურის განვითარებისათვის მეტად არახელსაყრელი გარემო შექმნა ჩვენს ქვეყანაში: ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას თან მოჰყვა დანარჩენი სამეფო-სამთავროების გაუქმება; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ბუნებრივია, ამ მძიმე პერიოდში ადამიანებს ნაკლებად „ეცალათ“ სალიტერატურო საქმიანობისათვის, მით უფრო, რომ მაშინდელ ქართველ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელი იყო, ანუ იმ ფენისა, რომელსაც ქვეყნის პატრონობა და მის მომავალზე ზრუნვა ეკისრებოდა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია საკმაოდ მწირია, თუმცა „ქართველთა რომ არა სძინავდათ გონებით“, ამას ადასტურებს როგორც ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული თხზულებების, ისე – პუბლიკა-

ციების შინაარსი და პირად მიმონერაში გამოთქმული შეხედულებები.

იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეში სასტამბო საქმის აღორძინებაზე ზრუნვა არ ხერხდებოდა, შესაბამისად, არც სალიტერატურო კრიტიკა გაგვარჩნდა; მხოლოდ ვინრო სალონურ გარემოში ნაკითხული ნაწარმოებები ან პირად ბარათებში გაბნეული ლექსები კი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართვის საშუალებას ვერ მოგვცემდა. რეალურად, ქართული რომანტიზმი ემოციური რეაქცია უფრო იყო შექმნილ ვითარებაზე, ვიდრე მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ლოგიკური გაგრძელება.

როგორც წესი, ახალი თაობა კრიტიკულად აფასებს წინამორბედთა მოღვაწეობას და ცდილობს საკუთარი გზის პოვნას. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მოსაზრების თანახმად, რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მომდინარეობა, ჩამოყალიბდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე როგორც ერთგვარი ზოგადევერობული დაპირისპირება განმანათლებლობასთან, ამიტომაც იყო მათი იდეები პოლემიკური სულისკვეთებით აღსავსე (ქართული რომანტიზმი ... 2012). ამ იდეათაგან მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ რომანტიზმის თეორეტიკოსებმა საერთოდაც ეჭვქვეშ დააყენეს ზოგადად, მეცნიერებისა და, კერძოდ, ფილოსოფიის შესაძლებლობა, დაეხმაროს ადამიანს სამყაროს შეცნობაში. „ზოგიერთმა ფილოსოფია მთლიანად პოეზიით შეცვალა ანდა მათი გაერთიანება მოითხოვა, ზოგმა კი ფილოსოფიას ამოცანად დაუსახა იმის ჩვენება, რომ ყველაფერი პოეზიაშია და მხოლოდ ისაა აბსოლუტური რეალობა“ (ქართული რომანტიზმი ... 2012:20).

ქართულ სინამდვილეში მთლად ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, ქართველ რომანტიკოსთა ნააზრევში არის ლიტერატურულ მოვლენათა ანალიზის მცდელობა, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ამას ფრაგმენტული ხასიათი აქვს. ვინაიდან „ქართული რომანტიზმი აღმოცენდა არა როგორც რეაქცია წინა ლიტერატურული მიმართულებებისა (ქართული ლიტერატურა არ იცნობს კლასიციზმს), არა მხოლოდ პოეტური „მე“-ს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ლიტერატურული მიმდინარეობა (ეს პრობლემური არც არასდროს ყოფილა – ნ.ფ.), არამედ როგორც სამშობლოს მწარე ბედით ჩაფიქრებულ ადამიანთა სულიერი ტკივილების გამოხატულება“ (გამეზარდაშვილი 1948: 62), ამიტომ ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა (ანუ ქართველ რომანტიკოსთა) სულისკვეთება რამდენადმე განსხვავებულია. ქართველ რომანტიკოსთა შეხედულებები არ გამოირჩევა მკვეთრად ნოვატორული მიდგომითა და ორიგინალურობით, მაგრამ მათ პოეტურ ქმნილებებში გამოხატული ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები ბევრი თვალსაზრისითაა საინტერესო. კერძოდ, თუ როგორ

ტრანსფორმირდა აღმოსავლური პოეზიიდან დიდი ხნის წინ შემოსული და ქართულ სინამდვილეში მყარად დამკვიდრებული ვარდსა და ბულბულის მხატვრული სახეები რომანტიკოსთა შემოქმედებაში და რამდენად ორიგინალურნი აღმოჩნდნენ ამ თვალსაზრისით ქართველი პოეტები რუს და ევროპელ კოლეგებთან შედარებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეულია (სირაძე რ., გაჩეჩილაძე გ.), რომ ქართული რომანტიზმი უფრო მეტ იდეურ სიახლოვეს ავლენს გერმანულ სამყაროსთან, ვიდრე ფრანგულთან. ამ გარემოებას თავისი ახსნა აქვს – სოლომონ დოდაშვილი, რომელიც (ქართული რომანტიზმი ... 20123: 30-31) XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, შესანიშნავად იცნობდა გერმანულ ფილოსოფიას და, შესაბამისად, ძირითადად სწორედ მისი დამსახურებაა გერმანულ მოაზროვნეთა იდეების გავრცელება ჩვენში.

გერმანელმა რომანტიკოსებმა გააცოცხლეს აღმოსავლური „ვარდ-ბულბულიანის“ თემა (გოეთეტი დაწყებული – ჰაინეტი დამთავრებული თითქმის ყველასთან გვხვდება) და პრაქტიკულად უცვლელად შეინარჩუნეს ამ თემის აღმოსავლური გააზრება – ვარდი და ბულბული, როგორც წესი, მათ ქმნილებებშიც სამიჯნურო წყვილს წარმოადგენენ.

რუსულ ლიტერატურაში ვარდისა და ბულბულის თემა მნიგნობრული გზით შევიდა. ამ პერიოდის სამეცნიერო ყურნალებში ხშირად იბეჭდებოდა აღმოსავლური პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანები და მოწინავე რუსი ინტელიგენციის დიდ ყურადღებასაც იმსახურებდა; რუსულ სინამდვილეში XIX ს-ის პირველ ნახევარში ვარდი თითქოს უკანა პლანზე გადადის და ბულბულის თემა უფრო აქტუალურია (მაგ.: პუშკინისათვის ბულბული პოეტისა და პოეზიის დანიშნულებასთან ასოცირდება). სხვათა შორის, ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რამდენად შეიძლება საუბარი რუსულის გავლენაზე, მაგრამ XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველ რომანტიკოსებთანაც ყურადღების ცენტრში უფრო ხშირად ბულბული და მისი განცდებია, ვიდრე – ვარდი;

თუ აღმოსავლურ პოეზიაში (საადი, რუდაქი, ჰაფიზი) ბულბული და ვარდი ერთ ასოციაციურ რიგშია – სადაც ვარდია, იქ ბულბულიცაა და პირიქით, ხოლო მათი სასიყვარულო ურთიერთობა რთულია, ორმხრივი საყვედურებით აღსავსე: ქედმაღალი და გულცივი ვარდი არად აგდებს ბულბულის სიყვარულს. რუსულ პოეზიაში ასეთი ტრაგიზმი აღარ იგრძნობა. „გონს მოდი, ო, პოეტო! რას ესწრაფვი?“ – შესძახებს პუშკინი. შედეგად, ე. წ. „ბულბული“ – „პერსონა“ პუშკინის ლექსის კონტექსტის მიხედვით გადაიქცევა „ბულბულ“ – სიმბოლოდ. ცხადია, ტრანსფორმირდება ვარდის სახეც.

როგორც სამართლიანად აღნიშნა ა.ფ. ლოსევმა, პერსონის გარდასახვა სიმბოლოდ თავისთავად მოასწავებს მხატვრული სახის რეალიზების ახალ საფეხურზე ასვლას. სიმბოლურ განზოგადებაზე გასვლის საშუალება პუშკინს მიეცა აღმოსავლური ინტერსიუჟეტის შემოქმედებითი გათავისებისა და მისი ფილოსოფიური გააზრების წყალობით.

პუშკინი ერთ-ერთი პირველთაგანი დაფიქრდა, თუ როგორია სილამაზისა და პოეზიის ურთერთმიმართება. პოეზიას ყველაზე მეტად (უფრო მეტად, ვიდრე პროზას) აქვს შეხება მშვენიერთან. სწორედ მშვენიერების ესა თუ ის გამოვლენაა პოეზიის წყარო. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ პოეზია უწოდებს საგანს, მოვლენასა თუ ქცევას მშვენიერს. ლექსში „პოეტი და ბრბო“ პუშკინი აცხადებს, რომ პოეზიის დანიშნულება სწორედ მშვენიერების მსახურებაა:

„Не для житейского волнения,  
Не для корысти, не для битв,  
Мы рождены для вдохновения,  
Для звуков сладких и молитв“.

(პუშკინი 1954: 23)

თუმცა ლექსში „ბულბული და ვარდი“ ეს დებულება ეჭვქვეშაა დაყენებული:

„Не так ли ты поешь для холодной красоты?  
Опомнись, о поэт, к чему стремишься ты?“

(პუშკინი 1954: 58)

რა არის პოეტს დანიშნულება? ნუთუ მხოლოდ ამ ქედმაღალი, ცივი ქალღმერთის – სილამაზის – მსახურება? – თითქოსდა კითხულობს პუშკინი და ეს კითხვა სხვადასხვა ვარიაციით გაიჟღერებს მთელ რუსულ პოეზიაში.

ქართველი რომანტიკოსებისათვის, რუსი პოეტებისაგან განსხვავებით, ევროპული პოეზია არ ყოფილა „ვარდბულბულიანის“ თემის გაცნობის საშუალება. აღმოსავლურ სამყაროსთან სიახლოვემ (პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა ასპექტი) რომანტიზმის წარმოშობამდე ბევრად ადრე მისცა ქართველ მწერლებს საშუალება, გასცნობდნენ აღმოსავლეთში ფრიად პოპულარულ სიუჟეტს მშვენიერ ვარდზე უიმედოდ გამიჯნურებული ბულბულის სევდიანი ისტორიის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი რომანტიკოსები ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი. განსხვავებით ევროპელებისაგან, მათ არ ჰქონიათ პროტესტი წინარე ლიტ.

მიმდინარეობის მიმართ და ამიტომაც მათ შემოქმედებაში ე.წ. მემკვიდრეობითობის პრინციპით გადმოდის და მეორდება მანამდე ცნობილი თითქმის ყველა ლიტერატურული მოტივი თუ მხატვრული სახე. „ვარდბულბულიანის“ გააზრების თვალსაზრისით, ქართველი რომანტიკოსები, ალბათ, ყველაზე მეტად რუსთველისგან არიან დავალებულნი; თუმცა, რასაკვირველია, ასევე მნიშვნელოვანია მეფე-პოეტთა, ბესიკისა და სხვათა გავლენაც.

როგორც მკვლევარი ნესტან სულავა მიუთითებს, „ვეფხისტყაოსანში“ ვარდის მეტაფორული გააზრებისას ყურადღებას იქცევს ვარდისა და ბულბულის თემა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება აღმოსავლურ სამყაროში, კერძოდ სპარსულ პოეზიაში დამკვიდრებული და ქართულ ლიტერატურაში გადმონერგილი ლიტერატურული ტრადიციისაგან. „ვარდბულბულიანის“ საკითხს რუსთველის პოემაში არაერთი მეცნიერი შეეხო. ყველა სხვა საინტერესო გარემოებასთან ერთად, მკვლევართა ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ რუსთველთან არსებითად დარღვეულია ტრადიციული გააზრება – ბულბულს, რასაკვირველია, უყვარს ვარდი, მაგრამ ეს სიყვარული ძირითადად მამაშვილურ (როსტევანი -ავთანდილი) ან ძმურ (ტარიელი-ავთანდილი) ურთიერთდამოკიდებულებას გულსხმობს. თუმცა, ცხადია, პოემაში არც ხელაღებითაა უარყოფილი ტრადიციული გააზრება, ასე, მაგალითად, ავთანდილი გააცნობიერებს რა, რომ უსათუოდ მოუწევს ფატმანთან დაახლოება:

„იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ **ვარდი-ა** ვისად,  
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი **ბულბული მსგავსად ყვავისად!**“  
(რუსთაველი 1966: სტრ.1253)

ან „თუ **ყვავი ვარდსა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია**“.  
(რუსთაველი 1966: სტრ.1254)

ანუ, პერსონაჟი ბულბულსა და ვარდს სამიჯნურო წყვილად მიიჩნევს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვლის, რომ თავად სრულიად შეუფერებელ პარტნიორს უკავშირდება.

როგორც ვხედავთ, რუსთველთან არის ვარდბულბულიანის აღმოსავლური ტენდემის დაშლის პრეცედენტი; ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განსხვავებულ ასპექტშია წარმოდგენილი ვარდბულბულიანის თემა, ლოგიკურია, რადგან რუსთველის სამიჯნურო წყვილებს (ტარიელი-ნესტანი; ავთანდილი-თინათინი) ურთიერთობის არცერთ ეტაპზე არ ესადაგებათ აღმოსავლური მოდელი. პერსონაჟების თავისებურებისა და პოემის სიუჟეტის სპეციფიკიდან გამომ-

დინარე, ავტორი ერთგვარ გადანაცვლებას გვთავაზობს. როგორც გ. ნადირაძემ მიუთითა თავის გამოკვლევაში, ვარდისა და ბულბულის წყვილი „ვეფხისტყაოსანში“ არა ტრაგიკული, არამედ მამამვილური, ძმური (როსტევეანი – ავთანდილი; ტარიელი – ავთანდილი;) სიყვარულის ან სახუმარო კუთხით (ფატმანი – ავთანდილი) არის წარმოდგენილი;

რუსთველთან ბულბულს უყვარს ვარდი, მაგრამ ეს გრძნობა არსადაა დარმატიზებული. მაგ.: როსტევეანისა და ავთანდილის შესახებ ნათქვამია: „აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისაო“. მაგრამ პოემაში ცალკე ვარდს ბევრად უფრო დიდი და მრვალფეროვანი დატვირთვა გააჩნია. გ. ნადირაძის დაკვირვებით, პოემაში ვარდი შეიძლება იყოს კონკრეტულად სატრფოს, მისი სილამაზის, მშვენიერი სახის, ღანვების, ბაგეების ან სულაც სულიერი განცდების სიმბოლო, მაგრამ არა მხოლოდ. ვარდი სიმბოლოა, ერთი მხრივ, სიცოცხლის მშვენიერებისა და, ამავედროულად, მისი დროში დასაზღვრულობისა („რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დამჭკნაროსა...“); ვარდის მხატვრული სახე გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ადამიანი სამყაროს გვირგვინია და მის გვერდით ყველაფერი ფერმკრთალდება; ადამიანს, როგორც უმაღლეს ღირებულებას, რუსთველი ვარდსა და იას უპირისპირებს („თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვადნო და არ იანო“); ვარდის მეშვეობით სოციუმის არაერთგვაროვნებაზე უთითებს („ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინებს“ ...); ასევე, ვარდის დახმარებით გვიჩვენებს, რომ ბედნიერება ადვილად არ იპოვება და მრავალი განსაცდელის დათმენა არის საჭირო („ვარდსა ჰკითხეს: ეგ ზომ ტურფა“....) და ა.შ.

– როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულს ვარდის მხატვრული ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია: „ქვეყნით მწვანის ამოსვლა“ და „ვარდის ფურცლობა“ ახალი სამყაროს დასაწყისადაა მოაზრებული, მას გარდატეხა შეაქვს პოემის გამართა ცხოვრებაში – მთავრდება ძველი ეპოქა, როცა ბოროტი მძლავრობდა და იწყება ახალი ხანა, ხანა სიკეთის ზემისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვარდბულბულიანის თემის გააზრების თვალსაზრისით საყურადღებო სურათს ქმნის ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება. **ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის**, რასაკვირველია, ბულბული და ვარდი ასოციაციურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული („მუხამბაზი ლათაიური“, „სიყვარულო, ძალსა შენსა..“ და ა. შ.), მაგრამ მთელ რიგ ლექსებში მხოლოდ ვარდი ფიგურირებს, რომელსაც სხვადასხვა აზრობრივი დატვირთვა აქვს. მაგ.: ლექსში „ელების კარი გაზაფხულს“ აღ.ჭავჭავაძე საუბრობს ვარდზე, როგორც ბედნიერი, ორმხრივი სიყვარულის სიმბოლოზე. პოეტის თქმით, სიყვარული რთუ-

ლი გრძნობაა; მიჯნურს მოთმინება მართებს, თუმცა ზუსტად უნდა იცოდეს, რომ თუ სიძნელეებს არ შეუშინდება, მისი შეუპოვრობა უსათუოდ დაფასდება:

„უნყოფეთ ესე ცნობით მყარითა,  
რომ დრო მოგივალსთ კეთილ დარითა,  
**იხილავთ ვარდსა სახე მტკბართა!**  
**თუ არ შეჭკრთებით მისის ნართა.“**  
(ქართველი ... 1978: 39)

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ვარდი ხშირად განასახიერებს რეალურ სატრფოს. ლექსში „არვის ჰმართებს“ პოეტი გამოთქვამს აზრს, რომ შეყვარებულთა ბედი ზეცაში წყდება. მისი სატრფოს გულის მოგებას ვერავინ შეძლებს, რადგან ეს „ვარდი“ ბედმა მას არგუნა. მისი სილამაზე ისეთი წარმტაცია, რომ როცა ბაღში შედის, იები მის წინაშე ქედს იდრეკენ, ვარდი კი, მისი მშვენების მხილველი, სირცხვილით წითლდება. ლექსში „ვარდსა გაყრილსა“ სატრფოსთან განშორებული მიჯნური „სულმისხილია ჭმუნვა-მწარებით“, მაგრამ ეჭვი არ ეპარება, რომ ბედნიერება შორს არაა:

**„ვინცა გგუშავობს, ცუდ მუშაკობს მცდარი ყოვლ სახედ,  
სწყმდეს ეჭვი ფრთხილი, მითც სურვილი ჰსძლევს ცდა მრავლებით“.**  
(ქართველი ... 1978: 59)

ვარდი ალ. ჭავჭავაძის სხვა ლექსებშიც ხშირადაა მოხმობილი სატრფოს მშვენიერების წარმოსაჩენად: „ტანად სარო ხარ, ვარდებრ ღანვნი შენნი ლბილობენ..“ („შენსა ღირსებას ნატრულობენ..“), „ვარდო კოკობო, ყოვლთა მჯობო, მომხედე კრულსა..“ („ვარდო კოკობო“), „იამ მახარა საქმე საწამი, ვარდი მოვალ კოკობ-ნაბამი..“ („ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი მუხამბაზი“), „გეაჯები, შემებრალო, ვარდო შლილო, არა მზრალო, ო, კეკელავ, ჩემთვის მწყრალო“ („სახე შენი როს ვიხილო“), „შენ გეტრფის, ვარდო, გლახ, გული, სურვილით ცნობა კარგული“ („შენ გეტრფის ვარდო..“).

მშვენიერი ქალწული „ვარდია“, შესაბამისად – მასზე გამიჯნურებული ჭაბუკები ბულბულთან ასოცირდებიან: „ოჰ, ბულბულთა საკამათოვ, რაყიფთ მდაგო, არ იმათო..“ („შენ გეტრფის, ვარდო..“), „ღანვნო ვარდნო, რად განმადებთ ბულბულსა, ეწყით მსტვენსა, ტრფობის მჩვენსა“ („სიყვარულსა შეეუპყრივარ“).

„სულის ყვავილო, გულის ვარდო,  
შვების წალკოტო მოსანავარდო,  
შენგან მომეცა თვალთა ჩენანი,  
გავამუსიკე შენთვის ენანი,  
**ამად გეტრფობი, გებულბულები,**  
ვარდი ხარ ბუტკთა დამალულები“  
(ქართველი ... 1978: 70)

თუმცა ალ. ჭავჭავაძესთან ვარდბულბულიანის თემა გააქტიურებულია პატრიოტული ჟღერადობის ლექსებშიც. ერთ შემთხვევაში ვარდის დაჭკობა ალეგორიულად საქართველოს წარსული დიდების განქარვებას გამოხატავს („ჰე, საქართველო“), მეორეგან კი – სამშობლოდან განდევნილ მამულიშვილებს, რომელთა წაგვრით გამოწვეული დაობლების განცდა ეულად შთენილ ქალწულთა მწუხარებითაა გადმოცემული („უწყალო სენმან“).

„ჰე, საქართველო, პტოლემეს დროს აღყვავებული!  
მშვენიერ იყო, მარა რა?! ვით ამა სოფლის ყოველი  
კეთილი, მოსანონელი, **შაგმა დრომ ფეხით გასთელა,**  
**დაააჭნო ვარდი წალკოტში...**“  
(ქართული.. 1992: 64)

„ეჰა, მნათობთა, ტფილისს მყოფთა გულნი ლმებიან,  
სავანთ მტევებნი, მათთვის მგებნი სოფელს ჰხლებიან!  
**ვარდნი უშლელნი, მიჯნურთ მწყველნი უდროდ ზრებიან,**  
**მათზედ ბულბულნი ხელეზულნი აღარ ჰკრებებიან**“.  
(ქართველი ... 1978: 44)

**გრიგოლ ორბელიანთანაც** ვარდი და ბულბული ერთ ასოციაციურ რიგში არიან წარმოდგენილნი. ალ. ჭავჭავაძის მსგავსად, მის შემოქმედებაშიც ხშირად ვარდი რეალური სატრფოს ალეგორიული სახეა – „წინანდლის ვარდო, სულითა ტრედო..“ („ეკატერინა ჭა(..)ძისას“), თუმცა იმავე ლექსში ვარდი და მისი ეკლები პოეტს წუთისოფლის სიამეთა მსწარფლწარმავლობის სიმბოლოდ ესახება:

„იმხიარულე, ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენივრებს, ვით **ყვავილთ ჯაჭვი...**  
ვიდრე ამ სოფლის, დაუდგრომელის  
**ვარდნი ეკლადა არ გარდაცვლია**“.  
(ქართველი ... 1978: 79)



პოეტისათვის სატრფოს ღანვები/ზაგეები ვარდს ჰგავს („სო .. ორ..“, „ალბომში“, „ანტონს“, „ს“, „მეხამბაზი“ და ა. შ.), მაგრამ, სამწუხაროდ, მას დიდი ხნის არსებობა არ უწერია:

**„ვით ვარდისა სიტურფენი მალე ჰსჭკნების და განჰქრების,  
ანუ სიზმარს საამურსა ხილვა ტკბილი გვეჩვენების**

ესრედ მსწრაფლ ჰრბი, სიჭაბუკევე, კვალნიც შენნი ვერა ჰსჩნდების,  
**ღანვთ ვარდობა**, ბაგეთ ღიმი საუკუნოდა გეშორდების“.

(ქართული ... 1992: 297)

გრიგოლ ორბელიანთან ვარდისა და ბულბულის ჰარმონიული წყვილი ხშირად გამოიყენება იმ კონტრასტის წარმოსაჩენად, თუ რამდენად უცხოა სამშობლოს დარდით გულგასენილი პოეტისათვის ამქვეყნიური ბედნიერება („გა ზაფხული“).

„დრო საამო, როს **ბულბული**

**ვარდსა შესტრფის ეშყით ზმული**

გაზაფხულის ჟამს სასურველს

ყოვლი იშვებს, ყოვლი ხარობს!

**მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს**

**ხმა ბულბულის აღარ ატკობს“.**

(ქართველი ... 1978: 85)

ისევე, როგორც ალ. ჭავჭავაძესთან, გრიგოლ ორბელიანთანაც ამქვეყნიური ბედნიერების სიმბოლოავარდი, რომელიც კაცს ადვილად შეიძლება გააგდებინოს ხელიდან, წუთისოფლის უკუღმართობამ („სავათნავას მიბაძვა“).

„ერთხელ მეც მეჭირა **სიამის ვარდი,**

**შავმან ბედმან უცებ დამკრა, დავვარდი,**

სოფლის გარეს, ვაის მხარეს გავვარდი“.

(ქართული ... 1992: 93)

გრიგოლ ორბელიანისათვის ბულბულის გალობას გრძნობათა განმაცხოვლებელი ძალა აქვს („ღამე“).

„ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა  
და **მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა“.**

(ქართველი ... 1978: 87-88)

ამასთან, პოეტის დაკვირვებით, ადამიანის ყველა საუკეთესო თვისება მაშინ მჟღავნდება, როცა მის შინაგან სამყაროს სიყვარული

შეძრავს, სწორედ ისე, როგორც ნიავის ქროლვა ძალუმად გვაგრძნობინებს ვარდის სურნელს („სადღეგრძელო“):

**„მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტესს სუნწელებათა  
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებსთა“.**

(ქართველი ... 1978: 134)

პოეტის ერთ-ერთ ლირიკულ შედევერში- „ჩემს დას ეფემიას“ სრულიად ორიგინალური შედარება დასტურდება: პოეტის აზრით, ღიმილი ისევე ამშვენებს დამწუხრებული მშვენიერი ასული ბაგეს, როგორც ვარდი – სამარეს.

**„ესრედ ამშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს,  
ესრედ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელვებს ღიმი,  
თუმცაღა გულში უზომოსა ჰფარავს სიმწარეს;“**

(ქართველი ... 1978: 95)

საინტერესოდ მოგვეჩვენა კიდევ ერთი ნიუანსი: შესაძლოა, გრიგოლ ორბელიანმა იცის, რომ ძველსპარსულ ენაში სიტყვა „ვარდი“ ნიშნავს „სულს“. ყოველ შემთხვევაში, მის პოეზიაში გვხვდება ვარდისა და მისი სურნელის ამგვარად გააზრება („ალბომში ღრ(აფინია) ოპ(ერმანისას)“, „მუხამბაზი“):

**„მნამს ცის ნათელი,  
ვარდის სუნწელი,  
ერთად რეულნი სულად ქცეულა,  
და შენს წმინდა გულს,  
სიკეთითა სრულს,  
უმანკოს, ნრფელსა, დამკვიდრებულა.“**

(ქართველი ... 1978: 101-102)

საზოგადოდ, ბუღბული განთიადისას იწყებს გალობას, სწორედ ამ თვისებით ამსგავსებდნენ ქარისტიანი მოაზროვნეები მას მორწმუნე ადამიანს, რომელიც იმედით მოელის უფლის მოსვლას. გრიგოლ ორბელიანი თავისი ერთადერთი პოემის, „სადღეგრძელოს“, ფინალში განთიადის უმშვენიერეს სურათს ქმნის, რომელსაც ამგვარი სტრიქონით აგვირგვინებს: „დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბუღბული?“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იქვე, ორიოდვე სტროფის შემდეგ პოეტი კიდევ ერთ შეკითხვას სვამს: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“, ალბათ, დასაშვებია იქნება თუ ვიტყვი, რომ ბუღბულის გალობას გრ. ორბელიანისათვის ქრისტიანული მიმტევებლობისა და გულმონყალების გამოღვიძების უნარიც გააჩნია.

და კიდევ ერთი: აღმოსავლური პოეზია არ ქმნის ერთგვარ „სასიყვარულო სამკუთხედს“ ბულბულის, ვარდისა და ყვავის სახით. ვარდ-ბულბულიანის თემასთან ყვავი რუსთველმა დააკავშირა (შრდ: „რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“); მსგავს მხატვრულ სახეს მოიხმობს გრ. ორბელიანიც, როცა სიყვარულის ღვთაებრივ ბუნებისა და, შესაბამისად, მისი ხელყოფის დაუშვებლობის იდეის წარმოჩენა სურს („როს ბულბული“):

**„როს ბულბული ვარდს შეჰსტრფოდეს, უგალობდეს, შეჰხაროდეს**  
მაშინ ყვავსა რად არ ჰრცხვენის, რომ მათ შუა სამძღვრად დაჰჯდეს?“  
(ქართული ... 1992: 315)

ვარდისა (მშვენიერება, სიფაქიზე) და ყვავის (უხეში, ბოროტი ძალა) შეუთავსებლობის იდეა გაიჟღერებს **ვანტანგ ორბელიანის** შემოქმედებაშიც („ბულბული“). პოეტის აზრით, ყვავმა შესაძლოა, გაანადგუროს ვარდი, მაგრამ ვერ გაანადგურებს იმ გრძნობას, რომელსაც ბულბული განიცდის სატრფოს მიმართ.

„რა განვაგრძელო? მამაცმა ყვავმა,  
ვითა გულითა, სულითაც შავმა. . .  
გასჯიჯგნა ვარდი და მსწრაფლ იფრინა.  
ვარდიცა დასჭვნა მიწას გდებითა.  
**გარნა ბულბული ნაზად და წყნარად**  
**შტვენდა სიყვარულს მარად და მარად“.**  
(ქართველი ... 1978: 142)

სხვა ქართველ რომანტიკოსთა მსგავსად, ვახ. ორბელიანისთვისაც ვარდი წუთისოფლის წარმავლობის სიმბოლოა, თუმცა პოეტი ამ მხატვრულ სახეს მეტ სიღრმეს აძლევს და წმინდა რომანტიკული სულისკვეთებით ავსებს: წარუვალი და მარადიული მხოლოდ უფლის მიერ შექმნილი სამყაროა, ადამიანის სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა, თუმცა რჩება იმედი, რომ მოსიყვარულე სულთა კავშირი იმქვეყნად აღდგება („ვიდეგ შენ წინა“):

„ჭკნებოდი, ტურფავ, ვით ვარდი ჭკნება შვენებით ბურქზედა,  
ქრებოდი, ვითა მთიები ქრება განთიადს მზის შუქზედა.  
**დასჭკნება ვარდი, მაგრამ კვლავ გაზაფხულს გაიფურჩვენება;**  
**განქრა ვარსკვლავი, მაგრამ კვლავ საღამოს გამობრწყინდება.**  
**შენ ველარ მოხვალ სატრფოო, ვერ გავგინათებ ბნელს არეს,**  
შენ ველარ გაიფურჩვენები: მიხვალ უწყალო სამარეს!“  
(ქართული ... 1992: 472)

ვარდბულბულიანის ტრადიციულ გააზრებას ვხედავთ **დავით მარაბლის** ლექსებშიც. პოეტისათვის სატრფო ვარდია, მიჯნური კი – ბულბული („ლოცვა ტრფიალისა“, „ჩემს მინერვას“), გულში სიყვარულის აღძვრა კი ვარდის გაშლასთან ასოცირდება („პირველი მაისი“):

„ჩემო პირველო მაისო,  
**გულს ვარდმან სხივი დაისო. .**  
**ვარდი შგრძნობს მზისა ღიმილსა,**  
უხარის, წმასნის წინწილსა. .  
**გესმით თქვენ ვარდის ჩურჩული,**  
ბროლ-ლალისფერი უსულო?  
**მწვანეს ფოთლების შრიალით**  
**ამას ხმობს ტურფად ხმა ისო:**  
**ჩემო პირველო მაისო,**  
**გულს ვარდმან სხივი დაისო“.**  
(ქართული ... 1992: 556)

საინტესო შტრიხს მატებს ვარდბულბულიანის ტრადიციულ გაზრებას **მ. თუმანიშვილი** ლექსში „ღამე“. პოეტის აზრით, სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან უწყვეტ კავშირშია და თუ სატრფო გულის კარს გაუღებს მის სიყვარულს, მაშინ ვარდიც უსათუოდ უთანაგრძნობს ბულბულს:

„ნალკოტსა ნაზად  
ვარდნი ღვიიან  
ბულბულნიც ტკბილად  
ზედ დამღერიან...  
**მოვედ, ლეილაგ...**  
**შემოგვნატრებენ ვარსკვლავნი ზეცით**  
**და ვარდს ბულბული შაებრაღების“.**  
(ქართული ... 1992: 629)

**ს. რაზმაძის** პოეზიაში ბულბულს ვარდის სურნელი ხიბლავს და გალობის სურვილს აღუძრავს („დიანას მეჯლისი“), პოეტს კი ხელში კალამს სატრფოს სამოთხის ვარდის სადარი მშვენება ააღებინებს („ალბომში ე.ი.მ.-ს“); მისთვის სატრფო ვარდია, იადონის მიჯნური და მის ხილვას გულიდან კაემნის ლამის გადაბანა შეუძლია („ვარდი“). როგორც ვხედავთ, პოეტი პრაქტიკულად იმეორებს წინამორბედთა ქმნილებებში მრავალგზის გამეორებულ შეხედულებებს. სიახლედ მხოლოდ ის შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ლექსში „წელსა 1846“, სოლ. რაზმაძე მაისის ვარდს არა სატრფოს, არამედ ჩვილ ბავშვს უწოდებს:

**„ნარნარია სახე მისი,  
ვითა საამო მაისი,  
მშობელთ გულის სიხარული,  
მათი სასოება სრული,  
ვარდის მსგავსი მაისისა,  
თვალთა ფერი შვენის ცისა,  
ლიმილი ანგელოზისა,  
მცხოვრებია ედემისა.“**  
(ქართული ... 1992: 115)

**ნიკოლოზ ბარათაშვილის** შემოქმედება ბევრი თვალსაზრისითაა განსაკუთრებულად ფასეული. ცხადია, ახალს არაფერს ვიტყვით, თუ განვაცხადებთ, რომ ის არა მარტო არაჩვეულებრივი პოეტი, არამედ მოაზროვნეც იყო. რასაკვირველია, მან ორგანულად შეისისხლხორცა კლასიკური ქართული მწერლობის მემკვიდრეობა და ტრადიციულთან ერთად, მხატვრულ სახეთა ორიგინალური, მხოლოდ მისული გააზრებაც შემოგვთავაზა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ვარდისა და ბუღბულის მხატვრული სახეებია. რასაკვირველია, ნ. ბარათაშვილის პოეზიაშიც ხშირადაა სატრფოს ღანვები და ტუჩები ვარდის ფურცლის მსგავსი („ღამე ყაბახზედ“, „ეკ.-ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“); პოეტი ვარდს/სუმბულსა და ბუღბულს იყენებს თავისუფლების იდეის გამოსახატად („სუმბული და მწირი“, „ბედი ქართლისა“) და მკითხველთა გულში პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად, მაგრამ მის ლექსებში ვხვდებით ვარდისა და ბუღბულის უჩვეულო, ქართული პოეზიისათვის სრულიად ახლებურ, ფილოსოფიურ გააზრებასაც.

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი პოეტი წერს ლექსს „ბუღბული ვარდზედ“. ნიშანდობლივია, რომ ბუღბულს, რომელიც ამ ლექსში თავად პოეტის ალეგორიული სახეა, სურს თვალი მიადევნოს მშვენიერების შექმნის პროცესს და ამგვარად შეიცნოს მისი არსი, მაგრამ მას ძლიერი იმედგაცრუება ელის – აღმოაჩენს, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მშვენიერის დაბადების იდუმალი წამის „დაჭერა“ ადამიანს არ ძალუძს, ჭეშმარიტების შეცნობა კი ტკივილის მომგვრელია:

**„მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას,  
მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჭფიქრობდი დაჭკნობას.“**  
(ქართული.. 1992: 563)

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია „არ უკიჟინო, სატრფოო“. ვფიქრობთ, მისი ეს თხზულება ყველაზე

მეტადაა დავალებული ქრისტიანული ფილოსოფიისგან. პოეტი ნატრობს, რომ ღმერთმა სიკეთის მზესავით უშურველად გაცემის უნარი მისცეს; უკიდურეს შემთხვევაშიკი ადამიანებისთვის ცისკრის ვარსკვლავის მსგავსად იმედის ჩასახვა მაინც შეაძლებინოს.

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,  
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;  
**მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი...“.**

(ქართული ... 1992: 578-579)

ტყის ფრინველები და ვარდი ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ადამიანთა სულიერების სიმბოლოა, განურჩევლად მათი ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი კუთვნილებისა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შემდეგნაირად შეგვიძლია განვაზოგადოთ დაკვირვების შედეგები; რასაკვირველია, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება ხასიათდება ვარდბულბულიანის თემის კარგად ნაცნობი, ტრადიციული გააზრებით:

*ბულბული იმიტომ ვალობს, რომ ვარდი უყვარს;*

*ბულბული ეტრფის ვარდს, მაგრამ მისი თანაგრძნობის იმედი არ აქვს;*

*ბულბული ვარდის ეშხით დაბმულია, ვარდს დაჰხარის;*

*ვარდი ფერი განპირობებულია ა) მისი სიმორცხვით (აპოკრიფ.); ბ)*

*მიჯნურის სისხლითაა შეღებილი (ანტ. მით.);*

*ვარდს ეკალი იმიტომ აქვს, რომ ადამიანს ტანჯვა მოჰგვაროს (აპოკრიფ. წმ. ამბროსი);*

*ხშირად ვარდს ბულბულის დანახვაც არ სურს, რადგან შეუფერებელ პარტნიორად მიიჩნევს.*

რომანტიკოსთა ქმნილებებში, ცხადია, ვხვდებით საკითხის რამდენადმე არატრადიციული გააზრებასაც:

*სუმბული განიცდის, რომ თავის ტკბილ მგოსანს (ბულბულს – ნ.ფ.) ველარ ნახავს;*

*ბულბულს ათრობს ვარდის სურნელი;*

*თუ მიჯნურს ეკალი არ შეაშინებს, სიყვარული აუცილებლად იზეიმებს;*

*შესაძლებელია, ვარდს ბულბული შეებრალოს და უთანაგრძნოს;*

*მიჯნურების სამარადისო დაშორება შეუძლებელია;*

*ვარდი კი არ უკადრისობს ბულბულის სიყვარულს, არამედ ეჭვი ეპარება მისი გრძნობის სინრფელებში (თუმცა ეს აზრი თარგმნილ ლექსშია გამოთქმული – ნ.ფ.).*

როგორც ვხედავთ, იკვეთება რამდენიმე თვალსაჩინო თავისებურება: ქართველ რომანტიკოსებთან ძირითადად დაშლილია ვარდისა და ბულბულის წყვილი და ეს გარემოება, შესაძლოა, რუსთველის გავლენით ავსხნათ. ასევე, ქართველ რომანტიკოსთა ქმნილებებში ბულბულს ვარდის მიმართ გრძნობას სურნელი აღუძრავს. და თუ გავხსენებთ, რომ ძველსპარსულად „ვარდი“ სულს ნიშნავდა და მსგავსი გააზრება ჩვენს პოეტებთანაც გვხვდება, შეიძლება ვივარაუდოდთ, რომ ამ პასაჟით ქართველი პოეტები სულიერ სილამაზეს ანიჭებენ უპირატესობას სხეულებრივ სრულყოფილებასთან შედარებით. ქართველ რომანტიკოსებთან ვარდისა და ბულბულის სიყვარული მარადიულია და არც ვარდის დაჭკნობის ან რაიმე გარე ფაქტორის ზეგავლენით (ყვავი) მის განადგურებათან ერთად არ კვდება. ეს დებულებები ყველაზე უფრო ღრმად გააზრებული და გამორჩეულად სრულყოფილი პოეტური ფორმით წარმოდგენილი ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაშია მოცემული.

### **დამონებიანი:**

**ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი*. აკაკი განერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**გამეზარდაშვილი 1948:** გამეზარდაშვილი დ. *ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი*. თბ., 1948.

**ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. *თხზულებათა სრული კრებული (1804-1883)*. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1959.

**პუშკინი 1954:** Пушкин А.С. *Полное собрание сочинений*, т.4, Москва: изд. „Правда“, 1954.

**რუსთაველი 1966:** რუსთაველი შოთა. *ვეფხისტყაოსანი* (სარედაქციო კოლექცია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ქართული ... 1960:** *ქართული მწერლობა* ოცდაათ ტომად (რედ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე). ტ. IX: (XIX ს.). თბ.: „ნაკადული“, 1992.

**ქართული რომანტიზმი ... 2012:** *ქართული რომანტიზმი. ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები* (რედ. ზ. აბზიანიძე). თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2012.

**ქართველი ... 1978:** *ქართველი რომანტიკოსები* (შემდგ. ნ. ალანია, ი. ლოლაშვილი. მლბ). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.

**ჭავჭავაძე 1986:** ჭავჭავაძე ალ. *თხზულებები* (შემდგ. ი. კენჭოშვილი). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

## **DODO CHUMBURIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhsishvili Tbilisi State University*

*Institute of History and Ethnology*

### **Why the Poem “The Tomb of King Erekle” does not Express the Political Creed of Nikoloz Baratashvili**

Nikoloz Baratashvili dedicated his poem “The Tomb of King Erekle” to a Russified Georgian - Mikhail Barataev, who was born and brought up in Russia. In Nikoloz Baratashvili’s poems dedicated to different persons, the lyrical character was not the poet, but the person (or a thing) the poem was dedicated to.

The expressive style used by the poet in his poems dedicated to different persons or things gives us the reason to think that in his poem “The Tomb of King Erekle” the poet expresses not his own, but Mikhail Barataev’s ideological and political views.

**Key words:** Nikoloz Baratashvili, Mikhail Barataev, The issue of political orientation.

#### **დოდო ჭუმბურიძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

#### **ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პოლიტიკური ხედვის გააზრებისათვის („საფლავი მეფის ირაკლისა“)**

ნიკოლოზ ბარათაშვილი არა მარტო დიდი პოეტია, არამედ XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელი, რომლის ეროვნულ-პოლიტიკურ ხედვას დიდი ხანია სწავლობენ და აფასებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერებიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები უკავშირდება 1832 წლის შეთქმულებას, მის ისეთ პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს, რომლის ხელმძღვანელი სოლომონ დოდაშვილი იყო. თუ რა დიდი როლი ჰქონდა პოეტის ცხოვრებაში მის მასწავლე-



ბელსა და სულიერ მეგობარს, ამაზე წერენ მისი თანამედროვე დ მომდევნო პერიოდის მოღვაწენი (ჭიჭინაძე 1872: 15).

სოლომონ დოდაშვილი თამამი აზრების გადაცემას არც თავის მოსწავლეებთან ერიდებოდა. მაგალითად, 1828 წელს 6 ივნისს, კეთილშობილთა სასწავლებლის საჯარო გამოცდაზე მან წარმოთქვა სიტყვა, სადაც იყო ერეკლეს დროინდელი პოლიტიკის, ზოგადად მონარქიის კრიტიკა, საქართველოს ეროვნული დაქვეითების ახსნა. ორატორმა გამოხატა თავისი სიმპათია რესპუბლიკური წყობილებისადმი (განერელია 1965:115).

მართლაც, ბარათაშვილის ეროვნული და რესპუბლიკური იდეები, მისი მასწავლებლისა და სულიერი მოძღვრისგანაა შესისხლბორცებული, იმ კაცისაგან, რომელმაც ყველაზე დიდი როლი ითამაშა 1832 წლის მოვლენებში, როგორც ხელ-მა და იდეოლოგმა და რომელიც ყველაზე სასტიკად დაისაჯა: იმპერატორმა ორჯერ თქვა უარი მძიმე დაავადებული დოდაშვილის რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში გადმოსახლებაზე. ბარათაშვილისთვის არც ეს მოვლენა იქნებოდა ჩვეულებრივად აღსაქმელი.

სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბარათაშვილის პოლიტიკურ ორიენტაციას უკავშირებენ რუსეთს, ლექსით – „საფლავი მეფის ირაკლისა“. ვფიქრობ, არც ისე ადვილია ამგვარი ცნობიერება მიაწერო, – პოემა „ბედი ქართლისას“, ლირიკული ტექსტების – „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანისა“ და „სუმბული და მწირი“ს ავტორს. ეს ლექსები კარგადაა შესწავლილი და სწორი კონცეპტებით შეფასებული. ბევრი მკვლევარი ( ინგოროყვა, განერელია, ასათიანი, სულავა და სხვ) მიუთითებს ლექსში – „ფიქრნი მტკვრის პირას“ დახატული ბოროტი მეფის სახის ალუზია-მეტაფორაზე და მასში რუს იმპერატორებს ხედავენ (სულავა 2066 : 61).

„საფლავი მეფის ირაკლისა“ 1842 წელსაა დაწერილი. ამავე წელს დაიწერა პოეტის ორი შესანიშნავი ლირიკული ქმნილება: თავისუფლების იდეით განმსჭვალული „მერანი“ და „სუმბული და მწირი“. ამავე წელს დაასრულა ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა“, სადაც ერთმნიშვნელოვნად დადგა თავისუფლების იდეის მხარეს. ის ფაქტი, რომ 1842 წელს ერთდროულად შეიქმნა „მერანი“, „სუმბული და მწირი“ და ამათგან იდეურად სრულიად განსხვავებული ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ „გაორებული რომანტიკოსის“ შემოქმედებით მეთოდად ჩაითვალა, რაც იმთავითვე არასწორი იყო;

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ ამოვარდნილია არა მარტო ბარათაშვილის ლირიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ოსტატობის ჩარჩოდან, არამედ იმ ეროვნულ-

იდეური მსოფლმხედველობიდან, რაც ამ დიდი პოეტისა და მოქალაქისათვის იყო ნიშანდობლივი.

ბარათაშვილის პოემაში თავისუფლების იდეალი – იმარჯვებს, ის ბედისწერას ვერ ამარცხებს, მაგრამ ადამიანის სრულფასოვნებისა და ზნეობრივი იდეალის გამარჯვებად იქცევა. დასახელებულ ლირიკულ ლექსებშიც ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ ღირებულებებისადმი ორაზროვანი კი არა, როგორც საბჭოთა კრიტიკოსები წერდნენ, პირდაპირია, თამამი: თავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არის ერთადერთი შეუცვლელი ღირებულება, ადამიანისთვის ბედნიერების, ქმნადობის, სიყვარულისა და სიკეთის მომტანი. მონა ვერ იქნება ბედნიერი, ვერც ზნეობრივად სრულყოფილი და ვერც მატერიალური კეთილდღეობის გონივრულად მომხმარებელი, თუკი ასეთი რამ ექნება. ქართველებს, ბარათაშვილის აზრით, „არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერქვეშ თავისუფლება“.

როდესაც პოეტი შემდეგში მომხდარ მოვლენას – სამეფოს წაღებას რუსეთის მიერ, მიაწერს ერეკლე II-ს, თითქოს მას სურდა თავისი მემკვიდრეობის (ანუ ტახტის) გადაცემა რუსთ ხელმწიფისათვის („მას მინდა მივცე მემკვიდრეობა და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“), მან კარგად იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, არც ერეკლეს და არც მის ნაკლებად გონიერ მემკვიდრე გიორგი XII-ს ეს არ ნდომია. ორივე მათგანი ქრისტიანი, ერთმორწმუნე ქვეყნის სამხედრო და კულტურულ კავშირებზე ფიქრობდა. იქნებ პოეტმა ეს საკითხი იმიტომ წარმოადგინა ასე, უფრო მეტად რომ გამოეკვეთა თავისი სათქმელი: მან არა მარტო დაიცვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა, ეჭვი გამოთქვა ერთმორწმუნეობის გამო რუსეთის სიკეთეში, არამედ არ დაფარა თავისი აღმფოთებაც თანამედროვე მოღალატეების, რუსეთუმეების, ეროვნული ინტერესების არადჩამგდები თანამემამულეების მიმართ. სხვა კონტექსტი ამ სტრიქონებს არ გააჩნიათ: **„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა ტკბილსახსოვარნო... რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ, სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ? ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი მამულს ასული ახლა თქვენგვარი? ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ! ჯანი გაჰვარდეს ან შვილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს, რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?“**

სწორი ეროვნული კონცეფცია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეისადმი ერთგულება, რუსული ორიენტაციის და, ზოგადად, მონობისა და კოლონიური ხვედრის მიუღებლობა „ბედი ქარლისა“ და XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში გამოარჩევს უაღესად აქტუალურ ამ იდეოლოგიას დასაბამს აძლევს. ამასვე წერს დიდი ქართველი

1799 წელს ახალჩამოსული რუსი მმართველის კოვალენსკის პატივისაცემად თბილისი პირველად ნათდება „აზიური გემოვნების საუცხოო ილუმინაციათ“. იმპერიის ხელისუფლების ისტორიულმა გადაწყვეტილებამ – კავკასიაში საკუთარი პოლიტიკის გამტარებლად და საყრდენად ქართული არისტოკრატია ექცია, განსაზღვრა კიდეც ქართველი თავად-აზნაურობის წამყვანი როლი საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში. ერთის მხრივ, მათ დაეკისრათ რუსული პოლიტიკის გამტარებლის ფუნქცია და, ამ აზრით, ირან-ოსმალეთთან და კავკასიელ მიუზიდებთან რუსულ სამხედრო ქმედებებში აქტიური მონაწილეობა. მეორეს მხრივ კი – კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმებში მონაწილეობა რუს მოხელეთა პირდაპირი თუ ფარული ხელმძღვანელობით. ეს ხაზი საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან ძლიერდება და შამილთან რამდენიმე წარუმატებელი სამხედრო ოპერაციის შემდეგ, 1832 წლის შეთქმულების მიუხედავად, ვორონცოვის მმართველობის პერიოდში არისტოკრატის მიმართ საგანგებო ლოიალურ პოლიტიკაში გადაიზრდება.

რუსული მიზნების განხორციელებას რუსული ენის მცოდნე, მისი კანონების პატივისმცემელი, რუსულ ბიუროკრატიულ მმართველობას მორგებული მოხელე სჭირდებოდა. ამ მიზნით გახსნილი პირველი სკოლა საქართველოში „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ იყო, რომლის საზეიმო გახსნაც კოვალენსკის ინიციატივით 1802 წელს 22 სექტემბერს მოენყო (ბალახაშვილი 1940:19). ორკლასიანი სასწავლო კურსი კლასიკური განათლების საფუძვლების დაუფლებასა და რუსულ-ქართული ენების მეტნაკლებად საფუძვლიან შესწავლას ითვალისწინებდა.

1817 წელს მთავარმართებლად ახლადდანიშნულმა, ევროპის მონაწივე იდეების პატივისმცემელმა მრისხანე გენერალმა ერმოლოვმა ქართული არისტოკრატიის საშინელ სიძულვილთან („აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯილაგი ერთ ცოფიან ძაღლადაც არ ღირს“ (ჯოლოგუა 2011: 16) და კავკასიის დაპყრობის მკაფიო სტრატეგიულ გეგმასთან ერთად („კავკასია უზარმაზარი ბასტიონია, რომელსაც ნახევარმილიონიანი გარნიზონი იცავს. მისი აფეთქება ძალიან ძვირი დაჯდება, მაშ, ვანარმოთ ალყა“ (კოხისა ... 1989: 44) პეტერბურგიდან ჩამოიტანა სალონების, სხვადასხვა საზოგადოებრივი გასართობებისა და ლიტერატურული შეკრებების ტრადიცია (რუსეთში პირველ ლიტერატურულ წრეებს მე-18 საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ვხვდებით და მათი აღმოცენება რუსული კულტურის ისტორიაში „ფრანგულ გავლენასა“ და მასონური მოძრაობის გააქტიურებას უკავშირდება). თბილისის ისტორიას შემორჩა ერმოლოვის ბინაზე გამართული ხუთშაბათობები და საკვირაო შეკრებები .

30-იანი წლების მიწურულამდე საქართველო და თბილისი მასპინძლობს კავკასიაში გადმოსახლებულ, სამხედრო სამსახურში განწესებულ ათეულობით დეკაბრისტ პოეტს. მათი შეკრებები ლიტერატურული თავყრილობების სახეს ატარებს. სადილი, გიტარაზე დაკვრა, ხატვა ჩვეულებრივი ესთეტიკური გრძნობის დაკმაყოფილებას ემსახურება და ლამის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. როგორც ეიხენბაუმი აღნიშნავს, „მე-19 საუკუნის დასაწყისში, პოეზიის „საშინაო“ ფორმები, იმის გამო, რომ საკარო ოდებმა უკან დაიხიეს, აღიქმება როგორც ნოვატორობა, როგორც ახალი ჟანრი, ამის კვალდაკვალ ისინი იძენენ ახალ ლიტერატურულ-საყოფაცხოვრებო მნიშვნელობას და წრეობრივ-სალონური ურთიერთობების ფორმებს“ (არონსონი ... 1929: 4) იმდროინდელი ლიტერატურული წრეების შეხვედრებზე თბილისშიც და პეტერბურგშიც აქტიურად იკითხებოდა გრიბოედოვის „ვაიჭკუსაგან“ (პირველად დაიდგა თბილისში), რომელიც გრიბოედოვმა თბილისში დაწერა, პეტერბურგში კი გადაწერილი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

1819 წლის 8 მარტიდან გამოსვლას იწყებს პირველი ქართულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“. მისი ტექსტი ჯერ რუსულად იწერებოდა, შემდეგ კი ითარგმნებოდა ქართულად. გაზეთს თვით ერმოლოვი უწევდა კონტროლს, ფინანსურად ეხმარებოდა სომეხთა ეპისკოპოსი ნერსესი. გაზეთის გამოცემა 1822 წლისთვის შეწყდა (გუგუშვილი 1935: 298-330).

1829 წლის 27 მაისს საქართველოს დედაქალაქს ალექსანდრე პუშკინი სტუმრობს. ინფორმაციის ავტორის (სევასტიანოვის) მიერ ნახ-

სენები „რუსული სუფრა“ თითქმის სიმბოლოა იმ რეალობისა, რომელის ამ პერიოდის თბილისში სუფევს: ორკესტრი აქ ევროპულია, დამსწრე – რუსი, სუფრა – შერეული, უფრო ქართულ-აღმოსავლური ტრადიციით განწყობილი; გართობა, ცეკვა, მოლხენა – თბილისური, ქართული. მაგრამ რუსი სტუმრებით სავსე, ქართულ-აღმოსავლურ სუფრაზე ლხინისათვის სწორედ ქართული ფაქტორია გადამწყვეტი, აზიური ელემენტი („აღმოსავლური უაზრობა“), რომელიც ასე ალაგზნებს პუშკინის უნაკლო პოეტურ სმენას, ქართული არხით შედის რუსულ ცნობიერებაში, კულტურაში, საყოფაცხოვრებო ესთეტიკაში. პუშკინისთვის ამ წარუშლელი დღის ხიბლს ქმნის თბილისური განუმეორებელი სივრცე, უხილავი ენერგეტიკა, რომელიც კულტურულ მარკერად ყალიბდება რუსულ-ქართული ურთიერთობების მთელ შემდგომ ისტორიაში.

ჯერ არ არსებობს ბექდური გამოცემები, ახალი ნაწარმოებები – ძირითადად, პოეტური, დრამატურგიული, თარგმანები – ხელნაწერების სახით ვრცელდება მეგობრულ-ნათესაურ შეკრებებზე არისტოკრატიულ სალონებსა და ოჯახებში. ლექსების, მემუარების, საალბომო ჩანაწერებისა და მოგზაურობის ჟანრის თხზულებათა წერასაც კი ყოველდღიური არისტოკრატიული საქმიანობის ელფერი მოსავს. ესაა ლიტერატურის არსებობის ბუნებრივი, „არაპროფესიონალური“ ფორმა, როგორც ამას აღნიშნავს კიდეც გრ. ორბელიანი თავის წერილში: „ჩვენ თუ ვწერდით, ჩვენი ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის ვწერდით და არა დასაბეჭდად“. ჩანს, ლექსის წერის, როგორც „მოცალეობის“ ჟამს არისტოკრატიული საქმიანობის ტრადიციული გააზრება ახალ ვითარებაშიც ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. საუკუნის პირველ ათწლეულებში ლექსის „ბეჭდვა“, როგორც პრაგმატულ-უტილიტარული დამოკიდებულება შემოქმედებითი საქმიანობისადმი, არისტოკრატიისათვის გარკვეული უხერხულობის შემცველია. ისტორიასთან და კულტურასთან „თანამშრომლობის“ ნორმატიული ფორმებიც კვლავ არისტოკრატიის მიერაა პრივატიზებული.

როგორც ლიტერატურის „ინსტიტუციონალური“ ცხოვრების ჩანასახოვანი ფორმა, 1832 წლის შეთქმულების მომნიშვნის კვალდაკვალ .გამსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სალონები და წრეები. სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტურ ნააზრევში ისახება ქართული ლიტერატურის ეროვნული იდეოლოგიის მედრომედ გამოყენების იდეაც. სწორედ წრემ და მისი საშუალებით გამოხატულმა საზოგადოებრივმა აზრმა, ისტორიული მოვლენების განვითარების გამო (1832 წლის შეთქმულება), მიანიჭა ეს ფუნქცია ლიტერატურას. რუსეთის სპეცსამსახურის საგამოძიებო დასკვნა, სხვათა შორის, კარგად ასახავს ვითარე-

ბას, რომელიც იმდროინდელ თბილისში სუფევს: „საზოგადოება ერთ-გვარ ლიტერატურულ სახეს ლებულობს“ (ბალახაშვილი 1940: 89).

1829 წელს სოლომონ დოდაშვილის სახლი გოლოვინის პროსპექტზე მოაზროვნე ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილად იქცევა. აქვე ყოფილა სტამბაც და რედაქციაც. 1832 წლიდან სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობითა და თაოსნობით მისი ლიტერატურული წრე „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების გამოცემას იწყებს. ერთი წლის განმავლობაში ხუთი ნომერი გამოვიდა. სოლომონ დოდაშვილის „უწყებანის“ სტამბაში დაიბეჭდა პროკლამაციაც, რომელიც თავისუფლებისაკენ მოწოდებითა და სოლომონ დოდაშვილის პატრიოტული სულისკვეთების ლექსით მთავრდება.. ცხადია, ჟურნალის ამ ფუნქციას კარგად ხედავს რუსული ცენზურაც, ამდენად, მის დახურვაში, როგორც პ. გუგუშვილიც აღნიშნავს, უსახსრობის გარდა, „უდიდესი როლი საცენზურო პირობებმაც ითამაშა“ (გუგუშვილი 1935: 319).

ივანე ნიკოლოზის-ძე აფხაზის, სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა შეფასებებიდან ჩანს გულშემმატკივარ მამულისეულთა მიერ დროისა და ვითარების ფხიზელი და კრიტიკული შეფასება. პირველი ათწლეულების ნიჰილიზმს, რომელიც გარდაუვალი აუცილებლობის სახით თან სდევს პოლიტიკურ მარცხს, კიდევე უფრო აძლიერებსა რუსი მოხელეების შეურაცმყოფელი, ცინიკური დამოკიდებულება არამარტო სოციალურად დაბალი ფენების, არამედ არისტოკრატის მიმართ, ზოგადად ქართველობის მიმართ. თავის მხრივ, რუს მოხელეებს მოსვენებას უკარგავს ხალხის ფაქტორი, განუწყვეტელი დაუმორჩილებლობა, ის, რომ „სინამდვილეში რუსეთის სიძლიერე, ამ თითქოსდა მშვიდ ადგილებში(სადაც გარნიზონებია განლაგებული) მოჩვენებითია“, რომ „...რუსეთის ავტორიტეტი ძალზე საეჭვოა“ (კობისა ... 1981: 143, 141)

40-იან წლებში რუსეთს სჭირდება საქართველოს არისტოკრატის მხრიდან რეალური დახმარება კავკასიის მთიანეთთან დაუსრულებელ და ძალზე არახელსაყრელ ომში. ქართველი არისტოკრატის ქვეშევრდომული მორჩილება თითქოს დასტურდება ბრძოლის ხაზზეც და სალონებშიც, უმაღლეს მოხელეებთან მოწყობილ ბალებზეც და ნიკოლოზ პირველის სტუმრობის დროსაც. მაგრამ ეს მორჩილება მოჩვენებითია და ამას კარგად ხედავს 60-იან წლებში საქართველოში ჩამოსული ალექსანდრე დიუმაც: „ბარის დაპყრობა მოკლე დროში მოხდა, მაგრამ იგი არ შესულა კავშირში, უბრალოდ, უღელი დაიდგა. მოჩვენებითად დამორჩილებული ბარი არსებითად მტრულ განწყობილებაში დარჩა. მას არ ჰქონდა განსაზღვრული უფლებები და ქონების პირობები. სიძულვილმა, უძღურმა ბარში, მთებში ჰპოვა მიუწვდომელი თავშესაფა-

რი. მთის წინააღმდეგობის საიდუმლოება ბარის შევიწროებაშია, ომი მხოლოდ გამოძახილია ბარის დრტვინვისა და ოხვრისა (დიუმა 1964: 337).

ისტორიკოსები საუბრობენ დისციპლინის თავისებურ გაგებაზე „კავკასიური ომების“ დროს: „უსიტყვო მორჩილება ომის დროს და მიუჩვეველი ადამიანისათვის გამოაგნებელი სუბორდინაციის რღვევა ოფიცრებსა და დაბალ ჩინებს შორის ომის შემდეგ“ (ლაპინი 2008: 187). ომის შეწყვეტისთანავე იყო მამაკაცური შეკრებები, მასკულინური კულტურის ამოფრქვევები თავისი უხეში, უდარდებლობა-უპასუხისმგებლობის, არცთუ იშვიათად, უზნეობის ზღვრამდე მისული ფორმებით. ეს იყო „ლხინი ჟამიანობის დროს“ – იშვიათი და უჩვეულო ეგზისტენციალური მდგომარეობა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. უცნაური კი ისაა, რომ მიუხედავად საოცარი დაძაბულობისა და ვეებერთელა მსხვერპლისა, ეს პერიოდი დაუვინყარ მოგონებად რჩებოდა ადამიანთა ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ნაციონალური სტერეოტიპების გაზიარებასა და გავრცელებას მეზობლთა შორის, ომის ფაქტორი და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრული სიტუაცია ავლენდა ადამიანთა განსაკუთრებულ ძალებს, მონაცემებს, გაუმჟღავნებელ შესაძლებლობებს და ქმნიდა უნიკალურ ფსიქოსოციალურ და კულტურულ გამოცდილებას, ურთიერთობებსა და უხილავ სულიერ კავშირებს ადამიანთა შორის. შესაძლებელია, სამხედრო სამსახურისაკენ ამ პერიოდის ქართველი არისტოკრატის განსაკუთრებული სწრაფვის ერთი მიზეზი სწორედ ამ ფსიქოემოციური მდგომარეობის განცდის სურვილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას მოდური გატაცებისა და სამხედრო ჯილდოების მოპოვების გარეგნული ნიშნებიც ახასიათებდა.

ისტორიულად გამოუმუშავებული და ქართველ კაცში კოდირებული სამხედრო ნიჭი, გენეტიკური მხედრული გამოცდილება და დამარცხებული, დამოუკიდებლობანართმეული ქვეყნის შვილის კომპლექსი, ღირსების გრძნობა და დამარცხების სიმწარე, ერთგულების ფიცი და წინააღმდეგობის სურვილი ერთდროულად – ერთგვარ ალტერნატივად ჩამოყალიბდა უზრუნველი, დროსმატარებელი რუსულ-ევროპული სალონური ცხოვრების ფონზე. ქართველი არისტოკრატია არც თავის ომში იყო რეალურად (თუმცა ის სწორედ იმ მტერს ებრძოდა, რომლის მიზეზითაც დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამდენად, მთელი 60-წლიანი ომის მანძილზე კავკასიურ ომებში ქართველთა მონაწილეობის მოტივაცია და გულწრფელობა ეჭვს არ იწვევს), არც თავისი მამაპაპური ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს ყველაფერი, ომიც და მშვიდობაც, იმ ხანებში, ერთი შეხედვით, ძალიან გავდა იმპერიისა და იმპერიული პოლიტიკისადმი ქვეშევრდომულ მორჩილებასა და სხვისი

საქმის კეთებას, რეალობა კი ის იყო, რომ საქართველო და ქართველი კაცი ისტორიულ გზასაყარს გადიოდა: შინაგანი გაორებით, ეჭვით, ტკივილითა და სასონარკვეთით, ამ ტკივილს კი – როგორც ისტორიის არაერთ სხვა ეტაპზე – უდარდებლობითა და ჰედონიზმით ნიღბავდა.

ტენდენციათა ცვლილებისა და ღირებულებათა ჩანაცვლების პროცესი ამ პერიოდში ააშკარავებს კოლონიალური პოლიტიკის იმ მექანიზმებს, რომლითაც რუსი მოხელეები ქართველი არისტოკრატის რუსული პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას ცდილობენ.

„მესამე რომის“ იდეის ხორცშესახმელად რუსეთს ხელს აძლევდა ქართული კულტურისა და ისტორიის სიძველე, და ერთ-ერთი, რის მიმართაც იმთავითვე გამოხატა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, მისი სიძველეები იყო. ერთი სიტყვით, დაკარგული სახელმწიფოებრიობის სანაცვლოდ შემოთავაზებული მშვიდობა, პოტენციაში, საქართველოს კულტურული განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, თუმცა მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულებში არც მშვიდობა გავდა მშვიდობას და კულტურული განვითარების უთანაბრო რიტმსაც, ძირითადად, პოლიტიკური ფაქტორი განსაზღვრავდა.

თბილისი ევროპა-აზიის შეხვედრის ადგილია, განსაკუთრებული გეოპოლიტიკური, და კულტურული ქრონოტოპოსი. იმპერია ცდილობს მთელი თავისი ძალმოსილებითა და ბრწყინვალეობით წარმოსდგეს, ქალაქის სტუმრებიც მოხიბლოს და მასპინძლებსაც ეჭვი გაუქარწყლოს. ამ შეხვედრებს ესწრება არამხოლოდ ქართველი არისტოკრატია, არამედ უცხოელი სტუმრებიცა და თბილისის არაქართველი მოსახლეობაც. სალონური ბრწყინვალეობა იმპერიის ხელში ძალაუფლების დისკურსის კულტურულ-ესთეტიკური ნაირსახეობაა. „საჯარო აქტებზე“, ჩვეულებრივ, დომინანტურია „ქართული ფაქტორი“. ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი ესწრება ნიკოლოზ I საპატივცემულოდ გამართულ ბალს და აღმოაჩენს, რომ „ეტიკეტი უკრძალავს ქალს ერთზე მეტად იცეკვოს იმავე ჯენტლმენტან, ამიტომ პარტნიორებს მუდმივად იცვლიან“ (უილბრაჰამის ...1990: 46). ინგლისელის თვალს არც ის ეპარება, რომ „რუსი ოფიცრების ვინრო უნიფორმა უგემოვნოდ გამოიყურება ამ ბრწყინვალე აღმოსავლური ტანსაცმლის გვერდით. არც მათი ეროვნული ფიზიონომია ქმნის ხელსაყრელ კონტრასტს აღმოსავლეთის მკვიდრთა ლამაზ ნაკვებთან“ (იქვე, უილბრაჰამის ...1990: 40). სტუმარი აღფრთოვანებას ვერ მაღავს ქართველი მამაკაცებით: „თავიანთ შესანიშნავ და მოხდენილ ტანსაცმელში გამოწყობილებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ულამაზესი ერია“ (უილბრაჰამის ...1990: 41).



არისტოკრატთა და რუს მოხელეთა სახლებში გამართული შინაური წარმოდგენები, ლიტერატურული წრეები, სალონები, მუსიკალური საღამოები, ოჯახური წარმოდგენები, კულტურული დანიშნულების საქმიანი შეკრებები (მაგ, საბიბლიოთეკო წესდების შესამუშავებლად), სადილები, ნადიმები და ბალები ქალაქის გარკვეული სოციალური ფენის ყოველდღიურობად იქცევა. ამ ყოველდღიურობას ქმნის, ასევე, ახალგაზრდობის ნაკლებად „საჯარო“, თვითნებური აქტივობა: მაგალითად, კვირაობით პანსიონიდან გამოპარულ ყმანვილები(მათ შორის ნიკო ბარათაშვილი), ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქალაქის ძველ უბანში გამართულ კრივსა და ჭიდაობაში მონაწილეობენ და ხანდახან ორთაჭალის ბალებში საქეიფოდ და სასეირნოდაც ახერხებენ გამოღწევას.

ღრმავდება ქალთა საზოგადოებრივი როლის შეგრძნება (მით უფრო, რომ საქართველოში ამის ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციაც არსებობს). 1840 წელს თბილისში არსდება „ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“, რომელიც 1846 წელს გადაკეთდა თბილისის წმინდა ნინოს სახ. ქალთა სასწავლებლად. მას მეურვეობას უწევენ ვორონცოვის მეუღლე და მეფისნაცვლის კართან დაახლოებული ქართველი მანდილოსნები (ჯოლოგუა 2011: 115).

სხვათა შორის, იმ ყველაფერს, რაც შემოდის და მკვიდრდება, ქართული არისტოკრატია „ევროპულ ჩვეულებას და ცხოვრებას“ უწოდებს, თუმცა კარგად აცნობიერებს, რომ იგი რუსეთის გზით შემოდის საქართველოში. ამით იგი ფარულად აცხადებს პრეტენზიას ევროპულ ცხოვრებასთან დამოუკიდებელ თანაზიარობაზე და უნებლიეთ მიანიშნებს რუსეთთან იძულებითი პოლიტიკური კავშირის მიღმა დანახულ კულტურულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

„მრავალაივნიან ქალაქს“ უწოდებს თბილისს ი. პოლონსკი. ე. წ. „თბილისური სახლი“ 1830 წლებში ყალიბდება (კვირკველია 1989: 35). იგი აერთიანებდა მრავალფეროვან არქიტექტურულ-მხატვრულ მახასიათებელს: აღმოსავლური, მრავალაივნიანი სახლების გვერდით ჩნდება ე. წ. ევროპული სტილი – ორ-სამსართულიანი სახლები. თბილისის საერთო ხედში ამომართული ეკლესიათა გუმბათები და ორი დომინანტური არეალი: მტკვრის მარჯვენა სანაპირო ნარიყალას ციხით, მარცხენა – ისნის ციხე-სიმაგრე შეკიბული ნაწილებით – პირდაპირ მიანიშნებს ქართული სივრცის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განაწილებაზე, არაპირდაპირ კი – ამ სივრცის სტრუქტურულ-ფუნქციურ დანიშნულებაზე და რელიგიურ/სეკულარული იერარქიის ხსოვნაზე.

თბილისის სივრცე, მთელი თავისი არქიტექტურული მარკერებით, იმდროინდელი კულტურული გარემოს აუცილებელ ნაწილს შეადგენდა და მისი ცვლილებაც პირდაპირ პასუხობდა პოლიტიკურ-სახელმწი-

ფოებრივი და სოციოკულტურული ცვლილებების არსსა და დინამიკას, ამიტომაც ბევრი მათგანი აისახა როგორც იმ პერიოდის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე მემუარულ და სამოგზაურო ხასიათის თხზულებებშიც. სივრცის აღქმა, როგორც პიროვნების დიალოგი გარემომცველ სინამდვილესთან, სწორედ რომანტიკოსთა შემოქმედებიდან იღებს სათავეს და თანდათან სივრცის სიმბოლურ გააზრებაში გადაიზრდება ( ბარათაშვილი: „ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი“... ). შესაბამისად, არც ყაბახია მარტოოდენ სივრცის ნაწილი გრ. ორბელიანისთვის, არც გოგრა – ალ. ჭავჭავაძისთვის და არც მთანმინდის შემოგარენი – ნ. ბარათაშვილისთვის. ასე რომ, სივრცეს უკვე ნიშნის დატვირთვა აქვს და ორმაგ მნიშვნელობას ახმოვანებს: ერთის მხრივ, კულტურის მექსიერებას, მეორეს მხრივ კი ბუნება/ კულტურის დაპირისპირებას – „დაღლილი სულის“ დასასვენებელ თავდაპირველ, შეუბღალავს გარემოს. ყოველდღიურობის მიღმა არსებული, სივრცულ ხატებად ჩამოქნილი მარადიული ქრონოტოპები: მტკვრის სანაპირო, მთანმინდა, ყაბახი – თავიანთი ღრმად ემოციური, ისტორიული, გნებავეთ, ფატალური დანიშნულებით უპირისპირდებიან სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობება-ნაგებობებს.

თბილისის შიდა ეზოები, დუქნები, სახელოსნოები შენობათა პირველ სართულებზე განთავსდებიან და სოციალური განსხვავებულობის მარკერებად გვევლინებიან ზედა სართულებზე განლაგებულ სასტუმროებთან, დარბაზებთან, არისტოკრატიის საცხოვრებელ ბინებთან მიმართებაში. სახლების მთელ პერიმეტრზე გაყვანილი ქუჩები, ქუჩაბანდები და შუკები (პროფესიულ საქმიანობათა დიფერენციაციის მკაფიო სურათს იძლევიან და ქმნიან დახურული და ღია სივრცეების მონაცვლეობას, დანაწევრებულ სივრცეს შესაბამისი სოციალური დატვირთვით. კულტურულ სიჭრელესა და მრავალფეროვნებაზე მეტყველებს ტოპონიმაცა. ქალაქში ამ დროს არსებობს „გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“, რომლებიც ერთგვარი საზოგადოებრივი დაწესებულებების როლს ასრულებენ იმდრინდელ თბილისში. პირდაპირი საყოფაცხოვრებო-სამომხმარებლო დანიშნულების გარდა, ისინი ღრმა კულტურული დანიშნულების მატარებლებია: თავშეყრის, დასვენების, ღამისთვის, დროსტარების ადგილი, სადაც სტუმრებიც მიჰყავთ.

თბილისის არისტოკრატია განაწილებულია „ზემო“ და „ქვემო“ უბნებად. ნათესაურ-საახლოლო წრე დიდ დროს ატარებს ოჯახურ თავყრილობებზე, შეხვედრებზე. ზოგიერთ ოჯახში ( მაგალითად, ალ. ჭავჭავაძესთან, მელ. ბარათაშვილთან) მთელი დღის განმავლობაში მასპინძლობენ სტუმრებს, ისმევა უამრავი ღვინო. ვახტანგ ორბელია-

ნის ლიტერატურულ საღამოებზე თავს იყრიან გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ს. რაზმაძე, ე. ერისთავი, ზ. ავთანდილაშვილი, ი. მუხრანსკი, ალ. ორბელიანი და სხვები. ვ. ობელიანს საკმაოდ ძვირფასი კოლექცია ჰქონია წიგნებისა და ხელნაწერებისა.. ახალი ქართულის გარდა, ამ შეკრებებზე იკითხებოდა რუსეთიდან ჩამოტანილი რუსული და ნათარგმნი უცხოური ლიტერატურაც, იმართებოდა მსჯელობა. აქაც, როგორც სხვაგან, აქტუალურია კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გამოცოცხლების იდეა.

პეტრე ბაგრატიონის ძმისწულის, რომან ბაგრატიონის სალონი შერეული ხასიათის კულტურულ ღონისძიებებს აწყობს. მისი სახლი, რომელსაც „თეატრალურ სახელოსნოსაც“ ეძახდნენ, თბილისის მწირი თეატრალური ცხოვრების ცენტრად იქცევა. ლიტერატურა და თეატრი ეროვნული სულისკვეთების ამაღლების ორ მნიშვნელოვან კერად ყალიბდება, თუმცა იმხანობით თეატრს უპირატესად ზოგადკულტურულ-საგანმანათლებლო და თავშესაქცევი ხასიათი აქვს.

ნიკოლოზმა I სწორად გათვალა „ერთგულების გზიდან გადამდგარი“ თავისი „ქვეშევრდომების“ დასჯის ფორმა 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით: ეს სასჯელი, ანუ ანგარიშსწორების ფორმები სრულ შეუსაბამობაში აღმოჩნდა არამხოლოდ შეთქმულთა მოლოდინებთან (ჩამოხრჩობა, ხელ-ფეხის მოკვეთა, რასაც იმდროინდელი რუსული კანონმდებლობა ითვალისწინებდა), არამედ ტახტთან დაპირისპირების ორ, დროში დაახლოებულ შემთხვევასთან პოლონეთსა და პეტერბურგში. უნდა ითქვას, რომ ამ ფონზე საქართველოს მიმართ იმპერატორის დამოკიდებულება აშკარად ლოიალური ჩანს. ძალზე მნიშვნელოვან საგარეო ფაქტორებთან ერთად (ჩხეტია 1945: 60-61), საქართველოს დაუმორჩილებლობის თითქმის 40-წლიანი ისტორია ნიკოლოზ I საქართველოს მიმართ პოლიტიკის აწონ-დაწონვასა და სწორ არჩევანს კარნახობდა და 1837 წლის თავისი სტუმრობისას თბილისში მან ცხადად დაინახა ეს არჩევანი, განახორციელა კი ვორონცოვის წარგზავნით მეფისნაცვლად. თუკი ვერ განხორციელდა კავკასიის ეკონომიკური აყვავების გრიბოედოვისეული პროექტი (იდეალმანი 1990: 107-117; ა. კიკვაძე 1977: 185-190), თუკი არ იმუშავა განის რეფორმამ (ჩხეტია 1945: 54-64; ყიფიანი 1990: 36-41), თუკი მდიდარი რუსი მრეწველები ვერ ხედავდნენ იმ სამრეწველო და სავაჭრო პოტენციალს, რომელიც სხვადასხვა დროს ასე კარგად დაინახეს გამბამ, სპენსერმა, კოხმა და სხვებმა, ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა რუსეთის პოლიტიკის ნაწილი იყო (გავიხსენოთ, თუნდაც, ტრანზიტსა და ვაჭრობაზე შეღავათიანი ტარიფის გაუქმება (1832) ამიერკავკასიაში რუსული ექსპორტის სასარგებლოდ) და არა

ქართველი არისტოკრატის თავქარიანობის შედეგი. „უფრო ადვილი იყო ხალხის ხოცვა, ვიდრე მისი აღზრდა“ (დიუმა 1964: 337).

ნიშნულია, რომ ვორონცოვის დროს იწყება არისტოკრატის მზარდი გაღატაკება. ვორონცოვის მმართველობისას, მისი ხელშეწყობით დაარსებულ საადგილმამულო ბანკის მეშვეობით სომეხ ვაჭრთა ხელში გადადის ქართული მიწები, ტყეები, მიწები და წიაღისეული. მდიდრდებიან რუსი მოხელეებიც.

სამაგიეროდ, ზისერმანის დახასიათებით, ვორონცოვთანმონობილი ბალები სტუმრებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ მხრივ თბილისს „ვერც ერთი სატახტო ქალაქი მეტოქეობას ვერ გაუწვდა“: გასათვალისწინებელია, რომ ესაა პერიოდი, როცა ყველა კულტურულ ღონისძიებას ცენზორი ჰყავს, „ჩურჩულით ლაპარაკობენ“ (აკაკი წერეთელი) და რეალური პოლიტიკური ნაბიჯების შესაძლებლობაც კი გამქრალია. სალონური ცხოვრება გართობითა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით საზოგადოების შექცევა, მისი გულის მოგება და მისი სულისკვეთების გაგება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საგანგებო ნაწილი იყო, ევროპის სახელმწიფოებშიც გამოცდილი და ადაპტირებული. მოგვიანებით ალექსანდრე ორბელიანი უარყოფითად შეაფასებს ამ მოვლენას, რომელიც, მის გარდა, არაერთ ქართველ არისტოკრატსა და უკვე სხვა მიზეზით, რუს მოხელეს აღიზიანებდა (მაგ. მთავარმართებელ მურავიოვს).

ვორონცოვი შეიარაღებული იყო არამხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკით, არამედ ერთიანი რუსიფიკატორული პროექტით, რომელიც შეთანხმებული იყო იმპერატორთან. ამის არგუმენტია იმპერატორის მიერ წერილობით დადასტურებული, ვორონცოვის ხელშეუხებლობა მისი მმართველობის მთელ პერიოდში. გამონაკლისის სახით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილება (ჯოლოგუა 2010: 123) საგანგებო ამოცანაზე მიუთითებს. ის, თუ რა სახის პოლიტიკურ მისიას ასრულებდა ვორონცოვი, კარგად ჩანს ვორონცოვისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის, კ. კოხის შემდეგ მოსაზრებაში: „მას კარგად ესმოდა, რომ იმ დროს რუსეთის მთავარი ინტერესი ახალი ქვეშევრდომების ურღვევი კავშირით მიერთება იყო, რათა ისინი იძულებული გამხდარიყვნენ, დაევიწყებინათ საკუთარი, ერთმორწმუნე ხელისუფლება და შეეყვარებინათ რუსი მონარქის კეთილგანწყობილი და მზრუნველი მმართველობა, რომ დამორჩილებულ ხალხებს კეთილდღეობა და ბედნიერება ეგრძნოთ, ისევ და ისევ, იმაში, რომ აუხდენელი ოცნებებისგან იმედგაცრუებულებს, თავიანთი ახალი დედინაცვალი საკუთარ დედად მიეჩნიათ“ (ივანენკო 1901:348). სწორედ ამ პოლიტიკის ფარგლებში 1845 წელს

თბილისში არსდება რუსული თეატრი. ვორონცოვის ხელშეწყობითვე ფუძნდება ქართული თეატრიცა (1850) და ჟურნალიც(1852), თუმცა იქმნება პირველი საცენზურო ინსტიტუციაც – კავკასიის საცენზურო კომიტეტი (ჯოლოგუა 2011: 116), რაც ცხადად გამოხატავს იმპერიის სურვილს, ფხიზლად გააკონტროლოს ადილობრივი კულტურული პროცესის მიმართულება. ლიტერატურული და კულტურული შეკრებების ზოგადი ფონი ლალი და ზეიმურია, თუმცა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ პროფილს მიღმა ღრმა და სერიოზული ზნეობრივი და სულიერი კრიზისის ნიშნები ილანდება. ამის დასასტურია რომანტიკოსთა მთელი ცხოვრება და შემოქმედება: ერთის მხრივ – რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის გაფართოებისთვის მებრძოლი ქართველი სამხედრო მოხელეები ( ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გ. ერისთავი) და სამოქალაქო სამსახურში ჩაბმული პირები (მათ შორის, ნ. ბარათაშვილი) და მეორეს მხრივ, ამავე პირთა მძაფრი უკმაყოფილებით, ღრმა კაემანით, დახვენილი მგრძობელობით აღბეჭდილი პოეზია და პირადი წერილები.

ნიკო ბარათაშვილი და ბევრი სხვაც თბილისურ გართობებს მიღმა სიყალბესა და მოწყენილობას გრძნობს, რადგან ქართული პოლიტიკური რეალობა გართობისა და თავდავინწყების მორალურ უფლებას ნაკლებად იძლევა. ამას შორიდან გრძნობს გრ. ორბელიანიც და ქეთევან ორბელიანს (1947 წლის 13 იანვარი) წერს: „დამიჯერეთ ქალაქსა (თბილისს – მ. კ.) სჯობია თემირხანშურა, ამიტომ რომ აქ ტყუილის თვალების ტრიალებით და მიმოკანკლედობით თავს ვერავინ მოინონებს, თუ არ ჭეშმარიტის მშვენიერებით, ანუ ჭკუითა; და ამასთანა აქ უფრო თავისუფლება არის ცხოვრებაში, და ამისგამო ყოველივე იმ სახით ჰსჩანს, რომლითაც არის ბუნებითად დაბადებული“ (ორბელიანი 1936: 142)

სოციოკულტურული სივრცე დასერილია გარეგანი და შინაგანი წინააღმდეგობებით, ზედაპირული, ტრადიციისთვის მიუღებელი მოდური ტენციებით, სავსეა პარადოქსებით. საუკუნის პირველ ნახევარში მას უცნაური სოციალური და კულტურული სიმბიოზის სახე აქვს. ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი უმდიდრესი სომეხი ვაჭრის შვილს ირთავს (პლ. იოსელიანი). როცა ზაქარია ორბელიანი დეკანოზ მესხიევის (მესხიშვილის) ქალს თხოულობს, არისტოკრატი მანდილოსნები იმედგაცრუებას ვერ მაღავენ მისი არჩევანის გამო (გრიშაშვილი 1940: LX), თუმცა გაურკვეველი სოციალური წარმოშობის რუს მოხელეებზე დაქორწინება უხერხულობას არ ქმნის. ვალში ერმანეთისთვის ყმების გადაცემა-გაყიდვა ევროპული ყაიდის ფუფუნებას და რესპუბლიკურ პოლიტიკურ შეხედულებებს უწყვილდება (იხ.: გრ. ორ-

ბელიანის წერილები). თეკლა ბატონიშვილი, თავის სამივე ვაჟთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იმავდროულად კი სამეწარმეო-კომერციულ საქმიანობას ეწევა და პროცენტთან სესხსაც გასცემს (ი. უთურაშვილი 1991: 126, 143). ბრწყინვალე თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველა მთავარმართებლის სალონების სასურველი სტუმარი, მეუღლესთან ერთად საკუთარ ზვრებში ჩასული, თავისი ყმების სკაბრეზულ შაირებს უსმენს (გრიშაშვილი 1940: L), ვალსსაც ცეკვავს და ჩონგურზეც ამღერებს. ს. დოდაშვილის ენობრივი პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის მისსავე ლიბერალურ იდეებთან, ქართველ თავადაზნაურთა რუსულ ენაზე დაწერილი პირადი წერილები – რუსეთის სიძულვილთან; საქართველოს ისტორიული უბედობით გამონეწეული გულწრფელი ცრემლი – ავისტიყვა ჭორაობასთან. რაინდის ცნების სემანტიკა და მისი სოციალური ეთოსი სულ უფრო და უფრო კინდება – ვაჟკაცობის, სულიერი არისტოკრატიზმის სინონიმი „დარდიმანდობა“ ხდება. დროისა და საზოგადოებისათვის ტონის მიმცემი განათლებული და ინტელექტუალურად დაწინაურებული ნაწილია, ძირითადად, რუსულ საგანმანათლებლო ცენტრებში სწავლამიღებული, ან სამხედრო საქმეში წარჩინებული არისტოკრატია, თუმცა ტრადიციების დამცველი, ნიჭიერი და საქმიანი ადამიანების ხმაც არ რჩება შეუსმენელი. გრ. ორბელიანი მწარედ საყვედურობს მანანა ორბელიანს „ამა სოფლის წარმავალს სიამოვნებაში ჩაფვლას“, მის უფროს შვილს ივანეს კი – ყოველ დილას ფრჩხილების წმენდას, „გიჟსავით“, „მითომ პასკევიჩია“ (ორბელიანი 1936:119-120).

ლიტერატურის კითხვა გასართობ, დროის სატარებელ, თავშესაქცევ საქმიანობათა რიგში შედის, თუმცა ლიტერატურული ოსტატობის შეფასება კომპრომისს არ უშვებს (მაგალითად, მანანა ორბელიანი „უგემურ ლექს“ უწოდებს გრიგოლ ორბელიანის „სულით ერთნო, მოლხინენოს“). ნაწარმოების შეფასებისას დომინირებს სადა, მარტივი, გასაგები ცნებები, თუმცა მათი შესრულების ხარისხი შეუფასებელი მაინც არ რჩება. მაგ., ბარათაშვილი „კარგ თარგმანებს“ უწოდებს დ. ყიფიანის „რომეო და ჯულიეტას“ და ლეიზევიცის „იულიუს ტარანტელის“ საკუთარ თარგმანს. „სასიქადულო მანანას“ (გრ. ორბელიანი) ჩივილიდან: წიგნიც არა მაქვს, რომ ვიკითხოო“ – ჩანს, რომ არისტოკრატისთვის წიგნის კითხვა და, ზოგადად, ლიტერატურული საქმიანობა არა მხოლოდ „კარგი ტონია“, არამედ ყოველდღიური საქმიანობა და უზრუნველი ცხოვრების მიღმა დაფარული სულიერ-ინტელექტუალური მოთხოვნილება. იმხანად, ყოველდღიური კულტურული საქმიანობის ზერელე ფორმები საზოგადოებას სულიერი მოდუნებისგან იცავს,

მოგვიანებით კი ისინი ეროვნული კონსოლიდაციის ფუნქციასაც შეასრულებენ.

კულტურის ახალი ფორმები მყარ, მომზადებულ ნიადაგს პოულობს და ბუნებრივად ტრანსფორმირდება ქართულ ფორმებად, იძენს ქართულ სახეს. კულტურა წინააღმდეგობას უწევს მისთვის მიუღებელ დინებებს, თუმცა მისაღებიცა და მიუღებელიც, გარკვეული შესაბამისობით, მაინც იღეპება კულტურული ცხოვრების ფსკერზე და თავის დადს ასვამს საზოგადოების განვითარების მაგისტრალურ ხაზს. კულტურულ ცხოვრებას, გარეგნულად მაინც, ესთეტიკური და ჰედონისტური მოთხოვნები წარმართავს, თუმცა თანდათან მზადდება ნიადაგი მომავალი ათწლეულების მნიშვნელოვანი კულტურული, ინტელექტუალური და ეროვნული აღმავლობისათვის.

### **დამონებიანი:**

**არონსონი... 1929:** Аронсон, М., Рейснер, С. *Литературные кружки и салоны.* Редакция и предисловие В.М. Эйхенваума. «Прибой»- Ленинград. 1929.

**ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი იაკობ. *ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში.* თბილისი: საბლიტგამი, 1940.

**გუგუშვილი 1935:** გუგუშვილი პ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან.* ლიტერატურული მემკვიდრეობა. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამბა, 1935.

**გრიშაშვილი 1940:** გრიშაშვილი ი. „აღექსანდრე ჭავჭავაძე“. *თხზულებანი.* ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბილისი: „ფედერაცია“, 1940.

დიუმა 1964: დიუმა ალ. *კავკასია.* თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

**ეიდელმანი 1990:** Эйдельман Н. Я. *Быть может за хребтом Кавказа.* М.: «Наука», 1990.

**ივანენკო 1901:** Иваненко В. *Гражданское управление в Закавказье.* Тифлис: 1901

**კვირკველია 1989:** კვირკველია თ. *ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში.* თბილისი: გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

**კიკვაძე 1977:** კიკვაძე ა. *საქართველოს ისტორია 1801-1890.* თბილისი: თსუ გამ-ბა, 1977.

**ლაპინი 2008:** Лапин В. *Армия России на Кавказе: Приватизация войны.* НЛЮ. М.: 2008, №93.

**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. *წერილები.* ტ. I. აკაკი განაერელიას რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“ 1936. .

**სპენსერი 1989:** კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.

**უთურაშვილი 1991:** უთურაშვილი. ი. თეკლა ბაგრატიონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. 1991.

**უილბრაჰამი 1990:** რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.

**ყიფიანი 1990:** ყიფიანი დ. მემუარები. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

**ჩხეტია 1945:** ჩხეტია შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. I. მასალები. თბილისი: სსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამ-ბა, 1945.

**ჯოლოგუა 2011:** ჯოლოგუა თ. „მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ“. აკაკი წერეთელი 170. საიუბილეო კრებული. თბილისი: შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამ-ბა. 2011.

## **NINO KVIRIKADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Akaki Tsereteli State University in Tbilisi*

### **On the Issue of Romantic and Realistic Details in E.T.A. Hoffmann’s Novellas “The Golden Pot” and “Little Zaches Called Cinnabar”**

The work investigates some romantic and realistic details in Hoffmann’s novellas “The Golden pot” and “Little Zaches Called Cinnabar”. The issue is being processed in the context of attributing both works to the Romantic epoch and analyzing the existing reality under the two-worlds framework, which is illustrated in two-sidedness of the composition in both novellas and in the personages’ characteristics. The analysis reveals that the romantic and realistic details in Hoffmann’s novellas “The Golden Pot” and “Little Zaches Called Cinnabar”, interact and create a unified background for a harmonious coexistence of the two worlds (romantic and realistic) in both texts.

*Key words: Hoffmann, two worlds, romantic and realistic details, word order*



**Н.Г. КВИРИКАДЗЕ**

*Грузия, Кутаиси,*

*Государственный университет им. Акакия Церетели*

**К вопросу о романтических и реалистических деталях  
в повестях Э.А.Гофмана «Золотой горшок» и  
«Крошка Цахес»**

Одним из самых выдающихся представителей позднего немецкого романтизма считается Эрнст Теодор Амадеус Гофман, писатель европейского масштаба.

Он вошел в литературу, когда иенскими и гейдельбергскими романтиками уже были сформулированы и развиты основные принципы немецкого романтизма. Как художник и мыслитель, Гофман связан с гейдельбергскими романтиками, он также понимает искусство как единственно возможную сферу преобразования мира. Гофман развивает много идей Ф.Шлегеля и Новалиса, например учение об универсальности искусства, концепцию синтеза романтической иронии и искусств. Музыкант и композитор, художник-декоратор и мастер графического рисунка, Гофман-писатель близок к идее осуществления синтеза искусств. Изображенный в его произведениях характер конфликтов, проблематика этих произведений и система образов, само художественное видение мира – все это представлено у Гофмана в рамках романтизма. Так же, как и у иенцев, в основе большинства произведений Гофмана лежит конфликт художника с обществом. Первоначальная романтическая антитеза художника и общества лежит в самой основе мироощущения писателя. Подобно иенским романтикам, высшим олицетворением человеческого «я» Гофман считает творческую личность – это есть художник, по его же терминологии «энтузиаст», для которого достижимы мир искусства, мир сказочной фантастики, т.е. те единственные сферы, где он может полностью реализовать самого себя и найти прибежище от реальной филистерской повседневности.

Однако творчество Гофмана в развитии немецкого романтизма представляет собой несколько иной этап – это более обостренное и трагическое осмысление действительности, отказ от ряда иллюзий иенских романтиков, пересмотр соотношения между идеалом и действительностью. В.Соловьев отмечает, что *«существенный характер поэзии Гофмана ... состоит в постоянной внутренней связи и взаимном проникновении фантастического и реального элементов, причем фантастические образы, несмотря на всю свою причудливость, являются не как привидения из иного, чуждого мира, а как другая сторона той же самой действительности, того же*

*самого реального мира, в котором действуют и страдают живые лица, выводимые поэтом. ...В фантастических рассказах Гофмана все лица живут двойною жизнью, попеременно выступая то в фантастическом, то в реальном мире. Вследствие этого они или, лучше сказать, поэт – через них – чувствует себя свободным, не привязанным исключительно ни к той, ни к другой области»* (Соловьев 1880).

Изображение романтического конфликта и его разрешение у Гофмана несколько иное, чем у ранних романтиков. Отрицание действительности, конфликт художника с ним – посредством этого весь мир для иенцев выступал как поэтическая утопия и сфера сказки, сфера гармонии, в которой художник познает самого себя и мир. Романтический герой Гофмана живет в реальном мире. Он старается выйти за его пределы и перейти в мир искусства, в фантастическое сказочное царство Джиннистан, но тщетно: он остается в окружении реальной конкретно-исторической действительности. Ни сказка, ни искусство не вносят для него гармонию в этот реальный мир, который его подчиняет окончательно. Отсюда вечное трагическое противостояние, с одной стороны, между героем и его идеалами и, с другой стороны, действительностью. Отсюда дуализм, из-за которого страдают герои Гофмана, отсюда двоемирие в его произведениях, неразрешимый конфликт между героем и окружающей средой в большинстве произведений, свойственная творческой манере писателя двуплановость повествования.

Именно вопрос двоемирия в творчестве Гофмана, основанного на противопоставлении реалистических и романтических деталей, в частности в рассказах «Золотой горшок» и «Крошка Цахес», является темой нашего сегодняшнего доклада. Попытаемся рассмотреть некоторые аспекты данного вопроса.

Проблема двоемирия, как известно, специфична для романтического искусства. Двоемирие – это сопоставление и противопоставление реального и воображаемого миров, это принцип, конструирующий романтическую художественно-образную модель. Вместе с тем реальная действительность, «прозаичность жизни» со своим утилитаризмом и отсутствием духовности рассматривается как недостойная человека пустая «воображаемость», которая противопоставляется истинному миру, полному ценностей. Н.Я.Берковский, автор работы «Романтизм в Германии» подробно рассматривает тему двойников. По его мнению, Гофман замечательно проиллюстрировал мысль о двойнике: «Двойник – величайшая обида, какая может быть нанесена человеческой личности. Если завелся двойник, то личность в качестве личности прекращается. Двойник – в индивидуальности потеряна индивидуальность, в живом потеряна жизнь и душа» (Берковский 1973: 489). Еще Берковский обращает наше внимание на театральный подход Гофмана к своим персонажам: «Человек, по Гофману, –

сценическое явление, прежде всего он входит в состав зрелища, повинуюсь требованиям его. По крайней мере, с этого начинается всякое знакомство с заново выступающим персонажем, он по- театральному предьявлен нам, это актерский выход» (Берковский 1973: 494). И хотя здесь нет прямого указания на тему двоемирия, но она угадывается за параллелями «герой-актер», «сцена- реальная жизнь».

Сказочная новелла «Золотой горшок» (1814) относится к ряду тех произведений, в которых наиболее полно отразились противоречия мировоззрения писателя. Подзаголовок этой новеллы – «Сказка из новых времен». Подзаголовок следует понимать так, что действующие лица сказки являются современниками Гофмана, действие же происходит в реальном Дрездене XIX века. Так Гофман пересматривает иенскую традицию жанра сказки – в идейно-художественную структуру сказки писатель вносит смысловой план реальной повседневности. Герой новеллы студент Ансельм – странный, чудаковатый неудачник, наделенный «наивной поэтической душой», и поэтому благодаря этой характерной черте сказочный и чудодейственный мир становится для него доступным. При столкновении с этим миром Ансельм оказывается в двойственном существовании: из своей прозаической жизни он время от времени перемещается в царство сказки, которое находится по соседству с обычной реальной жизнью. В соответствии с этим новелла и в композиционном отношении построена по принципу переплетения и взаимопроникновения сказочно-фантастического и реального миров. Именно в этом произведении Гофманом представлен один из лучших образцов романтической сказочной фантастики – своей изящной поэтичностью и тонкостью. В то же время в новелле четко обрисован реальный смысловой план. Некоторые исследователи Гофмана вполне справедливо полагали, что на основе данной новеллы можно было успешно реконструировать топографию улиц Дрездена 19-го века.

В представленную в новелле реальную повседневность так неожиданно и как будто бы беспорядочно врывается широко развернутый сказочный план со множеством странных чудодейственных эпизодов, однако в действительности он подчиняется четкой и логичной идейно-художественной структуре новеллы и этим отличается от намеренной фрагментарности и непоследовательности, что характерно для повествовательной манеры большинства ранних немецких романтиков. Двуплановость творческого метода Гофмана и двоемирие в мироощущении писателя выявились в противопоставлении реального и фантастического миров и соответствующем делении персонажей на две группы. Конректор Паульман, его дочь Вероника, регистратор Геербранд – это обыкновенные, прозаично мыслящие дрезденские филистеры, у которых нет никакого поэтического чувства. Им в этом филистерском мире противопоставляются

пришедшие из фантастического мира архивариус Линдхорст и его дочь Серпентина, также как будто бы странный, однако весьма приятный молодой студент Ансельм, поэтическая душа которого легко вникает в сказочный мир архивариуса.

Новелла заканчивается двумя свадьбами. В этом счастливом конце произведения фиксируется полное объяснение его идейного замысла. Важную роль в характеристике персонажей играют как романтические, так и реалистические детали: детали действия и поступков героев, портретные, предметные, пейзажные, звуковые и другие. Например, служебную карьеру вместо Ансельма улучшает регистратор Геербранд. Именно за него, а не за Ансельма, выходит без раздумий Вероника, которая легко избавилась от увлечения Ансельмом. Ее мечта исполнилась: *Она живет в прекрасном доме около Нового рынка, у нее есть шляпа новейшего фасона и новая турецкая шаль*. Одета в элегантное платье, она завтракает у окна и отдает распоряжения прислуге. Ансельм, который стал поэтом, женится на Серпентине и вместе с ней переселяется в сказочную Атлантиду. Вместе с тем он получает в приданое *хорошее имение и золотой горшок* – именно тот горшок, который он увидел в доме архивариуса. По мнению А.Дмитриева, «золотой горшок – это своеобразная ироническая трансформация новалисовского ‘голубого цветка’», который сохраняет начальную функцию этого романтического символа (Дмитриев 1991: 88), этой романтической детали. Некоторые исследователи считают, что счастливая концовка сюжетной линии «Ансельм – Серпентина» является параллелью филистерского идеала, вплетенного в союз Вероники и Геербранда, золотой горшок же – это символ филистерского, мещанского счастья. Мы придерживаемся взгляда А.Дмитриева, выступающего против подобного соображения, поскольку ясно показано, что Ансельм вовсе не отказывается от своей мечты, не изменяет ей, он всего лишь находит ее осуществление в конце произведения в волшебном, фантастическом мире – в Атлантиде, рядом с любимой Серпентиной.

Используемая Гофманом цветовая гамма в изображении предметов художественного мира «Золотого горшка» выдает принадлежность повести эпохе романтизма. Это не просто тонкие оттенки цвета, а обязательно динамические, движущиеся цветовые детали и целые цветовые гаммы, часто совершенно фантастические, а значит, и романтические: *щучьесерый фрак, блестящие зеленым золотом змейки, искрящиеся изумруды посыпались на него и обвили его сверкающими золотыми нитями, порхая и играя вокруг него тысячами огоньков, кровь брызнула из жил, проникая в прозрачное тело змеи и окрашивая его в красный цвет, из драгоценного камня, как из горящего фокуса, выходили во все стороны лучи, которые, соединяясь, составляли блестящее хрустальное зеркало*.

Такой же особенностью – динамичностью, неуловимой текучестью – обладают звуки, звуковые детали в художественном мире произведения Гофмана, причем реалистические и романтические детали переплетаются друг с другом: например, *шорох листьев бузины* постепенно превращается в *звон хрустальных колокольчиков*, который, в свою очередь, оказывается *тихим дурманящим шёпотом*, затем вновь *колокольчиками*, и вдруг всё обрывается *грубым диссонансом*; *шум воды* под веслами лодки напоминает Ансельму *шёпот*.

*Богатство, золото, деньги, драгоценности* – все эти предметные детали представлены в художественном мире сказки Гофмана то как реалистические, то как романтические, т.е. их значения переплетаются друг с другом. Например, *специес-талер* каждый день – именно такая плата соблазнила Ансельма и помогла преодолеть страх, чтобы пойти к загадочному архивариусу (здесь это реалистическая деталь), но когда именно этот *специес-талер* превращает живых людей в скованных, будто залитых в стекло (вспомним эпизод разговора Ансельма с другими переписчиками манускриптов, которые тоже оказались в склянках), тогда он превращается в *мистический предмет, фантастическое волшебное средство*, предмет отчасти из другого мир, т.е. становится уже романтической деталью. *Драгоценный перстень* у Линдгорста способен очаровать человека (переплетение реалистического и романтического значений). В мечтах о будущем Вероника представляет себе своего мужа *надворного советника* Ансельма и у него *золотые часы с репетицией*, а ей он дарит *новейшего фасона миленькие, чудесные сережки* – все это *реалистические детали*, очень точно характеризующие Веронику, которая стремится к богатству, высокому положению в обществе и любит только модные вещи.

Еще о некоторых романтических чертах-деталях в поэтике «Золотого горшка». Стилистику повести отличает использование гротеска, что является не только индивидуальным своеобразием Гофмана, но и романтической литературы в целом. Например: «Он остановился и рассматривал *большой дверной молоток*, прикрепленный к *бронзовой фигуре*. Но только он хотел взяться за этот молоток при последнем звучном ударе башенных часов на Крестовой церкви, как вдруг *бронзовое лицо искривилось и ослабло* в *отвратительную улыбку* и *страшно засверкало лучами металлических глаз*. Ах! Это была *яблочная торговка* от Чёрных ворот...», «*шнур звонка* спустился вниз и оказался *белой прозрачною исполинскою змеєю...*», «с этими словами *он повернулся и вышел*, и тут все поняли, что *важный человек* был, собственно, *серый попугай*».

Философская идея новеллы о воплощении царства поэтической фантастики в мире искусства, в мире поэзии утверждается в последнем абзаце новеллы. Сам автор, страдающий от мысли, что ему приходится

покидать сказочную Атлантиду и возвращаться в жалкое убожество своей мансарды, слышит ободряющие слова Линдхорста: *«Разве сами вы не были только что в Атлантиде и разве не владеете вы там, по крайней мере, порядочной мызой как поэтической собственностью вашего ума? Да разве и блаженство Ансельма есть не что иное, как жизнь в поэзии, которой священная гармония всего сущего открывается как глубочайшая из тайн природы!»* В. Г. Белинский высоко ценил сатирический талант Гофмана, отмечая, что он обладал огромным талантом «изображать действительность во всей ее истинности и казнить ядовитым сарказмом филистерство... своих соотечественников» (Белинский 1956: 107).

Во второй сказочной новелле «Крошка Цахес» (1819) полностью сохраняется двоемирие Гофмана в восприятии действительности, что вновь нашло отражение в дуэплановости композиции новеллы, характерах персонажей и их расположении в структуре текста. Некоторые действующие лица данной новеллы имеют своих прототипов в новелле «Золотой горшок». Это: студент Бальгазар – студент Ансельм, Проспер Альпанус – Линдхорст, Кандида – Вероника и др.

Дуэплановость новеллы проявляется в противопоставлении мира поэтической мечты, сказочной страны Джиннистан миру реальной повседневности, тому княжеству князя Барсануфа, где и происходит действие новеллы. Двойное существование здесь ведут персонажи и *вещи-детали*, поскольку они совмещают свое сказочное волшебное бытие с существованием в реальном мире. Например, фея Розабельверде, та же канонисса монастыря Розеншон, покровительствует маленькому противному Цахесу и награждает его тремя волшебными волосками – важнейшими для судьбы героя реалистически-романтическими деталями.

В таком же двойственном положении выступает также и добрый волшебник Альпанус, который вечно носится с различными сказочными чудесами. Эти чудеса хорошо видит и распознает поэт и мечтатель студент Бальгазар. Однако в своей повседневной жизни Альпанус всего лишь доктор, у которого, правда, имеется весьма странная и необычная склонность к странным и необычным причудам.

Художественные планы обеих сопоставляемых новелл совмещаются – если не полностью, то в какой-то определенной степени. Однако, несмотря на свое сходство, новеллы по идейному звучанию различны. Если в сказке «Золотой горшок», которая высмеивает мироощущение филистеров, сатира носит нравственно-этический характер, во второй новелле «Крошка Цахес» она еще более обостряется и приобретает социальное звучание.

Именно в связи с обострением сатиры меняется также еще один важный момент в художественной структуре новеллы, в частности: главным персонажем становится не положительный герой, типичный гофмановский странный человек, поэт-мечтатель (например, как Ансельм в новелле

«Золотой горшок»), а отрицательный герой – мерзкий Цахес. Можно сказать, что новелла «Крошка Цахес» является «сказкой новых времен» в еще большей степени, чем «Золотой горшок». Цахес, являющийся полным ничтожеством да еще и уродом по наружности, благодаря магическому подарку феи Розабельведер (*детали-волоски*) так же магически воздействует на находящихся в его окружении людей, которые воспринимают его как красивейшую, талантливейшую личность, обладающую светлым умом. За короткое время Цахес добивается блестящей карьеры и в конце концов становится первым министром княжества. Подобная карьера стала возможной только лишь потому, что Цахес, как правило, сам присваивает себе талант других людей и результаты их труда – таинственная сила *трех золотых волосков-деталей* заставляет людей с помраченным разумом приписывать ему все значительное и талантливое, что принадлежит другим. А почему волоски Циннобера – непременно золотые? В этой *детали* сказывается гротескная метонимия. Чары Крошки Цахеса начинают действовать, когда он оказывается напротив монетного двора: *золотые волоски* метонимически подразумевают *власть денег*. Одарив уродца золотыми волосками, лукавая фея метит в больное место «разумной» цивилизации – её одержимость золотом, манию накопительства и расточительства. Безумная магия золота уже такова, что в оборот поступают, присваиваются и отчуждаются природные свойства, таланты, души. Так, посредством художественных средств романтического метода, в данном случае *конкретных деталей*, изображается в рамках романтического мироощущения одно из самых больших зол современной общественной системы. В конце произведения, когда Цахес теряет свою магическую силу и притягательность, т.е. когда *указанные детали* превращаются в *обыкновенные подробности*, народ низложит его. Смерть Цахеса в рамках сказочного плана новеллы гротескна.

Так же, как и «Золотой горшок», новелла «Крошка Цахес» заканчивается счастливым финалом – воссоединением влюбленной пары, Бальтазара и Кандиды. Поэтический мир Бальтазара и Проспера Альпануса одерживает верх не только над злом в лице Цахеса, но и вообще над каждодневным, прозаическим миром. Однако здесь же фиксируется углубление противоречий писателя, он постепенно убеждается в иллюзорности того эстетического идеала, который он противопоставляет действительности.

Следует отметить, что фантастика Гофмана не всегда характеризуется таким же светлым и полным радости колоритом, как в рассмотренной выше новелле «Золотой горшок». Здесь, в новелле «Крошка Цахес», поэт Бальтазар после женитьбы на Кандине становится обыкновенным немецким филистером, который, в отличие от Ансельма, забывает свои романтические мечты и не может выкарабкаться из обыденной повседневности. Именно в этом заключается существенное различие между этими двумя новеллами.

## ЛИТЕРАТУРА:

**Белинский 1956:** Белинский Г.В. *Полное собрание сочинений в 13 томах*. Том 10. М.: Академия наук СССР, 1956.

**Берковский 1973:** Берковский Н.Я. *Романтизм в Германии*. М.: Худ. лит-ра, 1973.

**Гофман 1991:** Гофман Э.Т.А. *Золотой горшок: сказка из новых времен*. М.: Советская Россия, 1991.

**Гофман 1991:** Гофман Э.Т.А. *Крошка Цахес, по прозвищу Циннобер*. М.: Советская Россия, 1991.

**Дмитриев 1991:** Дмитриев А.С. *Немецкая литература: Романтизм*. В кн.: *История зарубежной литературы XIX века* / Под ред. Н.А.Соловьевой. М.: Высшая школа, 1991.

**Соловьев 1880:** Соловьев В. *Предисловие к : Гофман «Золотой горшок: Сказка из новых времен»* / Соч. Гофмана; (Перевод <и предисл.> Вл. Соловьева) // Огонек. 1880. №№ 24-26, 28, 30-32. [online]:

[https://ru.wikisource.org/wiki/%D0%97%D0%BE%D0%BB%D0%BE%D1%82%D0%BE%D0%B9\\_%D0%B3%D0%BE%D1%80%D1%88%D0%BE%D0%BA\\_\(%D0%93%D0%BE%D1%84%D0%BC%D0%B0%D0%BD/%D0%A1%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B2%D1%8C%D1%91%D0%B2\)#.3C.D0.9F.D0.A0.D0.95.D0.94.D0.98.D0.A1.D0.9B.D0.9E.D0.92.D0.98.D0.95.3E](https://ru.wikisource.org/wiki/%D0%97%D0%BE%D0%BB%D0%BE%D1%82%D0%BE%D0%B9_%D0%B3%D0%BE%D1%80%D1%88%D0%BE%D0%BA_(%D0%93%D0%BE%D1%84%D0%BC%D0%B0%D0%BD/%D0%A1%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B2%D1%8C%D1%91%D0%B2)#.3C.D0.9F.D0.A0.D0.95.D0.94.D0.98.D0.A1.D0.9B.D0.9E.D0.92.D0.98.D0.95.3E)

## EMZAR KVITAISHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### Rhyme and Intonation ("Night at Qabakhi")

Поскольку пространство художественного текста представляет собой результат творческой авторской перекомбинации реального мира, то невозможно говорить о непосредственной соотнесенности словесных выражений с системой объектов реального мира. Статус внутреннего мира художественного произведения определяется дистанцированностью тестовых номинаций от универсума прямых речевых актов. Коммуникативная функция языка, определяющаяся установкой художника слова, позволяет ему выразить свое отношение к речи, передать авторскую позицию. Таким образом, в языке художественной литературы любая единица может приобретать транзитивные признаки, которые определяются желанием автора эстетически воздействовать на читателя. Отражение в тексте авторского видения мира, авторской оценки через своеобразие языковых средств, вносящих вклад в реализацию поставленной задачи, – вот что определяет коммуникативную стратегию текста.

Сущностной характеристикой языковой игры является ее ассоциативно-интерпретационное начало, обнаруживающее способность говорящего к

отступлению от стереотипного употребления, конструирования и восприятия языковых единиц. Выступая в функции создания эстетического эффекта художественного текста, языковая игра способствует формированию ассоциативного плана его восприятия, воплощению авторского замысла, реализации индивидуального стиля художника. Это начало реализует себя в первую очередь в лирической поэзии, т.к. именно здесь творческий субъект выражает со всей полнотой свое отношение к высказыванию, а также коммуникативное намерение в данном речевом акте, что является двумя основными показателями субъективной модальности художественной речи.

Каждый художественный текст обладает своей фоновой парадигматикой, строящейся из языковых составляющих текста. Идеиные сущности (смыслы) текста соотносимы с содержанием всех конкретных художественных текстов, поскольку являются определенной ступенью абстрагирования содержания текста. Универсальные смыслы *время, пространство, человек, событие* образуют в совокупности с речевыми средствами их воплощения соответствующие *текстовые категории* – категории времени, пространства, героя, события. Семантизация каждой текстовой категории в конкретном тексте трансформирует универсальные смыслы в *индивидуальные*. Безусловно, логика художественного пространства приобретает в этой связи онтологический, в том числе, и аксиологический смысл.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Бахтин 1986:** Бахтин М.М. *Литературно-критические статьи*. М.: Художественная литература, 1986.

**Бахтин 1979:** Бахтин М.М. *Эстетика словесного творчества*. М.: Искусство, 1979.

**Бенвенист 1974:** Бенвенист Э. *Общая лингвистика*. М.: Прогресс, 1974.

**Лермонтов 1957:** Лермонтов М.Ю. *Собр. Соч. в 4-х т. Т. 1. Стихотворения*. М.: Гос. изд. худ.лит., 1957-

**Лотман 1992:** Лотман Ю.М. *Культура и взрыв*. М.: Наука, 1992.

**Мукаржовский 1996:** Мукаржовский Я. *Структуральная поэтика*. М.: Языки русской культуры, 1996.

**Падучева 1996:** Падучева Е.В. *Семантические исследования*. М.: Языки славянской культуры, 1996.

**Хейзинга 1996:** Хейзинга Й. *Homo ludens. В тени завтрашнего дня*. М.: Прогресс-Традиция, 1997.

**ANA LETODIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Reception of Blue Color According to Nikoloz Baratashvili's Poem "Color of the Sky, Blue Color"**

Color is regarded in: semantic, symbolic, psychological, biological and other respects.

We focus our attention on symbolic significance of blue color in Nikoloz Baratashvili's art, and consider it in a psychological aspect.

In the poem "Color of the Sky" blue is not only one component of the artistic language. We think that perception of this color in Baratashvili's poem (consciously or unconsciously) provides information in general cultural, collective consciousness, archetypal significance, and the attitude of Western Europe romanticists to Blue color. It also seems to be the poet's style of thinking. In this poem the color is an embodiment of emotional atmosphere.

**Key words:** Blue; symbolic; psychological.

## **ანა ლეთოდიანი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ლურჯი ფერის რეცეფცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ცისა ფერს“ მიხედვით**

ფერი არა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენა, არამედ „რთული კულტურული კონსტრუქციაა. მისი ისტორია – საზოგადოების ისტორიაა“ (პასტურო: <https://www.litmir.me/br/?b=135685&p=3>).

ფსიქოლოგიაში დადგენილია აღქმაზე სხვადასხვა ფერის ზეგავლენის ზოგიერთი კანონზომიერება. იგი საგრძნობლად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქოინტელექტუალურ მდგომარეობაზე, იწვევს განსხვავებულ ასოციაციებსა, თუ განცდებს.

მხატვრულ ლიტერატურაში ფერი მნიშვნელოვანი დეტალია, რომლის გააზრებაც ხელს უწყობს მის თავისებურებათა და ავტორის მსოფლმხედველობის (განსაკუთრებით ლირიკაში) უკეთ გაგებას. ტექსტში ფერი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა მნიშვნელობით: საგნის, ან მოვლენის აღსაწერად, აზრობრივი თუ ემოციური დატვირთვით, სიმბოლოს ფუნქციით და სხვა.

ფერს, მეტ – ნაკლებად, ყველა ეპოქის ხელოვნების ესთეტიკურ სისტემაში ენიჭებოდა მნიშვნელობა, თუმცა, ამ თვალსაზრისით, ერთ – ერთი გამორჩეული პერიოდია რომანტიზმი. მხატვრულ ლიტერატურაში ფერებისადმი ისეთი დოზით ყურადღება, როგორსაც რომანტიკოსთა შემოქმედებაში ვხვდებით, მანამდე შედარებით ნაკლებად შეინიშნება. რომანტიზმის ეპოქის პროზასა თუ პოეზიაში ყველაზე ხშირად ლურჯი ფერი გამოიყენება სხვადასხვა შეფერილობით. განსაკუთრებულია ინტერესი ცისფერი ფერისადმი. მას ლურჯის ყველაზე მშვენიერ ტონად მიიჩნევდნენ. ლურჯი ლამის რელიგიური თაყვანისცემის ობიექტად იყო აღიარებული.\*

საინტერესოა, რამდენად ეხმიანება ლურჯის, „ცისა ფერის“ ნიკოლოზ ბარათაშვილისეული აღქმა ამ ფერის რომანტიზმის ესთეტიკაში ჩამოყალიბებულ გააზრებას. ან შეიძლება, თუ არა, ვისაუბროთ ლურჯ ფერთან განსხვავებულ დამოკიდებულებაზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ბარათაშვილის შემოქმედებაში იშვიათია ფერის გამოყენების შემთხვევები. ქრომატულ ფერთაგან მხოლოს ლურჯს, „ცისა ფერს“ („ცისა ფერს“) და მწვანეს („ბედი ქართლისა“) ვხვდებით.

საკვლევ საკითხზე მსჯელობისას, ჩვენთვის ამოსავალია ფერის ფსიქოლოგიურ და სიმბოლურ ქრილში გააზრება. ძირითადად, ვემყარებით: გოეთეს, კანდინსკის, ლუშერის, თეორიებსა და თვალსაზრისს, აგრეთვე გავითვალისწინებთ სხვა შესხედულებებსაც. ბუნებრივია, საინტერესოა, ზოგადად რას აღნიშნავს ლურჯი ფერი და რა აზრობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ცისა ფერს“.

ლურჯი ფერი, ეგრეთ წოდებულ ცივი ფერების კატეგორიას მიეკუთვნება. მრავალი ხალხისათვის ცის, ზღვის (ზოგადად, წყლის) და მარადიულობის სიმბოლოა. უძველესი დროიდან ესაა უმთავრესი ასოციაციები. იგი სიმშვიდის, განტვირთვის ფერად მიიჩნევა, უკავშირდება მისტიციზმსა და რელიგიურ განცდაზე (კანდინსკი: <http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-69.php#chapter>; <http://mikhailkevich.narod.ru/kyrs/Cvetovedenie/main8.html>; <http://www.b17.ru/article/2896/>; ბაზიმა: <http://psyfactor.org/color.htm>). ლურჯი ფერისათვის უპირატესობის

\* ლურჯი ფერისადმი დამოკიდებულების საფუძვლისდამდეგ მხატვრულ ტექსტად ფრიდრიჰ ნოვალისის დაუსრულებელი რომანი „ჰაინრიჰ ფონ ოფტერდინგენი“ მიიჩნევა. ნოვალისის „ლურჯი ყვავილი“ (წმინდა პოეზიისა და ცხოვრებისეული იდეალის სიმბოლო; გამოხატავს მეტაფიზიკურ სევდას (პასტურო); კ. ბრეგაძის აზრით, ლურჯი ყვავილი ჰაინრიჰის სატრფოს მატყიდესა და საღვთო ტრანსცენდენტური სინამდვილის სიმბოლოა (ბრეგაძე. 2012: 34) გოეთეს ვერტერის ლურჯ ფრაკთან ერთად გერმანული რომანტიზმის სიმბოლოდ იქცა (პასტურო: <https://www.litmir.me/br/?b=135685&p=3>).



მინიჭება მიანიშნებს ადამიანის მხრიდან სიმშვიდის ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას (<http://www.b17.ru/article/2896/>; ბაზიმა: <http://psyfactor.org/color.html>). როგორც სიმშვიდის ფერი, ის ესთეტიკური განცდებისა და ზემოთაგონებული ფიქრების წინაპირობაა (ლუშერი: <http://www.test-lushera.ru/colors/blue/>). ამ ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ამგვარია, იგი ხელს უწყობს ფიქრს. ლურჯმა ფერმა შეიძლება წარმოშვას ერთგვარი შფოთვა, სევდიანი განწყობილება, დაღლილობის, ან დაჩაგრულობის შეგრძნებაც კი. გოეთე მიიჩნევდა, რომ ლურჯი ფერი აღძრავს “მსუბუქ სევდას”. მისთვის ის პასიური ფერია და მეტისმეტი სინმინდის გამო ლურჯს „მომხიბვლელ არარას/არაფრობას“ უწოდებს (გოეთე: <http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/farbenlehre/1-vi/vi.htm#Blau>). ე. ჰაიმენდალი ნაშრომში „სინათლე და ფერი“, ლურჯი ფერის სიმბოლურ ზემოქმედებას „სევდას“ უკავშირებს. მიაჩნია, რომ ლურჯი გვიხმობს საფუძველთა საფუძვლისაკენ. მასში იგრძნობა ღრმა სულიერი დამოკიდებულება არამინიერი სამყაროსადმი, სწრაფვა ცის, მისი უსასრულო ხმიანობისაკენ” (ობუხოვი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/Obuh\\_Sim/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/04.php)).

ვ. კანდინსკის შეხედულებით, ლურჯი „ჩაღრმავების ფერია“. რაც უფრო მუქია ლურჯის ტონალობა, მით მეტად უხმობს ადამიანს უსასრულობისაკენ, უღვიძებს სევდას. ლურჯი ქმნის სიმშვიდის ელემენტს (კანდინსკი: <http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-69.php#chapter>).

ჟ. შვეალიესათვის ლურჯი ყველაზე „ღრმა“ ფერია. მამი მზერა თითქოს იძირება და უსასრულობაში იკარგება.

ლურჯის მეტ – ნაკლებად უპირატეს ფერად არჩევა გამოხატავს სიმშვიდისადმი ადამიანის ფუზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას (ობუხოვი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/Obuh\\_Sim/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/04.php)).

მითებში, ლურჯი ფერი ღვთაებრივი გამოვლინებაა, იდუმალების, რეალობის დაკარგვის, ოცნების, ფანატიზმის ფერია.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსების თვალსაზრისით, ლურჯი ფერი სიმბოლურად აღნიშნავდა ფილოსოფიას, როგორც სამყაროს შეცნობის მეთოდს. ეგვიპტეში მიიჩნევდნენ, რომ ლურჯ ფერში ღმერთები მყოფობენ. ფარაონთა საფლავებზე ლურჯი ფერის წარწერები იყო, რათა ბუნებით მოკვდავებს, მშვიდად განესვენათ ღმერთების გარემოცვაში.

შუა საუკუნეებში ფიქრობდნენ, რომ ადამიანმა, რომელიც, უმეტესად, ლურჯი ფერის სამოსს იცვამდა, იცოდა, რა იყო ზეციური ქემმარტება.

ამდენად, ლურჯი არქექტიპული სიმბოლო. ის ერთობას, საზღვრების გადალახვას და მთლიანობიას მიკუთვნებულობას გამოხატავს (ობუხოვი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/Obuh\\_Sim/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/04.php)).

ნიკოლოზ ბარათაშვილთან ლურჯი ცასთან, ცის ფერთან ასოცირდება (ცის ფერი ლურჯად გვეჩვენება მზის სხივების კოჰერენტული გაფანტულობის გამო (კანდინსკი: <http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php>) და არაამქვეყნიურ ფერადაა აღქმული („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს/ პირველადქმნილსა ფერს/ და არა ამ ქვეყნიერს,/ სიყრმიდგან ვეტრფოდი“ (ბარათაშვილი: ). თამარ ლომიძე მიიჩნევს, რომ „ლურჯის, როგორც პირველად ქმნილი ფერის დახასიათება განაპირობებს მის უშუალო კორელაციას ბიბლიასთან“ (ლომიძე: <http://eprints.iliauni.edu.ge/2849/>). უკვე აღინიშნა, რომ ლურჯი ფიქრს აღძრავს და უსასრულობის, მარადიულობისაკენ იზიდავს აღმქმელს. მაქს ლუშერისათვის ლურჯი ის ფერია, რომელიც ეძებს „ერთიანობის იდეალს“ (ლუშერი: <http://www.test-lushera.ru/colors/blue/>) (რაც, ლურჯის ერთ-ერთი არქექტიპული მნიშვნელობაცაა). ბარათაშვილთან ეს უკანასკნელი ისეთ ფიქრს აღძრავს, რომელიც ლირიკული გმირისათვის წინაპირობაა „შეერთოს“ „ცისა ქედს, სილურჯეს“ („ფიქრი მე სანატრი/ მიმინვევს ცისა ქედს/ რომ ემხით დამდნარი/ შევერთო ლურჯსა ფერს“ (ბარათაშვილი. 1972: 63). ლექსის მეორე სტრიქონიდან ჩნდება მკვეთრად მინორული ტონი („და ახლაც, როც სისხლი/ მაქვს გაციებული/ ვფიცავ (მე) – ვეტრფო/ არ ოდეს ფერსა სხვას“ (ბარათაშვილი: 1972: 63). მასში პოზიტიური ნოტი ისევ ლურჯ ფერს შემოაქვს, რაც არ არის გასაკვირი, რადგან ლურჯი ღვთაებრივ სიბრძნესთან, რელიგიურ განცდასთან, მისტიციზმთან ასოცირდება. სევდიანი განწყობილება კიდევ უფრო მძაფრდება მესამე სტროფში. შეინიშნება დაჩაგრულობის განცდაც, სიკვდილის შემდეგ „მშობლიურ ცრემლს“ „ლურჯი ცის“ „ციური ცვარი“ ჩაენაცვლება, რითაც თითქოს ბალანსდება უსამართლო „განაჩენი“.

„მოკვდები – ვერ ვნახავ  
ცრემლსა მე მშობლიურს  
მის ნაცვლად ცა ლურჯი  
დამაფრქვევს ცვარს ციურს!“  
(ბარათაშვილი. 1972: 63)

ტრადიციულად, ლურჯი ქალურ ფერად მიიჩნევა (ქრისტიანობაში იგი ღვთისმშობლის ფერს წარმოადგენს). მაქს ლუშერი ლურჯის სიმბოლიკაზე საუბრისას, ხაზს უსვამს, არა უბრალოდ ამ ფერის ქალურ საწყისთან კავშირს, არამედ გამოყოფს ისეთ ასპექტს, როგორიცაა,

პირველადი, დედობრივი სანყისი, რომელიც ერთიანობას, ერთგულებას, ნდობას, სიყვარულს, თავგანწირვას უკავშირდება (ობუხოვი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/Obuh\\_Sim/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/04.php)). ბარათაშვილთანაც „მშობლიურ ცრემლს“ ლურჯი ცის, დედობრივი სანყისის „ციური ცვარი“ ენაცვლება, როგორც ერთგვარი ნუგეში.

ლექსის მომდევნო სტრიქონიც სევდიან განწყობილებას გამოხატავს („სამარეს ჩემსა, როს/ გარს ნისლი მოეცვას – /იგიცა შესწიროს/ ციაგმან ლურჯსა ცას“ (ბარათაშვილი: ). შესაძლოა, ნისლი ცის სილურჯესთან შემთხვევით არ იყოს დაკავშირებული. რომანტიკოსებისათვის „ლურჯი ნისლი“ სასწაულებრივ, ზღაპრულ სიმბოლოს წარმოადგენდა. მართალია, ბარათაშვილთან ლურჯი, მხოლოდ ცის მსაზღვრელად გამოიყენება, თუმცა, ნისლის ლურჯ ცასთან დაკავშირება იწვევს შემოაღნიშნულ ასოციაციას, რასაც ხელს უწყობს აღწერილი გარემოს ერთგვარად მისტიკური სურათიც (საფლავი, ნისლი, მზის სხივი („ცი-აგი“; ორბელიანი. 1993: 336), რომელმაც ლირიკული გმირის თხოვნის თანახმად, ლურჯ ცას მის საფლავზე ჩამონოლილი ნისლი უნდა „შესწიროს“). ისიც აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ნისლი არაერთ რელიგიაში (მათ შორის, იუდაიზმსა და ქრისტიანობაში) იმქვეყნიურ ძალთა ნიშნად მიიჩნევა (სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია: <http://sigils.ru/signs/tuman.html>), ამავე დროს აღნიშნავს გარდამავალ სივრცეს რეალობასა და ირეალობას შორის, უკავშირდება ინიციაციასაც, სულმა უნდა გაიაროს გზა ნისლიდან სინათლისაკენ (სიმბოლოთა მოკლე ენციკლოპედია: <http://www.symbolarium.ru/index.php>).

ამდენად, ბარათაშვილისეული ლურჯი, „ცისა ფერი“ სევდიანი, მელანქოლიური განწყობილების დროს უსასრულო, ღვთაებრივ სივრცეს, რეალური სამყაროდან ირეალურში გადასვლას, დაკარგული სიმშვიდის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, „გამთლიანებისკენ სწრაფვასთან“ (თუნდაც, სიკვდილის შემდეგ) შეიძლება დავაკავშიროთ.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ფერის ფიზიკურ, თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედება დიდწილად აღმქმელის პიროვნული თვისებებზეცაა დამოკიდებული. თამარ ლომიძის შეხედულებით, ბრათაშვილთან ფერი არ წარმოადგენს მხოლოდ მხატვრული ენის კომპონენტს, არამედ განსაზღვრავს „სამყაროს სურათის“ იმ სპეციფიკას, რომელიც დამახასიათებელია ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, როგორც განუმეორებელი შემოქმედების ხელწერის მქონე პოეტისათვის. ვიზიარებთ აღნიშნულ თვალსაზრისს და ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ საანალიზოდ წარმოდგენილ ლექსში ლურჯი, მართლაც, არ არის მხოლოდ მხატვრული ენის ერთ – ერთი კომპონენტი და ვფიქრობთ, რომ ამ ფერის აღქმისას, ბარათაშვილთან (ცნობიერ, თუ არაცნობიერ დონეზე)

გათვალისწინებულია ზოგადკულტურული, კოლექტიურ ცნობიერებაში არსებული ინფორმაცია, როგორც არქეტიპული მნიშვნელობა, ისე გარკვეული თვალსაზრისით, დასავლეთ ევროპაში მოღვაწე რომანტიკოსთა დამოკიდებულება ლურჯ ფერთან, ასევე ჩანს მისი აზროვნების სტილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ განხილულ ლექსში ფერი ემოციური ატმოსფეროს შექმნის საშუალებადაა.

## **დამონეგანი:**

**ბაზიმა:** . Базыма Б. А *Цвет и психика*. <http://psyfactor.org/color.htm>;

**ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნ. *თხ ზუღეებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**ბრეგაძე 2012:** ბრეგაძე კ. *გერმანული რომანტიზმი*. თბილისი გამომცემლობა „მერიდიან“, თბილისი: 2012.

**გოეთე:** Goethe J. W. *Zur Farbenlehre*. <http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/farbenlehre/index.htm>;

**კანდინსკი 1910:** Кандинский В. *«О духовном искусстве»*. 1910. <http://www.was-silykandinsky.ru/book-116-10-66.php#chapter>.

**ლომიძე:** ლომიძე თ. *ფერის მხატვრული გააზრების თავისებურებები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში*, <http://eprints.iliauni.edu.ge/2849/>.

**ლუშერი:** Люшер М. *Цветовой тест Люшера*. <http://www.test-lushera.ru/colors/blue/>;

**ობუხოვი:** ОбуховЯ. Л. *Символика цвета*. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/Obuh\\_Sim/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/04.php);

**ორბელიანი 1993:** ორბელიანი ს.-ს. *ლექსიკონი ქართული*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.

**პასტურო 2006:** Пастуро М. Синий. История цвета© Editions du Seuil, 2006. Н. Кулиш, пер. с французского, 2015. «Новоелитературное обозрение», 2015 <https://www.litmir.me/br/?b=135685&p=3>;

**სიმბოლოთა მოკლე ენციკლოპედია:** Краткая энциклопедия символов. <http://www.symbolarium.ru/index.php>;

**სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია:** *Энциклопедия Символы и Знаки*. <http://sigils.ru/signs/tuman.html>;

<http://mikhailkevich.narod.ru/kyrs/Cvetovedenie/main8.html>;

<http://www.b17.ru/article/2896/>;

**TAMAR LOMIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Poetics of Georgian Romanticism**

It's known that according to Roman Jakobson's assertion, metaphor as an axis of artistic thinking has a prevailing position in the Romanticism (as well as Symbolism) literary school. This postulate has been recognized as an axiom in literary criticism. We have analysed artistic texts of the Georgian romantic poets to find out whether or not Jakobson's argument is legitimate with regard to Georgian Romantic poetry. In other words, our goal was to determine: (1) which tropes the noted Georgian poets give preference to, and (2) which axis – metaphorical or metonymic – prevails in their texts in general. Due to a detailed analysis of the artistic texts of Georgian romanticist poets we found that in them the metaphorical rather than the metonymic pole (axis) of artistic thinking prevails. Georgian Romanticism is not metonymic only on the level of tropes, but also on the levels of structure, motifs, style and worldviews.

**Key words:** Romanticism, Georgian poet, metaphorical and metonymic poles.

## **თამარ ლომიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ქართული რომანტიზმის პოეტიკა**

XX საუკუნის თვალსაჩინო ლინგვისტი და ლიტერატურათმცოდნე რომან იაკობსონი მიიჩნევდა, რომ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ლიტერატურულ სკოლებში უპირატესი გამოხატულება პოვა მეტაფორამ, ხოლო რეალისტურ მიმართულებაში – მეტონიმია (იაკობსონი 1990: 127). როგორ უნდა გავიაზროთ ეს დებულება? იგულისხმება თუ არა აქ, რომ ლიტერატურულ მიმდინარეობათა კლასიფიკაცია შესაძლებელია იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ტროპებს ენიჭება უპირატესობა ამა თუ იმ ლიტერატურულ მიმდინარეობაში – ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, რომანტიზმისა და სიმბოლიზმში, მეორე მხრივ კი – რეალიზმში?

საქმე ისაა, რომ იაკობსონი, ზოგადად, მეტაფორისა და მეტონიმის სახელწოდებით მოიხსენიებდა ორი სახის აზრობრივ ოპერაციებს: ენობრივ ერთეულთა *შერჩევას* (სელექცია) და მათ *კომბინირებას*.

ენობრივ მოვლენას, რომელშიც უპირატესად თავს იჩენს მომიჯნავეობის მიმართებები (სოსიურის ტერმინოლოგიით, ესაა მეტყველების პლანი, ანუ სინტაგმატიკა), იაკობსონი მიაკუთვნებს მეტონიმიურ ღერძს ანუ პოლუსს), ხოლო იმგვარ ენობრივ მოვლენას, რომელშიც ქარბობს მსგავსების მიმართებები (სოსიურის ტერმინოლოგიით, ესაა ენის პლანი, ანუ პარადიგმატიკა) – მეტაფორულ პოლუსს, რადგან, მისი აზრით, ამ პოლუსთა ყველაზე უფრო კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს, შესაბამისად, მეტონიმია და მეტაფორა.

ცხადია, როდესაც ტერმინები მეტაფორა და მეტონიმია მიემართება არა საკუთრივ ტროპების გარკვეულ სახესხვაობებს, არამედ – აზროვნების განსხვავებულ მოდუსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტაფორათა ან მეტონიმიათა სიმრავლე ლიტერატურულ ტექსტში არ მოწმობს მასში მეტაფორის ან მეტონიმიის პოლუსის დომინირების შესახებ.

სავარაუდოა, რომ მეტაფორის პრინციპი (სინთეზი, პარადიგმატიკა) და მეტონიმიის პრინციპი (ანალიზი, სინტაგმატიკა) თავს უნდა იჩინდეს არა მარტო კონკრეტულ ტექსტში გამოყენებულ ტროპებში, არამედ სხვა ტექსტუალურ დონეებზეც, ანუ (თუ კვლავ იაკობსონის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ), მეტაფორულ ტექსტებში უპირატესად უნდა ვლინდებოდეს ელემენტების ეკვივალენტურობა (პარადიგმატიკა), ხოლო მეტონიმიურში – ელემენტების მომიჯნავეობა (სინტაგმატიკა).

გავითვალისწინეთ რა იაკობსონის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ რომანტიზმის (ისევე, როგორც სიმბოლიზმის) ლიტერატურულ სკოლაში უპირატესი გამოხატულება ჰპოვა მეტაფორამ, გავანალიზებთ ქართველ რომანტიკოს პოეტთა მხატვრული ტექსტები იმ მიზნით, რომ დაგვედგინა, სამართლიანია თუ არა იაკობსონის თვალსაზრისი ქართული რომანტიკული პოეზიის მიმართ, ანუ უნდა გავვერკვია: 1. რომელ ტროპებს ანიჭებდნენ უპირატესობას ეს პოეტები და, ზოგადად, რომელი პოლუსი – მეტაფორული თუ მეტონიმიური – პრევალირებს ამ ტექსტებში.

ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ცენტრალურ სახეს ბინარული სტრუქტურა აქვს (თუმცა, ტრადიციულად ის ერთიან სახედ მიიჩნევა) — მერნის ჭენებას „არ აქვს სამძღვარი“, მისი ყოფიერება ზედროულია და სივრცობრივად უსასრულო; მხედარი კი დისკრეტული, შემოსაზღვრული სივრცისა და დროის ბინადარია. მხედარი ესწრაფვის, ეზიაროს მერნის ყოფიერების უსაზღვროებას, მაგრამ სწორედ ეს უქადის მას დაღუპვას. მხედარი პასიურია, ის მიჰყვება (ან მიჰყავს) გარკვეულ ძალას, რომელსაც მერანი განასახიერებს. აქ დანაწევრებულია ანუ მეტონიმიურია სივრცე და დრო, მაგრამ მთავარია ავტორის მიერ

მერნისა და მხედრის სახეთა სხვადასხვაგვარი დახასიათება, რაც ძალზე არსებითია და განსაზღვრავს ლექსის ტრაგიკულ ჟღერადობას.

ლექსში მეტონიმიურია ბინარული სტრუქტურის მქონე ცენტრალური სახე, რომელშიც გმირს მეტონიმიურად ენაცვლება (მის ნაცვლად მოქმედებს) მერანი.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსში „ცისა ფერს“ ლურჯი ფერი არ უკავშირდება კონკრეტულ საგნებს, არ გამოიყენება ეპითეტის ჩვეულებრივი ფუნქციით. „ლურჯი“ ლექსში დახასიათებულია, როგორც „პირველად ქმნილი“, ანუ სხვა ფერებზე უფრო ადრე არსებული ფერი. ამ კონტექსტში „ლურჯი“ აღიქმება, როგორც გვარეობრივი ფერი სხვა ფერების მიმართ.

ეს „პირველად ქმნილი“ ფერი „პირველად ქმნილი“ ცის ატრიბუტია. ამასთან, ბარათაშვილი განასხვავებს ხილულსა და უხილავ ცას ფერის მიხედვით: პირველი მათგანი „ლაჟვარდია“ („შემოლამებაში“), მეორე – „ლურჯი“. „ლურჯი“, როგორც, „ლაჟვარდთან“ შედარებით, უფრო გაჯერებული და „ბნელი“ ფერი (ლურჯის, როგორც „ბნელის“, გააზრების შესახებ იხ. მისი ექსპლიკაცია თვალსაჩინო თანამედროვე მკვლევრის, ა. ვეჟბიკკას მიერ შემუშავებული „ლინგვა მენტალისის“ სამუალებით) ბარათაშვილთან სამყაროს დასაბამიერ მდგომარეობას აღნიშნავს. ამგვარად, ბნელი, სიბნელე, ამ ლექსში არასოდეს შეესაბამება კონკრეტული საგნის ფერს, არამედ – ფერის არსსა და პირველსახეს. ლურჯი აქ სუბსტანციური მახასიათებელია და სიმბოლურად ასახავს სამყაროს თავდაპირველ, თვისებრივად განუსაზღვრელ მდგომარეობას. ესაა განყენების, ანუ მეტონიმიზაციის აქტი; როგორც მხატვრული სახე, „ლურჯი“ წარმოადგენს გარკვეულ სიმბოლოს.

ბნელის ამგვარი კონცეპტუალიზაცია თავს იჩენს ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე ლექსშიც – „შემოლამება მთანმინდაზედ“. ბნელში, ბინდში ჩაძირული სამყაროს სურათის აღწერისა და, აგრეთვე, ცალკეულ საგანთა ან მოვლენათა მრავლობითი რიცხვის ფორმებით დასახელების მეშვეობით პოეტი აღწევს სამყაროს „არააღქმადობის“ ეფექტს. მისი მზერა არ ჩერდება ცალკეულ საგნებზე და თუ ჩერდება, გარკვევით ვერ აღიქვამს მათ („კლდევ ბუნდოვანო“, „მთავ ღრუბლიანო“).

ამგვარი ტექსტი თავისუფლდება საგანთა სამყაროსთან მიმართებისგან, რადგან ეს სამყარო თვისებრივად განუსაზღვრელია. შესაბამისად, ტექსტი ემყარება მარტოოდენ კომბინაციურ პრინციპს – შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ენობრივი ნიშნის ან კონცეპტის დაკავშირება ნებისმიერ სხვა ნიშანთან ან კონცეპტთან „მომიჯნავეობის“ პრინციპის მიხედვით, ანუ – მეტონიმიურად. კომბინაციურობა თავს იჩენს ბარათაშვილის პოეტური მეტყველების იმ ნიშანში, რომელსაც

ვუნოდებთ „პრედიკაციის თავისუფლებას“ ან „თავისუფალ პრედიკაციას“. კერძოდ, პოეტი ხშირად მიმართავს ერთი და იმავე მოვლენის ურთიერთსაპირისპირო ნიშნებით დახასიათებას, ან ერთსა და იმავე ტექსტში ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისთა გამოთქმას. ამის მაგალითებს ვხვდებით არა მარტო „შემოღამებაში“, არამედ – ისეთ ნაწარმოებებშიც, როგორებიცაა „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „ბედი ქართლისა“.

ლექსის – „ფიქრნი მტკვრის პირას“ – ბოლო სტროფში გამოთქმულია შეხედულება ადამიანთა აქტიურობის, „სოფლისთვის ზრუნვის“ აუცილებლობის შესახებ, ხოლო მთელი ტექსტი (ამ სტროფის გარდა) ასახავს თვალსაზრისის ნუთისოფლის ამაოების შესახებ, რომლის მიხედვით, „სოფლისთვის ზრუნვას“ ყოველგვარი აზრი ეკარგება. რომანტიზმის მსოფლალქმას შეესაბამება თვით ეს გაორება – საპირისპირო თვალსაზრისთა შეტოლება, მათი თანაბარუფლებიანობა, დიალოგი. ეს ორი თვალსაზრისი ურთიერთშენაცვლებადია.

კერძოდ, პირველი თვალსაზრისი განმტკიცებულია ტექსტით, როგორც გარკვეული მოცემულობით, და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უპირატესობა „პერიფერიულ“ თვალსაზრისთან შედარებით. რაც შეეხება „პერიფერიულ“ თვალსაზრისს, ის, როგორც ტექსტის მიჯნა, ტექსტის ნაწილიცაა და, ამავე დროს, ესაზღვრება ცარიელ (არატექსტობრივ) სივრცეს, ე.ი., ლოგიკურ ასპექტში, მასაც მოიცავს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პერიფერიულ თვალსაზრისს გააჩნია ორი აღსანიშნი: ტექსტი და არატექსტი, რაც მას საეჭვოს ხდის, ე.ი. არაჭეშმარიტ (არაავტორისეულ) თვალსაზრისად აქცევს. მეორე მხრივ, თუ ვივარაუდებთ, რომ ჭეშმარიტია ბოლო სტროფში გამოთქმული თვალსაზრისი, მაშინ ცენტრალური (ტექსტის მთელ სივრცეში ასახული) თვალსაზრისი პერიფერიულ თვალსაზრისად იქცევა და მთელი ტექსტი წარმოგვიდგება, როგორც მიჯნა ტექსტსა (უკანასკნელ სტროფსა) და არატექსტს შორის, რაც ეჭვქვეშ აყენებს პირველი თვალსაზრისის ჭეშმარიტებას (ავტორისეულობას). ამგვარი ტექსტი მეტონიმიურია, რადგან ემყარება მხოლოდ კომბინაციურობის (მომიჯნავეობის) პრინციპს და არა ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირებს ტექსტის ნაწილთა შორის, ანუ ტექსტის ერთიანობას.

„ქართლის ბედის“ გადანყვეტა ის თემაა, რომელიც ბარათაშვილის პოემაში ემსახურება პიროვნებისა (ერეკლეს) და საზოგადოების (ერის, „ქართლის“) ურთიერთდაპირისპირების ასახვას, რაც, თავისთავად, რომანტიზმის მოტივთა არსენალს განეკუთვნება.

ავტორის პოზიცია პოემაში აშკარად არ იჩენს თავს, რამაც გამოიწვია მეცნიერთა თვალსაზრისების სხვადასხვაობა იმასთან დაკავ-



შირებით, ვინ წარმოადგენდა მის „რუპორს“ – ლეონიძეები თუ ერეკლე. საკითხი მარტივად წყდება იმ შემთხვევაში, თუ დავასკვნით, რომ ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსი პოეტის, შინაგანი გაორება აქ ვლინდება მიუკერძოებლობაში ამა თუ იმ გმირის თვალსაზრისისადმი. ის, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს დიალოგურობის პრინციპს და არ ემხრობა არც ერთ მათგანს – ან იზიარებს ორივეს. პერსონაჟთა თვალსაზრისები ამ ნაწარმოებში თანაბარუფლებიანია.

ნიშანდობლივია, რომ სოფიო ლეონიძის უშუალო, გულუბრყვილო წარმოდგენა თავისუფლების შესახებ არ ემთხვევა რომანტიკულ თავისუფლებას – მარტოობას.\* სოფიოს სურვილია, დარჩეს თავის მამულში, სადაც „სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის“. ამკარაა განსხვავება მის თვალსაზრისსა და „მერნის“ გმირის სიტყვებს შორის:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის”.

სოლომონ ლეონიძე და სოფიო არარომანტიკულ თვალსაზრისს გამოხატავენ. მათი „თავისუფლება“ (რომელიც არ ემთხვევა რომანტიკული „თავისუფლების“ ცნებას), მათი ყოფიერების მასშტაბი და აზროვნება განსხვავდება ერეკლეს აზროვნებისგან, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ესაა ვინაშე თვალსაზრისი, რომელსაც არ ძალუძს კერძოობითობაზე და გრძნობისმიერ მიმართებებზე ამაღლება. **პოემაში შეპირისპირებულია ორგვარი თავისუფლება – არარომანტიკული (სოფიო და მსაჯული) და აბსოლუტური, რომანტიკული (ერეკლე).** არავითარი სხვაგვარი შეპირისპირება პოემაში არ შეინიშნება და ეს ბუნებრივია: ისევე, როგორც „მერანის“ რომანტიკული ლირიკული გმირი უპირისპირდება თავის გარემოცვას, „ბედი ქართლისას“ რომანტიკული გმირიც — ერეკლეს — უპირისპირდება „ქართლს“. ამ პოემას, ისევე, როგორც ზემოგანხილულ ლირიკულ თხზულებებს, ნიკოლოზ ბარათაშვილი ააგებს მომიჯნავეობის პრინციპის მიხედვით. სწორედ ის

\* შდრ. გ. ასათიანის თვალსაზრისი: „მსგავსად ბეთჰოვენის „სონატა აპასიონატა“-სი, ბარათაშვილის ამ პოემასაც ორი ძირითადი თემა, ორი ლაიტმოტივი გასდევს. მათი შეპირისპირებისა და გადაჯვარედინების საშუალებით გადმოცემულია ორი მტრული სანყისი – ბედისწერისა და ბედნიერების, აუცილებლობისა და თავისუფლების ორთაბრძოლა.

არის მომენტები, როდესაც მეორე სანყისი იმდენად გაძლიერებულია, ისე ინტენსიურად უღერს, რომ ჩვენთვის თითქმის ეჭვმიუტანელი ხდება მისი უპირატესობა. ასეთ უღერადობას იძენს თავისუფლების თემა სოლომონ მსაჯულის მეუღლის, „სათონო სოფიოს“ მონოლოგში... თავისუფლება ბარათაშვილის პოემაში ქალის ხმით მეტყველებს“ (ასათიანი 1974: 138).

უჩვეულო ფაქტი, რომ **პერსონაჟთა თვალსაზრისები თანაბარუფლებიანია**, რომ ავტორი თითქოს არ ერევა ნაწარმოების სტრუქტურასა და კონცეფციაში, ააშკარავებს ჩვენი დასკვნის სისწორეს.

**აღ. ჭავჭავაძის** „გოგრა“ ის ქმნილებაა, რომელშიც, საყოველთაო აღიარებით, გამოვლინდა პოეტის რომანტიკული მსოფლალქმა. ლექსის მხატვრულ ქსოვილში არსებითი როლი განეკუთვნება სინეკდოქეებს, ანუ მეტონიმიის სახესხვაობებს. საინტერესოა, რომ სინეკდოქეთა შემადგენელი წევრები დროშია განაწილებული: **„ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად“**, **„ესგროვა ქვათა... ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან“** და ა. ლექსში გამოყენებული ეპითეტები: **„ქალაქნი დიდებულნი“**, **„პალატნი ჩინებულნი“** და სხვ. ახასიათებს არა მარტო ამ კონკრეტულ ობიექტებს, არამედ – თვით წარსულსაც, ე.ი. იგულისხმება, რომ წარსული დროება იყო „დიდებული“, „ჩინებული“ და ა.შ. ამგვარი ეპითეტები – მეტონიმიური ეპითეტებია. აქ რომანტიკული ორპლანიანობა, სივრცისა და დროის დანაწევრება, თავისთავად, უკვე მეტონიმიური პრინციპის, მეტონიმიური აზროვნების დადასტურებაა.

სტილური ეკლექტიზმის გამო **აღ. ჭავჭავაძის** შემოქმედება უნდა მივაკუთვნოთ რომანტიზმს, რადგან პოეტის ყველა ნაწარმოების ერთიანი ტექსტის სახით (ანუ სინქრონულ ჭრილში) განხილვის შემთხვევაში თავს იჩენს სხვადასხვა „ხმის“ თანაარსებობა, ავტორის ცნობიერებაში არსებულ თვალსაზრისთა მრავალგვარობა, ეს კი სწორედ რომანტიკულ ლიტერატურას ახასიათებს.

საყურადღებოა სიყვარულის **აღ. ჭავჭავაძის**ეული კონცეფცია. ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა“ უშუალოდ მიგვანიშნებს, რომ „ბერი, ერი, მეფე, ყმაცა“ სიყვარულს კი არ განიცდიან, არამედ – „ჰმონებენ“, რაც გულისხმობს ადამიანთა იერარქიული სოციალური და ა.შ. როლებისა და ფასეულობების ურთიერთშენაცვლებას. ის დაღმასვლით, ზემოდან ქვემოთ ხორციელდება („მეფე მონას ეყმოს“, „...ბრძენი ხელად რებდეს“). მაშასადამე, სიყვარული მხოლოდ სახელწოდებაა იმ გარეშე ძალისა, რომელიც განახორციელებს ცხოვრების წესის შეცვლას, მის თავდაყირა შეტრიალებას. ესაა ტიპური კარნავალური სიტუაცია.

კარნავალურ სიტუაციას **აღ. ჭავჭავაძე** „აღრეულებას“ (რაც თითქმის ზუსტად შეესაბამება ბახტინისეულ გამოთქმას „несвоязность миропорядка“) უწოდებს.

კარნავალურ სიტუაციას შეესაბამება რომანტიკული გროტესკის პოეტიკა, რომელიც გამოყენებულია **აღ. ჭავჭავაძის** პოეზიაში. რომანტიკულ გროტესკში სხეულის ნაწილთა, როგორც დამოუკიდებელი ობიექტების ასახვა ემყარება სინეკდოქეს პრინციპს, მაგრამ წარმოად-

გენს მის უტრირებულ გამოხატულებას. კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ქალის სხეულის ნაწილი თვით ამ ქალის ერთგვარ ორეულად გვევლინება, რადგან ტრფობის ობიექტად დასახელებულია სწორედ ეს ნაწილები (ტანი, ბაგეები, თვალები, ღაწვები, ნელი, „თმა-მდიდარი“ თავი და ა.შ.). ამგვარად, ობიექტს – ქალის ხატს – აქ ბინარული სტრუქტურა აქვს, ეს კი მეტონიმიური პოლუსის გამოვლინებაა.

(შევნიშნავთ, რომ გროტესკული ორსხეულებრიობის ერთგვარ დაღს ატარებს ნიკ. ბარათაშვილი „მერანიც“. ლექსის ცენტრალური სახე ერთიანობის ილუზიას გვიქმნის, ამიტომ მკვლევრები დიდხანს ვერ ამჩნევდნენ მის გაორებულ სტრუქტურას – იმას, რომ ნაწარმოებში მხედარსა და მერანს ურთიერთსაპირისპირო ნიშან-თვისებები და ბედ-იღბალი მიენერება; რომ მხედარს აქ, ფაქტობრივად, პასიური როლი განეკუთვნება, მერანს კი – აქტიური; რომ ისინი ერთმანეთის ორეულებია; გროტესკული გაორება აისახა, აგრეთვე, ლექსებში „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“. ამასთან, ნიკ. ბარათაშვილთან ორსხეულებრიობა ლირიკული გმირის შინაგან, სულიერ გაორებადაა ტრანსფორმირებული).

ადამიანის სხეულის ნაწილთა გროტესკული განკერძოება, ორსხეულებრიობა, სამყაროს დანაწევრება „საკუთარ“ და „უცხო“ სამყაროებად მონაწილად, რომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მეტონიმიურობა.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გროტესკული რეალიზმის (რომელსაც ბახტინი რაბლეს შემოქმედების საფუძველზე ახასიათებს) ნიშნები ვლინდება ე.წ. „ქალაქურ“ ლექსებში („არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „საათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, მუხამბაზები და ა.შ.). ამ ნაწარმოებთა შეუსაბამობა რომანტიკული მსოფლალქმისადმი შენიშნა ჯერ კიდევ კ. აბაშიძემ.

მუხამბაზში „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“ ასახულია კარნავალური სიტუაცია – ცხოვრების ძველი მეფეები დაემხნენ და მათი ადგილი დაიკავა მასხარა, ბრიყვმა, მდაბიო ბეჟანამ. ახალი „მეფე“ სიხარულით ემზადება თავისი ადგილის დასაკავებლად კარნავალურ ლხინში. ამავე ხასიათისაა „მირზაჯანას ეპიტაფია“. მირზაჯანა, დიმიტრი ონიკაშვილი, ლოპიანა ზეიმობენ და თავს იწონებენ თავიანთი ღირსებებით, რომლებიც განეკუთვნება არა „მაღალ“ სფეროს (კულტურა, განათლება, არისტოკრატიზმი და ა.შ.), არამედ, სიტყვასიტყვით, „დაბალს“ ე.ი. სხეულის ქვედა ნაწილებს (კუჭი, მუცელი). „ადამიანის ტრადიციული ხატი, – წერს ბახტინი, – გარდაისახება მისი ცხოვრების არაოფიციალური და არასიტყვიერი სფეროების ხარჯზე“. მეცნიერი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ გროტესკულ რეალიზმში ხორციელდება

ფიზიკური ცხოვრების აქტების ჰეროიზაცია და ჰიპერბოლიზაცია, და სწორედ ამგვარადაა ასახული ეს „აქტები“ გრ. ორბელიანის „ქალაქურ“ ლექსებში, რომელთა გმირები თავს იწონებენ სმა-ჭამასთან, ლხინთან და ფიზიკური ცხოვრების სხვა ასპექტებთან დაკავშირებული ღირსებებით.

აღ. ჭავჭავაძეც და გრ. ორბელიანიც იყენებენ ორ განსხვავებულ ენას მათი შემოქმედების ორ ურთიერთგანსხვავებულ ნაწილში, როდესაც გამოხატავენ ორ ურთიერთგანსხვავებულ მსოფლალქმას.

გრ. ორბელიანის რომანტიკული ნაწარმოებების ლექსიკა და ინტონაცია „მაღალი“ სტილითაა აღბეჭდილი, ისევე, როგორც აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსები. მეორე მხრივ, გრ. ორბელიანის „ქალაქურ“ ლექსებში ლირიკული გმირის მეტყველების კილო საზეიმოა, ხმამაღალი, საჯარო („площадный“, ბახტინის ტერმინოლოგიით), ხოლო აღ. ჭავჭავაძის ის ქმნილებები, რომლებშიც აისახა გროტესკული რეალიზმის პოეტიკა, მარტივი, ხალხური, „მდაბიური“ ენით გამოირჩევა. ამგვარი ორენოვნება, როგორც ბახტინი მიუთითებდა, კარნავალური მსოფლალქმის გამოხატულებაა.

უნდა მივუთითოთ აღ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რომანტიკული გროტესკისა და გროტესკული რეალიზმის პოეტიკის ასახვის მიზეზები, რაც იმას ნიშნავს, რომ პოეტიკას განვიხილავთ, როგორც პოეტის შემოქმედების როგორც ერთიანი სისტემის ორგანულ ელემენტს, რომლის იზოლირებული განხილვა მინიმალური ინფორმაციის მატარებელია.

საქმე ისაა, რომ კარნავალური სიტუაცია ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარი შეზღუდვებისგან, თუ არ ჩავთვლით თვით კარნავალის კანონებს, პიროვნების თავისუფლება კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლოზუნგია, რომელიც რომანტიზმმა წამოაყენა. შესაბამისად, ლიტერატურის კარნავალიზაცია ასახავს პიროვნების სწრაფვას აბსოლუტური თავისუფლებისაკენ, მათ შორის – ეროვნული თუ სოციალური ტრადიციებისა და პირობითობებისგან თავის დახსნისკენ ლტოლვას.

საინტერესოა „მე“-ს კონცეფცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ტრადიციულად, აღიარებულია, რომ რომანტიზმმა შეიმუშავა პიროვნების ახლებური კონცეფცია და, კერძოდ, გამოავლინა ადამიანის სულიერი სამყაროს მთელი წინააღმდეგობრიობა და სირთულე. რომანტიკულ ლიტერატურაში პიროვნების „მე“ გარკვეული სიმრავლის (რამდენიმე „მე“-ს) სახით წარმოგვიდგა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ორეულების პოეტიკის“ დამკვიდრებას.

XX საუკუნეში განხორციელებულ სემანტიკურ კვლევათა შედეგად აღმოჩნდა, რომ „მე“ განუმარტავი სიტყვაა. ორიგინალური სემანტი-

კური თეორიის ავტორმა, ა. ვეჟბიციკამ მიზნად დაისახა, გამოეყვინა ის სემანტიკური ერთეულები („პრიმიტივები“), რომლებიც, თავისთავად, განუმარტავია (ინტუიციურად ცხადი მნიშვნელობისაა) და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ნებისმიერი სიტყვის ან გამონათქვამის განმარტება. მეცნიერმა დაასაბუთა, რომ ერთ-ერთი ამგვარი „პრიმიტივი“ არის სიტყვა „მე“ (ვეჟბიციკაია 1997).

ამგვარად, „მე“-ს კონცეპტის მნიშვნელობა გამოიხატება ტავ-ტოლოგიური გამოთქმით – „მე“ არის „მე“, ან „მე“ ვარ „მე“.

მაგრამ „მე“ ვარ „მე“ არის იმ ფილოსოფიური მოძღვრების პირველი (სამიდან) დებულება, რომელმაც, ფ. შლეგელის თვალსაზრისით, ბიძგი მისცა რომანტიზმის წარმოშობას. ესაა ი. გ. ფიხტეს „ზოგადი მოძღვრება მეცნიერების შესახებ“. ვეჟბიციკას თეორიის მსგავსად, ფიხტესთან უთვისებო (განუმარტავი), თვითიგივეობრივი „მე“-ს ცნება გარკვეული კონცეფციის ლოგიკური საფუძველია.

ფიხტე მოუწოდებს მკითხველს: „ჩასწვდი საკუთარ თავს, მოაცილე მზერა ყველაფერს, რაც შენ გარშემოა, და მიმართე ის საკუთარი თავისკენ“ (ფიხტე 1993: 448).

პიროვნების გარემოს (იმას, რაც „მის გარშემოა“) წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, „შენ“, ანუ მისი უახლოესი სოციალური გარემო. როდესაც „მე“ „მზერას აცილებს“ ამ გარემოს, „შენ“ გადაინაცვლებს თვით „მე“-ს ფარგლებში და იქცევა მის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტად. წარმოიქმნება პიროვნების „მრავალკომპონენტიანი“, ბინარული სტრუქტურა, მის გარშემო კი – სოციალური ვაკუუმი. როგორც ჩანს, სწორედ ამაში მდგომარეობს რომანტიზმში „ორეულების პოეტიკისა“ და მარტოობის მოტივის პოპულარობის მიზეზები.

ფიხტეს მოძღვრების პირველი დებულების მიხედვით, სამყაროს ლოგიკური ცენტრია „მე“, ე.ი. სხვა „საგნები“, გარემო არ არსებობს. შესაბამისად, რომანტიკულ ლიტერატურაში მკვიდრდება სამყაროს ასახვის იმგვარი ხერხი, რომელიც წარმოაჩენს მის იდუმალებას (უთვისებობას). პეიზაჟი ძირითადად „ლამეულია“, ბინდშია ჩაფლული. ასეთია გრ. ორბელიანის „სალამო გამოსალმებისა“, ნ. ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და „შემოღამება მთანმინდაზედ“, სადაც სამყარო გაზრებულია, როგორც „ბნელით მოცული“, თვისებრივად განუსაზღვრელი მოცემულობა. ბარათაშვილი ხშირად მიმართავს, აგრეთვე, საგნებისა და მოვლენების თავისუფალ პრედიკაციას, ისე, თითქოს სამყაროში არ არსებობდეს კონკრეტული საგნები მყარი ნიშან-თვისებებით.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში სამყაროს ხატი გაუცხოებულია მეტონიმიებისა და სინეკდოქეების მეშვეობით. საზოგადოდ, სამყაროს გროტესკული ასახვა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედე-

ბაში ეფუძნება ამ სამყაროსგან „მზერის აცილების“ ან მისი დეფორმაციის პრინციპს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილოსოფიაში (გერმანულ ფილოსოფიაში) „მე“-ს ახალი კონცეფციის შემუშავებასთან ერთად, ის ყალიბდებოდა ლიტერატურაშიც, ესე იგი, ეს პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა აბსტრაქტულსა და მხატვრულ აზროვნებაში.

რომან იაკობსონის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან მეტაფორისა და მეტონიმიის (სინეკდოქეს) წარმოქმნის პრინციპები განაზოგადა და ივარაუდა, რომ განსხვავებული ლიტერატურული სისტემებისთვის დამახასიათებელია (არა მარტო ტროპების დონეზე, არამედ, ზოგადად, მხატვრული აზროვნების დონეზეც) უპირატესად სინთეზური, ან კიდევ – უპირატესად ანალიზური აზროვნება. მაგრამ თვით ამ კონკრეტული ლიტერატურული სისტემების დახასიათებისას ის, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა მხოლოდ იმას, თუ რა სახის ტროპები ქარბობს თითოეულ სისტემაში. ამიტომაც მიაჩნდა, რომ „რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სკოლებში გაბატონებული იყო მეტაფორა“, ეს კი ეწინააღმდეგება თვით მისი კონცეფციის ზოგად აზრს, რაც ნათლად გამოვლინდა ჩვენ მიერ განხორციელებულ კვლევაში.

ბუნებრივად წარმოიშობა კითხვა, ხომ არ განაპირობა ქართული რომანტიზმის მეტონიმიურობა გარკვეულმა ლიტერატურულმა კონტექსტმა – მაგალითად, ბესიკისა და ე.წ. ქალაქური პოეზიის ტრადიციებმა და არა თვით რომანტიკული მსოფლალქმის თავისებურებებმა. ტროპების დონეზე, შესაძლებელია, ეს ვარაუდი სამართლიანად მოგვეჩვენოს, მაგრამ, როგორც ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, მეტონიმიურობა ქართულ რომანტიზმში ვლინდება არა მარტო ტროპების, არამედ – მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურის, მოტივების, სტილისა და მსოფლალქმის დონეებზე. შესაბამისად, ტრადიციული ტროპები ამ ახალ სისტემაში – ქართულ რომანტიკულ პოეზიაში – ახალი ფუნქციებით აღიჭურვებიან და ამ სისტემის კანონზომიერ ელემენტებად იქცევიან. ფორმალურად ერთგვაროვანი ელემენტები სხვადასხვა სისტემაში – თუნდაც ქალაქურ პოეზიაში და ბესიკთან – ფუნქციურად განსხვავებულნი არიან და ფორმალური მსგავსება აქ არაფერს ნიშნავს. ამიტომ, განურჩევლად იმისა, ექნებოდა ამგვარი კონტექსტი თუ არა, ქართული რომანტიზმი, როგორც სისტემა, მაინც (შესაძლოა, რამდენადმე განსხვავებული სახით) მეტონიმიური იქნებოდა, რადგანაც ეს, როგორც ჩანს, რომანტიზმის საერთო პრინციპია.

## დამონებიანი:

**ასათიანი 1974:** ასათიანი გ. „ვეფხისტყაოსნიდან“ „ბახტრიონამლე“. თბილისი: 1974.

**ვეფხისტყაია 1997:** Вежбицкая А. *Язык. Культура. Познание*. Москва: 1997.

**იაკობსონი 1990:** Якобсон Р. О. Два аспекта языка и два типа афатических нарушений. // *Теория метафоры*. Москва: 1990.

**ფიხტე 1993:** Фихте И.-Г. *Сочинения* в 2-х томах, т. 2. Москва: 1993.

## TRISTAN MAKHAURI

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### “Erlking” by Goethe and Folklore Legends about Evils Comparative Analysis of German and Georgian Materials

Comparative study of Georgian and German folk texts showed that Johann Wolfgang Goethe not only applied to the materials of folklore while writing “Erlking”, but he also created two completely different types of people: the father who is firmly standing on the roots of life and mentioning the mythologic creature is just a mirage to him, and the victim sick child of the evil spirit of the woods, for whom the revelation of the Erlking is already an avid reality .

**Key words:** Erlking, tkashmafa, witch.

## ტრისტან მახაური

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### გოეთეს „ტყის მეფე“ და ხალხური თქმულებები ავსულებზე გერმანული და ქართული მასალის კომპარატივისტული ანალიზი

გერმანული რომანტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ხალხური სიტყვიერების მიმართ; ისინი იკვლევენ და თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში შემოქმედებითად იყენებენ ფოლკლორულ ტექსტებს. ერთ-ერთი მათგანია იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რომელსაც ეკუთვნის ბალადა „ტყის მეფე“. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშ-

ნულია, რომ გოეთე მსგავსი სახის დანიურ ბალადას გაეცნო ჰერდერის კრებულიდან „ხალხის ხმა სიმღერებში“, დახვეწა იგი და აამაღლა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გოეთეს აღნიშნული ნაწარმოები გერმანული ხალხური რწმენა-წარმოდგენებითაც საზრდოობს. მაგრამ სანამ უშუალოდ გოეთეს აღნიშნულ ნაწარმოებს განვიხილავდეთ, უნდა გავიხსენოთ ჰერდერის ბალადა, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წინ უსწრებდა გოეთეს მხატვრული შედეგის შექმნას.

გერმანული ბალადების მკვლევარნი მიუთითებენ, რომ ჰერდერის „ტყის მეფის ქალიშვილი“ წარმოადგენს დანიური ბალადის სიუჟეტის გადამუშავებულ ლიტერატურულ ვარიანტს. ჰერდერმა იგი დანიური ენიდან გადმოთარგმნა 1773 წელს, მნიშვნელოვნად გადაამუშავა და შემდეგ დაბეჭდა კრებულში „ხალხური სიმღერები“ (1778-79). კრებული მეორედ გამოიცა 1807 წელს და, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამჯერად მას ეწოდა „ხალხის ხმა სიმღერებში“ (გერმანული ბალადები 1958: 242).

ჰერდერის ბალადის მიხედვით ბატონი ოლუფი ღამით მიემგზავრება, რათა მეორე დღისთვის ქორწილში დაჰატიყოს ხალხი. მისი გზა გადის ტყეზე, სადაც ელფებს ცეკვა გაუმართავთ, მათ შორის იმყოფება ტყის მეფის ქალიშვილი, რომელიც საკუთარ გულს სთავაზობს ოლუფს და სთხოვს, მასთან ერთად იცეკვოს. ოლუფი მტკიცე უარზეა – ხვალ ჩემი ქორწილია და შენს სიყვარულს ვერ გავიზიარებო. ტყის მეფის ქალიშვილი მაინც არ ეშვება და ახლა უკვე სთავაზობს მდიდრულ ტანსაცმელსა და ოქრო-ვერცხლს, მაგრამ ოლუფი კვლავ მტკიცე უარზეა. მაშინ განრისხებული ტყის ავსული ოლუფს დანყევლის:

„ოლუფ, რაკი არ გქონია ჩემთან ცეკვის ნება,  
თანამგზავრად აგყოლოდეს მაშ ჭირი და სნება!“ –  
ეს უთხრა და მოყმეს გულზე დაჰკრა ხელი მძაფრად,  
ოლუფს ჯერ არ დასწოლია ასე მძიმე ზაფრა.  
შემდეგ შესვა და შესძახა: „გააქროლე ცხენი!  
ნადი, ნახე საყვარელი საპატარძლო შენი“.  
(გერმანული ბალადები 1961: 99-102)

ოლუფი მომაკვდავი სახით ბრუნდება სახლში. დედა შეეკითხება ჭმუნვის მიზეზს. ოლუფი პასუხობს, რომ ტყის მეფის ქალიშვილი ნახა და სასიკვდილოდ განწირული ვაჟი მშობელს ანდერძად უბარებს: ხვალ ჩემს პატარძალს თუ ვერ დავხვდი, უთხარი, რომ სანადიროდ წავედიო. მეორე დღით მის სახლში გამოცხადებული პატარძალი სუდარაში გახვეულ ოლუფის ცხედარს ნახავს. ასე ტრაგიკულად მთავრდება ეს



ბალადა. მაშასადამე, ოლუფი დალუბა ტყის მეფის ქალიშვილის სიყვარულზე უარის თქმამ.

ახლა ჯერ გავარკვიოთ, რა სახის არსებაა ტყის მეფის ქალიშვილი და მისი თანმხლები ელფები, რომლებმაც მოაჯადოვეს და დალუპეს ოლუფი.

ელფები ზღაპრული ხალხია გერმანულ, სკანდინავიურ და კელტურ მითოლოგიაში. სხვადასხვა ქვეყნის ხალხში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და იყოფიან ნათელ და ბნელ ძალებად. კეთილი ელფები არიან ნათელი ფერის ქერათმიანი არსებები, რომლებიც ადამიანებს ემეგობრებიან. ისინი იმყოფებიან ჰაერში, მიწაზე, მთებში, ტყეებში და ადამიანთა საცხოვრებლებშიც კი. ელფები უნახავთ ყვავილებზეც, ხეებზეც, რომელთა მოჭრა სასტიკად აკრძალულია. უყვართ ფერხული მთვარის შუქზე. მათი მუსიკა ხიბლავს და აჯადოებს მსმენელს. ძალუძთ არაცოცხალი ბუნების აცეკვებაც. ეს მითოლოგიური არსებები ძირითადად დაკავებული არიან ქსოვით. მათი ძაფია მფრინავი აბლაბუდა.

ხალხური რწმენით, ელფებს ჰყავთ მეფე, შედიან ომში და ა.შ. ბნელი ანუ ბოროტი ელფებია გნომები, მიწისქვეშა მჭედლები, რომლებიც აურაცხელ განძს ფლობენ. შუასაუკუნეებრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ელფებს ხედავენ ბუნების სტიქიის ყოველ გამოვლინებაში; ხალხი იცნობს ცეცხლის სულებს, ჰაერის სულებს, წყლის სულებს და მიწის სულებს (მსოფლიოს ხალხთა მითები 1982: 661).

ტყის მეფის მსგავსი პერსონაჟი გერმანულ მითოლოგიაში არის ლორელი. მისი სახე ცხადადაა მოცემული ამავე სათაურის მითოლოგიურ ბალადაში. ეს ჯადოქარი ქალწული ცხოვრობს მდინარე რაინის პირას, მაღალ კლდეში. მთვარის შუქზე ის ულამაზესი სახით და ოქროს ნაწნავებით ერვენება ნაოსნებს, ხიბლავს და იტყუებს ღრმა მორევისაკენ, სადაც ისინი იღუპებიან. ამ ჯადოქრის სახელია „ლორე“ ანუ „ლურე“, ხოლო „ლაი“ გერმანულად ნიშნავს კლდეს. მაშასადამე, ეს არის კლდის ავსული. „ის იმავე საქმეს აკეთებს, რასაც ქართულ-სვანური დალი: ხიბლავს და მერე ღუპავს რჩეულ ვაჟაკებს – ცხადია, სხვა გარემოებაში“ (გერმანული ბალადები 1961: 317).

ლორელაის შესახებ გერმანულ ფოლკლორში არსებობს პროზაული გადმოცემებიც. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, მისი ჯადოსნური ამბავი მოისმინა მეზატონე პფალცგრაფის ვაჟიშვილმა „და გულში უცხო ქალწულის სიყვარული ჩაუფარდა. ნადირობა მოიმიზეზა, ვეზელთან მივიდა და იქიდან რაინს დაჰყვა დაღმა. მზე უკვე ჩასული იყო და ცარგვალზე პირველი ვარსკვლავები აციმციმდნენ, როცა მისი ნავი ლორელაის მიუახლოვდა.

- შეხედეთ, წყეული ჯადოქარი! ნამდვილად ისაა! – შესძახა მენავემ. ჭაბუკმაც დაინახა, როგორ იჯდა კლდის ქიმზე, ნაკადის მახლობლად, მშვენიერი ქალწული და თავისი ოქროს თმისათვის გვირგვინს წნავდა. მალე მისი ხმაც გაიგონა და მოხიბლულმა მენავე აიძულა, ნავი კლდესთან მიეყვანა. ხმელეთზე გადახტომას და ქალწულის შებოჭვას აპირებდა. მაგრამ საკმაოდ შორს ვერ გადახტა, წყალში ჩაეშვა, ნაკადმა ჩაიხვია და ტალღებმა ზედ გადაუარეს.

პვალცგრაფს ეს სამწუხარო ცნობა მალე მიუტანეს; ტკივილმა და რისხვამ შეუკუმშა გული უბედურ მამას. ქალაქს უბრძანა, მკვდარი ან ცოცხალი მომგვარეთო ჯადოქარი“ (გერმანული მითები 1986: 186-187).

ამ ბრძანების აღსრულება ერთ კაპიტანს დაევალა, რომელმაც შეკრიბა მამაცი ადამიანები და ქალწულის შესაპყრობად გაეშურა.. ქალწული კლდის თავზე იჯდა და ხელში კრიალოსანი ეჭირა. მდევართა მიახლოებისთანავე მან „კრიალოსანი სიცილით გადაისროლა ტალღებში და საშინელი ხმით ამღერდა:

სწრაფად, მამიკო, შენ არ დაშრები,  
ქალწულს მახლეთ თეთრი რაშები –  
ქარსა და ტალღებს ვეთამაშები!

უეცრად ქარიშხალი ამოვარდა, რაინი ახმაურდა, აშრილდა, ნაპირი და კლდე თეთრი შხეფებით დაიფარა, რაინიდან ორი მძლავრი თეთრი ზვირთი ავარდა კლდის თავზე, თეთრი რაშების მსგავსი, ქალწული ჩაიხვიეს და მდინარისაკენ ელვის სისწრაფით დააქანეს. იქ ქალწული გაუჩინარდა...

იმ დღიდან ლორელაის ქალწული აღარავის უნახავს“ (გერმანული მითები 1986: 187).

ლორელაი ცდილობს ტრფობის ბადეში გაახვიოს ადამიანი და დაღუპოს. ტყის მეფის ქალიშვილთან ეს ტენდენცია მაინცდამაინც გამოკვეთილი არ არის, არ ვიცით, რა ბედს მისცემდა ოლუფს, ის რომ დათანხმებოდა მას სიყვარულზე.

ქართულ მითოლოგიაში ტყის მეფის ქალიშვილის მსგავსი დემონური არსებაა მეგრული ტყაშმაფა (ტყის დედოფალი). იგიც ცდილობს სატრფიალო ურთიერთობა დაამყაროს ვაჟკაცებთან და ვინც მის სურვილს დაჰყევება, ყველგან ხელმომართულია. მოვიხმოთ რამდენიმე გადმოცემა:

„...ტყაშმაფა ლამაზი ქალია (ცირა). ტანზე თხელი თმა აქვს. თმა ორივე ფეხის კოჭებამდე სცემს. ქალებს არ ერჩის. მარტო ლამაზ ბი-

ჭებს დასდევს. რამეს რომ გეტყვის, პასუხი არ უნდა გასცე. თითებით გაჩვენებს, თუ რამდენ წელს უნდა იყვე მისი ბრძანების ქვეშ. შენც თითებით უნდა უთხრა. სამი თითი სამ თვეს ნიშნავს, შვიდი თითი – შვიდ თვეს და ა.შ.

ერთხელ ერთ კაცს შეხვედრია ეკის ტყეში ტყაშმაფა. ეს კაცი მოსწონებია ტყაშმაფას და ლაპარაკი დაუწყო. კაცს ვერ მოუთმენია და პასუხი გაუცია. ტყაშმაფას ჭკუიდან შეუშლია ის კაცი“ (ქართული მითოლოგია 1992: 89).

კაცი დაისაჯა იმის გამო, რომ არ დაიცვა ტყაშმაფასთან მუნჯური ურთიერთობის წესი. ახლა ვნახოთ, როგორ ცხოვრობს მამაკაცი ტყაშმაფასთან და რა უნდა მოიმოქმედოს მისი ოჯახის ჭკვიანმა წევრმა, თუ ტყაშმაფასა და თავისი ახლობლის ინტიმური ურთიერთობის ამბავს შეიტყობს და ფაქტის წინაშე დადგება: „ტყაშმაფას ჩემი ბიძა შეხვედრია და თითით თორმეტი თვე უჩვენებია. ბიძას სამ თვემდე ჩამოუყვანია და ამ სამ თვეს სულ ტყაშმაფასთან ყოფილა.

ერთ დილას დედას უნახავს მისი შვილი და ტყაშმაფა სასიმიდგეში მწოლარე. ტყაშმაფას თმა მიწაზე ჩამოშლოდა. დედას არაფერი უთქვამს. მიმხვდარა, თუ რაში იყო საქმე. მოუწველია ძროხა, რძით სავსე ვედროში ტყაშმაფას თმა დაუბანია. ტყაშმაფას გამოღვიძებია და ორივე – დედა და შვილი დაულოცია“ (ქართული მითოლოგია 1992: 89).

სამეგრელოში ფართოდაა გავრცელებული გადმოცემები და ლექსები განთქმული მონადირის – მახუტელას შესახებ. ერთხელ სანადიროდ წასულმა მახუტელამ ოჩოკოჩი დაჭრა და ტყაშმაფა გადაარჩინა. „მოვიდა ტყაშმაფა მახუტელასთან და უთხრა: მე რასაც გეტყვი, ხმის გაუცემლად შეასრულეო. ჩამოდი ხიდან, წადი სახლში, შენი ბელის სხვენზე ლეიბ-საბანი დააგე და მეც იქ მოვალო. შენი პატივისცემა უნდა გადაგიხადოვო. მახუტელამ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ტყაშმაფამ უთხრა და სამ ღამეს მასთან ცხოვრობდა“ (ქართული მითოლოგია 1992: 88).

ქართულ ზღაპრებსა და მითებში მონადირის ცოლი ხშირად საქმის წამხდენი და მონადირის დამლუპველია, ამ გადმოცემაში კი პირიქით არის: „მესამე დღეს მახუტელას ცოლმა ბელის სხვენში ტყაშმაფასთან მწოლარე მეუღლე ნახა. თხები მოწველა, მათი რძით თმები დაუბანა ტყაშმაფას, დაუნნა და თავთან დაუწყო. „გაეღვიძა ტყაშმაფას, გააღვიძა მახუტელა და უთხრა: – მახუტელა, ჩემი მხრიდან ალობა (თავისუფლება, შეწყალება) მიმიციაო. დამილოცინხარ ერთი ბედიოთ. რახან შენმა ნადირობამ მე სიცოცხლე შემინარჩუნა, გქონდეს ნადირობის ბედიო, შენი ნასროლი ტყვია ნადირს არ აცდენოდესო. მახუტელა სახელგანთქმული მონადირე გახდა“ (ქართული მითოლოგია 1992: 89).

აღმოსავლეთ საქართველოში ტყაშმაფას სახელს არ იცნობენ, სამაგიეროდ აქ იციან ალების შესახებ გავრცელებული გადმოცემები. ტყაშმაფას მსგავსად ალიც ცოლად წაყვანას სთხოვს მამაკაცს: „ერთი ჩვენი სოფლის მოხუცისგან მაქვს გაგონილი: ლიახვგალმიდან, სოფელ შერთულიდან მოვდიოდი და გაშლილ სუფრასთან ქალებს ფერხული ჰქონდათ გამართული, ცეკვავენ. მეც მიმინვიეს, მაცეკვეს. ბოლოს ერთი ქალი გამომყვა უკან და მითხრა: თუ გინდა, ბედნიერი იყო, ცოლად წამიყვანეო. ხელი რომ გავიქნიე, არაფერი არ იყო, ქალი გაქრაო. ამის შემდეგ ის კაცი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა“ (ქართული მითოლოგია 1992: 60).

კაცს იმ შემთხვევაში შეუძლია ალის დამარცხება და დამორჩილება, თუ მას ფრჩხილებსა და ნაწნავებს დააჭრის და მალულად შეინახავს. ალის ძალა ხომ ფრჩხილებსა და ნაწნავებშია. ერთი კაცი, სახელად გაბრიელი, ცოლად ირთავს ალს, რომელიც თიბვის დროს ბაძავდა და აჯავრებდა. გაბრიელი გაბურის მსგავსად იქცევა: ატყუებს ალს, აჭრის მარჯვენა მხრიდან თმის ნაწილს, მარცხენა ხელზე წამოზრდილ ფრჩხილს და ჩუმად ინახავს კერიის ქვეშ. ალი, როგორც ერთგული ცოლი, ისე ემსახურება გაბრიელს, რომელიც 50 წლის ასაკში დაქვრივდა. ერთხელ გაბრიელზე გაბრაზებული შვილიშვილი ალს გაუმხელს, სადაცაა დამარხული მისი თმა და ფრჩხილი. ალი ამოთხრის მათ, აისხამს და გაიქცევა“ (ქართული მითოლოგია 1992: 57-58). ხშირია შემთხვევა, როცა ფრჩხილებისა და თმის ასხმის შემდეგ ალი შურს იძიებს მის დამატყვევებელ ოჯახზე – ოჯახის წევრ ბავშვს ფრჩხილებით გაგლეჯს, ანადულებულ რძეში აგდებს და გარბის.

სასტიკია ალის შურისძიება ადამიანზე. ის ზოგჯერ უმიზეზოდ აშინებს და სხვადასხვა ხრიკით თუ ჯადოსნური ძალით ანადგურებს ოჯახის მომავალს. ერთი გადმოცემით, სოფელ მელვრეკისში, დედანაშვილების ოჯახში, ჰყავდათ ალი. „სანამ ეს ალი იმ ოჯახში ცხოვრობდა, ოჯახის არც ერთ წევრს ბავშვი არ შერჩა. წამოვიდოდა როგორც ქარი და ბავშვს გაარტყამდა ლოყაზე, ბავშვი კვდებოდა. მკითხავმა უთხრა: აქედან გადადით ისე, რომ არაფერი წაილოთო. მართლაც ასე გააკეთეს. მერე გაუჩნდათ შვილები და შერჩათ“ (ქართული მითოლოგია 1992: 59).

**Ружина 1967:** Ружина В.А. *Маяковский против религии.* Кишинев: «Карта Молдавенияскэ», 1967. 280 с.

**Семенова 2001:** Семенова С.Г. *«Новый разгромим по миру миф...» (Владимир Маяковский)* // Семенова С.Г. *Русская поэзия и проза 1920–1930-х годов. Поэтика – Видение мира – Философия.* М.: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001. С. 144–211.

Театральная газета, 1917.

**Устрялов 2010:** Устрялов Н.В. *Под знаком революции* // Устрялов Н.В. *Избранные труды* [сост., авт. коммент. В.Э. Багдасарян, М.В. Дворковая, авт. вступ. ст. В.Э. Багдасарян]. М.: РОСПЭН, 2010. С. 197–674.

**Ушаков, Семенова 2008:** Ушаков А.М., Семенова С.Г. *Владимир Маяковский // Русская литература 1920-1930-х годов. Портреты поэтов.* В 2 томах. Т. 1. Ред.-сост. А.Г. Гачева, С.Г. Семенова. М.: ИМЛИ РАН, 2008. С. 457.

**MAIA NACHKEBIA**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Pessimistic Discourse:  
Baroque Lamentations and Romanticism Reflections**

The researchers emphasize significance of baroque literature and its influence on the further literary traditions. Baroque is the area of dramatic confrontation of the world and individual: individual of baroque is not a perfect one, he is weak and follows his passions. As for romanticism one of its literary traditions is seeking of life truths, motif of transience and vanity of life, but the lyrical character of romanticism has complex and many-sided inner world. Both, baroque and romanticism reflect negative attitude to life, pessimism. Baroque authors express their negative attitude to life, their dissatisfaction with complaints, weeping and wail (lamentations). Unlike Baroque, in the romanticist art authors start to seek way out of the tragic situations, discussion and arguing. Therefore, their pessimistic attitude, though frequently placed within the Biblical context, is more contemplative, this is dialogue with one's own self and it is expressed by philosophical reflections. Compared with baroque lamentations Romanticism Reflections are less emotional and more balanced.

**Key words:** Baroque, Romanticism, Lamentations, Reflections.

**მაია ნაჭყეზია**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**პესიმისტური დისკურსი:  
ბაროკოს ლამენტაციები და რომანტიზმის რეფლექსიები**

მკვლევართა მიერ აღნიშნულია ბაროკოს ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი გავლენა შემდგომ ლიტერატურულ ტრადიციაზე, ხოლო ბაროკოს და რომანტიზმის ურთიერთმიმართების საკითხები ბოლო წლებში მკვლევართა ინტერესის სფეროში მოექცა და ყურადღებას იქვეცხს როგორც ამ ორი მხატვრული სისტემის მსგავსებანი, ისე განსხვავებანი. სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურებში ბაროკოს გავლენა რომანტიკოსთა შემოქმედებაზე მოტივებისა და სახეების ფუნქციონი-

რების დონეზე აისახა, სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ცხოვრების ამაოების, სწრაფწარმავლობის მარადიული საკითხებზე დაფიქრებით ბაროკოსა და რომანტიზმის ლიტერატურა ერთმანეთს ენათესავება.

**ბაროკო.** ბაროკო წარმოადგენს სამყაროსა და ადამიანის დრამატული დაპირისპირების მოედანს. სამყარო მასში წარმოდგენილია როგორც რალაც გრანდიოზული, დაუმორჩილებელი და სტიქიური, ხოლო ადამიანი კი ერთსა და იმავე დროს არის მისი გამუყოფელი ნაწილიც და მისი, ცხოვრებისეული ქარიშხლის მიერ დევნილი უმნიშვნელო მარცვალი. ადამიანი არ არის სრულყოფილი, იგი სუსტია და ვნებებს ემორჩილება, ეს კი ტრაგიკულია. ამიტომაც არის განმსჭვალული დიდი პესიმიზმით მთელი ბაროკო, მაგრამ არა მოწყინებით, რადგან არსებობს ღმერთი და მასთან ერთად უმაღლესი სამართლიანობა და ყოველივეს არსი. ბაროკოს წარმავლობის თემასთანაა დაკავშირებული ადამიანის განცდები, რომლებიც ალბეჭდილია ღრმა პესიმიზმით და საკუთერი უძლურობის შენებით.

ბაროკოს ავტორებისთვის დამახასიათებელია ცხოვრების უაღრესად დრამატული აღქმა და განსაკუთრებული ყურადღება ტრაგიკული მოტივებისადმი, რაც გამოიხატება შემოფოთებით, დაბნეულობით, განწირულობის განცდით. რომანტიზმის ლიტერატურული ტრადიციის ერთ-ერთ თავისებურებას კი ცხოვრებისეული ქმშარიტების ძიების, კერძოდ, ცხოვრების სწაფწარმავლობისა და ცხოვრების ამაოების მოტივი წარმოადგენს.

ტრაგიზმი ცხოვრებისულ წინააღმდეგობათა მხატვრული ათვისების ერთ-ერთი და, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი ფორმაა. გონებაგანწყობის თვალსაზრისით ტრაგიზმის მხატვრული გამოვლინებაა სევდა, ჭმუნვა, მწუხარება და თანაგრძობა. ტრაგიკულის საფუძველში ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფში მომხდარი გადაუჭრელი კონფლიქტები ძევს, მაგრამ მათთან შერიგებაც შეუძლებელია. საერთოდ, ტრაგიკულის ტრადიციული გაგება არისტოტელეს სახელს უკავშირდება („მსჯელობა ტრაგედიაზე“), ხოლო თეორიულ დამუშავებას კი ეს ცნება უნდა უმაღლობედ რომანტიზმის ესთეტიკასა და ჰეგელს. ტრაგიკული გმირი რომანტიზმში განიხილება, როგორც ძლიერი, მონოლითური, ერთიანი ადამიანი, რომელიც ცხოვრებასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდა და ამიტომ იგი ტანჯვისა და სიკვდილისთვის არის განწირული. ტრაგიკული ლიტერატურაში ერთდროულად ალბეჭდავს ადამიანური ღირებულებათა დაკარგვისა და გაუფასურების აუნაზღაურებლობას და, იმავე დროს, რწმენას ადამიანისადმი, რომელიც არის მამაცი და საკუთარი თავის ერთგული რჩება გარდაუვალი და-

მარცხების წინაშეც კი. ტრაგიკული სიტუაციები ასევე მოიცავს ადამიანის დანაშაულის განცდასა და გრძნობას. ტრაგიკულის ცნება უნივერსალურია ჰეგელთან, რომელის მოსაზრებების თანახმად ტრაგუკული გმირი უკვე მცხოლოდ იმიტომ არის დამნაშავე, რომ იგი დადგენილ და ჩამოყალიბებულ წესრიგს არღვევს ([http://www.capta.ru/book1100\\_33.shtml](http://www.capta.ru/book1100_33.shtml)).

**ბაროკოდან რომანტიზმისკენ.** ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სასულიერო მწერლობაში „ეკლესიასტეს“, მსოფლიო გოდების, ლირიზმის მოტივები. ქართული ბაროკოს ლიტერატურაში (ე.წ. „აღორძინების ხანა“ მკვეთრად იჩენს თავს ის ტენდენციები, რომლებმაც საფუძველი შეამზადეს რომანტიზმისთვის. საერო მწერლობის ამ თემას განზოგადებულად კ. კეკელიძემ „სოფლის მღურვის“ მოტივი უწოდა, ხოლო თუ ამ საკითხს ლიტერატურული მიმართულებებისა და მიმდინარეობების ტერმინოლოგიური აპარატით განვიხილავთ, ეს არის ის პესიმიზმი, რომელიც დამახასიათებელია ბაროკოს ლიტერატურისთვის საერთოდ და კერძოდ ბაროკოს პოეზიისთვის. აქვეა განსახილველი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე დაფიქრება და გამოსავლის ძიება, რომელსაც ბაროკოს ავტორები რელიგიური დოგმების დაცვაში ხედავენ. ამის შესანიშნავი ნიმუშია არჩილის „გაბასება კაცისა და სოფლისა“. თეიმურაზთან პირველად იჩენს თავს ინდივიდუალიზმი, ჩანს პოეტური და არა ანონიმური „მე“, პირადი განცდების გადმოცემა და პირადი ემოციების გამოხატვა, ხშირია შორისდებულები და ემოციური ექსკლამაციები.

ე.წ. „აღორძინების ხანის“ მწერლობის მნიშვნელობას ქართული რომანტიზმისთვის აღნიშნავდნენ თავის ნაშრომებში მეცნიერები: კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გ. ქიქოძე, პ. ინგოროყვა, გ. ჯიბლაძე, ა. განერელია, გ. ასათიანი, დ. გამეზარდაშვილი, განსაკუთრებით ვრცლად ეს საკითხი შეისწავლა და გააშუქა მანანა კაკაბაძემ წიგნში „ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები“ (კაკაბაძე 1983).

ქართველ მკვლევართა ნაშრომებში აღნიშნულია „ე.წ. აღორძინების ხანის“ მწერლობის მნიშვნელობა ქართული რომანტიზმისთვის, მაგრამ ამჯერად XVII-XVIII სს ქართულ ლიტერატურას ჩვენ განვიხილავთ როგორც ბაროკოს მხატვრულ სისტემას და გამოვყოფთ მის მთავარ მახასიათებლებს. ბაროკო ცხოვრებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით ატრის განმსჭვალული. წარმავლობის და ამაოების მოტივთანაა დაკავშირებული ადამიანის განცდები, რომლებიც აღბეჭდილია ღრმა პესიმიზმით და საკუთერი უძლურების შეგნებით. ხოლო რაც შეეხება რომანტიზმს, უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მან შექმნა

ისეთი თავისუფალი პოეტური ფორმები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციაზე და სრულყოფილად ასახავს იმ კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციას, რომელიც პოეტმა განიცადა: ეს არის ინდივიდუალური, ავტორისეული სახის, ავტორისეული ჰაბიტუსის შექმნა. ამოტომაც, რომანტიზმის ლირიკულ გმირს რთული და მრავალნახნაგოვანი შინაგანი სამყარო აქვს. ორივე მიმდინარეობაში, როგორც ბაროკოში, ისე რომანტიზმში აისახა ცხოვრებისადმი უარყოფით დამოკიდებულება, პესიმიზმი. სწორედ ქართული ბაროკოსა და რომანტიზმის ტექსტებში პესიმისტური დისკურსის შესწავლას და მისი თავისებურებების გამოვლენას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

მნიშვნელოვანი გარდატეხა მდგომარეობს იმაში, რომ რომანტიზმმა უარი თქვა ჟანრულ ნილაბზე და ინდივიდუალური, ავტორისეული სახე გამოავლინა. აქვე უნდა ითქვას, რომ რომანტიზმში ხდება მზა, დაშტამპული სტილური სიტყვიდან გადასვლა კონკრეტულობის მქონე სიტყვაზე, რომელიც ავტორისეულ ხედვას ასახავს და მასასადამე გვევლინება, როგორც ანბიჯი რიტრიკული აზროვნებიდან ინდივიდუალურ, ავტორისეულ აზროვნებაზე გადასვლისა. რომანტიკოსების მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ახალი ლირიკული გმირის აღმოჩენაც – გმირისა, რომელსაც აქვს რთული, მრავალნახნაგოვანი შინაგანი სამყარო.

რომანტიკოსი პოეტები მიმართავენ ლირიკული ემოციების ანალიტიკური დანაწევრების მეთოდს, სწავლობენ სხვადასხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობების მოტივებს, თვალს ადევნებენ მათ დინამიკას. ამის წყალობით რომანტიკოსების პოეზიამ შეიძინა შინაგანი კონფლიქტურობა და ახალი ლირიკული სიუჟეტი, ხოლო ლირიკული გმირის ემოციებმა — მძაფრი დაძაბულობა. პრინციპული მნიშვნელობის ახალი მოვლენა, რომლითაც აღბეჭდილია ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ეს არის ფილოსოფიური ლირიკა: ფილოსოფიური მედიტაციის, პოეტური რეფლექსიების ჟანრი, რომლის მიზანი და არსი პიროვნების თვითშემეცნება. რომანტიზმის ინტერესი ადამიანის პიროვნებისადმი უსაზღვროა და იგი მოიცავს ყოფიერების ფილოსოფიური ასპექტების, ბუნების საყოველთაო კანონების და კაცობრიობის ისტორიული განვითარების გააზრებას. მასასადამე, რომანტიზმმა პიროვნების სრულიად ახლებური კონცეფცია შეიმუშავა და გამოავლინა მისი შინაგანი სამყარო მთელი თავისი წინააღმდეგობებითა და სირთულეებით. თამარ ლომიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობა „მე“-ს კონცეფციას ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რომანტიკულ ლიტერატურაში პიროვნების „მე“ გარკვეული სიმრავლის (რამდენიმე „მეს“

სახით) წარმოგვიდგა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ორეულების პოეტის“ დამკვიდრებას, ამ რაკურსით აქვს მას განხილული ნილოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, სადაც „მეს“ ორული არის „შენ“ — მერანი. ლექსში ლირიკული გმირი პასიურია, ხოლო აქტიურობა, ქმედების უნარი დაკავშირებულია მწერანთან, რომელიც ლირიკული გმირს „ბედის სამზღვრისკენ“ მიაქროლებს (თამარ ლომიძე 2014: 95-103).

\* \* \*

აუცილებლად მიგვაჩნია ნაშრომში გამოყენებული იმ ტერმინების განმარტება, რომლებზეც შემდგომში მოხდება აპელირება.

### **Lamentatio → რელიგია → ბაროკო**

ბაროკოს ავტორები თავის უარყოფით განწყობას, უკმაყოფილებას ცხოვრებისადმი გამოხატავენ მღურვით, მოთქმითა და გოდებით, ამიტომ ამ უალრესად ემოციურ განწყობას ლამენტაციად მოვიხსენიებთ (ლათ. *lamentatio* -დან ტირილი, ვაება, გოდება). მას ლეიტმოტივად რელიგიური დოგმები გასდევს და ეს ორგანულია ღრმად რელიგიური ბაროკოს ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის, რომელიც ვითარდებოდა რელიგიური დაპირისპირებების ფორნზე. ამ ცხოვრებისეულ დაპირისპირებათა ათვისების და ემოციური შეცნობის ერთ-ერთი ფორმა ტრაგიზმია. განწყობის თვალსაზრისით მას შეესაბამება ჭმუნვა, დარდი და თანაგრძნობა. ამჯერად ქართულ ბაროკოს პოეზიაზე გვაქვს საუბარი კონკრეტულად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაგალითად ფრანგულ ბაროკოში ფილოსოფია და ფილოსოფიური აზრები პასკალის ფილოსოფიური ნააზრებიდან „აზრები“-დან შევიდა.

ამაოების მოტივი: „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (*Vanitas vanitatum, omnia vanitas...*). ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათთვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიეს. მასში დახატული ბრძენის სახე, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაზეც ადამიანმა შეიძლება იოცნებოს, განიცადა ყველაფერი და მივიდა დასკვნამდე: „რამეთუ ესეცა ამაო და ჯდომა სულისა!“ (ეკლესიასტე 2: 26). სამყაროს წრებრუნვა უცვლელია, ხოლო ღვთის გზები შეუცნობელი. ეკლესიასტეს ანტინომიურობა მაგნიტივით იზიდავდა ბაროკოს ეპოქის ავტორებს, რომელთათვისაც ანტიუზა სააზროვნო სისტემას წარმოადგენდა. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში ეკლესიასტე ადამიანის სულიერ ძიებებს პასუხობდა და ამიტომ იქცა მის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ამაოებას განცდა, ადამიანისა და მისი ყოფიერების წარმავლობის თემა ხშირად ისმის გრიფიუსის პოეზიაში: „რად მეძახით, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება, ყოფნა იცვლება



არყოფნით და სიამე — გლოვით!”. ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემას: „არაფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა” (ონორე დ'ურფი) (ნაჭყებია 2016).

თეიმურაზ პირველის და დავით გურამიშვილის პოეზიის ინდივიდუალში და გოდების კილო რამდენჯერმე იქნა დაპირისპირებული რომანტიკოსთა განწყობასთან (კაკაბაძე 1983: 160). თეიმურაზის, მეფისა და პიროვნების ტრაგიზმი და ბედის სიმუხტლე ეპოქალური ხასიათისაა. იგი თავისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს: საქართველოს სასტიკ ბედისწერას, ტრაგიზმით აღსავსე მოვლენებს. განცდების ამგვარი ექსტერიორიზაცია დამახასიათებელია ბაროკოს ლიტერატურისთვის. ამიტომაც, რომ ამ მიმართულებით ჩატარებულმა კომპარატივისტულმა კვლევებმა გამოავლინეს ის ფაქტი, რომ ე.წ. აღორძინების ხანის ლიტერატურა თავისი თემებით, მოტივებით, სტილური ხერხებით სრულად შეესაბამება ევროპილი ბაროკოს ლიტერატურას თავისი თვითმყოფადი, ეროვნული გამოვლინებებით. თეიმურაზ პირველით იწყება ახალი ეპოქა ქართული პოეზიის ისტორიაში, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ ბაროკოს. თეიმურაზმა შემოიტანა რიგი საკითხებისა და თემებისა, რომლებიც მანამდე არ არსებობდა ქართულ პოეზიაში, ახალმა ეპოქამ შემოიტანა ახალი თემები და მოტივები, სადაც წამყვანია კაცობრიობისთვის კარგად ნაცნობი განცდები და ტკივილები და მოთქმა ბედისწერის სისასტიკისა და დაუნდობლობის გამო (კაკაბაძე 1983: 162). ბაროკოს ლიტერატურული მიმდინარეობით განსაზღვრულ პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც ქართული საერო პოეზიისთვის მანამდე უცხო საკითხებს აყენებს. თეიმურაზის მიერ დამკვიდრებული, “სოფლის მღურვის” მოტივი, რომელიც იმანენტურია ევროპული ბაროკოსთვის. მან ზუსტან გამოხატა ეპოქის მაჯისცემა და მსოფლშეგრძნება და მსოფლალქმა“. ამ პერიოდისთვის, რომელსაც იმდენი ტკივილი ანუხებდა და ვერ ჰპოვებდა გამოსავალს და სულის შვებას, უცებ მთავრად შესაფერისი ფორმა მის კაემანთა გამოსახატვისთვის, სადაც შეეძლო სულის ნუხილთა გადმოღვრა და დაგუბებული სათქმელის აღმოთქმა. ეს იყო ის, რასაც ეძებდა მწუხარე, უბედურებისგან გაოგნებული სული და ჰპოვა ნუგეშად, მის ტანჯვათა გამომხატველად და შვებით ამოისუნთქა, ამიერიდან მოყოლებული, თეიმურაზისგან დანერგილი, “სოფლის სამღურავის” თემა იქცა ქალთველ პოეტთა საყვარელ თემად, რომელიც მათ სულიერ წონასწორობასა და მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გამოხატულებას მეტად კარგად შეესადაგა. ეს თემა საოცრად გაიზარდა, იგი განავრცო არა მარტო თეიმურაზთან ახლო მდგომმა პოეტთა წრემ და მისმა შემდგომმა, იმავე ეპოქასთან

დაკავშირებულმა პოეტებმა – ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი, არამედ თვით XIX საუკუნეშიაც, ამ თემის გამოძახილს ფართოდ ვხვდებით რომანტიკოსთა შემოქმედებაში – ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელის და სხვ. პოეზიაში. რომანტიკოსთა მთელმა პლედამ მიიღო თეიმურაზის მიერ დანერგული თემა და ამისთვის მათ ჰქონდათ საკმაო საფუძველი. თეიმურაზის მიერ ამოკენესილი სოფლისადმი მდურვა შესანიშნავად შეესადაგა ახალი მიმართულების პოეზიას, რომანტიზმის სახელით ცნობილს (კაკაბაძე 1983: 162-163).

თეიმურაზ პირველმა ცხოვრებით უკმაყოფილობა, სულიერი შფოთვა, ტანჯვა და იმავდროულად სარწმუნოების ერთგულების, რწმენის აუცილებლობა „სოფლის სამღურავში“ ამგვარად ჩამოაყალიბა:

*სულო ნიადაგ ნვლილდები, ლხინი აროდეს მოგვეცა,  
ტანჯვისა მზა არს ლახვარი, საკრავად გულსა მო გვეცა,  
გიჯობდა ეკლესიისა კარი ნიადაგ მოგვეცა,  
და ცრემლითა მოლი მოგერწყო, ტანს მუდა ძაძა მოგვეცა.  
(„სოფლის სამღურავი“)*

ან *შენ ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?  
ჯოჯოხეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი.  
შენთვის ყოვლგან ღირებულია, მზემან დაგკრას – მოელოდი  
და კერპთ-მსახურთა განვეშორენით, არსად გვხადოს მოელოდი.  
(„სოფლის სამღურავი“)*

*რად სოფელი, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე შენ დასადაგე?  
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე?  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენ და სად აგე?  
(„გაზაფხულისა და შემოდგომის შედარება“)*

ან *ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,  
და მას დაუდუმდეს ბაგენი, ველარვის შეუჭეხისა.*

თეიმურაზ პირველისთვის, მეფე მგოსანისთვის, მეფობა არ არის ბედნიერება, ტახტი, წუთისოფელი „უხანოა“, ხოლო მეფეთა ცხოვრება კი მწარე:

*სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია  
სხვა ვისმე ჩემნი პატიჟნი არც ვის კი ამბად სმენია.*

ვახტანგ მეექვსეს პოეზიაშიც საოცარი რელიეფურობით აისახა გამოუვალი მდგომარეობის სიმძიმე და უსასოობა:

*გამსაჯა მინყივ სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,  
არ შემინყალა არათი, არ გამომართვა აჯამა-მა,  
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, აჯამა,  
მწვე მომანყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა*

ან *დამწვა სოფლისა სცდურმან, ველარა სცემოს მაჯამა.*

გურამიშვილის შემოქმედებაში ლამენტაციის – მოთქმისა და გოდების შედეგრი, რა თქმა უნდა, ღრმად რელიგიურ თემას, ქრისტეს ჯვარცმას უკავშირდება. ქრისტიანული აღმსარებლობისათვის თითქმის ტრივიალურად ქცეული დახასიათებები, ისეთი ჩვეულებრივი ტერმინოლოგია, როგორიცაა კარგი, ავი, ბოროტი, კეთილი — გურამიშვილის ექსპრესიულ მეტყველებაში ერთმანეთში მიჯრით მიწყობილ ანტითეზებში მძლავრ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს.

*ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩინესო,  
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,  
მაცხოვრებელი შენ მათი წამწყმედად მიგიჩნიესო,  
დიდება მოთმინებასა, შენსა უფალო იესო.*

გურამიშვილი ბაროკოსთვის დამახასიათებელ ბინარული ოპოზიციების ოსტატია, თავის განცდების იგი ანტითეზათა წყვილებით გადმოსცემა:

*გული ღონდება, ვინყო გოდება,  
ვაი სანუთრო, ცრუი სოფელო,  
ბორენა-გოდება, რაც მაგონდება  
ვაი სანუთრო, ცრუო სოფელო!  
რად მშვა დედამან, შავმა ბედამან,  
ვაი სანუთრო, ცრუო სოფელო!*

ემოციური დატვირთვის, განცდების სიძლიერით კი ჩვენი აზრით, მისი ეს სტრიქონები გამოირჩევა, რომლებშიც ბაროკოს გახლეჩილი, გაორებული ადამიანის სულის ტრაგიკული განცდაა გადმოცემული და გამთლიანების ვედრება ისმის.

*თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?  
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?  
თუ ხარ სიცოცხლე, რაღა არს სიკვდილი?  
იყავ ერთ-ერთი, ინამე ღმერთი!*

### **Reflexio → ფილოსოფია → რომანტიზმი**

ბაროკოსგან განსხვავებით, რომანტიკოსების შემოქმედებაში იწყება გამოსავლის ძიება ტრაგიკული სიტუაციიდან, მსჯელობა და განსჯა, ამიტომ, მათი პესიმისტური განწყობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბიბლიის კონტექსტში თავსდება, უფრო ჭვრეტელობითია, ეს არის დიალოგი საკუთარ თავთან და მას ფილოსოფიური რეფლექსიებით გადმოსცემენ, ისინი ბაროკოს ლამენტაციებთან შედარებით ნაკლებემოციური და განონასწორებულა. რეფლექსია ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, შესაძლებლობებისა და უნარების გაცნობიერებაა. როგორც წესი, რეფლექსია ადამიანის ხელთ არსებულ ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დამოკიდებული. რეფლექსია (ლათ. reflexio) ნიშნავს „უკან მიბრუნებას“, ფიქრს საკუთარ „მეზე“, მდგომარეობაზე, საქციელზე, წარსულ მოვლენებზე. ამრიგად, ეს არის „საუბარი საკუთარ თავთან“. ამასთან ერთად, რეფლექსია, თვითანალიზი, დამოკიდებულია თავად ადამიანის განათლებაზე და მის ზნეობრივ პრინციპებზე. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში განსხვავებენ სხვადასხვა სახის რეფლექსიას, საიდანაც პიროვნული შემეცნების ობიექტია თავად შესამეცნებელი პიროვნება, მისი თვისებები, ქცევა, სხვებთან ურთიერთობის სისტემა. რაც შეეხება ინტელექტუალური შემეცნებას, იგი გამოიხატება სხვადასხვა სახის ინტელექტუალური საქმიანობით და ანალიზით, მათ შორის ცხადია, ერთ-ერთი საქმიანობა, სწორედ ლიტერატურული შემოქმედებაა. აქვე მოიაზრება საუბარი საკუთარ თავთან, – „დღიურების“ ფორმა, მაგალითად ჩვეულებრივი დღიური, მხატვრული ალბომი, ასე ფართოდ გავრცელებული რომანტიზმის ეპოქაში, ციტატების კრებული უბის წიგნაკში და სხვა. ფსიქოლოგიაში არის ლიტერატურის სპეციფიკური ხერხების მეშვეობით საკმაოდ სრული, დაწვრილებითი და სიღრმული ასახვა გამოგონილი პიროვნების (ლიტერატურული პერსონაჟის) გრძნობებისა, აზრებისა და განცდებისა (ესინი). „სულიერი ცხოვრების კვლევა მთელი მის წინააღმდეგობრიობითა და სიღრმეებით“ (გინზბურგი) (ზოლოტუხინა 2009: О. Золотухина. <http://www.elib.grsu.by/katalog/137661-256675.pdf>).

**რამიფიკაციები: მოდერნიზმი – „ვერცხლის საუკუნე“.** საინტერესოა ამ ორი მსოფლმხედველობითი პრინციპის შერწყმის პროცესი რუსეთის „ვერცხლის საუკუნის“ მაგალითზე: რუსეთში XX საუკუნის

დასაწყისი ალბეჭდილი იყო რელიგიურ-ფილოსოფიური კამათებით, ხდებოდა საერო ფილოსოფიისა და ლიტერატურის დაახლოება მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებასთან და ასე ეყრებოდა საფუძველი „ვერცხლის საუკუნის“ სინთეზურ ფილოსოფიას. ეს პერიოდი მეტად საინტერესოა ფილოსოფიური და მხატვრული ტექსტების დაახლოებითაც, რომელიც ეფუძნებოდა ხელოვნებათა და მეცნიერებათა სინთეზს – ერთიან, ჰარმონიულ ცოდნას. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ფილოსოფიური ფრაგმენტის დაახლოება ლიტერატურულ ჟანრებთან: ფილოსოფიური ფრაგმენტი და ლირიკული ფრაგმენტი – ლექსი. „ვერცხლის საუკუნის“ სინთეზური ფილოსოფია ცდილობდა დაეძლია სასულიერო პირებსა და საზოგადოებას შორის არსებული გაუცხოება, „ვერცხლის საუკუნის“ ფილოსოფოსების და ლიტერატორების ოცნებამ სინთეზზე, ცოდნაზე, რომელშიც შეხამებულია ფილოსოფია და ხელოვნება მიიყვანა ტრადიციული ფილოსოფიური ჟანრების გადააზრებამდე, ეს კი განპირობებული იყო „ვერცხლის საუკუნის“ შემოქმედთა მისწრაფებით გაეერთიანებინათ ფილოსოფია და ლიტერატურა, ფილოსოფია განევრცოთ, გაეფართოებინათ ლიტერატურის საზღვრებამდე. ამრიგად, რუსული ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნისთვის“ დამახასიათებელია ფილოსოფიური ჟანრების „გალიტერატურულება“. ფილოსოფიური ჟანრების ტრანსფორმაციასთან ერთად ხდებოდა ლიტერატურული ჟანრების დეკანონიზაციაც, სადაც ჟანრულ სისტემაში წამყვანი ადგილი ლირიკამ დაიკავა\*.

**რომანტიზმი.** როგორც უკვე ვთქვით, რომანტიზმისთვის დამახასიათებელია ისეთი თავისუფალი პოეტური ფორმების შექმნა, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციაზე და სრულყოფილად ასახავს იმ კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციას, რომელიც პოეტმა განიცადა. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ეს არის უარის თქმა ჟანრულ ნიღაბზე და ინდივიდუალური, ავტორისეული სახის, ავტორისეული ჰაბიტუსის შექმნა. აქვე უნდა ითქვას მზა, დაშტამპული სტილური სიტყვიდან გადასვლის შესახებ კონკრეტულობის მქონე სიტყვაზე, რომელიც ავტორისეულ ხედვას ასახავს, ანუ ეს არის რიტრიკული აზროვნებიდან ინდივიდუალურ, ავტორისეულ აზროვნებაზე გადასვლა.

რომანტიკოსების მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ახალი ლირიკული გმირის აღმოჩენა – გმირისა, რომელსაც აქვს რთული და მრავალნაზნაგოვანი შინაგანი სამყარო.

---

\* ვრცლად ამის შესახებ იხილე ჩვენი სტატია: მაია ნაჭყებია „Vanitas vanitatum“ და „ცხოვრება — სიზმარია“ გალაკტიონის „ვილანელში“ (მოტივების დიალოგურობა: ბაროკო და მოდერნიზმი). X საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოდერნიზმი ლიტერატურაში. გარემო, თემები, სახელები\*. მასალები. 2017.

რომანტიკოსი პოეტები მიმართავენ ლირიკული ემოციების ანალიტიკური დანაწევრების მეთოდს, სწავლობენ სხვადასხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობების მოტივებს, თვალს ადევნებენ მათ დინამიკას. ამის წყალობით რომანტიკოსების პოეზიამ შეიძინა შინაგანი კონფლიქტურობა და ახალი ლირიკული სიუჟეტი, ხოლო ლირიკული გმირის ემოციებმა — მძაფრი დაძაბულობა.

პრინციპული მნიშვნელობის მოვლენა არის ის ფაქტი, რომ ქართველ რომანტიკოსთა ლირიკაში შემოიჭრა ფილოსოფიური განსჯები. ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ეს არის ფილოსოფიური ლირიკა: ფილოსოფიური მედიტაციის, პოეტური რეფლექსიების ჟანრი, რომლის შინაარსის და არსი არის პიროვნების თვითშემეცნება. რომანტიზმის ინტერესი ადამიანის პიროვნებისადმი და იგი მოიცავს ყოფიერების ფილოსოფიური ასპექტების, ბუნების საყოველთაო კანონების და კაცობრიობის ისტორიული განვითარების გააზრებას.

განსაკუთრები ღრმა არის რეფლექციაში „გოგჩაში“. ძველი ნანგრევები იწყებს მოგონებათა და ისტორიაში ჩაღრმავების მთელ ტალღას, ამაობებასაც და ყოველივეს წარმავლობას ყველაზე მკვეთრად ადამიანის სწორედ ნანგრევებად ქცეულ ოდესღაც დიდებულ შენობებთან გრძობს და განიცდის და ამიტომაც ალექსანდრე ჭავჭავაძის რეფლექსიები ესოდენ სულისშემძვრელი და დამაფიქრებელი.

საერთოდ, ბაროკოსა და რომანტიზმის კომპარატიული ანალიზისას განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ერთი რამ: ის, რომ, ბაროკო, რიტორიკული ეპოქა დასრულებულია და რომანტიზმს ახალ ეპოქას მოაქვს ახალი პოეტიკა... ჩერნო.. ჩავუმატოტრადიციული პოეტიკის დაძლევის ცდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ალ. ჭავჭავაძის ლირიკის პატრიოტული და სოციალური კრიტიკის შემცველ ლექსებში. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იქცევს „ცაჰ, სოფელსა ამას“; „ეჰა ჩემო ოცნებავ“, „დიმიტრი დ.“... „გოგჩაქში“ რომანტიკულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ჟანრის — ფილოსოფიური ლირიკის ამ საყურადღებო ძეგლში, დიდი მხატვრული ძალით გამოხატული მსოფლიო სევდა, გამოწვეულია ადამიანის წარმავლობის შეგნებით, იმით, რომ ეს ნანგრევები (ლაშქარაძე 249-251)

*აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;  
მხოლოდ ანმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!*

„გოგჩაში“ პესიმისტური განწყობა გამონწვეული გარდაუვალი გახადგურების გაცნობიერებით:

*რავდენგ ზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,  
უგრძნვია თვისი ჩავრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!  
მაგრამ რა?! დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,  
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!*

აღ. ჭავჭავაძე წარმოგვიდგება ახალი მხატვრული ხედვის პოეტად, რომელიც, დაფიქრებული ადამიანის ბედზე და ცხოვრების წარმავლობაზე, ბუნების კონკრეტული პეიზაჟის ხატვისას, მასში ღრმა განცდებს არეკლავს და ადამიანის გრძნობები ერთიენდება დედა ბუნებასთან, რაც რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება კი ფილოსოფიურ რეფლექსიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია, სადაც მან არაერთი შედეგრი შექმნა: „ფინრნი მტკვრის პირას“, „სულო ობოლო“, „სულო ბოროტო“, „მერანი“. ლევ ტოლსტოის აქვთ თავის ცანანერებში ასეთი სიტყვები: ყველა, ვინც კი ცხოვრების არსზე ცაფიქრებულა, უკვე ფილოსოფოსი არისო. ეს მთელი სისრულით მიემართება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ ფილოსოფოსობის ასაკი ეს არის ყმანვილობა და ახალგაზრდობა, როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებაში შედის ადამიანი, როდესაც პირისპირ ეჯახება ცხოვრებისეულ სირთულეებსა და უსამართლობას. ყოველივე ეს, დაფიქრება, ანალიზი, თვითჩაღრმავება — ვირტუოზულად გამობს-ატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოეზიის ენით:

*მინც რა არის ჩვენი ყოფა - წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ სანყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,  
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?  
თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს  
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,  
ჰშოფთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან  
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...  
თუნდ კეთილ მეფე როდის არს მოსვენებული?  
მისი სიცოცხლე - ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;  
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს  
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..  
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,*

*მაშინ ვილამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..  
მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან - შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივსდითო მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.*

ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემა, ლაკონურად ფორმულირებული ფრანგული ბაროკოს წარმომადგენლის, ცნობილი რომანის – „ასტრეს“ ავტორის, ონორე დ'ურფის ფრაზაში: „არაფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ბაროკოს ადამიანის განცდებსა და განწყობილებებს. რომანტიზმის ლიტერატურასაც „ექლესიასტეს“ მოტივები ასაზრდოებდა, როგორც მანანა კაკაბაძე წერს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში, რომანტიკულ ლიტერატურას „ექლესიასტეს“ მრავალსაუკუნოვანი სევდა კვებავდა. ბარათაშვილის უდიდესი სევდა გამოწვეულია უდიდესი მართობით, რომელთან შედარებითაც არაფერია ადამიანთა დაკარგვით გამოწვეული მარტოობა და ტკივილები, რადგან ამ ტკივილებს პოეტი შველის სამყაროს კანონთა ფილოსოფიური განსჯით და მომავლის რწმენით (კაკაბაძე 1983: 105). ბარათაშვილის ეკლესიასტესეული სევდით გამოწვეული ფილოსოფიური რეფლექსების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მისი „სული ობოლი“:

*ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!  
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,  
ძნელდა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!  
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!  
არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;  
ეშინიან, იკრძაღვის, არღა იცის,  
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,  
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!  
ძნელი არის მარტოობა სულისა:  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხვრა არის შვება უბედურისა!*



**ბაროკოსა და რომანტიზმის ფორმა და სტილი.** „ფორმა ძვირი ღირს“ – უპასუხა ვალერიმ, როდესაც ჰკითხეს, რატომ არ აქვეყნებს „კოლეჟ დე ფრანსში“ ნაკითხულ წერილებს. ამასთან, მთელი ბურჟუაზიული წერის ტრიუმფის ეპოქის მანძილზე ფორმის ფასი თითქმის მასში განსხეულებული აზრის ფასს უდრიდა. რა თქმა უნდა, იმ დროსაც ზრუნავდნენ ფორმის კომპოზიციაზე, მის კეთილზომიერებაზე და მიუხედავად ამისა ფორმა საკმაოდ იაფი იყო, რადგანაც მწერალი მას იყენებდა, როგორც მზა ინსტრუმენტს, რომლის მექანიზმებიც არ ექვემდებარებოდნენ რა ცვლილების ცთუნებას, ხელუხლებლად გადაეცემოდა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ფორმას არ ჰყავდა პატრონი, კლასიკური ენის უნივერსალურობა სწორედ იქიდან მომდინარეობდა, რომ ეს ენა საყოველთაო მონაპოვარი იყო და მხოლოდ მწერლების აზროვნება იყო განსხვავებული. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ამ დროის მანძილზე ფორმაც მხოლოდ სამომხმარებლო ღირებულება ჰქონდა.

დაახლოებით 1850 წელს ლიტერატურა დადგა თავისი არსებობის გამართლების აუცილებლობის წინაშე: ამიტომ გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, რომლებიც შეეცადნენ საკუთარ თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებაზე და წერის სამომხმარებლო ღირებულების ადგილზე დააყენეს მასში ჩადებული შრომის ღირებულება. მათ გადანყვიტეს გადაერჩინათ წერა არა მისი დანიშნულების, არამედ მასში ჩადებული შრომის ფასის გამო. მაშინ დაიწყო მწერალი-მუშაკის სახის ჩამოყალიბება, რომელიც თავის ლეგენდარულ კოშკში იკეტება ისე, როგროც ხელოსანი თავის სახელოსნოში და იწყებს გაშალაშინებას, გაპრიალებას, ფორმის დახვეწას ისე, როგორც ამას იუველირი აკეთებს, როდესაც მისთვის მიცემული მასალიდან ხელოვნების მიმუშს ქმნის. ისეთი მწერლები, როგორებიც არისნ გოტიე და ჟიდი ქმნისან თავისებურ ფრანგული სიტყვიერების სახელოსნოს.

ნაწარმოებში ჩადებული შრომის ფასი, ნაწილობრივ მასში განსხეულებული გენიის ღირებულებას ცვლის, იმ მწერლების სიტყვებში, რომლებიც ამაცობენ თავისი ხანგრძლივი და რთული მუშაობით ფორმაზე, გამოსჭვივის კეკლუცობა, ზოგჯერ ტავად სტილის ლაკონურობის აღქმასაც დახვეწილობის ნიშნად აღიქვამენ, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბაროკოს ეპოქის ლვარჭნილობისგან. ბაროკოს პრეციოზულობა ბუნების შეცნობის აუცილებლობიდან წარმოიშვა, ამას კი ენის ყველა რესურსების ფართო გამოყენებას მოითხოვდა და მოწმობს ისტორიულ კრიზისზე, რომელიც მაშინ მოხდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ მოძველებული ლიტერატურული ენის პირობითობის

გამართლებისთვის უკვე აღარ არის საკმარისი მხოლოდ ესთეტიკური საბუთები, ანუ სხვა სიტყვებით: როდესაც ისტორიის მოძრაობამ მიგვიყვანა აშკარა შეუთანხმებლობამდე მწერალის სოციალურ მონო-დებასა და ინსტრუმენტს შორის, რომელიც მას ტრადიციის არსენალი-დან ერგო.

ყველაზე დიდი თანამიმდევრულობით ეს ხელოსნური წერა ფლო-ბერმა დაასაბუთა. მანამდე ბურჟუაზიული მიღებული იყო ყოველ-დღიურობას აღქმა, როგორც რაღაც კურიოზულის ან ეკზოტიკურისა, იმის გამო, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას საკუთარი თავი უნივერსა-ლურობის საზომად მიაჩნდა, იგი ასაბუთებდა/ამტკიცებდა იდეალური ადამიანური ბუნების არსებობას და ამიტომ თავს უფლებას აძლევდა ისე ეცქირა კონკრეტული ბურჟუას საქციელისთვის, როგორც სანახ-აობისთვის, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა საკუთარ პრინ-ციპებთან. ლობერს კი თავად ბუტყუაზიის სული უკურნებელ ავად-მყოფობად ესახება, რომელიც მწერალში სახლდება და მხოლოდ მაშინ იკურნება, როდესაც მწერალი სრულად აცნობიერებს ამას – ეს კი უკვე ტრაგიკული მსოფლალქმის ნიშანია (ბარტი 2015: 229-276).

რაც შეეხება „რიტორიკულისა“ და „მხატვრულის“ ურთიერთ-მიმართების საკითხის გადაჭრას, პირველ რიგში უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რამდენად მემკვიდრეობითია მათი ურთიერთობა. რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურას ღრმად აქვს გადგმული ფეს-ვები რიტორიკულ ლიტერატურაში (განსაკუთრებით ღრმა ეს ფეს-ვები ევროპულ ლიტერატურაში არის, რუსულში ისინი საგრძნობლად „მოკლეა“). მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხატვრული ლიტ-ერატურე ბუნებრივად არის რიტორიკულის პირმში. „მხატვრულობის გამონათებები“ რიტორიკულ ლიტერატურაში იყო სიტყვიერებაში ანტირიტორიკული ტენდენციების გამოვლინება. მხატვრული ლიტ-ერატურე მკვიდრდება მაშინ, როდესაც ევროპულ კულტურაში ხდება არნახული მასშტაბის გადატრიალება, რომელიც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ ევროპელმა ადამიანმა შეწყვიტა ყოფნა „რიტორიკულ ადამიანად“ (როგორც მას არცთუ იშვიათად უწოდებენ კულტუროლოგები და თავი ინდივიდუალობად გააცნობიერა/ იგრძნო. მგვარად, მხატვრულობის დამკვიდრება ხდება არა იმდენად ევოლუ-ციის, რამდენადაც რევოლუციის შედეგად. ამიტომ „მხატვრულობის“ და „რიტორიკულობის“ მემკვიდრეობით/თანამიმდევრობით ურთიერ-ობებზე დაუშვებელია.

ავტორის აზრით „მხატვრულობის“ და „რიტორიკულობის“ ურთ-იერთობებში რაიმე იერარქიულობის დანახვა შეუძლებელია. კულ-ტურა საერთოდ იშვიათად ირებს ისეთ შეფასებებს ისეთ ტერმინებში,

როგორებიცაა „უკეთესი“, „უარესი“, „უფრო მაღალი“, „უფრო დაბალი“ და ეს მართებულია განხილული ფენომენების მიმართ. რიტორიკული ლიტერატურე არაფრით არ ცამოუვარდება მხატვრულ ლიტერატურეს – უბრალოდ ისინი სრულიად განსხვავებულია. ყოველი მათგანი თავისი დროის პირმშოა და თითოეული მათგანი აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვნილებებს მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე“ (ჩერნოივანენკო 2001).

ყოველივე ზემოთ გამოკვლეულისა და ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ბაროკო, რიტორიკული ეპოქა ლიტერატურის განვითარების ღერძზე არის ემოციური, ხშირად დაუბალანსებელი განცდების, **ლამენტაციების** სარბიელი, ხოლო ბაროკო კი – იგივე ცხოვრებისეულ ტრაგიზმსა და ბედის უკვლმართობას განსჯით, ფილოსოფიური **რეფლექსიებით** უმკლავდება.

### **დამონებიანი:**

**ბარტი 2015:** ბარტი რ. „ნერის ნულოვანი ხარისხი“. თარგმანი რუსულიდან. *ლიტერატურის თეორია*. ქრესტომათია III. თბილისი: GCLAPress, 2015.

**ზოლოტუხინა 2009:** О. Б. Золотухина. Психологизм в литературе <http://www.elib.grsu.by/katalog/137661-256675.pdf>.

**კაკაბაძე 1983:** კაკაბაძე მ. *ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძველები*. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1983.

**ლამქარაძე 1977:** ლამქარაძე, დ. *ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში*. თბილისი: 1977.

**ლომიძე 2014:** ლომიძე თ. *ქართული რომანტიზმის პოეტიკა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., 2014.

**ნაჭყებია 2009:** *ქართული ბაროკოს საკითხები*. მონოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2009.

**ნაჭყებია 2016:** ნაჭყებია მ. „რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკოულ თეოცენტრიზმამდე“. „სჯანი“, 17. თბილისი: 2016.

**ნაჭყებია 2017:** ნაჭყებია მ. “Vanitas vanitatum” და “ცხოვრება — სიზმარია” გალაკტიონის „ვილანელი“ (მოტივების დიალოგურობა: ბაროკო და მოდერნიზმი). *X საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოდერნიზმი ლიტერატურაში. გარემო, თემები, სახელები. მასალები*. თბილისი: 2017.

**ჩერნოივანენკო 2001:** Е.М.Черноиваненко. О соотношении понятий «риторичность» и «художественность» *Зборник. наук. праць. – Одеса: Маяк, 2001.*

**ILIA PATCHKORIA**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **The Romantic Hamlet, and Nikoloz Baratashvili**

Shakespeare's Hamlet is sometimes seen as a Romantic hero. The Romantics discovered a new depth in *Hamlet*. They focused their attention primarily on the protagonist, rather than the plot. The phenomenon of Hamletism has its roots in the Romantic movement. Nikoloz Baratashvili's work is a peak of Georgian Romanticism. It is full of national spirit, and at the same time, it reveals western values. The paper studies thematic and philosophical connections between Shakespeare's *Hamlet* and Baratashvili's poetry, as well as the spiritual affinity between the Romantic Hamlet and Nikoloz Baratashvili.

**Key words:** Hamlet, Shakespeare, Nikoloz Baratashvili, Romantic.

### **ილია პაჭკორია**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **რომანტიკული ჰამლეტი და ნიკოლოზ ბარათაშვილი**

შექსპირის ჰამლეტს ზოგჯერ რომანტიკულ გმირად აღიქვამენ. რომანტიკოსებმა ახალი სიღრმე აღმოაჩინეს „ჰამლეტში“. ისინი ძირითად ყურადღებას პროტაგონისტზე ამახვილებდნენ და არა სიუჟეტზე. ჰამლეტის დაყოვნება უკვე აღარ განიხილებოდა სიუჟეტურ ხერხად. რომანტიკოსები მასში უფლისწულის შინაგანი სამყაროს გამოძახილს ხედავდნენ, გამომდინარე მისი ინტელექტუალიზმიდან და თვითნაღიზური ბუნებიდან.

რაკი რომანტიზმმა წინა პლანზე წამოიწია ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ინდივიდუალიზმი, ბუნებრივია, რომ პირველად სწორედ მან გამოაცალკევა მკაფიოდ უფლისწული ჰამლეტი პიესიდან და დაინყო მისი შინაგანი სამყაროს გამოძიება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შექსპირმა ეს გარკვეულწილად თავადვე გააკეთა.

ჰამლეტი არა მხოლოდ პიესის ცენტრალური პერსონაჟია, არამედ შექსპირის შემოქმედებაში ყველაზე ღრმა და ინტროსპექტული გმირიცაა. ჰამლეტის დამოკიდებულება პიესის დანარჩენი პერსონაჟებისადმი დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება ჩვენი

დამოკიდებულებაც მათდამი. უფლისწულის აზრი სხვა პერსონაჟებზე თითქმის პირდაპირპროპორციულად აისახება მათ მიმართ ჩვენს აზრზე. პოეტური სამართლიანობის საზომი შექსპირმა ჰამლეტის ხედვაში ჩადო და ამგვარად, მისი თვალებით შეგვახედა პიესაში მოცემულ ადამიანურ სამყაროს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ ჰამლეტური განწყობილება ასეთი ნაცნობი და ახლოა ჩვენთვის. პროტაგონისტისა და მკითხველის შინაგანი განწყობილების ასეთი დაახლოება და თანაზიარობა რომანტიკული ლიტერატურის ტიპური მახასიათებელია.

„ჰამლეტით“, ფაქტობრივად, შექსპირის შემოქმედების ტრაგიკული ხანა იწყება. ეს ის ეტაპია, როდესაც დრამატურგი პირველად დაეჭვდა ადამიანში. ეს ის მომენტიცაა, როდესაც მან უფრო ღრმად ჩაიხედა მის სულში და ნათლად გააცნობიერა, რომ ადამიანი ვერ ამართლებს ჰუმანიზმის იდეალებს, რომ იშვიათი გამონაკლისია ჰორაციო, როზენკრანც-გილდენსტერნებით კი სავსეა ქვეყანა. ადამიანურ სამყაროში შექსპირის ამ ჩაღრმავების გამოძახილია სწორედ „ჰამლეტის“ ეპონიმიური პროტაგონისტის, დანიის უფლისწულის ტრაგიკული განცდა და პესიმიზტური ფილოსოფიური მსჯელობანი, რამაც განხილულ პიესას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მისცა.

ტერმინი „ჰამლეტიზმი“ რომანტიკული მიმდინარეობიდან იღებს სათავეს. ჰამლეტიზმის ფენომენს გარკვეული როლი შეაქვს პიესის სუბიექტურ გააზრებაში, ისევე როგორც ჰამლეტთან ჩვენი სიახლოვის განცდაში. ჰამლეტიზმი – ეს ის ჰამლეტური მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს მაღალზნობრივი მიზნები ამოძრავებს, მაგრამ ზედმეტი ინტელექტუალური აქტივობა ხელს უშლის მოქმედებაში. პრინციპში, „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგის ბოლოს თავად ჰამლეტი აყალიბებს თავისი სიტყვებით ჰამლეტიზმის განსაზღვრებას:

აი ასე გვხდის ლაჩრად ჩვენივე ცნობიერება,  
გაბედულობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა  
და სასახლო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ  
წინ ეღობება...“ (შექსპირი 1987: 350)

საინტერესოა, რომ ინგლისელი რომანტიკოსი სემუელ ტეილორ კოლრიჯიც ჰამლეტში უფრო ინტელექტუალს და გადამეტიებული ფიქრებისგან უმოქმედობით შეპყრობილ პერსონაჟს ხედავს, ვიდრე რომანტიკულ გმირს (იხ. ბლუმი 2008: 156-157). მართალია, ჰამლეტი

\* აქ და შემდგომ „ჰამლეტიდან“ მოყვანილი ქართული ტექსტის ინგლისურიდან თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს.

ბევრს ფიქრობს, მსჯელობს, ორჭოფობს, მაგრამ მას მძაფრი ემოციური ქმედებებიც ახასიათებს. ალბათ ისევ კოლრიჯის რომანტიკოსობით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი ჰამლეტის გრძობად სამყაროში იმ სიმძაფრეს ვერ ხედავს, რაც, მისი ხედვით, რომანტიკულ გმირს მოეთხოვება.

ყველასათვის ნათელია, რომ პიესა „ჰამლეტისადმი“ არსებულ უშრეტ ინტერესში ლომის წილი სწორედ მის ეპონიმურ პროტაგონისტს უფლისწულ ჰამლეტს უდევს. ზნეობრივი სიმაღლე, ღრმა ინტელექტისა და ძლიერი ემოციის იშვიათი სინთეზი, ქარიზმა, ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულობა, სიმართლისათვის ბრძოლა და კიდევ ბევრი სხვა რამ არის ის, რაც ხდის ამ პერსონაჟს ერთობ მიმზიდველს. ცოტა მხატვრული ხასიათი თუ შექმნილა მსოფლიო დრამატურგიაში, რომლის ტრაგედიასაც ისე ძლიერ თანაუგრძნობს მკითხველი თუ მაყურებელი, როგორც ჰამლეტისას.

ჰამლეტი რენესანსული გმირია. იგი აღორძინების ეპოქის ჰუმანისტურ იდეალებზეა გაზრდილი, მაგრამ იგი გარკვეულწილად რომანტიკული გმირიცაა. რაში მდგომარეობს უფლისწულის ტრაგედია? რა არის მისი პესიმიზმის უმთავრესი მიზეზი? ამ კითხვას სავსებით დამაჯერებლად პასუხობს თეოდორ სპენსერი (სპენსერი 1943: 94): ადამიანი, როგორც ის არის და არა როგორც უნდა იყოს. სწორედ აქედან იღებს სათავეს ჰამლეტის სულიერი გაორება. იგი ადამიანში ღმერთს ეძებს, მაგრამ დემონს პოულობს, სამოთხეს ეძებს, მაგრამ ჯოჯოხეთს ხედავს, სიყვარულსა და სინმინდეს ეძებს, მაგრამ შიგ მხოლოდ სიძვა და სიმყრალეა. თავის პირად, ოჯახურ ტრაგედიაში ჰამლეტი მთელი კაცობრიობის ტრაგედიას ხედავს და ამ გზით თვითონვე გვიადვილებს მის პერსონაჟში ჩვენი პიროვნების ანარეკლი დავინახოთ.

მიუხედავად ყველაფრისა, ჰამლეტს ბოლომდე მაინც არ ჩაუქნევია ხელი კაცობრიობაზე. მას სჯერა ადამიანში კეთილი საწყისის არსებობისა და მასში სიკეთისა და სათნოების გაღვივების შესაძლებლობისა. როგორც ნიკო ყიასაშვილი (ყიასაშვილი 1992: 118-119) აღნიშნავს, ჰამლეტურ პესიმიზმს ჯერ კიდევ თან ახლავს მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის სულისკვეთება. მიუხედავად, იმედგაცრუებისა უფლისწული, ასე თუ ისე, მაინც იბრძვის სიმართლისათვის და ხედავს კიდევ ამ ბრძოლაში საზრისს, თუმცა წამხდარი დროების გასწორება მას ურთულეს საქმედ ესახება.

„ჰამლეტში“ აშკარად ჩადებულია რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მძაფრი დაპირისპირება ამაღლებულ წარსულსა და დაცემულ აწმყოს შორის. პიესაში ამაღლებულ წარსულს უფლისწული ჰამლეტის გარდაცვლილი მამა, მეფე ჰამლეტის აჩრდილი განასახიერებს,

დიდებული მეფე, რომელიც ბილნმა ანმეომ, მუხანათმა კლავდიუსმა აჩრდილად და წარსულად აქცია. ამდენად, ჰამლეტის ამხედრება კლავდიუსის მანკიერი რეჟიმის მიმართ თავისი სულისკვეთებით ეხმიანება რომანტიკულ ამბოხს მისი თანამედროვეობისადმი.

ქალისადმი სიყვარული, მიჯნურობა რომანტიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ნამყვანი თემაა. არც „ჰამლეტისთვისაა“ უცხო ეს თემა. უფლისწულ ჰამლეტს ოფელია უყვარს და პატარა ლექსაც უძღვნის მას:

თუნდ ნუ ენდობი ვარსკვლავთ სინათლეს,  
ნურც ცის სფერაში ტრიალსა მზისას,  
თუნდ ნუ ენდობი მართალთ სიმართლეს, –  
ენდე ძალს ჩემის სიყვარულისას.  
(შექსპირი 1987: 341)

ჰამლეტის ლექსი რომანტიკულ პოეზიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, რადგან აქ სუბიექტის შინაგანი გრძნობა თვით ჭეშმარიტებაზე მალ-ლაა დაყენებული და ამდენად, რომანტიზმისთვის დამახასიათებელი გრძნობის პრიმატი სახეზეა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია. იგი გაჟღენთილია ეროვნული სულისკვეთებით და ამავე დროს ამყვანებს დასავლურ ღირებულებებსაც. „ქართული პოეზიის ჰამლეტი“, როგორც პოეტს ვალერიან გაფრინდაშვილმა უწოდა, უდავოდ ენათესავება სულიერად შექსპირსა და მის ჰამლეტს. ბარათაშვილის ინტროსპექტული ლექსები ნათლად ავლენენ ჰამლეტურობას. გაფრინდაშვილი პოეტზე წერს: „ის არის ქართული პოეზიის ჰამლეტი. მისი ლექსები დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლეტის ნილაბში მღერის თავის ლექსებს და წარმოსთქვამს სახელგანთქმულს „ყოფნა არ ყოფნას“. ბარათაშვილმა, პირველმა ქართველ პოეტებიდან, გაბედა ჩაეხედა სახეში თავის სულისთვის – მედუზასთვის და მისი პოეზია არის უცხო და ჟრუანტელით სავსე დიალოგი პოეტსა და მის ორეულს შორის“ (გაფრინდაშვილი 1990: 596).

„ხმა იდუმალი“ ალბათ არის ის ლექსი, სადაც პირველად იკვეთება მკაფიოდ პოეტის სულიერი გაორება, რომელიც უდავოდ ენათესავება ჰამლეტურ გაორებას. ამ დროს ბარათაშვილი მხოლოდ ცხრამეტი წლისაა.

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?  
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?  
(ბარათაშვილი 1968: 90)

ასე იწყებს ლექსს პოეტი და ამ იდუმალი ხმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ნაღველს ასახელებს, რაც შეგვიძლია პირდაპირ ჰამლეტურ მელანქოლიას დაუფუკავშიროთ. პოეტი გვამცნობს, რომ ყმანვილობიდან გამოსვლის შემდგომ, მას ეს ხმა მარად-ჟამს მოუწოდებს:

„ექიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!“  
(ბარათაშვილი 1968: 90)

თუმცა იქვე შენიშნავს:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!  
(ბარათაშვილი 1968: 90)

ჰამლეტიც ამაოდ ეძებს თავის გულისწორს. ოფელია მას ვერ უგებს. და თუ არ ჩავთვლით მის ერთგულ მეგობარს – ჰორაციოს, ჰამლეტი ყველასგან მიტოვებულია, ზოგისგან კი დევნილიცაა.

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუწყალისა სინიდისისა?..  
(ბარათაშვილი 1968: 90)

აგრძელებს პოეტი. „სინდისი“ კი საკვანძო სიტყვაა „ჰამლეტში“. უფლისწულის მოქმედების მთავარი საზომი ყოველთვის სინდისია და ამ სიტყვას იგი პიესაში რამდენჯერმე ახსენებს. „ეს წარმოდგენა მე გამომიხელს მეფის სინდისს“ (შექსპირი 1987: 349) – ამბობს ჰამლეტი, მას მერე, რაც გადაწყვეტს, „გონზაგოს მკვლელობა“ დადგას კლავდიუსის წინაშე და ამ პიესის მეშვეობით გამოსცადოს მეფის სინდისი. ჰამლეტი ამავე დროს ცდის აჩრდილის სიტყვების სარწმუნოობას, ვინაიდან ბოლომდე დარწმუნებული არ არის, მამის სული იხილა თუ ბოროტი სული, რომელმაც მამამისის სახე მიიღო. და აქვე გვაქვს პარალელი ბარათაშვილის განხილული ლექსის დამასრულებელ ნაწილში, სადაც პოეტი საკუთარ იდუმალ ხმას კითხვით მიმართავს:

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?  
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..  
(ბარათაშვილი 1968: 91)



ჰამლეტი აჩრდილს მიმართავს:

რაც უნდა იყო, წყეული, თუ ნეტარი სული,  
ციტ მოსული, თუ ამომძვრალი ჯოჯოხეთიდად,  
ბოროტებისა, თუ სიკეთის გულსგამზრახველი, —  
ისე საამო სახე გქევს, რომ უნდა გითხრა რამ.  
(შექსპირი 1987: 332-333)

როდესაც აჩრდილი გაუმხელს ჰამლეტს თავის სიკვდილის საიდუმლოს, უფლისწული ნამოიძახებს:

ოჰ, წინათმგრძნობო ჩემო გონებავ!  
მაშ გველი ბიძაჩემია!  
(შექსპირი 1987: 341)

ამით დასტურდება, რომ ჰამლეტის სულში უკვე იყო იდუმალი ხმა, რომელსაც ეხმიანება აჩრდილის მიერ გამხელილი საიდუმლო.

ძიების შედეგად, ჰამლეტი და ნიკოლოზ ბარათაშვილი საბოლოოდ მაინც განსხვავებულ დასკვნებამდე მიდიან. „სათაგურის სცენის“ შემდეგ უფლისწული უკვე სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ აჩრდილი პატიოსანი სულია: „ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო. იმ აჩრდილის თითო სიტყვა ათასი ოქრო ღირებულა...“ (შექსპირი 1987: 357). შვიდი წლის შემდგომ კი ქართველი პოეტისთვის „ხმა იდუმალი“ უკვე გამოვლენილი მაცდური სულია ლექსში „სულო ბოროტო“. აქ ბარათაშვილი უმხედრდება ბოროტ სულს, რომელმაც გონება აუმღვრია, ხიბლში ჩააგდო, ცრუ იმედებით გამოკვება და შემდგომ გაუცრუა ეს იმედები. პოეტი მოთქვამს, რომ ამის შედეგად, მის გონებას ურწმუნოება დაეუფლა, გულს – უნდობლობა, სულს კი – მძიმე დარდი. ჰამლეტსაც შეპარული აქვს ეს ყოველივე სულში, მაგრამ რომანტიკოსი პოეტისგან განსხვავებით, უფლისწული ამ ყველაფრის მიზეზს მხოლოდ საკუთარ სულში კი არ ხედავს, არამედ ჯერ კიდევ გარესამყაროშიც, სხვა ადამიანებშიც ეძიებს. გასაკვირი აღბათ არცაა, რომანტიკოს პოეტთან შინაგანი სულიერი ბრძოლა უფრო სრულად და მასშტაბურად რომაა წარმოჩენილი. გასათვალისწინებელია აგრეთვე დრამასა და ლირიკას შორის არსებული განსხვავებაც, სადაც უკანასკნელი, ბუნებრივია, პირველზე ბევრად უფრო მეტად მიისწრაფვის სუბიექტური სიღრმეებისკენ.

„ჰამლეტში“ ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ამქვეყნიური, წარმავალი ფასეულობების ამაოება. თავის პირველსავე მონოლოგში, სულდამძიმებულ უფლისწულს აღმოხდება:

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთის სოფლის  
როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული.

(შექსპირი 1987: 328)

წუთისოფლისეული ფუჭი და ამო მიზნების ჰამლეტური განქიქების  
აშკარა კვალია ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“:

თვითონ მეფენიც მებრძოლენი, რომელთ უმაღლეს  
ამო სოფლად არლა არის სხვა რამ დიდება,  
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან  
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

(ბარათაშვილი 1968: 95)

ჰამლეტიც ანალოგიურად განაქიქებს ფორტინბრასის და მისი ჯა-  
რის საბრძოლო მიზნებს:

უნდა იბრძოლოს რალაც მცირე მიწის გულისთვის,  
რაიც მაჩხუბარ მეომართა ვერც კი დაიტევს  
და არ იკმარებს მისთვის მკვდართა მისაბარებლად!

(შექსპირი 1987: 369)

მესაფლავეების სცენაში კი ჰამლეტი კიდევ უფრო ღრმად ანვითა-  
რებს იდეას ამქვეყნიური დიდების ამოების შესახებ:

„ოჰ, ჰორაციო, როგორ ადვილი ყოფილა ჩვენი გარდაცვლა უბრალო  
სახმარ ნივთად! რატომ არ შეიძლება ვითომ, რომ გონებით მივყვეთ და  
დიდი ალექსანდრეს ნაშთი ლუდის ჭურჭლის საცობში ვიპოვოთ?! ... აი,  
იფიქრე: ალექსანდრე მოკვდა. ალექსანდრე დამარხეს, ალექსანდრე  
მტვრად იქცა. მტვერი და მიწა ერთი და იგივეა. მიწისას თიხას აკეთე-  
ბენ და რა არის აქ დაუჯერებელი, რომ ალექსანდრეს მტვრისგან შექმ-  
ნილი თიხით ჭურჭელს პირი დაუცონ?“ (შექსპირი 1987: 380).

შემდეგ კი ჰამლეტი ლექსად ამატებს:

თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი  
და სახლთ სალესად ხმარობენ მას, მას ქვეყნის მზარავს!  
ის, ვის წინაშეც შიშით ძრნოდა ურიცხვი ერი,  
ზამთრის სუსხისგან უბრალო ქოხს ეხლა იფარავს.

(შექსპირი 1987: 380)

აშკარაა, რომ ამ სცენაში, ჰამლეტი ამქვეყნიური დიდებისაკენ მოს-  
წრაფე ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მიწაში მისი სხეულის ხორ-  
ციელ ხრწნასთან აკავშირებს.

ჰამლეტურ სულისკვეთებასთან ბარათაშვილის ნათესაობა რამდენადმე შეინიშნება აგრეთვე მის ლექსში „მერანი“. როგორც ცნობილია, ბარათაშვილის შთაგონების წყაროდ ამ ლექსისათვის იქცა პოეტის ბიძის, ილია ორბელიანის ჩავარდნა შამილის მძიმე და ხანგრძლივ ტყვეობაში. როგორც ბარათაშვილის ბიოგრაფი, იაკობ ბალახაშვილი წერს: „ასე შეიქმნა სიკვდილის შიშის დამთრგუნველი, ადამიანის შემოქმედებითი ნებისყოფისა და ძალის სადიდებელი, თავისუფლებისა, სამშობლოს საკეთილდღეოდ თავშენიწიანობის მარად მზად ყოფნის დიადი ჰიმნი, – გენიალური „მერანი“ (ბალახაშვილი 1967: 242). სიკვდილის შიში მკაფიოდ გამოსჭვივის ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგში:

ვინ ზიდავდა ჯაფით, კენესით ამ სიცოცხლის ტვირთს,  
რომ არა გვექონდეს იმის შიში, თუ სიკვდილის შემდეგ  
იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს  
სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება.

(შექსპირი 1987: 380)

თუმცა პიესის ბოლო მოქმედებაში ჰამლეტს უკვე გადალახული აქვს სიკვდილის შიში, როდესაც ჰორაციოს მიმართავს: „მე წინათ-გრძნობებისა არ მეშინიან. ხომ იცი, ჩიტიც უგანგებოდ არ მოკვდება. თუ ეხლა მოხდება, მერე ხომ აღარა იქნება-რა; თუ მერე არ იქნება, ხომ ეხლა უნდა მოხდეს; და თუ ეხლა არ იქნება, მერე ხომ მაინც არ აგვცდება“ (შექსპირი 1987: 386). ამგვარი განწყობილებით უფლისწული უკვე ემსგავსება „მერანის“ ავტორს:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!  
დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

(ბარათაშვილი 1968: 121)

თუმცა ისიც ცხადია, რომ შექსპირისგან განსხვავებით, ბარათაშვილთან, როგორც რომანტიკოსთან, „განწირულის სულის კვეთება“ უფრო დიდ მასშტაბებს აღწევს.

ამრიგად, ჰამლეტის პერსონაჟში ნათლად ვლინდება რომანტიკული ელემენტები, ისევე როგორც ბარათაშვილის შემოქმედებაში – ჰამლეტური ელემენტები. უფლისწულისა და პოეტის ტრაგიკულ განცდებს საერთო საფუძვლები აქვთ. მათ აერთიანებთ მებაზოხე სულისკვეთება, ამხედრებული ამქვეყნიური უკეთურებისა და ფუჭი დიდების წინააღ-

მდეგ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბედუკულმართობის გამო, ორივენი ნაადრევად გადაინ ცხოვრების სცენიდან, თუმცა კი საფიქრალს ბევრს ვეციტოვებენ ჩვენი ყოფიერების საზრისზე.

### **დამონებიანი:**

**ბალახაშვილი 1967:** ბალახაშვილი ი. ბარათაშვილის ცხოვრება. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ბლუმი 2008:** Bloom, Harold, and Brett Foster. *Hamlet*. New York: Bloom's Literary Criticism, 2008.

**გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. *ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

**სპენსერი 1943:** Spencer, Th. *Shakespeare and the Nature of Man*. Cambridge: Cambridge University Press, 1943.

**ყიასაშვილი 1992:** ყიასაშვილი ნ. *სკილასა და ქარიბდას შორის*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1992.

**შექსპირი 1987:** შექსპირი უ. *თხზულებათა სრული კრებული* ხუთ ტომად. ნიკო ყიასაშვილის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987.

## **KHATUNA TABATADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Georgian Technical University (GTU);*

*International Black Sea University (IBSU)*

### **Manifestation of Romantic Attitude in G. Gazdanov's Creativity**

In article the novel of one of the brightest writers of the Russian abroad – G. Gazdanova is considered. The romantic discourse exerts the impact and on emigrant creativity. The work of the writer “Ghost Alexander Wolf”, having almost detective plot, creates emotional pressure. In a research of a role of fatal fatality, in the novel direct reflection of creativity of M. Lermontov is looked through. Between two novels there is an analogy and in creation of a plot. In both novels an organizing role is played by a road chronotope. But the main thing that unites two heroes, is a similarity of characters, their psychological relationship. The

revealed relationship between Pechorin and Wolf allows to speak about Wolf, as about a new image among “excess people”. In the work each microplot has a source romantic motives.

**Key words:** romantic worldview, the literature of Russian emigration, the motive of death, fatalism.

## **ХАТУНА ТАБАГАДЗЕ**

*Грузия, Тбилиси*

*Грузинский технический университет (ГТУ);*

*Международный черноморский университет (МЧУ)*

### **Проявление романтического мироощущения в творчестве Г. Газданова**

Гайто Газданов был ярким представителем первой волны эмиграции во Франции. Он являлся автором многочисленных рассказов, романов, блестящим литературным критиком. Вспоминая его творчество, в памяти невольно всплывает его знаменитый роман *«Вечер у Клэр»*, а также произведение этого же жанра – *«Призрак Александра Вольфа»*.

В монографиях, статьях, публикациях и диссертационных сочинениях, посвященных роману *«Призрак Александра Вольфа»*, и малой прозе Г.Газданова, ни раз поднимались вопросы эволюции художественного метода, литературных связей, рассматривалась поэтика этих текстов, мифологическая парадигма и мифопоэтическая традиция, документально иллюстрировались отдельные эпизоды литературного быта. Таким образом, была подготовлена почва для углубленного изучения творчества писателя с помощью современных научных методик.

Благодаря творчеству этого писателя, литературная традиция, зародившаяся еще в XIX веке в русской культуре, нашла свое отражение и в эмигрантской литературе. Ведь именно годы парижской эмиграции стали для него временем плодотворного труда. В.Чалмаев верно замечает: *«К счастью для русской культуры при всех превратностях судеб Бунина и Шмелева, Марины Цветаевой и Георгия Иванова, Георгия Адамовича и Алексея Ремизова, Париж не похоронил, а сберег многое, созданное этими художниками на земле Франции во имя России»* (Ремизов 1990: 23). Эти слова непосредственно можно отнести и к творчеству Гайто Газданова.

Культура русской эмиграции XX века выплеснула в европейское культурное пространство «волну» такой силы, что она теперь уже в

свою очередь повлияла на многие черты западной культуры (Мегрелишвили 2005). Если старшее поколение писателей-эмигрантов стремилось «удержать то действительно ценное, что одухотворяло прошлое» (Адамович 1955), то молодое поколение писателей и поэтов эмиграции было ориентировано на развитие традиций русского Серебряного века и на поиск новых средств художественного изображения действительности, видение которой существенно изменилось под влиянием пережитого в период революции и в изгнании (Г. Иванов, поэты «парижской ноты», Н. Берберова, В. Набоков).

В 1929 году в Париже после выхода в свет первого романа «*Вечер у Крэр*», имя Г. Газданова за считанные дни приобрело известность в среде русской эмиграции. Критики заметив талант молодого писателя, признали, что он сопоставим с талантом другого, уже признанного поэта и прозаика В. Сирина (В. Набокова).

Творчество Газданова можно разделить на несколько этапов. Ранний этап, который длился с 30-х годов до начала Второй мировой войны, прошел под знаком автобиографической поэтики, к которой мы можем отнести три романа – «*Вечер у Клэр*», «*История одного путешествия*» и «*Ночные дороги*», представляющие своего рода единый текст. Эти романы обращаются к одним и тем же темам, мотивам и сюжетам, но рассматривают их под разным углом зрения. Все три текста демонстрируют по отношению друг к другу один из основных принципов газдановской поэтики – принцип дополненности. Речь идет о темах и мотивах, проходящих через все три текста, но приобретающие в каждом из них новое значение. В первую очередь мы имеем в виду тему памяти и мотивы *дороги*, а также метафору жизни как путешествия.

Следуя известному культурологу и литературоведу Г. Гачеву, к основным составляющим национальной картины мира русского сознания можно отнести следующие мифологемы: *река*, *степь* и *дорога*, как основа мифологем *пути*, *странствия*. Именно они характерны для русской ментальности (Гачев 1988: 5), которые активно использует в своем творчестве писатель.

То, что было впервые начато в творчестве Газданова – нацеленность на будущее – найдет отражение в более поздних его романах. В послевоенном творчестве исследователи чаще всего обращаются к «*Призраку Александра Вольфа*», который считается лучшим творением писателя. Роман был впервые напечатан в «Новом журнале» (1947, № 16–17 и 1948, № 18). В нем писатель почти целиком обращается к разным жанровым структурам, смешивает в одном произведении детектив, приключенческий,

романтический и любовный роман. Для данного этапа определяющим становится обращение к постмодернистской эстетике. Однако не следует забывать, что на каждом этапе творчество Газданова было слишком многообразным и неоднородным, чтобы его можно было заключить в строгие рамки какой-либо одной эстетики, жанрового направления или стиля.

Первым к творчеству Газданова обратился американский славист Ласло Диенеш, исследовавший архив писателя в Гарварде. На сегодняшний день его диссертация «Russian Literature in Exile: The Life and Work of Gajto Gazdanov» («Русская литература в изгнании: жизнь и творчество Гайто Газданова») – одно из наиболее полных исследований о Газданове. В ней, главным образом, рассмотрены устойчивые мотивы газдановской прозы. В основе творчества Газданова, по Диенешу, лежат агностицизм и чувственное восприятие мира. Одна из наиболее важных особенностей Газданова – синтез «духа мучительного о сомнениях и метафизического ужаса» (Диенеш 1995), привнесенных из творчества Л. Толстого и Ф. Достоевского, и «экзистенциального подхода и проблематики», заимствованных из западной литературы. Для Газданова неотделимы содержание и форма, так как язык, которым написана его проза, имеет свой особый ритм и «музыкальную» выстроенность. В триаде автор-рассказчик-персонаж – лирическое Я, по мнению Л. Диенеша, занимает центральное место. Эпизодичность, в которой упрекали Газданова многие критики, славист считает одним из наиболее важных принципов, на которых строятся его произведения. Человеческая жизнь состоит из «движений души» и «эволюции чувств» (Диенеш 1995: 201) – именно они более всего интересуют Газданова в его героях. Его произведения состоят из серии эпизодов, зачастую не связанных между собой. Отсутствие причинно – следственных связей привело к отсутствию фабулы, а традиционный сюжет уступил место изображению «движений души». Мотив путешествия Диенеш справедливо рассматривает как один из самых важных: «Путешествие, конечно же, является древней метафорой жизни» (Диенеш 1995: 200). Также Диенеш обращает внимание на мотив превращения и перевоплощения, встречающийся почти во всех произведениях Газданова. Особо Диенеш отмечает присутствие «эзотерических моментов», т.е. некоторого почти мистического чувства приближения «окончательного просветления». Размышления писателя о смысле всего происходящего и его уверенность, в конечном итоге, в том, что жизнью управляет случай, привели Газданова к состоянию, которое Диенеш, отсылая к Толстому, назвал «ужасом Арзамаса». Именно такое восприятие действительности и послужило причиной частого обращения

к теме *смерти*, убийств и т.д. Заключительная часть книги Диенеша посвящена связи творчества Газданова с его предшественниками Л. Толстым и Ф. Достоевским, а также с его современником В. Набоковым.

Известный лермонтовед Т. Мегрелишвили в своей монографии «*Антиномии Михаила Лермонтова*» считает, что «именно Лермонтов оказался созвучен как русским символистам и акмеистам, так и представителям молодого поколения поэтов «парижской ноты» в литературе русской эмиграции XX столетия» (Мегрелишвили 2000: 133). Здесь просматривается связь творчества Лермонтова с творчеством Г.Газданова.

По мнению Т. Мегрелишвили Лермонтов был личностью, во многом вырвавшейся за пределы своего времени. Ему был свойственен «удивительный синтез субъективно-экспрессивного, когда чувственная окраска изображения преобладает в художественной палитре творца, и художественно-аналитического, отличающегося единством аналитического и конкретно-чувственного элементов творчества, «идеи» и «образа», типов художественного сознания. Индивидуальное своеобразие творческого процесса, выраженное в динамике, у Лермонтова может быть определено как *становление*» (Мегрелишвили 2000: 132). Кроме всего этого «самая сложнейшая композиционная структура романа «*Герой нашего времени*», глубина отображенных в нем и в поздней лирике поэта проблем, его рефлексивность и во многом тоже цитатность позволяют предположить, что *становление* применительно к творческому пути Лермонтова в искусстве следует понимать в движении к модернистской парадигме. (Мегрелишвили 2000: 133).

А также в исследовании роли роковой фатальности в романе Г.Газданова «*Призрак Александра Вольфа*» просматривается прямое отражение творчества М. Лермонтова, точнее роман «*Герой нашего времени*». Оба произведения можно соотнести к одному нарративному типу.

Между двумя романами существует аналогия и в построении сюжета. В обоих романах организующую роль играет хронотоп дороги. Первый и главный эпизод в романе Газданова происходит на дороге, здесь Повествователь впервые увидел Вольфа. В романе герои Газданова вечно едут «*по пустынной, извивающейся дороге*», шагают «*по пустынным улицам*», возвращаются домой «*по пустынным ночным дорогам*» (Газданов 2008: 71).

Сходство между Печориным и Вольфом не ограничивается их внешностью и возрастом. Но главное, что объединяет двух героев, - это сходство характеров, их психологическое родство. Мотив раздвоенности или раздвоения наблюдается у большинства значимых героев романа, что



указывает на его центральную роль в мотивной структуре произведения. Несомненным также видится романтический «источник» данного мотива. В большинстве случаев мотив раздвоенности соединяется в романе с мотивом душевной болезни. Этот мотив также вошёл в литературу наиболее широко в эпоху доминирования романтизма: священное безумие поэта сменяется неистовством и другими отклонениями от нормы у романтического героя. Душевная болезнь становится своеобразным знаком избранности, неизбежным клеймом, свидетельствующим о тонкой духовной организации героя и о его способности глубоко чувствовать. Элементы безумного поведения сами становятся своего рода нормой, общим местом в наборе романтических штампов. Даже Печорин, созданный Лермонтовым как своеобразный «диагноз обществу», получил в наследство свою долю романтических странностей, граничащих с сумасшествием («Да-с, с большими был странностями...») (Лермонтов 1983). Вовсе не удивительно, что и Газданов наделяет своих героев симптомами душевной болезни, выражающейся, прежде всего, в раздвоенности: «...я всё же не мог избавиться от размышлений по поводу этого человека, о котором рассказывала Елена Николаевна. Что могло случиться с ним, что вызвало в нём этот страшный вид душевной болезни?» (Газданов 2008: 82). Итак, душевная болезнь становится признаком незаурядности персонажа.

Продолжая сравнивать типы романских героев (Печорин – Вольф), можно понаблюдать множество совпадений. В первую очередь обратим внимание на такие общие мотивы, как: успех среди женщин, имение литературного таланта, «душевная болезнь», о которой было сказано выше, способность приносить несчастье другим, фатализм.

Следуя вышеперечисленным общим мотивам, в романе Газданова встречается довольно интересный диалог между героями: – *Вы думаете, что смысл всего существующего сводится к этому смертельному фатализму? – Это не фатализм, это направление жизни, это смысл всякого движения. Вернее, даже не смысл, а значение. – Много лет тому назад я встретил свою смерть. ... Но в силу необыкновенной случайности, она пропустила меня. (Elle t'a rate (фр.) Она дала осечку)* (Газданов 2008: 77).

Главного героя Газданова смело можно отнести к «исключительным» героям. Этот вопрос детально затронут автором «*Реализм в историко-литературном ряду русской культуры: движение в рамках парадигмы модерности*» – Т.Мегрелишвили. Следуя ее наблюдениям, в основе поведенческой модели «исключительных» героев, галерею которых в русской литературе открывает «лермонтовский Печорин, лежит такая черта, как отсутствие корысти в жизни, нежелание вписаться в официально принятую

жизненную стратегию (сделать карьеру, удачно жениться, обогатиться, добиться чинов - цель и мечта европейских Растиньяка, в чем-то – Жюльена Сореля). Печорин же весь наполнен нравственными исканиями. Эти искания во многом сродни тем экстремальным «экспериментам», которые продолжают в русской литературе герои Достоевского (Раскольников, Иван Карамазов). В литературе русской эмиграции это герои Г.Газданова («Призрак Александра Вольфа») и особенно Б.Поплавского («Аполлон Безобразов», «Домой с небес»), который следует за Лермонтовым не только в композиционном строе романа «Аполлон Безобразов», но и подчеркивает в своем герое черты, роднящие его с Печориным (скепсис, глубина страданий, духовных сражений с Творцом за несовершенство мироздания, глубокое отчаяние, одиночество)» (Мегрелишвили 2012: 98)

В поэтической структуре романов Б.Поплавского «Аполлон Безобразов» и «Домой с небес» выявляются как черты прозы 1920-х – 1930-х годов «молодого» поколения первой волны русской эмиграции, так и прослеживается влияние традиций классической литературы. Мифологизированный герой писателя-эмигранта по мере движения нарратива «мельчает» наподобие мифологизированных героев. Однако русский «изгнанник», каким он предстает на страницах литературы русского зарубежья и в прозе Б.Поплавского, несет в себе такие черты исконно русской ментальности, как самопожертвование и самоотречение. Мифологизированные герои прозы Поплавского сохраняют в себе эту «национальную уникальность» (Табатадзе 2013: 448).

В небольшой статье-воспоминании о Б. Поплавском Газданов писал: *«Если можно сказать, «что он родился, чтобы быть поэтом», то к Поплавскому это применимо с абсолютной непогрешимостью – и этим он отличался от других. У него могли быть плохие стихи, неудачные строчки, но неуловимую для других музыку он слышал всегда»* (Газданов 1935).

У обоих писателей-эмигрантов в романах фигурирует Апокалипсис. В романе Б. Поплавского «Аполлон Безобразов» не раз упоминается о всаднике Апокалипсиса, которого писатели-эмигранты ждут, но так и не смогут дождаться. *«Вскоре его опрокинул извозчик, которого он принял за всадника из Апокалипсиса»* (Поплавский 2000: 158).

Газданов также детально описывает своего «апокалиптического коня». Роман начинается так: *«Лучшая лошадь, которая мне когда-либо принадлежала, был жеребец белой масти, полукровка, очень крупных размеров, отличавшийся особенно размашистой и широкой рысью. Он был настолько хорош, что мне хотелось бы его сравнить с одним из тех коней, о которых говорится в Апокалипсисе. Это сходство, вдобавок,*

подчеркивалось тем, - для меня лично, - что именно на этой лошади я ехал карьером навстречу моей собственной **смерти**, по раскаленной земле, в одно из самых жарких лет, какие я знал за всю мою жизнь»; «Мой апокалиптический конь не успел довести меня до самой **смерти**». (Газданов 2008: 72).

Роман Газданова насквозь пронизан «мотивом смерти», думами о ней. «Мой труп лежит с венком, стрелой пронзенный»; «Может ли человек своевольно располагать своей жизнью, или каждому назначена роковая минута...». Автор приводит примеры смертей. Происходит своеобразная тяга к смерти – «смерть их находит счастливыми». (Газданов 2008: 82).

Психологические особенности творческого сознания эмигрантов, подразумеваемые существованием в ареале «чужой» культуры, когда «стран-ник» превращался в изгоя. Эти люди оказываются вне своей социальной среды.

Именно статья Т. Красавченко «Лермонтов, Газданов и своеобразие экзистенциализма русских младоэмигрантов» продолжает тему культурных и литературных контекстов, которым сопричастна газдановская проза. В ней затронута и проблема соотношения младоэмигрантской эстетики с эстетикой XIX века, и сложный комплекс их отношения к двум поэтам – А. Пушкину и М. Лермонтову. «Младоэмигранты будучи и ощущая себя маргиналами, тем более живущими во Франции, где так сильна традиция «проклятых поэтов», т.е. поэтов-маргиналов, вполне могли изобразить себе в качестве символа хорошо известных им Бодлера, Рембо, Верлена. или, скажем, Франсуа Вийона <.>. Как правило, литераторы - младоэмигранты были хорошо начитаны, знали французский, и то, что при всей свободе обширного выбора в качестве «символа» был избран Лермонтов, знаменательно: они предпочли поэта-одиночку и маргинала из «своей», российской традиции» (Красавченко 2005: 35). Помимо связи с лермонтовской традицией Красавченко обращается к вопросу об экзистенциализме младоэмигрантской прозы. «Безусловно младоэмигрантскому экзистенциализму присущи архетипные черты европейского экзистенциализма: признание одиночества человека в этом мире, алогичности и трагизма его бытия...».

В творчестве Г. Газданова наблюдается активное развитие традиций русской классической литературы, а также проявляется его романтическое мироощущение. В то же, время немаловажным является и тот факт, что общий культурный контекст эпохи диктовал авторам самых разных литературных течений схожие мотивы и темы – метанаррации.

Подводя итоги, следует заметить, что наблюдения газдановедов сводятся к общему выводу: в центре романа «Призрак Александра

*Вольфа*» – философский спор рассказчика и Вольфа о смысле жизни, о взаимоотношениях человека со смертью. С наблюдениями исследователей сложно не согласиться, в то же время несколько недооцененной оказывается, на наш взгляд, лирическая составляющая романа, которая дополняет его гетерогенную жанровую структуру исповедальным началом. Выделенные исследователями черты святочного рассказа, экзистенциального романа, романа о воспоминании, детектива (Проскурина 2010: 24), безусловно, присутствуют в тексте, но являются в большей степени формой игры автора с различными жанрами, признаки которых свободно комбинируются в романе. К примеру, экзистенциальная проблематика занимает в романе обширное, но и не самое важное место. Образ Вольфа, несмотря на то, что его имя вынесено в заглавие, а его образ играет значительную роль для развития сюжета, остается схематичным, он необходим автору как актант – носитель определенной сюжетной функции, как представитель экзистенциального отчужденно-враждебного всему живому начала, а также как катализатор внешних авантюрно-детективных событий. Подчеркнута литературность его образа, его литературными прототипами названы Печорин и герои Достоевского (Агеносов 1998: 312).

Таким образом, в «*Призраке Александра Вольфа*» метанарративный план отличается высокой степенью интертекстуальности, обнаруживается тесная связь с творчеством М. Лермонтова. Думая о главном герое Газданова, невольно вспоминаешь знаменитый роман писателя «*Герой нашего времени*». Здесь перед нами явно прослеживается интертекстуальная параллель. В творчестве обоих писателей замечаем «психологические параллели» в выборе героев.

Немаловажным является тот факт, что на протяжении всего творчества Газданова претерпевает изменение и образ главного героя, а также героя-повествователя. Если в довоенных произведениях подчеркивается его самостоятельность и творческое начало, то в поздних герой обладает противоположными качествами. Делается вывод о том, что лирический рассказчик является ценностно-смысловым центром произведений Г. Газданова. Для всего творчества писателя характерно смешение различных жанров, а также намеренное разрушение жанрового канона. Хотя на наш взгляд, он более примыкает к романтическому жанру. Ведь романтический герой писателя остается одиноким и непонятым, постепенно превращаясь в «лишнего человека».

Исходя из этого, можно смело заметить, что Г. Газданов не только использует литературную традицию классиков (М. Лермонтова), но старается проследить за их творчеством сквозь призму своего мировоз-

зрения. Прямого романтического влияния М. Лермонтова в литературном плане на творчество писателя не наблюдается. Однако влияние последнего на творчество писателя присутствует опосредованно, а именно: некоторые стилистические и нарративные приемы Газданова имеют своим истоком стилиевые аспекты прозы Лермонтова.

Одним словом, особенность газдановской прозы, которая безошибочно выделяет Газданова из плеяды «незамеченного поколения», заключается в выборе романтических мотивов, придавая писателю более значительный масштаб.

#### ЛИТЕРАТУРА:

- Адамович 1955:** Адамович Г. *Одиночество и свобода*. Нью-Йорк, 1955.
- Агеносов 1998:** Агеносов В. *Литература русского зарубежья (1918-1996)*. – М.: Terra-Спорт, 1998. 543 с.
- Газданов 1935:** Газданов Г. О Поплавском. *Современные записки, т. 59*, 1935, с 463.
- Газданов 2008:** Газданов Г. *Призрак Александра Вольфа. Роман-газета*. 12/2008.
- Гачев 1988:** Гачев Г. *Национальные образы мира*. М.: Космо-Психо – Логос, 1988.
- Диенеш 1995:** Диенеш Л. *Гайто Газданов. Жизнь и творчество*. Владикавказ: Сев. -Осетия, 1995. 304 с.
- Красавченко 2005:** Красавченко Т. Лермонтов, Газданов и своеобразие экзистенциализма русских младоэмигрантов. *Гайто Газданов и «незамеченное поколение»: писатель на пересечении традиций и культур*: Сб. науч.тр. ИНИОН РАН. Центр гуманит.науч.-информ.исслед. М., 2005. С. 27-49.
- Лермонтов 1983:** Лермонтов М. *Избранные сочинения*. М.: Худ. Литература, 1983, 653с.
- Мегрелишвили 2000:** Мегрелишвили Т.Г. *Антиномии Михаила Лермонтова*. Тбилиси: издательство Тбилисского университета, 2000.
- Мегрелишвили 2005:** Мегрелишвили Т.Г. *Поэтика мемуаров русского зарубежья (1925-1960)*. Тбилиси: Мерани, 2005, 180 с.
- Мегрелишвили 2012:** Мегрелишвили Т.Г. Реализм в историко-литературном ряду русской культуры: движение в рамках парадигмы модерности. *Сджани 13*, 05/2012. Тбилиси. 2012.
- Поплавский 2000:** *Поплавский Б. Аполлон Безобразов. Домой с небес: Романы*. М.: Согласие, 2000.
- Проскурина 2010:** Проскурина Е.Н. *Романы Гайто Газданова: динамика художественной формы*: автореф. дисс. докт. филол. наук. Новосибирск, 2010. 37 с.
- Ремизов 1990:** Ремизов А.М. *В розовом блеске: автобиографическое повествование* // Чалмаев В. М., 1990. 750 с.
- Табатадзе 2013:** Табатадзе Х. Мифологические модели прозы Ф.Сологуба и их литературная преемственность в творчестве Б.Поплавского. *Материалы Международной научной конференции «Тенденции и перспективы развития гуманитарных наук»*. Кутаиси, 2013.

**ZOIA TSKHADAIA  
TAMAR TSITSISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Representation of the Urban-Ashugh Text in the Georgian Romanticism**

Urban-ashugh poetry was never considered as a major part of Georgian literature, however it is significant sub-genre of Georgian poetry. New style Urban-ashugh poetry was written by Aleqsandre Chavchavadze and Grigol Orbeliani. A. Chavchavadze's romanticism is synthesis of Western and Oriental cultures, which is the writers distinct characteristic of the poet. Vakh. Kotetishvili calls A. Chavchavadze's works "Blend of Scents". A. Chavchavadze's urban motives and style was embodied in mukhbambazs and mustazids. Ashugh poetry is important part of Grigol Orbeliani's works. His poetry especially his mukhbambazs is very high artistic and perfectly written. In late period many talent less poets stalled the development, which "was overcome with Nikoloz Baratashvilis's talent" (E. Kvitaishvili).

**Key words:** Georgian, Romanticism, Urban-Ashugh.

**ზოია ცხადაია  
თამარ ციციშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **აშულურ-ქალაქური ტექსტის რეპრეზენტაცია ქართულ რომანტიზმში**

საქართველო თავისი გეოპოლიტიური და გეოკულტურული მდებარეობით ყოველთვის იქცეოდა მეზობელი, და არა მხოლოდ მეზობელი, ქვეყნების ყურადღებას. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისი სხვადასხვა ეროვნების ადამიანების კულტურათა დაახლოებისა და დიალოგის ცენტრად იქცა, სადაც ძალზედ ხელსაყრელი პირობა იყო შექმნილი აქ მცხოვრები ხალხების სოციოკულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის. თბილისი ღია ქალაქი იყო, რომელშიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდა ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი სარწმუნოების მოსახლეობა. ჯერ კიდევ შარდენი წერდა, რომ ქართველებს

ჰქონდათ მიმოსვლა მრავალ ხალხთან და თვით საქართველოში ყველას ჰქონდა უფლება ეცხოვრა თავისი რჯულისა და ადათის მიხედვით, თავისუფლად გამოეხატა თავისი აზრი და დაეცვა თავისი შეხედულება. სწორედ ასეთ ვითარებაში ყალიბდებოდა აშუღური პოეზია.

აშუღური პოეზიის განვითარება XVII საუკუნიდან იწყება. აშუღები ჭიანჭურზე, ჩონგურზე ქართულ-აზერბაიჯანულ-სპარსულ ენებზე ბაიათებს მღეროდნენ და უკრავდნენ. XVIII საუკუნის ბოლოს ისინი სამეფო კარზე ჭირშიც და ლხინშიც მეტად მიღებული პიროვნებები იყვნენ. XVIII საუკუნის ბოლოს ჩნდებიან ვაჭრულ-ხელოსნური წრიდან გამოსული პოეტები და მელექსეები: ბისტოკა, მებალე დავითა, პაჭუა, ბლიაძე, კოტაშვილი და სხვ. ლიტერატურაში იჭრება ვაჭრულ-ხელოსნური თემატიკა და მოტივები აშუღური პოეზიის სახით. აშუღური პოეზია ქალაქის მოსახლეობის წიაღში განვითარდა და თბილისის ქალაქური „ფარგონიც“ გამოიყენა. XVIII ს-ში ასევე მრავლად იყვნენ ბაიათ-მუხამბაზების მთხზველები და მომღერლები: ალავერდა, მირზაჯანა, აბდულბაღია (ბულბულა), ჰაშიმ, იაკობ, სტეპანოვი, სათარა, ჯაფარა; საიათნოვა და დავით გივიშვილი, რომლებიც სამ ენაზე წერდნენ აშუღურ ტექსტებს (უფრო მოგვიანებით: ჰაზირა, ბეჩარა, მანაბელი, იეთიმ გურჯი, სკანდარნოვა და სხვ.). „სპარსული ყვავილების მებალენი“ უწოდა მათ ძველი თბილისის ბოჰემური ცხოვრების მკვლევარმა, პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა.

აღმოსავლური პოეზიის სიტკობა და სევდიანი ჰანგები იგრძნობოდა აშუღების ნათქვამ-ნამღერში, მაგრამ ეს მაინც არ იყო აღმოსავლური პოეზიის სტერეოტიპების ტყვეობაში მოქცეული ტექსტები და ჰანგები. როგორც მკვლევარი პეტრე მირიანაშვილი აღნიშნავდა, სპარსული ბაიათები საქართველოს მეფის კარზე დედაქალაქ თბილისში ისე დამუშავდა, რომ საკუთარი ელფერი მიიღო. იოსებ გრიშაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ევროპაშიც იყვნენ აშუღი პოეტების მსგავსი (XVII ს-ში) მომღერლები, ქურა-ქურა რომ მღეროდნენ სიმღერებს, მაგრამ თბილისელ აშუღებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ევროპის მოხეტიალე მუსიკოსებზე ... „აშუღი მხოლოდ თბილისმა შექმნა და მისი პირმშოა, მისი პირის ზიარება“. იოსებ გრიშაშვილი აშუღების ოთხ კატეგორიას აღწერს: „დაინტერესებულ მკითხველს წარმოვუდგინეთ ოთხი სერია მაშინდელი მოღვაწეებისა. პირველი, რომელნიც ნამდვილი აშუღები იყვნენ. მეორე: რომელნიც სწერდნენ აშუღურ ლექსებს, მაგრამ კი არ აშუღობდნენ. მესამე: ის ქართველნი, რომელნიც სპარსული ლიტერატურის (და განსაკუთრებით აშუღთა) მიმდევარნი იყვნენ და მეოთხე: ის მომღერალ-საზანდრები, რომლებიც საუცხოვოდ მღეროდნენ ზემოჩამოთვლილ მწერალთა ლექსებს (გრიშაშვილი 1973: 40-41).

აშუღებისთვის მთავარი იყო სატრფიალო მოტივები, მაგრამ ისინი ასევე ამხელდნენ ცხოვრების ყოფის სიმახინჯეს, სოციალურ-ეროვნულ საკითხებს. რაც მთავარია, ცალკეულ მათგანში არ იკარგებოდა საკუთარი გენი, იდენტობა, და, ამასთანავე, ეს ზომიერად, ჰარმონიულად ერწყმოდა სხვა ერის სულიერ წყობას.

თბილისელი აშუღების ცხოვრების წესი და პოეტური ტექსტები თავისუფალი იყო ღვთისმოსაობისგან, იცავდნენ მამაპაპურ ადათებს და ამაში ავლენდნენ ინდივიდუალურ ხასიათს; აწყობდნენ აშუღურ დღეობებს, სადაც ზეიმობდა ლექსი და საერთო განწყობა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმას, რომ თბილისელ აშუღებს შორის, ისე როგორც, ზოგადად, საქართველოში, იყო ტოლერანტული დამოკიდებულება, არ იყო აგრესია. ისინი ეთვისებოდნენ ერთმანეთს და ითვისებდნენ ერთმანეთისგან. მუდმივი ურთიერთობის ზეგავლენით, როგორც იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს, თბილისის ქართული ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იღებდა. „ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა. ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა მოანარუქა სხვადასხვა ენის ნახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებურება“ (გრიშაშვილი 1963: 132).

აშუღურ-ქალაქური პოეზია ქართული მწერლობის მაგისტრალურ ხაზად არასოდეს მიიჩნეოდა, მაგრამ ის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საგულისხმო შენაკადია. მიუხედავად აღმოსავლური (სპარსული) წარმომავლობისა, მასში აშკარად იკვეთება ქართული ეროვნული ხასიათი, რაც ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციების ათვისებამ განაპირობა, განსაკუთრებით კი ქართულმა ენამ, რომელშიც ხშირად ისმოდა უცხო სიტყვები. აშუღურ-ქალაქურმა პოეზიამ დაამკვიდრა თავისი ახალი ენა, ძველი თბილისის პოეტური ენა.

აშუღური პოეზიისადმი ინტერესმა თავი იჩინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოეტების ტექსტებში. აღმოსავლური ყაიდისაა, როგორც ფორმით, ისე თემატურადაც დიმიტრი თუმანიშვილის, დავით ბაგრატიონის, ალექსანდრე ორბელიანის ზოგიერთი ლექსი, აშუღურ-ქალაქური ტექსტების მოტივები ახლებურად გაჟღერდა ქართველი რომანტიკოსი პოეტების ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში.

აშუღური პოეზიის სტილი და ხასიათი აშკარად გამოიხატა დიმიტრი თუმანიშვილის პოეზიაში (მუხამბაზები, მუსტაზიდი და ბაიათები). იგი XVIII საუკუნის მინურულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღ-



ვანობდა, როგორც მკვლევარი ბორის დარჩია აღნიშნავს (დარჩია 1990: 643), ბიოგრაფიული ცნობები მასზე ძალზე მცირეა. ცნობილია ის, რომ იგი ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის სამეფო კარის მდივან-მნიგნობარ თუმანიშვილთა იმ შტოს, რომელშიც ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. დაბადებული უნდა იყოს XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, გარდაცვალების თარიღი ცნობილია (1821 წ.). ახალგაზრდა დიმიტრი თუმანიშვილს ერეკლეს უმცროს მდივანთა შორის მოიხსენიებენ. გიორგი XII-ის დროს კი ერთ-ერთი უფროსი მდივანი ყოფილა. ისტორიას კი ის უფრო პოეტის სახით შემორჩა. მისი პოეზია ფორმითაც და შინაარსითაც აღმოსავლური ყაიდისაა. სალექსო ფორმებად იყენებს მუხამბაზს, მუსტაზადს, თეჯნისს, გაფის, ბაიათს, უჩლამას და სხვ. უმეტესობა ლექსებისა სიყვარულის თემაზეა შექმნილი, რომლებშიც ბესიკის პოეზიის დიდი გავლენა იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ თუმანიშვილი სევდიანი განწყობით ენათესავება ქართველ რომანტიკოსებს. განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა მისი ლექსი „ახალ აღნაგო“, რომელიც რუსულად და ინგლისურად უთარგმნიათ და პოპულარულ სიმღერად ქცეულა. მას შთამბეჭდავი გავლენა მოუხდენია ალექსანდრე პუშკინზე, პოეტი ამაზე წერს თავის მემუარულ თხზულებაში „მოგზაურობა არზრუმში“ (დარჩია 1990: 643). ეს ტექსტი მყარი სალექსო ფორმის, უჩლამის ნიმუშია. უჩლამა აზერბაიჯანული ფოლკლორის ტერმინია და სამეულს ნიშნავს. ასეთი ლექსის თითოეული სტროფი სამი ტაეპისგან შედგება და ყოველ სტროფს ორტაეპოვანი რეფრენი ემატება. განასხვავებენ უჩლამის ორ სახეობას. დიმიტრი თუმანიშვილის ეს ლექსი უჩლამის პირველი სახეობას ეკუთვნის:

ახალ აღნაგო სულო და,  
ედემში აღმოსულო და,  
ჩემს ეტლზედ დანერგულო და,  
სიცოცხლე შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი.

პოეტის ბაიათებში ჩანს სევდა სიყვარულის გამო. საინტერესო და დახვეწილია მისი მაჯამური რითმები. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს:

ვარდი მეც მხვდეს ეგების,  
ლანვზედ ბაგე ეგების,  
ლხინი, შვება განქარდეს, სიყვარული ეგების.

სურვილი აქვს მას რისა?  
შაქარ-ყანდის, მასრისა,  
მისის ბაგის შარბათი ნეტამც ტუჩზე გასრისა!

ტანი წვრილი ახევდეს,  
გულსა სხვიით ახევდეს,  
ვინც ვერ შეხვდეს თანასწორს, სულთქმით ბევრჯელ ახევდეს.

სევდა გექმნათ ვისობით? —  
ვინ კეკლუცობს ვისობით,  
თქვენ გზისაგან შემცდარ ხართ ჩვენ ეშყითა ვისობით...

დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი) (ერეკლე II-ის შვილი, 1767-1819) – პირველი ქართველი ვოლტერიანელი თაობის წარმომადგენელია, მრავალმხრივი მოღვაწე: ისტორიკოსი, სამართლისა და საბუნებისმეტყველო ნაშრომების ავტორი, მთარგმნელი და პოეტიკი. შემორჩენილია მისი რამდენიმე ლექსი, ტიპური ამულური პოეზიის ნიმუშებია ბატონიშვილის „გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი“, რომლის ხიბლს ქმნის სტროფებს შორის მცირეოდენი ვარიაციებით შეცვლილი რეფრენი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“. ლექსი სატრფიალო ხასიათისაა, სევდის, უნუგეშობის მოხდენილად გამოხატველი:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი  
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,  
დავშობილვარ ასე ან უნუგეშოდ  
უბადობის გამო, სხვისა და სხვისა...

მაჯამური (ომონიმური) რითმებით, სიტყვათა თამაშითა და აღმოსავლური პოეზიის მგრძნობელობით გამოირჩევა ბატონიშვილის მეორე ლექსი „დისკო“. ეს ლექსიც სატრფიალო განწყობას გამოხატავს: „აღმასით დაჭრილი გულის“ წუხილს, „ზეფირ-ვარდების“, „ბულბულ-ნარგიზის“ მეტაფორებით ზუსტი ანუ ერთნაირი ბგერაწერისა და სხვადასხვა შინაარსის მქონე სიტყვებით და სიტყვათა კომპლექსით:

წამწამ შენთა, ლახვარ შენთა შენება,  
მარისხ ნებავს ღანვთა საგნად შენება,  
ხამს, გლახ გულო, მოადგილედ შენ ება,  
ამისათვის, რომ აფსინდისა არია...

დასჭრა გული აღმასისა დანამა,  
ცრემლთა ღვარმან ღანვნი სრულად დანამა,  
იკლო ფრენაც სიხარულის დანამა,  
რა ზეფირობ, ვარდი შალა, არია...

ასევე, აშუღური პოეზიის ნიმუშებია ალექსანდრე ორბელიანის „ბაიათი“ და „თეჯღლისი“. „ბაიათი“ – მოცემულ ლექსში პოეტს დაცული აქვს ამ სალექსო ფორმისთვის დამახასიათებელი ნიშნები: ლექსი შედგება ოთხტაეპიანი სტროფებისგან. ტაეპი შვიდმარცვლიანია, გამართულია ააბა სქემით. დედააზრი გადმოცემულია ორ უკანასკნელ ტაეპში:

თვალნო, ველსა ვინახე?  
იგი რადგან ვინახე!  
რომ რალაც სულსა მოსცა  
უკვდავებად ვინახე.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი პოეტის ლირიკული კრებული „ნარგიზოვანი“ (განერეულია 1981: 210). ლექსები „ნარგიზოვანი“, „პირი ზამბახი“ და სხვები, რომლებიც ბესიკურ სასიყვარულო განწყობას გამოხატავს, ერთგვარად ინტონაციითაც ეხმიანება მას.

პირი ზამბახი, ფერად ახალი, ზედა გაქვს ხალი,  
შენთა ბაგეთა სიყვარულითა ღვინით დამათვრე,  
ტანი გაქვს ალვა, შენთან მნადს ხილვა, აღარ ხამს მალვა,  
ჩემის გულისა სასწაულისა შენა ხარ ღონე.

ნეტამცა შენსა სახედ ნაშენსა მახვია ყელსა,  
მე შენი კოცნა თუმცა მეოცნა, აღარ მეხოცნა.  
ჰე, ჩემი გული, შენთვის დაგული, არ ცად აგული,  
შენთა არეთა ტრფიალებითა ძებნად მომვლელმა.  
(„პირი ზამბახი“)

აშუღურ-ქალაქური ტექსტის მოტივები ახლებურად გაჟღერდა ქართველი რომანტიკოსი პოეტების ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში. ალექსანდრე ჭავჭავაძის რომანტიზმი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ერთგვარი სინთეზია, რაც მწერლის პოეზიის მთავარ ნიშანდობლივ თვისებად უნდა მივიჩნიოთ.

მის ტექსტებს ამ ორი გზის „სურნელების შეერთებას“ უწოდებს ვახტანგ კოტეტიშვილი: „აღ. ჭავჭავაძის პოეზია თუ ფორმალურად აღმოსავლურ პოეზიასთან არის დაკავშირებული, საგნობრივად ევროპის ლიტერატურულ ორბიტაში არის მოქცეული... ევროპული რომანტიზმის განვითარებაში აღმოსავლეთს წილი უდევს, რადგან სპარსეთისა და ინდოეთის პოეზიამ გავლენა მოახდინა მასზედ... მის პოეზიაში სინთეზი აქვს მომხდარი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას, რაც მთელი ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებად უნდა ჩაითვალოს“ (კოტეტიშვილი 1965: 65-66).

კიტა აბაშიძე ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების უმეტესობას „ვარდ-ბულბულის“ გალობას ადარებდა, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ისინი „თავს არ გაბეზრებენ, სიამოვნებით კითხულობთ და მისი კითხვით ესთეტიურ კმაყოფილებაში ხართ“ (აბაშიძე 1962: 32). ილია ჭავჭავაძე „შვების და ლხენის“ მომნიჭებელს უწოდებდა აღ. ჭავჭავაძის პოეზიას მისდამი მიძღვნილ ლექსში და ამის საფუძველიც უთუოდ ის იყო, რაზედაც კიტა აბაშიძე მიაჩნებდა.

აღ. ჭავჭავაძის აღმოსავლური ყაიდის ლექსების უმეტესობა დასათარებულია როგორც „მუხამბაზი“ და „მუსტაზადი“. \* მუხამბაზიც და მუსტაზადიც ხუთი სტროფისგან შედგება, რომელთაც, მეხუთე ტაეპის გარდა, ერთი რითმა აქვს. პირველი სტროფის უკანასკნელი ტაეპის რითმა კი მეორდება მომდევნო სტროფების მეხუთე ტაეპის ბოლოს; აკაკი განწერელის დაკვირვებით, XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტები მუხამბაზის დაკანონებულ ფორმას ყოველთვის ზუსტად არ იცავენ. აქედან წარმოსდგება ქართული მუხამბაზის მრავალნაირობა“ (განწერელია 1981: 210). მისივე აზრით, ქართულ პოეზიაში მუხამბაზი დარჩა ქალაქურ-პერიფერიულ განშტოებად და გარკვეული სოციალური წრეების გემოვნებას აკმაყოფილებდა. თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფის კარზე მუხამბაზი სასიმღერო ლირიკულ ფორმად ითვლებოდა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი – აშუღური პოეზიის ერთ-ერთ ჟანრულ სახედ მიიჩნეოდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მუხამბაზები მრავალნაირია: ათმარცვლიანი, თოთხმეტმარცვლიანი, რვა მარცვლიანი („მუხამბაზი ლათაიური“), მუხამბაზის დაკანონებულ ფორმას უახლოვდება ერთ-ერთი „მუხამბაზი“):

---

\* ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლექსებში მიმართავს, აგრეთვე, თურქული წარმომავლობის მყარი სალექსო ფორმის ერთ სახეობას – ყოშმას. იხ. მარია ჯიქია. (თურქული სალექსო ფორმა – ყოშმა – ქართულ პოეზიაში).

მოვედ ამ არეს შესამკობელად,  
ნიავო, მქროლე კეთილმყოფელად,  
მზე მოინვიე დამათბობელად,  
თოვლთა, ყინულთა დასადნობელად.  
მდელთო ყოველთა მოსახმობელად,  
პირველ იასა ექმნას მშობელად,  
სიყვარულისა აღმაგზნობელად.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი მუხამბაზი („მუხამბაზი“),  
ოთხმეტმარცვლიანი, გამოირჩევა განსაკუთრებულად გულწრფელი  
ემოციით, სატრფოსადმი რაინდული მგრძობელობით, თავდავინყე-  
ბული მიჯნურის უხვსიტყვაობით. ინტონაციით, სათქმელის არსით  
ბესიკ გაბაშვილს გვაგონებს, მაგრამ დაკვირვებულ მკითხველს არ  
გაუჭირდება მასში იმის ამოკითხვა, რასაც ალექსანდრე ჭავჭავაძის  
პოეტურ-ადამიანური ამონათქვამი გულისხმობს.

აღვასა წვრილსა, ორ შტოვანსა გული ემონვის,  
ექადის ხვევნად, უბის ვარსკვლათ შორით ეკონვის,  
საროსა ნაზსა სათაყვანოდ არ დაეყოვნოს,  
ვაჰ, თმენა ჩემი, ესდენ გრძელი, რას შეეწონვის.  
უბედობის ზღვას ვით განმიყვანს ცრემლში ცურვანი!  
ბედმან გაგყარნა, შემომყარნა, ამაღ ურვანი...

„მუხამბაზი ლათაიური“, ერთი შეხედვით, მეტად ლალი, დარდიმან-  
დული ხასიათის გამოვლენაა. ავტორის განწყობა ზეანუელია, თრობით  
დაბანგული. სიტყვის, ღვინის და ვაზის სურნელსაც განაცდევინებს  
მკითხველს, მსმენელს, რომელსაც მიმართავს.

ლოთებო, ნეტავი ჩვენა,  
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,  
შემოდგომამან ბახუსი,  
სანნახელში ჩააყენა...

...დავეხსნათ ცოდვილთ ქებასა,  
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა,  
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს  
და ლოთი გამარჯვებასა...

... მაშ, მოდით ისევ ღვინითა,  
დრო გავატაროთ ლხინითა,  
ქეიფი მაინც მოგვივა,  
გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა...

დღევანდელი გადასახედიდან უფრო გასაგები ხდება პოეტის ეს განწყობა, ემოცია. ვისაც ალექსანდრე ჭავჭავაძის მარან-საწნახელში შეუხედავს, ჯერ კიდევ ლამის ორი საუკუნის მტვერი რომ შემორჩენია, ვინც გაცნობია მისი ბიოგრაფიის იმ ნაწილს, რომელიც მოგვითხრობს ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, როგორც წარმატებულ მეღვინე-შემოქმედზე, ცხადი გახდება განხილულ ლექსში თავდავინყებულ ქება ნინანდლის ვაზით დაწერილი ღვინისა; აქ უნდა გავიხსენოთ გერონტი ქიქოძის საგულისხმო ნათქვამი: „ქალსა და ღვინოს სპარსულ ლირიკაში კიდევ უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ქრისტიანი ერების პოეზიაში, მაგრამ იქ ქალი და ღვინო მოკლებულია სხეულს, ხოლო ზოგიერთი სპარსელი მისტიკოსის შემოქმედებაში ქალსა და ღვინოს მხოლოდ ალეგორიული მნიშვნელობა აქვს. გერონტი ქიქოძეს მიაჩნია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის წინამორბედი ბესიკი იყო, რომელმაც თავისი რეალური, ნაწილობრივ ტრაგიკული სიყვარულის ვნება მანერულად გადმოსცა სპარსული ნიმუშების ნაბაძულობით, მაგალითად „ტანო-ტატანოში“ (ქიქოძე 1965: 193); თუმცა კრიტიკოსი იმასაც წერს, რომ, მართალია, ჭავჭავაძე ბესიკისა და სპარსული ლირიკის გავლენას განიცდის, მაგრამ ის მაინც მათ ეპიგონად ვერ ჩათვლება, რადგან ღვინოს და ქალს ის განიცდის ან როგორც ძველი ელინი, ან როგორც გემოვნება გაფაქიზებული ქართველი“ (ქიქოძე 1965:).

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების თანამედროვე მკვლევარის, პოეტის კრებულის შემდგენლის, ირაკლი კენჭოშვილის დასკვნით, ალექსანდრე ჭავჭავაძის „ლოთურ სიმღერაში“ (ამ კრებულში ლექსი ასეა დასათაურებული) შერწყმულია ევროპული ანაკრეონტიკა“, ბაკხური სიმღერები და აღმოსავლური პოეზია“. იგი „ამ წყაროთა ნიმუშია, რომელიც თბილისის მდაბიოთა ბოჰემის სიმღერათა ყაიდაზეა დაწერილი და ამდენად ამ ლექსში გამოთქმული აზრები გარკვეული ფსიქოლოგიური წყობის სოციალური წრის ცხოვრების ფილოსოფიის გამოხატულებაა“. „ლოთურ სიმღერაში“ სიბრძნის, ცოდნის ირონიზება წარმოადგენს არა გარკვეულ რიტორიკულ დებულებათა გამოხატულებას, არამედ ცხოვრებისადმი საღი და ჯანმრთელი დამოკიდებულების გამოვლენა ერთგვარი ეპიკურული მოძღვრების სახით“ (კენჭოშვილი 1986: 12).

გურამ ასათიანის აზრით, „ალ. ჭავჭავაძე იყო საქართველოს უკანასკნელი „წარმართი“ პოეტი. „მუხამბაზი ლათაიური“ და განსაკუთრებით „შექცევისათვის“ წარმოადგენენ ჰედონიზმის ნამდვილ ეტიკურ კოდექსს“ (ასათიანი 1988: 40).

ალექსანდრე ჭავჭავაძის მუსტაზიდები (5 ლექსი) არა მხოლოდ სამიჯნურო განწყობილების გამოხატველია, არამედ (და უფრო მეტად)

სევდა და ტკივილია ჟამთასვლის უღმობელოების გამო, რომელსაც მიაქვს ყოველივე საუკეთესო „ჟამისა ფრთითა“. სამშობლოდან შორს მყოფი პოეტი, გრძნობს და ხვდება, რომ არაფერია მარადიული, არც ჭირი და არც ლხინი. ტექსტის თითოეული სტროფი მთავრდება ტაეპ-რეფრენით „ნუ ჰგონებთ, ვითა სიშორითა ვიყომცა ცვლილი“, რომლითაც გამოკვეთილია ლირიკული გმირის მთავარი სათქმელი – მისი სევდის მიზეზია, არა მხოლოდ სიშორე მოყვასთაგან, არამედ შემეცნება „სოფლისა ანბანისა“, შეცნობა საკუთარი თავისა („თუ მცვალა დრომა ამით ოდენ, რომ მაცნო თავი“).

აჰა, ყარიბო, სევდის მკრიბო, ნუ გაქვს ღანვთ ბანა,  
მოკვდავთათვის ჭირი, ანუ ძვირი უკვდავ არს განა?  
ჟამისა ფრთითა, მალად მფრენთა წარიღონ თანა.  
ჩემებრთა ჰკითხე, წარიკითხე სოფლის ანბანა,  
მაშინ ჰსცნო რეცა ერთგზის მეცა ვიყავ პყრობილი,  
ნუ ჰგონებთ, ვითა სიშორითა ვიყომცა ცვლილი.

ამ მუსტაზიდთან დაკავშირებით გიორგი ავალიშვილის მოსაზრებას, რომ „ყარიბი“ პეტრე გიორგის ძე ლარაძის ფსევდონიმი იყო და მას უნდა ეძღვნებოდეს ეს ლექსი, საეჭვოდ მიიჩნევს ირაკლი კენჭოშვილი. ეს ფსევდონიმი მრავალი პოეტის და მათ შორის პეტრე ლარაძის ფსევდონიმიც ყოფილა. ლექსი თარიღდება 1808 წლით. ლარაძე 1803-1810 წლებში სპარსეთში ყოფილა. ამიტომაც მკვლევარი მიიჩნევს, რომ ის ვერ იქნებოდა პოეტის ადრესატი. თუმცა, გამორიცხული არ უნდა იყოს ისიც, რომ სწორედ სამშობლოდან შორს მყოფს უძღვნის და ამხნევეს, რადგან სამშობლოდან სიშორემ ვერ შეცვალა თავად პოეტი და ვერც მის ადრესატს შეცვლიდა. არ იყო აუცილებელი, ლექსი გაეგზავნა სპარსეთში.

მუსტაზადი (... „ისმინეთ, მსმენნო“) ნათლად გამოხატავს პოეტის ფიქრებს სამშობლოს მდგომარეობის გამო. იგი ადრეული პერიოდის უნდა იყოს, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში თავს იჩენს სამშობლო-პატიმრის მეტაფორული გააზრება.

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მაპყარით ყურნი,  
რაგვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი აღმურნი  
ვნახენით, როცა ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი...  
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაგვარგეთ კრულნი!  
გვძლივა სოფელმან ხელმყოფელმან, ან გვაგო შურნი.

„სამყოფთაგან დაშორებული“ პოეტის, ზოგადად კი – სამშობლოდან შორს მყოფთა სევდას გამოხატავს ალექსანდრე ჭავჭავაძის მუსტაზიდი ... „უნწყალო სენმან, ყოველთ მანყენმან, დაგვკოდა გული“. აქაც თოთხმეტმარცვლიანი საზომია გამოყენებული, ყოველი მეხუთე ტაეპი რეფრენით სრულდება, რომლითაც პოეტი მიმართავს იქ, სამშობლოში დარჩენილ ბანოვანებს; „მუსტაზიდი“ („... ვარდის გაყრილი“) ეძღვნება სატრფოს. მყარი სალექსო ფორმით დაწერილი ეს ლექსი ყაიდიტაც და შინაარსობრივადაც წმინდა აშულური სტილისაა.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში საკმაოდ ვრცელი სურათი იკვეთება აღმოსავლური პოეზიის ფერისა და მგრძნობელობისა, ის მაინც უფრო ევროპული აზროვნების დამამკვიდრებლად მიიჩნევა ქართულ პოეზიაში. ამას აღიარებს ყველა მისი მკვლევარი. „ალექსანდრე ჭავჭავაძე კარგად იცნობდა სპარსულ პოეზიას, მაგრამ იგი როგორც დამწყები ახალი ქართული ლიტერატურისა და რომანტიზმისა, საფუძველს ჰყრის არა აღმოსავლური პოეზიის ელემენტებით, არამედ ევროპული პოეზიით“ (ხუციშვილი 1978: 19). ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეკუთვნის საადის, ჰაფეზის, პუშკინის, ჰიუგოს, გოეთეს ჩინებული თარგმანები სპარსულიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან.

კიტა აბაშიძე ალექსანდრე ჭავჭავაძეს ქართველ პოეტთა შორის უკანასკნელ პოეტად მიიჩნევდა, რომელიც აღმოსავლური პოეზიის გავლენას განიცდიდა.

გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე მუხამბაზი და „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“ ერთგვარი შემოქმედებითი ხარკია აღმოსავლური პოეზიისადმი, რომელიც ჩინებულად გამოუვიდა პოეტს. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ გრიგოლ ორბელიანი ქართულ პოეზიაში ევროპეიზმის გამგრძელებელი იყო დ. გურამიშვილისა და ალ. ჭავჭავაძის შემდეგ. მისი მუხამბაზები, ძირითადად, ქალაქის დაბალი ფენის მოსახლეობის გულისთქმას გამოხატავდა, მათს ჭირსა და ღებინას. ეს იყო დიდებული პოეტური ჟესტი დედაქალაქის მრავალფეროვანი სოციალური მიმართ. რუსეთის იმპერიის გენერალი ლირიკული ტექსტებით უხსნიდა გულს თანამოქალაქეებს. მუხამბაზები: „...ნუ მასმევ ღვინოს“, „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „სულით ერთნო“, „გინდ მეძინოს“ და სხვ. სავსეა ეპოქის სურნელებით, იმ დროის კოლორიტული სურათებითა და სახეებით. განსაკუთრებულ ხიზლს ქმნის პოეტის ენა და ძალდაუტანებელი თხრობის მანერა, ლირიკის ამღერებული ფერადოვანი ჰანგებით. გამორჩეულად პოპულარულია ორბელიანის „გინდ მეძინოს“, რომელსაც ეპიგრაფად მინანერი აქვს XVIII საუკუნის მინურულის ცნობილი აშულის, შამჩი მელქოს პოეტური სტრიქონი „მუხამ-



ბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო“; გრიგოლ ორბელიანის „გინდ მეძინოს“ თერთმეტმარცვლიანია (განსხვავებით ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზების-აგან), უმეტესად, დაცულია მუხამბაზისთვის დაკანონებული რითმისა და რეფრენის ადგილი ტექსტში:

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!  
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!  
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!

მინდა რამ ვჰსთქვა – შენი სახელი მოდის!  
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?  
ერთხელ მაინც მკითხე, ეგრე რათა ხარ?

საგულისხმოა ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანი მუხამბაზებს და, ზოგადად, აღმოსავლურ სტილს იყენებს უკვე საკმაოდ გამოცდილ ასაკში. მისთვის ეს უკვე პოეტური თამაშია. მისი ლექსების თარიღი ცნობილია და ამით ისიც ჩანს, რომ აქ მიბაძვასთან არ გვაქვს საქმე. პოეტისათვის საინტერესო ხდება უბრალო ადამიანების წარმოჩენა. ასეთია ბეჟანა მკერვალის სათქმელი: „არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან...“ ან მუხამბაზი „სულის ერთ-ნო“, რომელშიც ის თავს უყრის აშუღური სიმღერების და ლხენის კოლორიტს:

სულით ერთნო, მოლხინენო, ან შეკრბით  
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!  
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;  
ალაფერდა დასვით თარით ნაქები,  
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღულუნეთ,  
დიპლიპიტო დაჰკარ – დაარაკუნეთ!..

გრიგოლ ორბელიანის ამ ტიპის ლექსები ქართული ქალაქური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებად არის აღიარებული. „გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზში ფერების ზეიმია, მთელი აღმოსავლეთის ჰიპერბოლურობა. ყოველი შედარება მინიატურის მსგავსია და ქართული სიხარული გაშლილი და ხელაღებითი“ (კოტეტიშვილი 1965: 106). ვახტანგ კოტეტიშვილის ეს სიტყვები პოეტის ლექსების საუკეთესო და მართებული შეფასებაა.

აღმოსავლური პოეზიის მკვლევარი გიორგი შაყულაშვილი აშუღურ პოეზიაზე მსჯელობისას ასკვნის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის უზარმაზარი პოეტური ენერჯია და ეროვნული სული რომ არა, აშუღური პოეზია ალბათ, XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ სიტყვიერებასაც კი გაჰყვებოდა“ (შაყულაშვილი 1970: 21-22). თუმცა, ბარათაშვილის შემდეგაც, XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლირიკაში თავი იჩინა აშუღური პოეზიის ინტერპრეტაციამ (რ. ერისთავი, ა. ნერეთელი).

## **დამონებიანი:**

**აბაშიძე 1962:** აბაშიძე კ. *ეტიუდები*. თბილისი. თსუ გამომცემლობა, 1962.

**ასათიანი 1988:** ასათიანი გ. „აღექსანდრე ჭავჭავაძე“. *საუკუნის პოეტები*. თბილისი. „მერანი“, 1988.

**განერელია 1981:** განერელია ა. „ვერსიფიკაცია“. *რჩეული ნაწერები*. ტ. III. თბილისი: „მერანი“, 1981.

**გრიშაშვილი 1973:** გრიშაშვილი ი. „საიათნოვა, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

**დარჩია 1990:** დარჩია ბ. „ბოლოსიტყვა. მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფიები“. *ქართული მწერლობა*. ტ. III. თბილისი: „ნაკადული“, 1990.

**კენჭოშვილი 1986:** კენჭოშვილი ი. ა. *ჭავჭავაძის თხზულებები*. თბილისი: „მერანი“, 1986.

**კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. ნაწერები. ტ. 2. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1965.

**ქიქოძე 1965:** ქიქოძე გ. *რჩეული თხზულებანი*. ტ. 2. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1965.

**შაყულაშვილი 1970:** შაყულაშვილი გ. *საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით*. სსსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი: „მეცნიერება“, 1970.

**ხუციშვილი 1978:** ხუციშვილი ს. „ქართველი რომანტიკოსები“. *ქართული რომანტიზმი*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1978.

**ჯიქია 2017:** ჯიქია მ. *თურქული სალექსო ფორმა – ყოშმა – ქართულ პოეზიაში*. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2017. 5 – 6.

**MAYA JALIAHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Baratashvil's Poetry in the Context of Søren Kierkegaard's „Either/Or“ Philosophy**

Nikoloz Baratashvili's poetry typologically is considered in the context of Romanticism. However, his creations are beyond the scope of a particular course. It is like breaking the limits of time and space and pass through to metaphysical dimension. Baratashvili poetry's depth and wisdom of his poems allows us to analyze his creations in the contexts of existentialism. There are always the equal importance of different values on its thinking scale, which create even philosophical context, formulated as „either/or“ antagonism. In this case, he echoes the danish philosopher, Søren Kierkegaard's thoughts, in which context of aesthetic views we are considering Baratashvili's poetry.

**Key words:** Nikoloz Baratashvili, Georgian Literature, Romanticism

### **მაია ჯალიაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ბარათაშვილის პოეზია კირკეგორისეული „ან-ან“ ფილოსოფიის კონტექსტში**

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ტიპოლოგიურად რომანტიზმის კონტექსტში მოაზრება, თუმცა, როგორც ნებისმიერი გენიოსის ხელოვნება, მისი პოეზიაც კონკრეტული მიმდინარეობის ფარგლებს სცდება. იგი თითქოს არღვევს დროისა და სივრცის სამანებს და მეტაფიზიკურ განზომილებაში გადის, სადაც დრო უწყვეტი მთლიანობაა. ბარათაშვილის პოეზია ყოველ ეპოქაში აჩენს მისი განსხვავებული ნაკითხვის, გააზრებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ბარათაშვილი თავისი გონებისმიერი ფილოსოფიური ნიაღვრეებითა თუ სულისმიერი პოეტური ხილვებით თანაბრად ეხმანება წარსულსაც და მომავალსაც, რადგან მისი შემოქმედება კაცობრიობის კულტურულ გამოცდილებას ირეკლავს და ყოფიერების უზოგადეს კანონზომიერებებს წარმოაჩენს. ადამიანური არსებობის, ეგზისტენციის, პიროვნულობის არსში გარკვევის და ამ გზით სამყაროსეული

საიდუმლოებების ამოხსნის მცდელობაა მისი პოეზია, რომელიც მრავალგანზომილებიან სივრცეს ქმნის და მკითხველს თავისუფალი ინტერპრეტაციის საუკეთესო პირობებს უქმნის. ბარათაშვილის პოეზიის სიღრმე და მრავალნაზნაგონება საშუალებას იძლევა მისი ლექსების საანალიზო კონტექსტად დანიელი ფილოსოფოსის, კირკეგორის ფილოსოფიური შეხედულებებიც მოვიხაზოთ.

ქართველი რომანტიკოსები იცნობდნენ ევროპულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას. ისინი თარგმნიდნენ და ამრავალფეროვნებდნენ ქართულ კულტურას. ბარათაშვილი ერთ ნერილში გრიგოლ ორბელიანს წერს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე „იულიუს ტარანტელი“, ტრალედია ლეიზევიცისა“ (ბარათაშვილი 2012: 70). სამწუხაროა, რომ მისმა ამ თარგმანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და მკითხველს შესაძლებლობა დაეკარგა, თარგმანის მისეულ სტილისტიკას გასცნობოდა და დაკვირვებოდა, რომელიც, სავარაუდოდ, მის ენობრივ თავისთავადობასაც აირეკლავდა და წარმოაჩენდა. „ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმანვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!“ (ბარათაშვილი 2012: 71). ქართველთა ამგვარი „გამოღვიძება“ დროდადრო არღვევდა, ბარათაშვილის თქმითვე, „გონებისა და გულისთვის უსარგებლო ტფილისის“ მყუდროებას და მამულის გულშემატკივართ მომავლის იმედს უჩენდა.

ერთი ყველაზე გამორჩეული „მღვიძარე გონების“ პატრონი კი თვითონვე იყო, რომელიც კარგად ხვდებოდა, რა როლი და ფუნქცია ეკისრებოდა კულტურას ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეში, ტრადიციასთან უწყვეტი კავშირისა და ერთიანი სულისკვეთების შენარჩუნებითვის. განსაკუთრებით გრძნობდა ამ საქმეში ლიტერატურის გამოკვეთილ მისიას, რომელიც მას წარმოუდგებოდა, როგორც საუკეთესო გზა ერის მატერიალურ-სულიერი გადარჩენისა. ამის გამორჩეულ მაგალითად მას ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართველი ერის რაობის განმსაზღვრელი კულტურული ძეგლი, ქართული ენის შემნახველი და განმავითარებელი, ნიგნი, რომელმაც დიდწილად განსაზღვრა მისი დამოკიდებულება ენასა, მხატვრულ სამყაროსა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრადიციასთან დამოკიდებულებას პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. რით განსხვავდე-

ბოდა მისი შემოქმედება წინამორბედ, უპირველეს ყოვლისა, ალექსანდრე ქავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის, შემოქმედებისაგან? ილია ქავჭავაძემ ზუსტად შენიშნა და გამოკვეთა მისი პოეზიის ორიგინალურობის, თავისთავადობისა და ევროპული მასშტაბით მნიშვნელობის განმაპირობებელი ნიშნები. ილია ქავჭავაძემ ბარათაშვილის სააზროვნო სივრცის საანალიზო კონტექსტად „კაცობრიობის სულიერი გამოცდილება“ და, უპირველესად, ევროპული ლიტერატურა მიიჩნია, ამიტომაც თამამად დაანწყილა მისი სახელი ბაირონთან, რომელმაც ევროპული კულტურის სულისკვეთება გამოხატა და ჰამლეტთან, რომლის სახეშიც სიმბოლურად წარმოჩნდა ადამიანური ყოფის ტრაგიზმი: „განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი, სად არის სათავე ადამიანის სასონარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზროვნე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნილი?“ (ქავჭავაძე 1987:71). კიტა აბაშიძის აზრითაც, ნიკოლოზ ბარათაშვილის წინამორბედი პოეტები „ბულბულეზივით დამღეროდნენ ვარდს და მარტო ამით კმაყოფილდებოდნენ, თუ ვარდი ახლო მიიკარებდა. ბარათაშვილმა კი ვარდის – სატრფოსგან აღძრულს გრძნობის საიდუმლოების შეგნება მოიწადინა, უნდოდა, არსებითი მხარე ამ გრძნობისა გაეგო. მისი ბულბული, შუალამეში მწუხრს ამ ვარდზედ მჯდარი, ჰყეფს და მსტვინავი შეეკითხება ვარდს, მალისე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავიო (ნელი, ჩუმი)“ (აბაშიძე 2012: 122). კიტა აბაშიძეც ფიქრობდა, რომ ბარათაშვილის შემოქმედების გასააზრებლად ევროპული ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინება იყო საჭირო, ამიტომაც თვითონაც ბარათაშვილს ბაირონის, შელის, ალფრედ დე მიუსეს, ვიქტორ ჰიუგოს, ლამარტინის და სხვა რომანტიკოსთა გვერდით მოიხსენიებდა.

ივანე გომართელი ეთანხმებოდა ამ საყოველთაო აზრს, მაგრამ დიდ სხვაობასაც გამოკვეთდა ბარათაშვილსა და ბაირონს შორის: „მაშინ, როდესაც ბარათაშვილის პოეზია მსოფლიო გოდებაა ობოლი სულისა, ბაირონის პოეზია, მსოფლიო გოდების გარდა, ბასრი მახვილია. თავისი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედების წყურვილით ბარათაშვილი იმგვარსავე ტიპს წარმოადგენს, როგორც ბაირონი, მაგრამ ბაირონის გარშემო ცხოვრება დულდა, საზოგადოება მოქმედებდა. ბარათაშვილის გარშემო კი ცხოვრება დუმდა, საზოგადოება ფრიად უფერული,

ფრიად მძინარი იყო. ბაირონს თვით დრო და ცხოვრება უწყობდა ხელს, რომ მას თავისი პოეზია ბასრ მახვილად გადაეცია. დრო და ცხოვრება კი ბარათაშვილის მხოლოდ სულიერ ობლობას უწყობდა ხელს და რაც უფრო უკვირდებოდა პოეტი ცხოვრებას, მით უფრო ეძლეოდა საკუთარ თავს და მსოფლიო პესიმიზმს“ (გომართელი 2012: 162).

იონა მეუნარგიას აზრით: „კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები „მერანი“, „სულო ბოროტო“ და ბაირონის „დონ-ჟუანში ჩაურთოს“, ან „ჩაილდ-ჰაროლდში“, არა მგონია, დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვეს, ისე მწარედ და სწორად არის გამოთქმული ამ ქმნილებებში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ხვედრის წინააღმდეგ“ (მეუნარგია 2010: 367).

ვალერიან გაფრინდაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდა „ქართული პოეზიის ჰამლეტი“, რომელიც „ქართული პოეზიის როდენმა“, ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა. ვალერიან გაფრინდაშვილი წერს: „მისი ლექსები დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლეტის ნილაბში მღერის თავის ლექსებს და წარმოთქვამს სახელგანთქმულ „ყოფნა არყოფნას“ (გაფრინდაშვილი 1990: 596). „ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა შექმნა პოეზია დენდიზმისა და ვერლენის აჩრდილებების“ (გაფრინდაშვილი 1990: 596). „მთვრალი ხომალდი“ არტურ რემბოსი და „მერანი“ ბარათაშვილის არიან ერთი კატეგორიის ლექსები. აქ დიონისი დღესასწაულობს თავის გამარჯვებას „საღ გონებაზე“ და შეუჩერებლად მიეჩანება ნირვანისკენ“ (გაფრინდაშვილი 1990: 598). „თუ ფრანგმა პოეტმა ლაფორგმა მიანდო თავისი გულის ჩვილები და საყვედურები პროვინციალურ მთვარეს, ბარათაშვილმა გაუზიარა თავისი ტანჯვა ერთ პირქუმ ვარსკვლავს, რომელიც დღემდე ანათებს ჩვენთვის და იწვის თავისი გაყინული სხივებით“. „არ არის სხვა დიალოგი უფრო საკვირველი თავისი ინტიმით, როგორც სიმბოლური დიალოგი „მწირისა და სუმბულის“. ეს ორი ჭიანურის დუეტია, რომელნიც სტირიან წყდიადში და უპასუხებენ ერთმანეთს უფრო ნაზი ვედრებით, ვიდრე სიტყვები მეტერლინკის დებისა“ (გაფრინდაშვილი 1990: 597).

ამგვარად, გაფრინდაშვილმა გააფართოვა ის ინტელექტუალური სივრცე, რომელშიც შეიძლება მკითხველს ბარათაშვილის შემოქმედება გაეაზრებინა. მან პოეტის მხატვრული შემოქმედების საზღვრები დაუახლოვა არა მხოლოდ მსოფლიო პოეზიას, არამედ ფერწერასაც, მაგალითად, მისი აზრით, „როგორც ალბრეხტ დიურერის რაინდი, ის პირველი და ერთადერთი რაინდია სევდისა, რომელიც არ უღალატებს ოცნებას და მოგონებას“ (გაფრინდაშვილი 1990: 596). ან კიდევ: „პოეტი ვრუბელისებურ სერაფიმივით დგას მთანმინდაზე და იქიდან გადაჰყურებს თავის სიცოცხლეს. კიდევ ერთი წუთი და იგი, როგორც ვრუ-

ბელის დემონი, გადავარდება ნაპრალში და დაიხრჩობა დაისის დამაბრმავებელ ალში“ (გაფრინდაშვილი 1990: 597).

ამგვარი ორიგინალური პარალელებით გამოირჩეოდა გურამ ასათიანი, რომელმაც ბარათაშვილსა და ჯაკომო ლეოპარდს შორის სულიერი ნათესაობა დაინახა: „იტალიელი პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ისევე, როგორც ბარათაშვილის პირადი წერილები, სავსეა დაობლებული, უთვისტომო სულის ჩივილით, მოქმედების ფართო სარბიელისა და სახელის მოპოვების სურვილით, რაც მარტოოდენ ჭაბუკურ პატივმოყვარეობას როდი ამჟღავნებს, მშობლიური გარემო მასაც „გონებისა და გულისთვის უსარგებლო ქალაქად“ წარმოუდგება, ხოლო თანამემამულეთა მოქმედებაში უმთავრესად ზრახვის სიმდაბლესა და სულიერ უმწიფობას ხედავს“, „ბარათაშვილისა და ლეოპარდის სულიერი ოდისეა თითქმის ერთნაირი გზით წარიმართა. მათი ხომალდის აფრებს ერთი ქარი სწენდა... და მაინც საბოლოოდ ისინი სრულიად სხვადასხვა ნაპირს მიადგნენ“ (ასათიანი 1988: 124).

ბარათაშვილის ფიქრის ვექტორი მუდმივად მერყეობს ორ უკიდურესობას შორის და ლირიკულ გმირს უბიძგებს ჩაკეტილი სამყაროს სივრცის გარღვევისკენ. მის სააზროვნო სასწორზე ყოველთვის თანაბარი მნიშვნელობის განსხვავებული ღირებულებები დევს, რომლებიც ქმნიან კიდევაც ფილოსოფიურ ჭრილში ფორმულირებულ „ან-ან“ დაპირისპირებულობას. ამ შემთხვევაში, ის ეხმიანება დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის ნააზრევს, რომლის ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებების კონტექსტშიც განვიხილავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას. კონკრეტულად კი, ვგულისხმობთ კირკეგორის „ან – ან“ წიგნში შესულ ერთ წერილს, რომელსაც ჰქვია: „ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა პიროვნულობის განვითარების გზაზე“. „წიგნის მთავარი პრობლემაა არჩევანი – ან-ან. კირკეგორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა აირჩიოს მეტი ღირებულების მქონე ცხოვრების წესი. „ესთეტიკური“ გრძნობადობით განსაზღვრული წესია ცხოვრებისა, „ეთიკური“ კი მოვალეობის შეგნებითაა განსაზღვრული. „ან-ანში“ ამ ორ წესსა და მსოფლგაგებაზეა ლაპარაკი. კირკეგორის სხვა ნაშრომებში საუბარია ცხოვრების უმაღლეს წესზე – რელიგიურზე, რომლის განმსაზღვრელია რწმენა“, —წერს თამაზ ბუაჩიძე (ბუაჩიძე 7: 1991).

საგულისხმოა, რომ სიორენ კირკეგორი და ბარათაშვილი ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ, ბარათაშვილი 1817 წელს დაიბადა, კირკეგორი – 1818 წელს. თავისი ცნობილი თხზულება „ან-ან“, რომლის ნაწილია „ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა პიროვნულობის განვითარების გზაზე“, მან 1843 წელს გამოაქვეყნა. ამ წიგნს პიამა გაიდენკომ,

კირგეგორის ფილოსოფიის გამორჩეულმა მკვლევარმა, ფილოსოფიური იდეების რომანი უწოდა. მისი აზრით, „აქ იდეების ბროლა უფრო ნმინდა ფორმას იძენს, ვიდრე, მაგალითად, დოსტოვესკის რომანებში“ (გაიდენკო 2010: 83). ორივეს ცხოვრება, შეიძლება ითქვას, იყო „ეგზისტეციალური დრამა“. არც კირგეგორს უცხოვრია ამქვეყნად დიდხანს, ის 1855 წელს 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. „ან-ან“ 1843 წელს გამოვიდა კოპენჰაგენში. „ნიგნში მითითებული იყო მხოლოდ გამომცემელი: ვიქტორ ერემიტა“. დანიელ ფილოსოფოსს უყვარდა ფსევდონიმები: ვიქტორ ერემიტა, რაც „განდეგილობაში გამარჯვებულს“ უნდა ნიშნავდეს, „ან-ან“-ის ავტორის ერთ-ერთი ფსევდონიმია“ (ბუაჩიძე 7: 1991). ახალგაზრდობაში კირკეგორი ბერლინში ისმენდა შელინგის ლექციებს. შელინგის ფილოსოფიამ კი უდიდესი გავლენა მოახდინა რომანტიკოსთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. საქართველოში შელინგიანელი სოლომონ დოდაშვილი იყო. თავიანთ ნაშრომში კახა კაციტაძე და კახა ჯამბურია წარმოაჩენენ როგორ აისახა შელინგის ფილოსოფიის იდეები დოდაშვილის „ლოგიკაში“. მათი აზრით, სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების გავლენა წარმოჩნდება ბარათაშვილის პოეზიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მხატვრული სისტემების ჩამოყალიბებაზე მისივე საყვარელი პედაგოგის, სოლომონ დოდაშვილის გავლენა. სწორედ ამ მოაზროვნის ფილოსოფიური და მხატვრული ნაწერები იქცა მის ერთ-ერთ ძლიერ შთამაგონებელ წყაროდ: „მოვლენათა სამყაროსა და ზეგრძნობადი სინამდვილის ის დაპირისპირება, რომელიც სოლომონ დოდაშვილთან გვხვდება, ასევე ბარათაშვილის შეხედულებები ზეგრძნობადი სინამდვილის წვდომის შესახებ რომანტიკული ხასიათისაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბარათაშვილისათვის, როგორც ჩანს, ცნობილია დოდაშვილის შეხედულებები სამყაროს ტრანსცენდენტალური კონსტრუირების შესახებ, მოცემული ქართველი მოაზროვნის „ლოგიკაში“, „თვითჩაღრმავებათვითშემეცნების ის ეტაპები, რომლებიც სოლომონ დოდაშვილთან გვაქვს, კერძოდ: ბუნების და „მე“-ს არსებობის დადგენა, მზერის მობრუნება გარეგნულიდან შინაგანისაკენ, საკუთარ თავში მიმდინარე სულიერ პროცესებზე, აზრებსა და განცდებზე დაკვირვება, საკუთარი თავის გაგება და სულიერი ჰარმონიის მიღწევა. თვითშემეცნების ეს ეტაპები ბარათაშვილთანაც შეიძლება გამოიყოს, კერძოდ, მის ისეთ პოეტურ შედეგში, როგორიცაა „ფიქრნი მტკვრის პირას“. „ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის პოზიციები ერთმანეთის ახლოს დგას შემდეგ საკითხებში:

1. სამყაროს დაყოფა მოვლენათა და მიღმურ სამყაროებად;
2. ამ ორი სამყაროს რადიკალური დაპირისპირება;
3. აქცენტირება სუბიექ-



ტზე; 4. ყოფიერების პრინციპად სწრაფვის გაგება; 5. ადამიანის, როგორც განსაკუთრებულად, კერძოდ, ცნობიერად მსწრაფველი არსების გაგება; 6. ადამიანის, როგორც ზეგრძნობადი მიღმური სინამდვილისაკენ მსწრაფველი არსების გაგება; 7. ცნობიერი სწრაფვის გენეზისის რომანტიკული გაგება (რომელიც თავის მხრივ ფიხტედან მოდიოდა)“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012: 34, 37, 48).

კირკეგორს ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც მიიჩნევენ, მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა კამიუს, სარტრის და სხვა ეგზისტენციალისტთა მსოფლმხედველობაზე. „დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორს, ყურადღების ცენტრში იდგა ცალკეული ინდივიდი, ერთეული პიროვნების ბედი, გადაწყვეტილებები, განცდები, მისი ფიქრები სიკვდილსა და უკვდავებაზე, ცოდვასა და მონანიებაზე, წამსა და უსასრულობაზე, შიშსა და არარაობაზე... სწორედ ამიტომაა მიჩნეული კირკეგორის მოძღვრება ჩვენი დროის ეგზისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთ წყაროდ“, — ნერს თამაზ ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1991: 7). ბარათაშვილის ყურადღების ცენტრშიც პიროვნებაა, რომელიც ცდილობს გაარკვიოს თავისი გზა და არჩევანი ამ წუთისოფელში.

კირკეგორის აზრით, „ან-ან“ — ის, რისი გაგებაც გვსურს ამ გამოთქმით, მნიშვნელობით სავსეა, რთულია. არსებობს ცხოვრებისეული ვითარებები, რომელთა მიმართ „ან-ან“—ის გამოყენება სასაცილო ან თავისებური უგუნურება იქნებოდა, შეხვედებით ადამიანებს, რომელთა სული იმდენად დაუძღურებულია, რომ ვერ გააგებინებთ ამ დილემის აზრს. ამგვარ ადამიანთა პიროვნულობას არ გააჩნია ენერჯია, ამიტომ მათ არ ძალუძთ პათოსით წარმოთქვან „ან-ან“. პირადად ჩემზე ეს სიტყვები მუდამ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. ისინი ახლაც ზემოქმედებენ ჩემზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ისეთი წმინდა და გაშიშვლებული ფორმით გამოვთქვამ, რომ შესაძლებელი ხდება დღის სინათლეზე გამოვიდნენ უსაშინლესი წინააღმდეგობები, „ან-ან“ მოქმედებს ჩემზე, როგორც ჯადო სიტყვები, მათი წარმოთქმისას უალრესად სერიოზული ვხდები, ზოგჯერ ვძრწუნდები კიდეც. ვიგონებ ადრეულ სიჭაბუკეს, როცა ჯერ არ მესმოდა, რას ნიშნავს არჩევანი, ბავშური ნდობით ვისმენდი უფროსთა სიტყვებს, არჩევანისას მხოლოდ სხვათა მითითებებს მივდევდი, ვიგონებ გვიანი ცხოვრების წამებს, როცა გზის გასაყარზე ვიდექი, როცა ჩემი სული უკვე მომნიჭებული იყო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ვიგონებ ჩემი ცხოვრების მრავალ ნაკლებმნიშვნელოვან, მაგრამ არცთუ წვრილმან შემთხვევებს, როცა საჭირო იყო არჩევანის გაკეთება“, — ნერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 8).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაშიც ეს ჯადო სიტყვები „ან-ან“ მუდმივად ჩნდებოდნენ. თითქოს ზღაპრისეული გმირივით გზაჯვარედინზე იდგა და ოთხივე მიმართულებას ეწერა: „აქეთ თუ წახვალ, ინანებ“. არადა, სტატიკურობა, უმოძრაობა მას ესახებოდა, როგორც დალუპვა. უმოძრაობისკენ მიუთითებდა ცხოვრება, რომელიც, რეალურად, მოაზროვნე ადამიანს თვითმკვლევლობისკენ უბიძგებდა. ან-მყოცა და წარსულიც მას მხოლოდ იმის მაგალითებს აწვდიდა, რომ ყოფიერებას აზრი არ ჰქონდა. ეს კარგად წარმოჩნდება ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი.

ლექსის აზრობრივ განვითარებას ლირიკული გმირი ჩიხამდე მიჰყავს, მაგრამ იგი მაინც აგრძელებს გზას, მიუხედავად იმისა, რომ სინანული ელის:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივსდითო მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

იყო ეს ბედთან შერიგება თუ, პირიქით, მასთან ჭიდილი. როგორც მისი ლექსები ცხადყოფენ, ეს იყო სიცოცხლის გააზრება, გაცნობიერება იმისა, რომ ტანჯვა ბედნიერებაა, თუკი ამ ტანჯვას მოაქვს პიროვნული განვითარება. ბარათაშვილს შეეხმიანება შემდეგ ვაჟაფშაველა, რომელიც დაწერს: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული“ („ჩემი ვედრება“).

ვინ არის პოეტი? — კითხვას სვამს კირკეგორი და თვითონვე ასე უპასუხებს: „სულიერად გატანჯული უბედური არსება, რომლის გმინვაცა და კვნესაც საუცხოო მუსიკად ჟღერს. მისი ბედი შეიძლება შევადაროთ იმათ ხვედრს, ვისაც ცოცხლად წვავდნენ ნელ ცეცხლზე ფალარისის სპილენძის ხარში. ტირანს ვერ შეაძრწუნებდა მსხვერპლთა საშინელი მოთქმა-გოდება – ეს ხმა ტკბილ მუსიკად ჩაესმოდა. ადამიანებიც ირევიან პოეტის გარშემო და იმეორებენ: იმღერე, კიდევ იმღერე!“ თითქოს ამბობდნენ — დაე, სული შენი ენამოს, ოლონდ ბაგეებიდან აღმომხდარმა გმინვამ კვლავაც აგვალეღვოს და დაგვატკბოს თავისი საუცხოო ჰარმონიით“ (კირკეგორი 1992: 37).

როგორც მოაზროვნე, ბარათაშვილი ფაუსტური პიროვნებაა, რომელიც საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნებას ესწრაფვის. „წინამძ-

ღვრად“, ნებით ან უნებურად, მეფისტოფელს, ბოროტ სულს ირჩევს, რომელსაც ის მიჰყავს სასონარკვეთილებამდე, რადგან შეიგრძნობს, რომ მას მინდობილი პიროვნულად არარაა: „რა ვარ ან სოფლად დაშენილი უსაგნოდ, მარტო, / ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო,სულით მახვრალი“, ამიტომაც აუქმებს მასთან დადებულ „ხელშეკრულებას“:

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა  
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!  
მას აქეთ არის – დაუუკარგე მშვიდობა სულსა,  
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყრუეილსა!  
განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!  
(„სულო ბოროტო“)

ბარათაშვილის პოეზიის მრავალნიღბიანი ლირიკული გამირისთვის ერთი რამ საერთოა – ის მემამბოხეა თავისი სულისკვეთებით. ცხოვრება მისთვისაც მრავალგანზომილებიანი ფენომენია. პოეტი თავისი სულიერი ცხოვრების უმთავრეს გამოხატულებაში, პოეზიაში, ერთმანეთს უპირისპირებს მატერიასა და სულს, სილამაზესა და მშვენიერებას, წარმავალსა და უკვდავსა და არჩევანს აკეთებს მშვენიერების, ამაღლებულის, უხრწნელის სასარგებლოდ. ეს კარგად წარმოჩნდება, მაგალითად, ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“, რომელშიც შესანიშნავად იხატება, რამხელა ზღვარია ჭკნობად ხორციელ სიყვარულსა და უჭკნობ ღვთაებრივ გრძნობას შორის. ბარათაშვილის აზრით, ადამიანს ყოველთვის შეუძლია გააკეთოს სწორი არჩევანი, თუკი მას დაკარგული ან დავინყებულები არ ექნება ის, რომ „ღვთის მსგავსება და ხატებაა“ და „თიხისაგან მოზელილ“ სხეულს, მყიფესა და ხრწნადს, შთაბერილი აქვს უკვდავი სული:

და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,  
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

ბარათაშვილი მზადაა, ტრფობით დაფერფლილ-დანაცრებული გული სიყვარულის საკურთხეველს შესწიროს („შევიძრობ ცრემლსა“). სიყვარული მისთვის ცხოვრების უდაბნოში მოლანდებული წმინდა ტაძარია, რომლის ილუზორულობა თან აღტაცებას ჰგვრის და თანვე სასონარკვეთლებაში აგდებს („ვპოვე ტაძარი“). სიყვარული შეაგრძნობინებს გამოთქმის ადამიანურ უძლურებასაც: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“ („არ უიყინო სატრფო“). ძიებების გზით ის კვლავ და კვლავ აღმოაჩენს, რომ სასუფეველი განწმენდილ გულშია, როგორც პავლე მოციქული იტყვის.

ბარათაშვილიც ფიქრობდა, რომ „ყოველ ადამიანში იყო რაღაც, რაც მას ხელს უშლიდა, რომ სრულყოფილად ჩასწვდომოდა საკუთარ თავს“ (კირგეგორი), ამიტომაც გამუდმებით მართავდა დიალოგს „მესთან“, რათა ის ერთადერთი ნილაბი გამოერჩია, რომელიც ჭეშმარიტად წარმოაჩენდა მის სახესა და სულისკვეთებას. ლექსში „ხმა იდუმალი“ თვითმემეცნების ეს ძიებაა წარმოჩენილი.

ანგელოზური თუ დემონური? ლექსში კარგად გამოიკვეთება ჭიდილი „ან –ან“. მისი მტანჯველი იდუმალი ხმა ან ანგელოზურია და ან სატანური:

„ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?  
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი ნილობა?“

ანგელოზური მას ზეცასთან კავშირს შეაგრძნობინებდა, დემონური – მიწასთან.

პოეტი ღვთაებრივთან კავშირის უწყვეტობას გამოხატავს ლექსში „ცისა ფერს“:

„და ახლაც, როს სისხლი  
მაქვს გაციებული,  
ვფიცავ მე – არ ვეტრფო  
არ ოდენ ფერსა სხვას“ („ცისა ფერს“).

სხვა ფერი, ამ შემთხვევაში, ამქვეყნიური სიჭრელის გამომსახველიც შეიძლება იყოს, სიჭრელისა, რომელიც ნთქავს ცისფერს, გარდაქმნის, გარდასხვავაფერებს. პოეტს მხოლოდ ღვთაებრივზე ფიქრი აგრძნობინებდა საკუთარი არსებობის აზრსა და გამართლებას:

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავინყდების სანუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს ის ამაოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!“  
(„შემოღამება მთანმინდაზედ“)

ძიების ეს მრავალმხრივი და რთული პროცესი მას სჭირდებოდა არა მხოლოდ სამყაროს შესამეცნებლად, არამედ, უპირველესად, საკუ-

თარი პიროვნების გარდაქმნისა და სრულქმნისთვის. თავისი სიჭაბუკე, შემოქმედებითი სასიცოცხლო ძალები მან გამოიყენა იმისთვის, რომ სიტყვის გზით, ლოგოსის ძალით დაუპირისპირდა ყოველივე იმას, რაც ზღუდავდა მისი პიროვნების თავისუფლებას. არარად ყოფნის სიცარიელე მან გადალახა იდეალის აღმოჩენითა და მისთვის თავშენიწევით. ეს კარგად წარმოჩნდა „მერანში“.

ამ არჩევანს მიჰყავდა იგი აზრამდე, რომ ქვემარტება იყო არა სადმე გარეთ, არამედ თვითონ მასშივე და მისი დამოკიდებულება სამყაროსთან განსაზღვრავდა მისი არსებობის გამართლებას. იგი თვითონვე ქმნიდა საკუთარ თავს და პოეზიაში იზადებოდა ახალი ადამიანი, ბედსდაუმორჩილებელი, თავისუფალი, უსაზღვრო სივრცეთა მოტრფილე. ის, რაც პირად წერილებში მჟღავნდებოდა, როგორც მხოლოდ სურვილი, პოეზიის სამყაროში ფრთებს ისხამდა და ხორციელდებოდა: „დავმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, მაგრამ ხანდახან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას. ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“.

ლექს „ჩინარში“ იგი კიდევ ერთ გზას ეძებს ბედნიერების მოსაპოვებლად – ეს არის ბუნებასთან თანაზიარობს განცდა:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“  
(„ჩინარი“)

კირკეგორი ხელოვნებას (ადამიანის შექმნილს) და ბუნებას (ღვთის შექმნილს) ერთმანეთის გვერდით აყენებდა. მისთვის პოეზია იყო ერთგვარი ღვთისმსახურება, „პოეზიის სამყარო – ეს არის განსაკუთრებული, მაგიური სამყარო, რომელიც, ნოვალისის თანახმად, აბედნიერებს ადამიანს და საკუთარ თავთან თანხმიერებას განაცდევინებს. ვინც უბედურია წუთისოფელში, ვინც ვერ პოულობს იმას, რასაც ეძებს, დაე, წავიდეს, წიგნებისა და ხელოვნების სამყაროში, ბუნების სამყაროში – ეს არის მარადიული ერთობა წარსულისა და თანამედროვეობისა. ამ სამყაროში ის შეიძენს მეგობარსაც, შეყვარებულსაც, სამშობლოსაც და ღმერთსაც“ (გაიდენკო 2010: 115). ასეთ მეგობრად იქცა უტყვი ბუნება. ეს კარგად წარმოჩნდა ლექსში „შემოლამება მთანმინდაზედ“. ბუნება ამ ლექსში იხატება არა მხოლოდ მისი ფიქრისა და დარდის ჩუმი განმაზიარებელი, არამედ საიდუმლო ენაზე მოსაუბრე ინტელექტუალი, რომელიც სამყაროს მისტიკური სიღრმეებისკენ უკვალავს გზას, გრძნობას უმახვილებს, ინტუიციას უმძაფრებს, რათა ჩასწვდეს მთავარსა და არსებითს, იმას, რაც საკუთარი არსებობის მიზანდასახულე-

ბაში დაარწმუნებს, რაც ხვალინდელი დღის რწმენას ჩააგონებს: „როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ლექს „ჩვილში“ ის შენატრის იმ ჰარმონიულ, სამოთხისეულ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვს, შეუძლია მშვიდად და თავისუფლად ისუნთქოს მშობელთა და ახლობელთა მზრუნველობით, სიყვარულით სავსე გარემოში. ამ სიმშვიდეს არ ემუქრება არავითარი საფრთხე გარედან. ღვთაებრივი ისე ახლო და ხელმისაწვდენია, რომ ბავშვი ანგელოზებს ხედავს და უღიმის, ჩაესმის მათი არამინიერი ხმები და წმინდა ბედნიერებას ნაზიარები ვერსად ლანდავს დროის წარმავლობასთან ერთად ჩასაფრებულ საფრთხეებს, რომლებიც მაშინვე თავს იჩენენ და გამომზეურდებიან, როგორც კი გამოვა ბავშვობის მფარველი სივრცოდან. ის „ენითა სასუფეველის“ მეტყველებს, რომელიც გაუგებარია მოზრდილთათვის. იგი „ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს“, „არ განიცდის იგი სანუთროს ვნებას“, ამიტომაც ამგვარად მიმართავს პოეტი:

„იტიკტიკე ენითა უსუსურის,  
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,  
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,  
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!“

„არსებობს მხოლოდ ერთი მიმართება, რომელშიც ამ სიტყვას (ან-ან) აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. ესაა მაშინ, როცა ერთ მხარეზეა ჭეშმარიტება, სიმართლე და სინამდვილე, მეორეზე კი – სიამოვნება და მიდრეკილებები, ბნელი ვნებები და მანკიერებანი. და მაინც სწორი არჩევანი, ამით კი საკუთარი თავის გამოცდა დიდი მნიშვნელობის მქონეა ისეთ ვითარებებშიც კი, რომლებშიც არჩევანი უვნებელ რაიმეს ეხება. ასეთი არჩევანი საჭიროა რათა როდისმე არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება და ღმერთისვის მადლობის თქმა იმის გამო რომ საკუთარი თავის მიმართ მხოლოდ დროის გაცდენა გვაქვს სასაყვედურო“, – წერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 9).

„ჩემს ლოცვაში“ ამგვარი არჩევანი ჩანს – ერთი შეხედვით, დაუეჭვებელი და უყოყმანო. „როდესაც ადამიანი ახორციელებს არჩევნის აქტს, მასში, როგორც ინდივიდუალურობაში, არავითარი ცვლილება არ ხდება, მისი ფსიქიკური ნყოფის ყველა თავისებურება, ტემპერამენტი, ინდივიდუალური თვისებები იგივე რჩება, ამავე დროს, თვითონ ის სხვა ხდება, ბუნებრივი ინდივიდუალურობიდან გარდაიქმნება პიროვნებად. „ეს არსი ესთეტიკური „მე“ რომელიც არჩეულია ეთიკურად“, — წერს კირკეგორი (გაიდენკო 157: 2010).

„თუმცა ჩემს ცხოვრებას თავისი „ან-ან“ რამდენადმე უკვე წარსულში ეგულება, მაინც კარგად მომეხსენება, რომ მრავალგზის შეი-

ძლება შევეყარო ვითარებებს, რომლებშიც ამ სიტყვებს თავისი სრული მნიშვნელობა ექნება. ვიმედოვნებ, რომ ეს სიტყვები, ჩემს გზაზე შეხვედრისას, მუდამ ღირსეულად განწყობილს მნახავენ, რომ მე შევძლებ სწორი არჩევანის გაკეთებას, დიახ ყოველთვის გავირჯები, რათა ჭეშმარიტი სერიოზულობით ავირჩიო რაიმე. მე, ყოველ შემთხვევაში, შემძლია ვინუგეშო თავი, რომ მცდარი გზიდან სწრაფად გადავუხვევ“, – წერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 10). ნიკოლოზ ბარათაშვილმაც კარგად იცის, რომ თუ თვითონ არ გააკეთებს არჩევანს, მაშინ გარემოებანი განსაზღვრავენ მის გზას და მისი პიროვნულობა გაიბზარება, არადა, სწორედ ეს შინაგანი თავისუფლებაა მნიშვნელოვანი, არ მისცე არანაირ გარემოებას ნება, რომ შენს სულიერ მისწრაფებებს წინ გადაელობოს. კირკეგორის აზრით, თუ ცხოვრება გააკეთებს მის ნაცვლად არჩევანს, მაშინ იგი „მეს“ დაკარგავს“ (გაიდენკო 154: 2010). კირკეგორის მიხედვით, არჩევანი ნების აქტია და არა გონებისა. ამ არჩევნით პიროვნება აცნობიერებს თავის კავშირს მარადიულობასთან ეს კარგად შეიგრძნობა ბარათაშვილის სიტყვებშიც: „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ („მერანი“). ამ არჩევანს, ამ შემთხვევაში, თავგანწირვას თავისუფლების იდეისთვის მოჰყვება იმგვარი შედეგი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ შინაგან დაუსაზღვრავ ენერგიას გრძნობდა ბარათაშვილი. ეს კარგად ჩანს ლესში „ნაპოლეონ“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ („ნაპოლეონ“). არჩევნით ადამიანი თვითონვე განსაზღვრავს საკუთარ თავს და ამგვარად, ხატოვნად თუ ვიტყვით, თავის „ბედს ცვლის“: „გარდამატარე ბედის საზღვარი,/ თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი“ („მერანი“). „ადამიანი მშობიარე ქალივით ტანჯვით ბადებს საკუთარ თავს“, – წერს კირკეგორი. ამგვარად, თავის მიერვე შობილი უშუალო ესთეტიკურ კავშირს ამყარებს სამყაროსთან.

„ვისურვებ, რომ შენმა ცხოვრებამ ერთხელაც გაიძულოს დღის სინათლეზე გამოიტანოს ის რაც შენში დაფარულია, მოგიწყოს ძნელი გამოცდა, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებს ლაყბობა და ხუმრობა. ცხოვრება მასკარადიაო, ამბობ შენ და ეს აზრი ამოუნურავი მასალაა შენი სიამოვნებისა. შენი შეცნობა ვერავინ შეძლო, რადგან შენი გულ-ლიობა მუდამ მოჩვენებითია, მხოლოდ ასე შეგიძლია შენ სუნთქვა, ასე იშორებ ადამიანებს, რომლებიც გზლუდავენ და სუნთქვას გიშლიან. შენი მოქმედების მიზანი შენი დაფარულობის შენარჩუნებაა. ამ მიზანს აღწევ, რადგან შენი ნილაბი ყველა სხვაზე საიდუმლოა, შენ, თავისთავად, ხარ არარა, და წარმოადგენ რაიმეს მხოლოდ სხვასთან მიმართებით“, – წერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 11). ნიკოლოზ

ბარათაშვილზე მოგონებებს თუ გავეცნობით, დავინახავთ, რომ საზოგადოებაში ის წარმოჩნდებოდა, როგორც მხიარული, თავყრილობათა მოყვარული, ენაკვიმატი, თუმცა, ლექსებში ღრმა მეღანქოლიასა და უმიზეზო უძირო სევდას ამხელდა. მხოლოდ მაიკო ორბელიანთან მიწერილ წერილებში ირეკლება მისი უნილბო სახე: „ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ. მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ლამეც ნავიდა, ვითარცა სიზმმარი. კიდეც მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდეც ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდეც ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმეყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამღავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

„სულის უბნაობა“ იყო მამოძრავებელი ძალა ბარათაშვილის სულიერი ძიებებისა. „მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (მათე 6, 20). ამგვარად ეხმიანებოდა ის სახარებას და იტანჯებოდა, რადგან სხვაგვარად, ოხვრისა და ცრემლის გარეშე, ვერ მიაღწევდა მისი ამოზის დამთრგუნველი ფიქრი ზეცამდე. რომ არა ამგვარი მტანჯველი მარტოობა, ალბათ, არ შეიქმნებოდა მისი შედეგები. მხოლოდ დიდი და ღრმა სულიერი ტკივილის საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს იმგვარი ყოვლისმომცველი ხილვის დარი გამოცდილებანი, რომლებიც ადამიანის სულის ბნელსა და ნათელ წიაღებს თანაბარი ძალმოსილებით მოიხილავენ და წარმოაჩენენ.

„ნუთუ არ იცი, რომ მოვა შუალამე, როცა ყველამ თავისი ნილაბი უნდა მოიხსნას?“ – წერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 11). ეს შუალამე მეტაფორულად ღმერთთან შეხვედრაზე მიანიშნებს და ეხმიანება სახარებისეულ „ათი ქალწულის“ იგავს. ადამიანის გონიერება სწორედ ამ დროს გამოჩნდება, რამდენად მომზადებული დახვდება ამ დროს, რომელიც არავინ იცის, როდის დადგება. ღმერთთან ურთიერთობის



სიღრმე და ყოვლისმომცველობა კარგად წარმოჩნდება ლექსში „ჩემი ლოცვა“, რომელშიც პოეტი საკუთარ სულს აშიშვლებს. მისთვის რწმენა ერთადერთი გზაა ხსნისა. „ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეც-თომილი“. ძე შეცდომილის იგავი ლუკა მახარებელს აქვს მოთხრობლი (ლუკას სახარება: 5, 11-32). ლექსის ლირიკული გმირი, იგივე, სამოთხიდან გამოდენილი ადამია, რომელმაც დაკარგა მსგავსება და ხატება ღვთისა, მამას დაშორდა, მატერიალურ საზრუნავებში ჩაეფლო, განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ უძღვები შვილივით არ დაკარგა იმედი და ხსოვნაში დარჩა „მამის ხატება“. „მამაო“, „სახიერო“, „ცხოვრების წყაროვ“, „გულთამხილავო“ – ამგვარი ეპითეტები საღვთისმეტყველო ლიტერატურულიდანაა. ამავე დროს, რუსთაველსა და გურამიშვილთან გვხვდება. ლექსის ლირიკულ გმირს სტანჯავს საკუთარი ცოდვების შეგრძნება და გულშემუსვრილი ევედრება მამას პატიებას:

„პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს ნებას“.

პავლე ინგოროყვა წერს: „ფინალში ლექსისა ჩვენ გვაქვს გამოხმაურება შავთელის „აბღულმესიანისა“. არანაკლებ საინტერესოა, რომ ამ ლექსში ჩვენ გვაქვს გამოხმაურება ძველქართული ძლისპირისა „სოფლის ზღვაი აღძრულ-არს“, რომელიც ეკუთვნის მე-8-მე-9 საუკუნეთა დიდ ქართველ პოეტ-ჰიმნოგრაფს გრიგოლ ხანძთელს“ (ინგოროყვა 2007: 129). ლექსის ბოლო სტრიქონი: „მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად“ – პოეტის მთელი არსების წყურვილს ამხელს, შეუერთდეს ღვთის საუფლოს, მისგან განუყოფელი გახდეს და ამგვარად მოიპოვოს სულიერი ჰარმონია და სიმშვიდე.

„მთავარია არა გონის განათლება, არამედ საკუთარი პიროვნების სრულქმნა“ (კირკეგორი 1991: 14). თავისი პოეზიით ბარათაშვილი სრულქმნიდა სულს, რათა შეძლებოდა ღვთაებრივთან ურთიერთობა, ეს კი მას აძლევდა შემოქმედებით იმპულსს.

„ადამიანს შესწევს ძალა, დაუპირისპირდეს სამყაროს“, – წერს კირკეგორი (კირკეგორი 1991: 14). სამყაროს, როგორც მრავალგანზომილებიან ფენომენს, უპირისპირდება ბარათაშვილი ლექსით „მერანი“, რომელშიც კარგად წარმოჩნდება მისი არჩევანი, ცხოვრებისეული დაბრკოლებები გადალახოს სულისმიერი წინააღმდეგობებით, თუმცა მათი მოგვარება ხშირად შეუძლებელიც ჩანს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არჩევანი უმნიშვნელოვანეს მორალურ-ზნეობრივ ფასეულობებსა თუ პასუხისმგებლობა-მოვალეობებს შეეხება. ვგულისხმობთ სიყვარულს, მშობლებზე ზრუნვას, სამშობლოს ერთგულებას და ამ რიგის მოვლენებს, რომლებიც კერძო ინდივიდს კონკრეტულ ოჯახს, გვარს, ერს მიაკუთვნებენ:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.  
(„მერანი“)

ეს სამყაროსა და საკუთარი თავის თვითშემეცნების გზაზე დამდგარი ადამიანის სიტყვებია. იგი ავთანდილის სულისკვეთების პიროვნებაა, რომელმაც იცის, რომ მისი გზა თვითშენიშნავს გულისხმობს, ამის გარეშე თავის რწმენას დაკარგავს. მიზნისკენ „გიჟურ“ ქროლას, ბედისწერის საზღვრის გადალახვას კი მხოლოდ ის შეძლებს, ვინც თავის ქვემარტ მარადიულ სამშობლოდ სამყაროს მოიაზრებს. ასე გადის შინიდან ბარათაშვილი ოდისევსივით, რათა პოეზიის განზომილებაში მოგზაურობით შეიმეცნოს საკუთარი თავი, სამყარო და და გარდაქმნილ-განწმენდილი დაუბრუნდეს „ზენაართ სამყოფს“, სულის მარადიულ ნავსაყუდელს.

## დამონეშანი

**აბაშიძე 2012:** აბაშიძე კ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში: *ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერთტომეული, ჩემი რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა“, 2012.

**ასათიანი 1988:** ასათიანი გ. *საუკუნის პოეტები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.

**ბარათაშვილი 2012:** ბარათაშვილი ნ. *ერთტომეული, ჩემი რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა“, 2012.

**ბუაჩიძე 1991:** ბუაჩიძე თ. *სიორენ კირკეგორი*. ჟ. „ლარი“, №1, თბილისი: 1991.

**გაიდენკო 2010:** გაიდენკო პ. *ესთეტიზმის ტრაგედია – სიორენ კირკეგორის მსოფლმხედველობის შესახებ*. მოსკოვი: გამომცემლობა „ურსს“, მესამე გამოცემა, 2010.

**გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. „ბარათაშვილი“. წიგნში: *ლექსები, თარგმანები, ესეები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

**გომართელი 2012:** გომართელი ი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში *ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩემი რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა“, 2012.

**ინგოროყვა 2007:** ინგოროყვა პ. წიგნი „ქართველი მწერლები სკოლაში“, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2007.

**კირკეგორი 1991:** კირკეგორი ს. „ესთეტიკურისა და ეთიკურის ნონასნორობა პიროვნულობის განვითარების გზაზე“. ჟ. „ლარი“, №1, თბილისი: 1991.

**კირკეგორი 1992:** კირკეგორი ს. „ესთეტიკოსის აფორიზმები“. წიგნში: *სკანდინავიური ესეები*. თბილისი: 1992.

**კაციტაძე ... 2014:** კაციტაძე კ., ჯამბურია კ. „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“. წიგნში: *ქართული რომანტიზმი-ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები*. თბილისი: 2012.

**მეუნარგია 2010:** მეუნარგია ი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. *თხზულებანი*, ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2010.

**ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი. *წერილები ლიტერატურაზე, პუბლიცისტური წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

## **GIUSEPPINA GIULIANO**

*Italy, Salerno*

*University of Salerno*

### **Tatyana’s Space. Symbolism of Window in Romanticism and in Pushkin’s “Eugene Onegin”**

The window becomes in the nineteenth century a very important topos of literature, including Russian. A significant example of the image of the window as a symbolic space we find in the “Eugene Onegin”, when Pushkin describes Tatyana’s sitting by the window. To understand different meanings of the window in the novel will help us the symbolism of the window in the history of European painting. In the age of Romanticism outer and inner world, separated by the window, are contrasted. The woman in the pictures don’t enjoy the scenery but “open” a new place space. When Tatyana is sitting near the window, a “transitive space”, we don’t always know where she looks, in the outside or inner world.

**Key words:** Romantic Painting; Pushkin’s “Eugene Onegin”; Women at the window

## **ДЖ. ДЖУЛИАНО**

*Италия, Салерно*

*Университет Салерно*

### **Пространство Татьяны. Символика окна в эпоху романтизма и в «Евгении Онегине»**

Французский критик Филипп Амон пишет об окне как о «предмете, принадлежащем внетекстовому пространству в романе XIX века», потому что именно в «эпоху промышленной революции» эта часть дома приобретает те формы и функции, которые она имеет и сегодня в нашей повседневной жизни (Hamon 1993: 205)\*. По этой причине окно становится

---

\* Литература о символическом окне в мировом искусстве и литературе – обширная. Среди самых важных публикаций по теме напоминаем: Gottlieb 1981; Basile 1982; Piretto 1996: 6-101; Finestre 2004; Selbmann 2010.

в XIX веке очень важным топосом художественной литературы, в том числе и русской. Один из первых примеров использования образа окна как символического пространства мы находим в романе «Евгений Онегин» в описании молчаливой и дикой природы Татьяны:

*Дитя сама, в толпе детей  
Играть и прыгать не хотела  
И часто целый день одна  
Сидела молча у окна.*

(Пушкин 1959-1962: 4, 11-14)

Татьяна сидела у окна, чувствуя себя «чужой» в родной семье: «окно открывало внешний мир и, может быть, давало возможность отстраниться от того, что было рядом, что тяготило своей обыкновенностью» (Онегинская ... 2004: 217). Образ окна не один раз появляется в романе, в большинстве случаев в связи с главной героиней, и не только «становится символом тоски и одиночества», как писал Набоков (Набоков 1998: 259), но имеет различные значения, понять которые нам поможет изучение символики окна в истории европейской живописи.

Некоторые фрески древних римских домов, которыми можно сегодня наслаждаться, например, в развалинах Помпеи, имели своеобразную декоративную функцию. Они изображали иллюзорные перспективы, архитектурные ансамбли и пейзажи, а также прекрасные сады, нарисованные в фиктивных окнах\*. Люди стремились, видимо, к внешнему пространству, прорубали себе виртуальный выход в идеальный, гармоничный мир.

В Средневековье, когда искусство имело самое тесное отношение с духовным миром человека, окно символизировало чаще всего «окно Господне», в то время как в эпоху Ренессанса оно служило просто как «ведута»: художники даже не рисовали все карнизы, часто показывая только кусок окна. Внешнее и внутренне пространство человека как будто сливались друг в друге.

В XVII веке, в процессе становления буржуазии, домашний очаг стал восприниматься как место мирных чувств, женских забот, а внешний мир – как место для приключений, мужское пространство. Например, на картинах Яна Вермеера женские фигуры сидят у окна, часто спиной к зрителю, пишут, читают, шьют, работают. Смотри, например, картину Яна Вермеера «Молочница» (1660).

---

\* См. например фрески в доме Лорея Тибуртина (Октавия Квартин) в книге Gottlieb 1981: 58-59.



*Я. Вермеер.  
«Молочница» (1660)*

Образ окна приобрел многочисленные, часто противоречивые, символические значения в эпоху романтизма как в живописи, так и в литературе. Особенно распространены два примера: женщина смотрит на какой-нибудь предмет, как, например, на бытовой картине Георга Фридриха Керстинга «Вышивальщица у окна» (1827) – тут ничего таинного, скрытого нет и

*Г.Ф. Керстинг.  
«Вышивальщица у окна»  
(1827)*



молодая женщина Керстинга напоминает персонажей Вермеера, она смотрит на свою работу, сидя за столом у окна, но в него даже не глядит – или смотрит вглубь комнаты, как на картине Федора Петровича Толстого «В комнате за шитьем» (?) где молодая женщина сидит у окна со своей работой в руках. Интересно, что она, обернувшись, смотрит прямо в лицо художника или зрителя.



Что касается Татьяны, в начале романа мы не знаем, смотрит ли она в комнату или в окно, когда она сидит у окна, но мы точно знаем, что девушка никакими женскими занятиями не интересуется:

*Ф.П. Толстой. «В комнате за шитьем» (?)*

*Ее изнеженные пальцы  
Не знали игл; склонясь на пяльцы,  
Узором шелковым она  
Не оживляла полотна.*

(Пушкин 1959-1962: 4, 5-8)

Мы также не знаем, о чем думает и мечтает героиня. Можно предполагать, что деревенская природа, которую Пушкин описывает в начале второй главы вызывает у нее какие-то мысли и чувства. Тайна ее души символизируется именно окном – границей между личным, девичьим миром и внешней действительностью. Вероятно, она втайне стремится в другой мир, ее тревожит мысль о внешней реальности, которой она еще не знает, но которая предназначена ей судьбой.

Желание увидеть внешний мир в первый раз появляется у Татьяны ночью, когда она стоит на балконе. Жизнь Татьяны кажется монотонной, скучной. Из ее обычных занятий Пушкин описывает только одно: она пробуждается рано утром, чтобы дожждаться зари на балконе своей комнаты, но границу она никогда не пересекает:

*Она любила на балконе  
Предупреждать зари восход,  
Когда на бледном небосклоне  
Звезд исчезает хоровод,  
И тихо край земли светлеет,  
И, вестник утра, ветер веет,  
И всходит постепенно день.  
Зимой, когда ночная тень  
Полмиром доле обладает,  
И доле в праздной тишине,  
При туманенной луне,  
Восток ленивый поживает,  
В привычный час пробуждена  
Вставала при свечах она.*

(Пушкин 1959-1962: 4, 1-14)

Татьяна даже никуда не смотрит, она «ожидает» зарю точно так же, как и «Женщина на утреннем солнце» (1815) на таинственной картине немецкого художника эпохи романтизма Давида Каспара Фридриха\*, где женская фигура стоит спиной к зрителю в открытом поле.



Филип Амон пишет, что вседневное пространство можно разделить на три части: публичное пространство, приватное и полу-публичное (или полу-приватное) (Напон 1993: 212). Татьяна ведет себя в гостиной, т.е. полу-публичном/приватном пространстве так же, как

*Д. К. Фридрих.*

*«Женщина на утреннем солнце» (1815)*

и у себя в комнате. Тем более, что в то время девушки, особенно жившие в деревне, не имели никакой возможности выходить из дома и «видеть» мир. Когда гости (мужчины, т.е. владельцы внешнего мира) приходят в усадьбу,

---

\* Фридриха хорошо знали в то время не только на родине, но и в России. С ним дружил, например, Жуковский, который купил некоторые его картины. См.: Нечаева 2003; Дмитриева 1987: 328-343; Жуковский 2004; Жуковский 2009

Татьяна ничем не занимается и, кажется, ни на кого не обращает внимания. По словам Ленского, это происходит и при первой встрече с Онегиным:

*Скажи: которая Татьяна?»*

*– Да та, которая, грустна*

*И молчалива, как Светлана,*

*Вошла и села у окна. –*

(Пушкин 1959-1962: 4, 1-4)

Поведение Татьяны напоминает Ленскому героину стихотворения Жуковского:

*Села (тяжко ноет грудь)*

*Под окном Светлана;*

*Из окна широкий путь*

*Виден сквозь тумана;*

(Жуковский «Светлана». - Жуковский 1959: 2, 1-4)

Но, может быть, именно благодаря этому поведению и сходству со Светланой сам Онегин заметил молчаливую девушку.

В конце романа сама Татьяна будет вспоминать о первой встрече с Онегиным, то есть о том моменте, когда она «вошла и села у окна». Это значит, что в романе окно имеет двойную перспективу. Сначала Татьяна сидит и, вероятно, смотрит в комнату, во внутренний мир, а потом, после знакомства с Онегиным, она начинает смотреть вдаль, т.е. во внешнее пространство.

В своей статье о романе Флобера «Мадам Бовари» (1856) Жан Руссе писал, что «окно – любимое место у героев Флобера, неподвижных и в то же время постоянно и неуловимо движущихся, погрязших в инерции и совершающих целые странствия в собственных мыслях. В закрытом пространстве, где душа покрывается плесенью, имеется отверстие, через которое можно выходить наружу, не покидая своего постоянного места пребывания. В образе окна сочетаются открытость и закрытость, преграда и взлетная полоса, заточение в комнате и экспансия за ее пределы, ограничения и безграничность» (Rousset 1962: 123).

Такую же функцию окно имеет и в романе Пушкина. Когда Татьяна влюбляется в Евгения, она просит няню открыть окно в девичьей комнате. Она хочет пересечь границу внутреннего удушливого микромира, где ее «душа покрывается плесенью»:

*«Не спится, няня: здесь так душно!*

*Открой окно да сядь ко мне».*

(Пушкин 1959-1962: 4, 1-2)



В живописи романтизма внешний и внутренний мир, разделенные окном, также противостоят друг другу. Герой картины или литературного произведения не столько наслаждается пейзажем, сколько «открывает» для себя иное пространство. Амон подчеркивает, что обычно писатели вводят в свои произведения окна для того, чтобы давать герою возможность видеть («pouvoir voir»). Кроме того, герой должен и уметь видеть («savoir voir») и хотеть видеть («vouloir voir») (Амон 1993: 172-174). В топосе окна выражается стремление героя выйти из своего замкнутого микромира.

Татьяна начинает интересоваться чужим миром, только когда влюбляется. Перед ней стоит няня, и она задает ей вопросы о старых временах и о любви. Пока она рассказывает няне, что она и сама влюблена, из только что открытого окна «луна сияет» и «томным светом озаряет» бледное лицо героини, ее распушенные волосы, слезы. Именно смотря на луну через окно в уме рождается мысль о письме:

*И сердцем далеко носилась  
Татьяна, смотря на луну...  
Вдруг мысль в уме ее родилась...*  
(Пушкин 1959-1962: 4, 1-3)



*Я. Вермеер.*

*«Дама, пишущая письмо, со своей служанкой»  
(1670)*

Хотя в следующих строфах окно больше не упоминается, сцена, в которой Татьяна пишет письмо Онегину, происходит именно перед окном. Впервые в романе Татьяна смотрит в него и принимает решение написать любимому. Она просит няню подвинуть стол, видимо, к окну, где «светит ей луна».

Этот момент романа напоминает некоторые живописные картины Вермеера «Дама, пишущая письмо, со своей служанкой» (1670), а также некоторых художников первой половины XIX века. Приведем пример «Женщины на окне при лунном



*И. Г. Фюссли.  
«Женщина на окне при лунном свете» (1804)*



*Ф.П. Толстой «У окна. Лунная ночь» (1822).*

свете» (1804) Иоганна Генриха Фюссли, или пример картины вышеупомянутого Федора Толстого «У окна. Лунная ночь» (1822), а также картины Иоганна Петера Газенклевера «Сентиментальность» (1846/47)



Кроме томной позы девушки, сходство этих жанровых картин с образом влюбленной Татьяны состоит и в том, что они являются также карикатурами на чувствительную романтическую героиню европейской литературы (Selbmann 2010: 115-120), как и сама Татьяна, которая хочет подражать всем героиням прочитанных ею романов. На картине Газенклевера на столе и на подоконнике лежат книги, среди которых «Страдания юного Вертера». Роман

*И.П. Газенклевер.  
«Сентиментальность» (1846/47)*

Гете был также одним из тех, которые Татьяна читала и любила. На картине Толстого девушка, точно окаменев, не смотрит ни в окно, ни в комнату, а в невидимую даль; она еще и играет на гитаре.

Иронический подход Пушкина явствует из того, что сразу после XXI строфы третьей главы он резко меняет тон повествования. Романтическая картина заканчивается и начинается отступление повествователя.

Только в XXXIII строфе третьей главы читатель застаёт Татьяну в той же самой позе, в которой он ее оставил. Она до сих пор сидит у окна перед письмом. Ночь прошла, письмо написано. Татьяна не заметила в окне восход зари. Приходит няня с чаем, Татьяна просит ее передать письмо Онегину.

Тут интересно отметить, что среди самых древних произведений искусства, изображающих окна, есть помпейская фреска «Федра с кормилицей», находящаяся в доме Язона (La pittura pompeiana 2009: 241-242), Федра сидит рядом с кормилицей, которая держит в руке письмо к Ипполиту. За ними видно два высоких окна (одно больше, второе меньше), на которых висят двинутые ветром шторы.

Как известно, в романе Пушкина упоминается Федра (Пушкин 1959-1962: 4, 12), предположительно персонаж трагедии Расина. Интересно все-таки отметить, что у Расина Федра не признает в любви через письмо с помощью кормилицы. Это происходит только в одноименной трагедии Сенеки.

В конце третьей главы Татьяна все ждет и ждет ответа: «бледная, как тень» и «с утра одета», она готова принять любимого. Вечером, на закате, автор вновь изображает Татьяну ожидающей Онегина.



*«Федра с кормилицей»*

Тайным пространством ожидания и надежды является окно и на знаменитой картине Фридриха «Женщина у окна» (1822). Женская фигура на картине немецкого художника обращена спиной к зрителю; женщина смотрит в окно. Из-за того, что ее лица не видно, сюжет картины довольно загадочен. Мы не знаем причины, по которой она так стоит, но предполагается, что она ждет кого-то (Selbmann 2010: 97).

Татьяна тоже уже не сидит, а стоит перед окном. Она вновь не смотрит на пейзаж, а думает только о любимом:

Татьяна пред окном стояла,  
На стекла хладные дыша,  
Задумавшись, моя душа,  
Прелестным пальчиком писала  
На отуманенном стекле  
Заветный вензель *О да Е*.

(Пушкин 1959-1962: 4, 9-14)



*Д. К. Фридрих. «Женщина у окна» (1822)*

Как пишет Лотман, заветный вензель «Татьяна писала на окне фасадной стены, выходящем в сторону парадного крыльца. Через это окно она и увидела подъезжающего Евгения. Она бросилась через дверь, ведущую в коридор, и черный ход в сад» (Лотман 2009: 515). Увидев Онегина, пересекая границу между внутренним и внешним миром, Татьяна «летит» в сад и «взглянуть назад не смеет» (Пушкин 1959-1962: 4, 7-9). Каким бы ни был ответ Онегина, она бессознательно приняла решение выйти из дома.

После разочарования в любви Татьяна еще раз появляется у окна в своей комнате. Наступает зима, и героиня смотрит на зимний пейзаж:

*В тот год осенняя погода  
Стояла долго на дворе,  
Зимы ждала, ждала природа.  
Снег выпал только в январе  
На третье в ночь. Проснувшись рано,  
В окно увидела Татьяна  
Поутру побелевший двор,  
Куртины, кровли и забор,  
На стеклах легкие узоры,*

*Деревья в зимнем серебре,  
Сорок веселых на дворе  
И мягко устланные горы  
Зимы блистательным ковром.  
Все ярко, все бело кругом.*

(Пушкин 1959-1962: 4, 1-14)

Взгляд Татьяны на внешний мир, на русскую зиму, ее «умение видеть», которого раньше у нее не было, приводит к важным изменениям в ее характере. Как пишет Лотман, IV-XXIV строфы пятой главы, в которых Татьяна погружается в фольклорный мир России, «решительно изменили характеристику ее духовного облика» (Лотман 2009: 648). Но характеристика духовного облика Татьяны меняется не только потому, что она проявляет свою «русскую душу», но и потому, что она обретает внутреннюю зрелость после отрицательного ответа Онегина.

Как пишет Руссе о «Мадаме Бовари», «окна и виды сверху вниз, открытость к далям и мечты, уводящие на широкие просторы – сколько нервных узлов в этом повествовании, узлов, в которых приостанавливается его течение! Эти узлы соответствуют очень необычным сменам перспективы, когда писатель отказывается от своих традиционных божественных прав; когда начинает доминировать субъективное видение; когда автор предельно отождествляется со своей героиней, становится ей за спину и смотрит на мир ее глазами. Распределение этих узлов в романе весьма важно. Они рассредоточены неравномерно: отсутствуют в активные периоды, когда герои проявляют свои страсти, и, напротив, скапливаются в периоды застоя и ожидания» (Rousset 1962: 127).

После убийства Ленского и отъезда Онегина из деревни Татьяна опять выходит в темное поле ночью. Но в этот раз она переходит не только границы окна и балкона, но и границы своего двора, своего внутреннего мира, чтобы увидеть внешний мир, то есть мир Онегина. Она идет в его поместье, чтобы посмотреть место, где он жил, и понять, кто он на самом деле.

ангелы. Восставшие ангелы боятся человека, вознесенного Богом над всем творением, наделенного высшими совершенствами и способностью к размножению, следовательно, возможностью распространить «власть свою повсюду» (Вондел 1988: 26,27). Именно с человеком Творец намеревается связать Творение через грядущее Слово (совершенное знание), которое будет дано ему, а не Ангелам. Восстание ангелов – это их мщение Богу и зависть к чете людей, результатом чего становится грехопадение и изгнание прародителей из рая («Адам в изгнании», 1664). В сочинениях Вондела устанавливается причинно-временная связь событий, но также их нравственно-психологическое основание, что вовсе чуждо тексту и духу Писания.

При всей сложности нравственно-эстетических установок Вондела, которые пространно оговариваются им в Предисловии к трилогии, можно определить его отношение к Источнику как иллюстративное. Он, во-первых, восполняет эллипс Библии, восстанавливает невозстановимое – превращает фавулу в сюжет, движимый достаточным количеством персонажей. При этом последовательное развертывание определяет порядок действия: отпадение Люцифера предшествует грехопадению человека и обуславливает его. К тому же само это отпадение Люцифера, похоже, предусмотрено, «запланировано» всеведением Творца: вестник Гавриил призывает Люцифера смириться, как будто заранее ждет неповиновения. Можно сказать, что Писание у Вондела, становясь художественной литературой, утрачивает бытийную таинственность, приобретает внятность назидания, урока и проч. Это, во-вторых, сопровождается концептуализацией источника и нравственно-психологической характеристикой персонажей. Властный, гордый Люцифер отстаивает существующий порядок: наместник Бога, «архонт неба», «князь мира сего» - испытывает зависть. «Причину падения злых духов церковные учителя видят в гордости и высокомерии, в зависти к Творцу» (Христианство I: 474). Однако Вондел развивает это общепринятое положение. Любовь, обретенное человеком чувственное наслаждение и обещанное Творцом всевластие человека – вот предмет зависти люциферистов. Человек, о грядущей судьбе которого сообщает архангел Гавриил, задуман совершенным существом, он сможет воспринять Слово, связать собой Единое и Цельное, стать подлинным Богом-Сыном и торжеством Творца. Этот новый «порядок» преодолевает и упраздняет царство Люцифера, для которого недостижима плодотворная полнота Любви и Слова, обретение высоты Творца. Люцифер чужд познавательной устремлённости: власть и сила его принадлежат Творцу, против несправедливости которого он и восстает.

У Люцифера Вондела, как персонажа иллюстрируемого Библейского текста, есть классическое развитие – быть низвергнутым, погибнуть для света и добра, вечно погибать, в конце концов. Богу этиологии необходим Люцифер – как управитель-Денница, но и отступник, завистник-соблазнитель. Этиологии необходим и согрешивший Адам – чтобы таким образом были объяснены и оправданы смерть и человеческие страдания, а также – история как путь познания. В конечном счете Люцифер исполняет свою роль, покорный драматургии Творца.

Е.П. Зыкова убедительно анализирует истоки байроновского мировоззрения в статье «Байрон и Лермонтов: религиозные аспекты творчества». Основной смысл отношения Байрона к христианству –разрушение веры. Байрона отталкивает, что «христианская вера стала в его эпоху номинальной». «Протестантизм приучал верующего мыслить автономно, отвергая священное предание и церковный авторитет, и «Байрон мыслит, исходя из логики окружающей жизни, современных ему понятий о справедливости, современного индивидуализма», «рассматривает религию как часть национальной культурной традиции, ценит в ней, с художественной точки зрения, всю конкретику мифологических представлений и ритуалов... балансирует на грани неверия: он осознает и свою принадлежность к христианской культурной традиции, и своё отпадение от неё, выясняя с ней на протяжении всего творчества свои сложные, драматические отношения» (Зыкова 2015: 42, 43). Обширная и содержательная цитата освобождает нас от необходимости повторения.

Умозаключения автора могут стать основанием аналитического рассмотрения образов мистерии «Каин», основной художественный смысл которой заключается в своеобразном неомифологизме, а не иллюстративности. Первый аспект неомифологизма Байрона – экзегетика. Змей не Сатана-Люцифер, просто самый мудрый из животных. Байрон различает Сатану и змея, ссылаясь на Писание и англиканскую традицию (см. Предисловие к мистерии), а Библия их отождествляет, и не только в Откр, но и в Книге Премудрости Соломона, 2, 23-24. (МС 1991: 485). Вопреки Байрону змей, а не Творец обманывает Еву, ибо смерть после нарушения запрета становится неизбежной, хоть она и не мгновенна. Подобно Вонделу, Байрон имеет в виду «миметическое желание» соблазнения – «будете как боги», которое восходит к единому источнику, к своеобразной «божественной вертикали».

Люцифер Байрона статичен, он не отступник, он субстанционален по отношению к Творцу. Байрон разрушает единство: восходящее, динамичное и потому диалектичное противоречие Источника (всё от Бога) становится

антиномией, неразрешимостью, тупиком самосознания. Расподобление змея и Сатаны, по Байрону, решительно меняет дело, создает предпосылки для несвойственного каноническому источнику параллелизма осевых линий: Люцифер не является эманацией творца, его креатурой, диалектическим уклонением и проч., Люцифер – это Другой, за пределами Источника. «Миметическое желание» возникает в плоскости соподчинения, отрицание Люцифера имеет абсолютный характер.

Освободив Люцифера от авторитета канонического текста, Байрон создает трагический образ и придает ему черты другого персонажа культуры – Прометея (Эсхил). Разрушение авторитета под видом его более глубокого и точного понимания – своеобразный прием освоения культуры в частности, в 18-м веке. Байрон завершает просветительскую тенденцию, более того, придает ей огромную силу благодаря художественному совершенству образа. С одной стороны, некое высокопоставленное лицо пишет издателю Мёррею, что «Эта мистерия ... есть не что иное, как отрывок из повестей Вольтера и самые непозволительные статьи из «Словаря» Бейля, преподнесенные в неуклюжих десятисложных кусочках, чтобы этим придать им вид поэзии». С другой стороны, Т. Мур пишет: «Каин» Байрона «глубоко западёт в мировое сердце, и если многие дрогнут от его кажущегося богохуления, то все падут ниц перед его величием». П. Шелли говорит ещё точнее: «Каин» апокалиптичен: эта драма – откровение, какое до сих пор ещё никогда не было сделано людям» (Вейнберг 1905). Само произведение Байрона отныне становится авторитетом, источником для дальнейшей культуры.

Байрон пишет, по существу, трагедию в античном смысле, но на почве библейских образов, ситуаций и мотивов. И в этом – единственность, неповторимость и грандиозность его духовного подвига. Речь идёт не только о тематике, но и о жанровой природе. Это далеко не мистерия (хотя Байрон подчеркивает это в предисловии), поэт покидает спасительную монотеистическую пристань, человек оказывается вновь в мире тотальной гибели и неизбежной надежды. Библия превращает греческую трагедию рока в упорядоченность поступательного движения – к искуплению и вечной жизни. Байрон возвращается к трагизму человеческого существования, разрушает библейское согласие, игнорируя Новый Завет – как «оптимистическую трагедию» искупления. Это путь от христианского доверия к античному титанизму.

В творчестве Шекспира, как нам кажется, исчерпано трагически-человеческое в пределах христианского. Смерть и воскресение Иисуса – единственная трагедия в христианском мире и последующем искусстве,

навсегда (вплоть до поэзии русского модернизма). Всё остальное на земле – нравственная драма, драматизм пути героя, показывающего своими заблуждениями ограниченность человека, - презревшего, послушавшегося, забывшего бога. Байрон возвращает человеческой проблематике искусства неразрешенность античной трагедии и тем самым возвращает человеку отчаяние, силу сопротивления, - но и катарсис, отвагу и дерзость.

Байрон разрушает библейский смысл ради трагедии: отождествление Люцифера и Прометея основано на расподоблении змея и Сатаны. Люцифер устремлен к мысли, познанию, он отвергает любовь (Каин и Ада) как форму забвения и примирения. Его позиция непреклонного духа – начало ситуации нового стоицизма: смерть всевластна, мы обречены, но это не повод для покорности. Петр Вейнберг пишет: Люцифер «знает всё и не страшится ни перед чем» - и в этом, по его словам, заключается истинное знание. Исходя из такого взгляда, великое значение придает он разуму, тому, что сделалось альфой и омегой, единственным законодателем 18-го века, прямым наследником которого был Байрон» ... Человеку следует, по Байрону, культивировать, сохранять, развивать в себе разумное начало.

Прометей создал людей заново, научил жить и творить в пределах роковой предопределенности незнания (Эсхил 1989: стихи 410-547), а Люцифер учит умирать, презирая неизбежность гибели. Люцифер Байрона – миф о вторичном соблазнении уже обреченного человека. Ради торжества духа Люциферу нужен Каин, как Творцу – согрешивший Адам, и Люцифер творит «нового» Каина – человека, силою духа способного «овладеть собственной смертью» и поэтому способного творить (сравните позицию позднейшего французского эссеиста Мориса Бланшо). Утверждения своего могущества в людях для образа Люцифера становится, кажется, побочным мотивом, который характеризуется «миметическим желанием» (термин Жирара), соперничеством с Творцом. Причем Каин не поклоняется, как того требует Люцифер, но это и не нужно, раз он не послушен Богу. Байрон представляет зло неканонически, не абсолютным, ведь Каин в мистерии убивает Авеля нечаянно, случайно, поддавшись аффекту на месте неудачного жертвоприношения, а не осознанно, «в поле», как дано в Источнике. Элемент психологизации образа служит для автора в некоторой мере оправданием Каина-убийцы.

Главная альтернатива Люцифера у Байрона: познание – любовь. Любовь отвергается, её значение совсем иное, чем в трагедии Вондела: там ей завидуют люциферисты, Люцифер Байрона игнорирует любовь как обманчивую чувственную сторону мира, как уловку, чтобы лишить человека силы познания и стойкости в своём одиночестве.

Байрон рационалистически восполняет библейский эллипсис, модернизирует источник: новые образы и мотивы используются для обоснования романтического понимания мира, новая мифология иллюстрирует не Источник, а современную нравственно-философскую проблематику. Любовь, призванная примирить человека со смертным уделом, у Байрона противопоставляется духу, Люцифер не отступник, а воплощение творческого начала. Так Байрон покидает эллиптическое библейское пространство.

Споры о лермонтовском «Демоне», кажется, отошли в прошлое. Сошлись на том, что произведение не окончено, противоречия поэмы нельзя объяснить. Роднянская задавалась вопросом о том, кто же такой Демон-персонаж по отношению к Источнику, и вопрос признан неразрешимым, раз поэма осталась незавершенной (Роднянская 1989: 273). Нам кажется, есть возможность значительно уточнить представления о поэме, которую современники, хоть и с оговорками, считали шедевром (Белинский).

Художественное пространство «Демона» может быть рассмотрено в библейском и более широком мифологическом аспектах. Очевидна библейская идентичность Демона, образ которого не более противоречив, чем его первоисточник. Библейскую топику обнаруживают и другие ситуации и мотивы поэмы (Зотов 2001: 136-166). Двойственность художественной задачи Лермонтова заключается в одновременной обращенности к библейскому источнику и современности, поэтому авторское начало поэмы оказывается своеобразно удвоенным: автор-визионер провидит библейско-мифологический смысл образов, а литератор-повествователь имеет дело с их романтической интерпретацией. Это основа поэтического новаторства Лермонтова. Соответственно центральные образы Демона и Тамары выступают одновременно в двух различных ипостасях, мифологической и литературно-романтической – такова художническая «оптика» Лермонтова. Особенно ясно это проявляется в эпизоде с танцем Тамары. Литератор-повествователь **видит** в нем вполне земную эротику (строфа VII), автор-визионер прозревает, слышит полноту чувственного воплощения совершенства мира, созданного творцом.

И Демон **видел**... На мгновенье  
Неизъяснимое волнение  
В себе почувствовал он вдруг.  
Немой души его пустыню  
Наполнил благодатный **звук** -  
И вновь постигнул он святыню  
Любви, добра и красоты!.. (строфа IX)

Демон **слышит** гармонию универсума, вновь переживает свою причастность к творению. Это «длящееся мгновение истины». В этом движении познания становится возможным обращение Демона через любовь, однако ценой вочеловечения. При этом любовь и познание отождествляются. Определяющим моментом организации художественного пространства «Демона» является продуктивное несовпадение между мистически воспринятой и воссозданной автором библейской поэтикой «длящегося мгновения» и, с другой стороны, объясняющим литературным повествованием. Позиция повествователя отлична от обобщающей авторской и даже особым образом ей противопоставлена. Вненаходимость по отношению к повествованию обуславливает эллиптическую проникновенность автора, его способность различить и воссоздать эллипс библейского Откровения; с автором следует связывать основные библейские импликации и ассоциации, а также мифологические переживания визионерского качества. Речь идет о внутренней антитетичности авторской позиции. Вступая в диалог с самой собой, автор являет себя в качестве повествователя, который рассказывает о библейском Демоне; повествователь обнаруживает себя в области нравственно-психологических мотивировок душевных движений и поступков персонажей, как вдохновенный литератор-пейзажист. Т.о. пространство повествователя - нравственно-психологическое постижение жизни и литературное её воссоздание; пространство автора - библейско-апокрифическое, пророческое значение ситуаций. Такое различие необходимо для понимания уникальности «Демона».

Различимость отождествляемых в художественном пространстве измерений хорошо выявляется на уровне сюжетосложения. В эллиптическом пространстве автора поэмы часть первая похожа на развернутый пролог, этиологию основных персонажей и ситуаций части второй, собственно история Демона и Тамары только начинается. Звук, который поразил Демона, возникает как завершающее воплощение мифологизированного пейзажа (в стрф. III и IV пейзаж явно выражает мужское и женское начала природы, см. об этом: Зотов 2001: 144-146): это звучит природа, божий мир гласит Творцу. Танец Тамары - высшее проявление жизни чувственной и духовной. Образ Тамары мифологизируется, приобретает универсальное качество: только при этом условии возможна их с Демоном встреча - общее пространство художественного воплощения. Танец - первое появление Тамары и одновременно поворот в ее судьбе: дочь Гудала превращается в подругу Демона - таковы метаморфозы художественного пространства Божественный звук сообщает импульс движения, является единственной мотивировкой начала истории вочеловечения Демона, которая развертывается повествователем в части второй. Ситуация Демона и история Тамары представляют собой в романтико-фантастической

эксplikации повествователя единый сюжет, который вне пространства автора не представлял бы собою ничего уникального: Демон постепенно разочаровался во зле, ничто не давало ему покоя... и т.д. Эллиптическое авторское видение событий вступает в противоречие с развертывающим пониманием повествователя. Коллизия между визионером и литератором разрешается эстетически: художественная специфика «Демона» заключена не в сочетании сюжетных линий, но в пространственной сопряженности библейско-мифологического и нравственно-психологического планов. Мы имеем не линейное развертывание сюжета, а очерчивание пространства в виде траекторий движения: путь свадебного каравана с библейского Востока пересекается стремительными набегами предка Тамары, «грабителя странников и сел»; площадка символического танца Тамары - крыша дома, стоявшего «трудоу и слез» послушным рабам Гудала; полет Демона над Кавказом и Грузией как бы повторяет движение повествователя из России в Закавказье - с Запада на Восток культуры, от литературных приемов романтизма к нерукотворным чудесам Библии, приобщаясь к которым, собственно говоря, повествователь становится автором знаменитой русской поэмы.

Динамику «кристаллизации» художественного пространства «Демона» можно представить так. Психологизация образа Демона характеризует нравственно-эстетическую позицию повествователя; с другой стороны, мифологизированный пейзаж, являясь обстановкой действия, позволяет автору совершить непротиворечивый переход к земному плану повествования. Возникший из стихии природы танец Тамары, подобно оптическому стеклу, преломляет мифологическое пространство, и пространство поэмы приобретает социальную определенность. Нравственно-психологическая действительность характеров и событий как бы сообщает интеллектуальному переживанию природы и библейских образов художественную достоверность: библейско-мифологическое трансформируется в психологическое и, наоборот, последнее объективирует мистицизм автора. В конце первой части эти формы художественного пространства становятся неразличимы в бредовом сновидении Тамары. Своеобразное отождествление библейско-мифологического и нравственно-психологического планов завершает художественное пространство в первой части. Двойственность авторского начала не исчезает, но преобразуется: в двух последних строфах выходит на первый план литературно-романтическое содержание образов, открывающее перспективу развития художественного пространства поэмы. Решение проблемы художественного пространства «Демона» в целом связано с описанием особенностей отождествления библейско-мифологического и нравственно-психологического смыслов образов в структуре поэмы романтического типа.



Отождествление является основным принципом созидания развивающейся художественной структуры произведения. Предложенное выше аналитическое рассмотрение делает возможным выделение и характеристику основных уровней отождествления, неиерархически сопряженных в художественном целом. На композиционно-содержательном уровне следует выделить основополагающее отождествление автора и повествователя. Сюжетно-тематический уровень образует соподчиненное отождествление мифологического содержания и культурно-исторической реальности обстановки действия, а также художественной реальности романтической поэмы. В этом процессе «кристаллизации» художественного пространства формируются образы главных героев поэмы, которые благодаря принципу отождествления приобретают небывалую ёмкость выражения культурных смыслов. Обратной стороной отождествления является поэтическое *расподобление*: образ Демона удваивается, как будто во внутреннем содержании его является архаическая, добиблейская ипостась - прото-Демон.

Анализ художественного пространства поэмы обнаруживает парамифологическую ситуацию, т.е. творимый уже самим автором миф о попытке вочеловечения Демона и связанные с нею мотивы («слеза героя»). В качестве прото-Демона герой поэмы устремлен к преодолению заданности, драматургии источника, с другой стороны, отождествление Демона с сатаной удерживает библейский порядок. Вряд ли есть основание говорить о «вторичном отвержении» Демона (Роднянская), ибо «злой дух» испытывает каноническую судьбу. Хотя герой в конечном счете исполняет предопределение, автору тем не менее удается создать *новую художественную реальность - пространство соблазна*, в котором отождествляются основополагающие и непреодолимые противоречия физиологического, нравственно-психологического и философского качества: мужское и женское, активное и пассивное начала; сила и слабость, покорение и покорство; любовь и смерть. Таинственная игра человеческих чувств обнаруживает экзистенциальное единство любви и смерти; вместе с тем их трансцендентный смысл, открываемый культурной традицией (Платон, Плотин, Августин, псевдо-Дионисий), указывает путь к Богу.

Religio — («святыня», «предмет культа») автора поэмы - спасительная любовь как абсолютная полнота жизни, т.е. ... смерть. Безумство желания - вот истинная реальность, в которой возможно деятельное «Я». Это позиция демонического своеволия. Но поэт Лермонтов знает, что «манящая пустота» жизни заполняется художником, становится им, т.е. культурным пространством, миром-словом, в котором возможен художник и искусство как спасение, вот эта поэма - «Демон».

Аналитическое рассмотрение произведений Байрона и Лермонтова дает возможность сделать вывод о различной природе их переживания библейских образов и мотивов. Невозможно ограничиться беглым указанием на источник преемственности и тем самым – известную однородность материала произведений. Поэма Лермонтова представляет собой самостоятельное решение проблематики западной культуры, оригинальное развитие европейской литературной традиции.

#### ЛИТЕРАТУРА:

- Аверинцев 1996:** С.С. Аверинцев. *Поэты*. М., 1996.
- Азимов 1989:** Азимов Айзек. *В начале...* М., 1989.
- Вейнберг 1905:** Вейнберг, Петр. «Каин» // *Байрон. Библиотека великих писателей под ред. С.А. Венгерова*. Т.2. 1905. [online]: [http://lib-ru.do.am/publ/bajron\\_dzhordzh\\_gordon\\_kain/1-1-0-9064](http://lib-ru.do.am/publ/bajron_dzhordzh_gordon_kain/1-1-0-9064)
- Вейсман 1991:** Вейсман А.А. *Греческо-русский словарь*. М., 1991.
- Вондел 1988:** Вондел, Йост ван ден. *Трагедии*. М., 1988.
- Дионисий Ареопажит 1991:** Дионисий Ареопажит. Послание к Тимофею Святого Дионисия Ареопажита. О таинственном богословии // *Историко-философский ежегодник*. 1990. М., 1991.
- Зотов 2001:** Зотов С.Н. *Художественное пространство – мир Лермонтова*. Таганрог, 2001
- Зыкова 2015:** Зыкова Е.П. *Известия Российской академии наук. Серия литературы и языка*. 2015. Т. 74. №2. С. 36-46
- Квятковский 1966:** Квятковский А. *Поэтический словарь*. М., 1966.
- КФЭ 1994:** *Краткая Философская энциклопедия*. М., 1994.
- Мень 2012:** Александр Мень. *Библия и литература. Лекции*. М., 2012: [online]: <http://predanie.ru/men-aleksandr-protoierey/book/72434-bibliya-i-literatura/>
- МС 1991:** *Мифологический словарь*. М., 1991.
- Роднянская 1989:** Ирина Роднянская. Демон ускользающий // Ирина Роднянская. *Художник в поисках истины*. М., 1989.
- Словарь... 1974:** *Словарь литературоведческих терминов*. М., 1974.
- Христианство I:** *Христианство: Энциклопедический словарь*: В 3-х тт. Т. I. М., 1993.
- Эсхил 1989:** Эсхил. Прикованный Прометей // *Античная литература. Греция. Антология*. Ч.1. М., 1989. С. 222-261.

**NONA KUPREISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Concept of Faith in English and Georgian Romanticism  
(In accordance with Nikoloz Baratashvili's "Merani" and  
Byron's "Cain")**

Romanticism that almost at the same time was formed in leading European countries at the boundary of XVIII-XIX centuries had become one of the most important facts of world culture.

Byron's "Cain" and Baratashvili's "Merani" in the peculiarity of English and Georgian romanticism is provided with different acuity. In such a case seeking God often based on quite free interpretation of fundamental issue of Bible, relation between evil and kindness.

Baratashvili also emphasizes "Evil Soul" leading his fate by modelling demonism. Finally, "Merani" is based on overcoming evil with its aspiration alike concept of "The Knight in the Panther's Skin".

**Key words:** Concept of Faith, Byron's "Cain", Nikoloz Baratashvili's "Merani".

**ნონა კუპრეიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**რწმენის კონცეპტი ინგლისურსა და ქართულ რომანტიზმში  
(ბაირონის „კაინისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“  
მიხედვით)**

ქართული რომანტიზმის უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო გააქტიურებულმა კვლევამ დაადასტურა მისი სიახლოვე სწორედ რომ გერმანულ რომანტიზმთან. ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ თუ მაინც და მაინც ინგლისურ რომანტიზმთან პარალელებზე ვისაუბრებთ, ბარათაშვილთან „შესაწყველებლად“ ბაირონზე მეტად შეიძლება შელი გამოდგეს. თუმცა რწმენის კონცეპტი მაინც იძლევა საშუალებას, კვლევა ჩვენ მიერ არჩეული მიმართულებით წარვმართოთ (მ. გელაშვილი). დავიწყოთ ზოგადი სურათის მოხაზვით.

რომანტიზმი, რომელიც XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე თითქმის ერთდროულად წარმოიქმნა ევროპის წამყვან ქვეყნებში, მსოფლიო

კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. თუმცა ამ ქვეყნების ისტორიული განვითარების განსხვავებული ფორმების გამო იდენტობის ნიშნის დასმა, ვთქვათ, ფრანგულ-გერმანულ, ინგლისურ-იტალიურ თუ პოლონურ-რუსულ რომანტიზმს შორის მაინც გაჭირდება და მსგავსი რამ არც შეიძლება რამდენადმე სერიოზული კვლევის მიზანს წარმოადგენდეს. მეტიც, სწორედ სხვადასხვა კულტურათა თავისებურებები სძენენ ამ დიდ სახელოვნებო მოვლენას ფართო შინაარსსა და განუმეორებლობას.

ინგლისური რომანტიზმი, რომლის შესახებაც ჩვენ გარკვეული რაკურსით ვისაუბრებთ, ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, მზარდი ტექნოკრატიზმისა და მისი თანამდევი მოვლენების, მეორე მხრივ კი იმ დროისთვის მყარი პიროვნული თავისუფლებების მქონე ძლიერ იმ პერიულ სახელმწიფოში, რომლის საზღვრები უკიდევანო იყო. თუმცა ეს თავისუფლება არ იყო სრულყოფილი, რადგან იგი იმავდროულად საზოგადოებისა და სამყაროს წინაშე მდგარი ადამიანის მარტოობას ამძაფრებდა, ანიჭებდა რა მას უნივერსალურ, კოსმიურ ხასიათს. ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებითი ძიებები სწორედ ამგვარი სულიერი მდგომარეობიდან თავდახსნის ნიშნით წარიმართა: ღვთის მიერ მიტოვებული სამყაროს ფიქსაცია (პ. ბ. შელი), ამ კონტექსტში ახალი მეტაფიზიკური საშუალებების ძიება (ე. ნ. „ტბის სკოლა“) და აქტუალიზება თვით თავისუფალი, მარტოსული, თუმცა იმავდროულად ღირსებით სავსე პიროვნებისა, რომელიც ძლიერია იმდენად, რამდენადაც პასუხს საკუთარ პრობლემატურ კითხვებზე სამყაროს პირველსაწყისთან, თვით ღმერთთან მიხედვით ეძებს (ბაირონი).

ევროპული რომანტიზმის სათავეებთან მდგარი ავგუსტ შლეგელი რომანტიკოსთა მსოფლმხედველობას „უბედურ ცნობიერებას“ უწოდებდა, რადგან რეალობიდან გრძნობადი, მიღმური სამყაროსკენ, ერთგვარი აბსოლუტისკენ სწრაფვის საბოლოო მიზანი იმთავითვე განუზოციელებლი იყო. ამ პროცესს, რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებას განსაკუთრებულ მიზიდველობას ანიჭებდა, იგივე შლეგელი „დაკარგული პირველადი სამშობლოს“ ძიებასაც ადარებდა. რომანტიკოსთა პასუხი კითხვაზე, „თუ როგორ შეუძლია გრძნობად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს ზეგრძნობადისკენ“ მოძრაობა „ერთმნიშვნელოვანია – საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურობაში ჩაღრმავების გზით“. აქედან საკუთარი, განუმეორებელი, არაორდინალური პერსონის თვითადაკვიდრების ნიჭი, რითაც გამოირჩევა ჭეშმარიტი რომანტიკოსი.

თუკი თვალს მივადევნებთ ისტორიული მოდერნის ეპოქას, სხვაგვარად კი „პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სოციოკულტურული განახლებისა და მსოფლმხედველობრივ ღირებულებათა ძირეული გარდაქმნის“ (ბრეგაძე, 2016: 160) ხანას, მის წინამორბედად არაერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან ერთად (რად ღირს თუნდაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ან ნაპოლეონის სახელი, რომელმაც ცეცხლოვანი ბურთით გადაუარა მთელ ევროპას) შეინიშნება სერიოზული ცვლილებები თავად სამყაროს არსებული მოდელისა და მის ფონზე ადამიანის რაობის გადასინჯვის გამოცდილი ტენდენცია. თუმცა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ასეთი გამოვლინებები ნორმიდან გადახვევად, საზოგადოების ერთგვარ გამოწვევად აღიქმებოდა. სწორედ ასეთი ბედი ერგო უილიამ ბლეიკს (1757-1827), რომლის სახელსაც ინგლისური რომანტიზმის პრეისტორიას და თვით ბაირონის სახელსაც უკავშირებენ. ეს ის ბლეიკია, რომლის შესახებაც ფ. ბატაიმ, წიგნში „ლიტერატურა და ბოროტება“, შენიშნა: „ის არ ყოფილა შეშლილი, თუმცა მუდმივად სიგიჟის ზღვარზე დადიოდა“ (ბატაი: 1994: 68). მართლაც, არაჩვეულებრივი ხილვების, ირაციონალური მეტაფიზიკური აღსარებების ფონზე (ერთხელ, მისივე სიტყვებით, უნახავს ცეცხლმოდებული სატანა, რომელიც ღრუბლებზე მჯდომი ანგელოზის წინაშე იდგა) იშლება ძლიერი წარმოსახვა პოეტისა, რომელიც სიკეთისა და ბოროტების ერთიანობიდან გამომდინარე დიდ ინტერესს სწორედ ბოროტი ძალის ჭეშმარიტი რაობის გახსნისადმი ამჟღავნებს.

გამოდის რომ ტექნოკრატიულმა საზოგადოებამ, რომელმაც შექმნა ადამიანის ყოვლისშემძლეობის, პროგრესის ილუზია (ამ დროისთვის უკვე არსებობდა ჯეიმს უაიტის ორთქლის მანქანა და სხვა მრავალი სიახლე) იმავე ადამიანს მისცა საშუალება ეფიქრა აქამდე ტაბუირებულ, ხელუხლებელ თემებზე. სხვა საქმეა, რამდენად იყო ასეთი ფიქრი შვებისმომგვრელი. სწორედ ბლეიკის, თუნდაც შელის ან იმავე ბაირონის მაგალითზე კარგად ჩანს, რად შეიძლება დაუჯდეს, როგორც წესი, დროის წინამავალ შემოქმედს, როგორც რუსთველი იტყოდა, დაუსაზღვრავ და შეუცნობელ სივრცეში გაჭრა. ბლეიკის „უბინოების სიმღერები“ (1784-1789) თანდათან გადაზრდილი „გამოცდილების სიმღერებში“ (1794), შელის „ჩენი“, კოლდრიჯის „თქმულება მოხუც მეზღვაურზე“ (1798) და „კრისტაბელი“ (1798-1799), დაგვირგვინებული ბაირონის „კაენის“ (1821) პროვოკაციული იდეებით, ფაქტობრივად, ბოროტების ძალის კვლევაცაა და აღიარებაც. ბოროტება რომანტიკოსებისთვის სიკეთესთან ერთიანობაში მოიაზრება, თუმცა მისგან განსხვავებით ირაციონალური ხასიათისაა. აქედან რაციონალობის

პარადიგმის უარყოფა, გულაცრუება მისი წარმომქმნელი განმანათლებლობისადმი. ამ მოვლენების ცენტრში კი დგას ქეშმარიტების ძიების სურვილით შეპყრობილი, საზოგადოების ფარისევლურ შემგუებლურ ბუნებასთან დაპირისპირებული მუამბოხე გმირი, რომელიც მხოლოდ ქალაღღზე კი არ ცოცხლდება, არამედ რეალურად არსებობს და ავლენს რა თავის პროტესტს გარკვეული მაქსიმალიზმით, საკუთარ პრინციპებს ზოგჯერ ფიზიკურადაც ეწირება(გავიხსენოთ ბაირონისა და შელის სკანდალური რეპუტაციები).

საინტერესოა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ბაირონის კაენი (რაც 1817 წელს ინგლისიდან მისი გაძევების შემდეგ ხდება), ეს რთული და ტრაგიკული პერსონაჟი აშკარად ამოზრდილია სხვადასხვა დროს შექმნილი პოემების „აღმოსავლური პოემები დანერილი უჩვეულოდ მოკლე დროში 1813-დან 1816 წლამდე“, „ჩაილდ-ჰაროლდის მოგზაურობა“, „მანფრედი“, „დონ-ჟუანი“ გმირთა სახეებიდან, რომლებიც, თუ დავაკვირდებით, კაენტან სერიოზულ მსგავსებას ამჟღავნებენ. სპეციალისტები ამ პერსონაჟთა ბოტოქრობას, მუდმივ მოუსვენრობას, მთლიანობაში კი მათ კრებით სახეს საერთოდაც „ბაირონისეულ ხასიათს“ უწოდებენ. მაინც რა თვისებები აერთიანებთ კორსარ კონრადს, ჩაილ-ჰაროლს, დონ-ჟუანსა თუ მანფრედს? ესაა ევროპული განმანათლებლობის კრიზისით პროვოცირებული სულიერი მარტოობის, ილუზიათა მსხვრევის, საზოგადოებისგან განდგომის თემები. იკვეთება აგრეთვე ცოდნის ნეგატიური როლი ადამიანის ცხოვრებაში. „მანფრედში“, მაგალითად, ვკითხულობთ: „ცოდნა – სევდა და წუხილია და ის, ვინც მისითაა მდიდარი, მტანჯველ ფიქრებში აღმოაჩენს, რომ ცოდნის ხე სიცოცხლის ხე სულაც არ არის...“ (ამ პოემაში გოეთეს „ფაუსტის“ გავლენაზეც საუბრობენ); გარდა ამისა, აქტუალიზებულია საკუთარი არსებობის მტკივნეული განცდა, რომელიც პიროვნულადაც ახასიათებდა ბაირონს.

მისტერია „კაენი“ ავტორმა მიუძღვნა დიდ ინგლისელ მწერალს ვალტერ სკოტს, თუმცა მაშინ ეს ფაქტი ადრესატს კარგს არაფერს უქადდა, რადგან მკითხველს პოემა მკრეხელურად მიაჩნდა და შიშსა და ძრწოლას გვრიდა. საქმეს დიდად არც ავტორის მიერ დართულმა კომენტარებმა უშველა. ცნობილი იყო ბაირონის რთული დამოკიდებულების შესახებ რელიგიისადმი, ამიტომაც ვალტერ სკოტმა „კაენი“ შემობრუნების კეთილ ნიშნად აღიქვა, თუმცა რეალობა ბევრად უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა (გავიხსენოთ ამ საკითხთან დაკავშირებული მარინა ცვეტაევასეული მიძღვნა ბაირონისადმი: „Я думаю об утрае вашей славы, / Об утрае Ваших дней. / Когда очнулись демоном от сна Вы ? / И богом для людей...“). ბაირონის შემოქმედების მკვლევრები

მას ცალსახად ვერც ათეისტს უწოდებენ და ეს შემთხვევითი არ არის. „კაენისთვის“ დართულ ეპიგრაფშივე („გველი ყველაზე მზაკვარია ღვთისგან შექმნილ არსებათა შორის...“) გვიბიძგებს იმ აზრისკენ, რომ ევა შეუცდენია არა ლუციფერს, არამედ სწორედ გველს, რითაც სამოთხიდან გაძევების დანაშაულის სიმძიმე თავად ადამიანებს ეკისრებათ და არავის სხვას. ბაირონი ბიბლიური ძმისმკვლელობის ეპიზოდის განსხვავებულ (შეიძლება ასეც ითქვას, თამამ) ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი ცდილობს „გაუგოს“ კაენს და ღვთისადმი მონურ მორჩილებასა (ეს აბელია) და ღვთის სამართალში დაეჭვების (ეს კი კაენია) უმტკივნეულეს პროცესში საკუთარი არჩევანი გამოკვეთოს. და სწორედ ეს არჩევანი ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი. ლუციფერის მონოლოგის მოსმენის შემდეგ. მის მოსაზრებებთან საკუთარი შეხედულებების აშკარა თანხვედრის მიუხედავად, კაენი არ ემორჩილება და არც მიჰყვება მას („შენ განა ღმერთი ხარ? შენ განა მისი თანასწორი ხარ?“), რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ იგი ეძებს არა ახალ პატრონს, არამედ თავისუფლების მომნიჭებელ ჭეშმარიტებას.

დოსტოვესკიზე ბევრად ადრე ბაირონი ბოროტებისა და სიკეთის თანასწორუფლებიანობას აღიარებს და ბოროტების აღზევებაში ღვთის პასუხისმგებლობასაც არ გამორიცხავს. რიტუალური წესრიგის დაცვასა და აბსოლუტურ თავისუფლებას შორის „კაენის“ ავტორი უპირატესობას თავისუფლებას და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს ანიჭებს.

როგორც ვიცით, კოლონიური ქვეყნის სტატუსის მქონე საქართველო საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ლიტერატურით, მწერლობით ცდილობდა. ეს იყო როგორც ენის გადარჩენის, ისე საზოგადოებრივი აზრის, კრიტიკული აზროვნების დამკვიდრებისა და აკუმულირების ერთადერთი საშუალება. ამიტომაც ამ მიმართულების მქონე ჯანსაღ ტენდენციებს, რომლებიც მაშინ იჩენდნენ თავს, დიდი ყურადღება ენიჭებოდა. „სასონარკვეთილებას და განწირულებას მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ოთხი მხრიდან შეუტია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ამბოხით, რაფიელ ერისთავის სოფლის ყოფის მშვენიერებით, ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამით და აკაკი წერეთლის შემოქმედებითი არსებობის სიხარულით. ამ ოთხ დარტყმას უნდა დაენგრია რუტინა და ქართველი ერისთვის ისტორიის ასპარეზი გაეკაფა“ (ბაქრაძე, 2004: 231). როგორც ვხედავთ, სერიოზულ აქტივობათა შორის დასახელებულია ბარათაშვილის სახელიც, უფრო სწორად კი მისი შეურიგებლობა არსებულ მდგომარეობასთან, რითაც პიროვნული თავისუფლები-

სთვის ბედის საზღვრების გადალახვის პათოსი, რომელსაც „მე-ს“ ეგზალტაციასაც უწოდებენ.

ონა მეუნარგია მახვილგონივრულად შენიშნავდა, რომ საკმარისია ადეკვატურად თარგმნო ბარათაშვილის რამდენიმე სტროფი და ბაირონის „ჩაილ ჰაროლდში“ ჩართო, რომ ეს ჩამატება ვერავინ შეამჩნიოსო. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილმა ლირებულებითი კონფლიქტი საკუთარ გარემოსთან ნაკლები ეპატაჟურობით გამოხატა, ვიდრე ბაირონმა ან თუნდაც შელიმ (ამის ერთ მიზეზად კი ქართველი რომანტიკოსების ტრადიციასთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახელებენ. მაგ. კრებულში „ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“ ვკითხულობთ: „ქართველი რომანტიკოსების წინაშე არა თუ ადრინდელი ლიტერატურული ტრადიციების უკუგდების საკითხი არ დასმულა, არამედ ამ ტრადიციათა კრიტიკის ტენდენციაც კი არ არის შესამჩნევი“ , კაციტაძე ... 2010: 20). მიუხედავად ამისა, მსგავსება მათი პოეტური წარმოსახვის ძალასა და შესაბამისად, მსოფლმხედველობას შორის აშკარაა. იქაც და აქაც მკითხველის წინაშეა შემეცნების წყურვილით სავსე, გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას მონატრებული ე.წ. ფაუსტური ტიპის შემოქმედი, რომელიც ერთსა და იმავე დროს განმანათლებლობის იდეების მქადაგებელიცაა და მგმობიც.

ის, რაც ასე ადვილად ითქმის დღეს („ფაუსტური ტიპის შემოქმედს“ ვგულისხმობ), გასული საუკუნის 60-იან წლებამდე კომუნისტების მიერ შეჩვენებული „ფაუსტური კულტურის“ ნაწილი იყო. 1961 წელს ცნობილმა გერმანისტმა მიხეილ კვესელავამ ორ წიგნად გამოსცა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი „ფაუსტური პარადიგმები“, რითაც დარღვეული წონასწორობის აღდგენა და ინტელექტუალური რეკონსტრუქცია მოახდინა. ბარათაშვილთან დაკავშირებით იგი წერს, რომ გოეთეს ფაუსტის „დედათა მხარეში“ გამგზავრების მსგავსად ბარათაშვილს შესაძლებლად მიაჩნია მერნით ანუ მეოცნებე სულის დემონური ქროლვით გადალახოს საზღვარი“ (კვესელავა 1961: 0).

ბაირონის „კაენი“ და ბარათაშვილის „მერანი“ ინგლისური და ქართული რომანტიზმის თავისებურებათა ჭრილში განსხვავებული სიმწვავით სვამს ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ფოკუსირებულ არაერთ პრობლემატურ საკითხს. ერთ-ერთი მათგანია რწმენის კონცეპტი, რომელიც „ღვთის თანდათანობითი ამოწურვისა“ და სამყაროს წინაშე მარტო დარჩენილი ადამიანის დიდი მარტოობისა და მისი დაძლევის თემას უკავშირდება. აი, რას წერს ამ განსხვავებულობის შესახებ კრიტიკოსი ივანე გომარტელი: „მაშინ, როდესაც ბარათაშვილის პოეზია მსოფლიო გოდებაა ობოლი სულისა, ბაირონის პოეზია,



მსოფლიო გოდების გარდა, ბასრი მახვილია. თავისი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედების წყურვილით ბარათაშვილი იმგვარსავე ტიპს წარმოადგენს, როგორც ბაირონი, მაგრამ ბაირონის გარშემო ცხოვრება დულდა, საზოგადოება მოქმედებდა. ბარათაშვილის გარშემო კი ცხოვრება დუმდა, საზოგადოება ფრიად უფერული, ფრიად მძინარი იყო. ბაირონს თვით დრო და ცხოვრება უწყობდა ხელს, რომ მას თავისი პოეზია ბასრ მახვილად გადაექცია. დრო და ცხოვრება კი ბარათაშვილის მხოლოდ სულის ობლობას უწყობდა ხელს და რაც უფრო უკვირდებოდა პოეტი ცხოვრებას, მით უფრო ეძლეოდა საკუთარ თავს და მსოფლიო პესიმიზმს“ (გომართელი 2012: 162).

ბარათაშვილს გარდა კოლოსალური ინტუიციისა, იმდროინდელ ევროპულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სიახლეებს შეეძლო მიახლოებოდა თავისი მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილის დახმარებითაც. მართალია, დოდაშვილი მაშინ გადაკარგეს საქართველოდან, როდესაც ბარათაშვილი ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი იყო, მაგრამ დარჩა მასწავლებლის მიერ შექმნილი ლოგიკის სახელმძღვანელო, რომელსაც სერიოზული გზამკვლევის როლი დაეკისრა. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა შესაბამის კვლევებში აქამდე თითქმის არც იყო გათვალისწინებული, რადგან დოდაშვილი საბჭოურ ლიტმცოდნეობში მატერიალისტად, განმანათლებლობისა და რეალიზმის წარმომადგენლად იყო გამოცხადებული. ზემოთ ნახსენები კრებულის „ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“ ავტორები კ. კაციტაძე და კ. ჯამბურია სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ ყრადღებას და ბარათაშვილს არა დოდაშვილის იდეების უბრალო გამლექსავად, არამედ მისი ფილოსოფიური შეხედულებების სერიოზულ გამოზიარებლად, მისი იდეების მატარებლად მიიჩნევენ: „სამყაროს ფილოსოფიურმა მოდელმა, რომელსაც დოდაშვილი აგებს, გარკვეული როლი ითამაშა სამყაროს ბარათაშვილისეული ხედვის ჩამოყალიბებაზე“ (კაციტაძე ... 2002: 32). ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობების, მისი სასრულობის აღიარება, რეფლექსია თვითშემეცნების გრადაციულ ეტაპებზე, სწრაფვის, ლტოლვის საყოველთაო კანონის პრიმატი და სხვ. – ეს ის საკითხებია, რომელთა პარალელები იძებნება დოდაშვილის ფილოსოფიურ ნააზრევსა და ბარათაშვილის ლექსებს შორის.

სამყაროსადმი დასმული თავისი მტანჯველი კითხვებით („შემოღამება მთანმინდაზედ“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“) ბარათაშვილი დემონური ძალებით შეპყრობილი საკუთარი ცხოვრების მოდელირებას, მრთლაც, რომ ყორნის ფრთასავით შავი მისივე ბედის წარმმართველი „ბოროტი სულის“ გამოკვეთა-გაადამიანურებას ახდენს. ამგვარი მხატვრული აზროვნების პროვოცი-

რება ისევ და ისევ ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებების სიღრმისეულ აღქმას შეეძლო. თავის მხრივ დოდაშვილი ფიხტეს უმთავრეს თეზას, „ჩასწვდი საკუთარ თავს“, ეყრდნობა, რაც ასევე ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, პოეტური აზროვნების მაგისტრალური ხაზია ბარათაშვილისთვის. ხანმოკლე ძიებას, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, პოეტი ბუნებრივად მიჰყავს „მერანის“, უფრო სწორად კი, ცხენზე ამხედრებული კაცის, როგორც „კულტურულ-ეთნიკური კოდის“ გამომხატველი ერთიანობის მხატვრული რეპრეზენტაციებისკენ.

ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევრები ერთხმად აღიარებენ მისი პოეზიის კავშირს ბიბლიურ ტექსტებთან, პოულობენ კიდევ ჩვენთვის კარგად ცნობილ ნაწარმოებებში ძველი და ახალი აღთქმის ალუზიებსა და რემინისცენციებს. ბარათაშვილის სული, ცხადია, მიიღვის ცისკენ, სურს მასთან შერწყმა, მასთან თანაშეზრდა, თუმცა ეს სურვილი, როგორც რომანტიკოსთა სხვა სწრაფვანი, განუხორციელებელია თავად ადამიანის არასრულყოფილების გამო („...მაგრამ ვერ ცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“). ამიტომაც იდილიურს მის შინაგან მდგომარეობას, ცხადია, ვერ უწოდებ. ბარათაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, სვამს ძალზე მწვავე კითხვებს და ითხოვს მათზე პასუხს, რომელსაც იგი, როგორც მოდერნის ეპოქის წინაეტაპის შემოქმედი, ვფიქრობთ, რელიგიაში ვერ იპოვიდა.

ღვთისმადიებლობა ასეთ შემთხვევაში ხშირად ბიბლიის ფუნდამენტური საკითხის, ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთობის, საკმაოდ თავისუფალ ინტერპრეტაციას ეფუძნება. ამიტომაც სამყაროს ძირითადი ანტინომიური ძალების დამოკიდებულება ადამიანის ბედთან ესოდენ მნიშვნელოვანია პოეტისთვის. არის ბარათაშვილის პოეზიაში იმგვარი აქცენტები, რომლებიც მასზე ბოროტი ძალის სერიოზულ შეწოლაზე მიგვანიშნებს, თუმცა ეს განწყობილება არაა დომინანტური და პოეტი კვლავ პოულობს თავის თავში ახალ სასიცოცხლო ენერგიას.

ჯერ კიდევ პ. ინგოროყვას მიერ აღმოჩენილ თანხვედრას ავთანდილის ანდერძსა და ბარათაშვილის „მერანს“ შორის ერთგვარი გაგრძელება თანამედროვე ქართული ლიტმცოდნეობაშიც მოეპოვება: „ბარათაშვილი გვაგონებს ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრებულ ავთანდილს, რომელსაც ტარიელის შველა, ნესტანის პოვნა, ქაჯეთის ციხის აღება წარმოუდგება არა მარტო სხვისი, არამედ საკუთარი ბედნიერების გზაზე გადასალახავ დაბრკოლებებად“ (ჯალიაშვილი 2016: 68). მხატვრულ სახე-სიმბოლოებში ტრანსფორმირებული ეს სიმბოლოები (სამშობლო, სატრფო, მეგობრები თუ ახლობელ-ნათესავები)

არა მარტო საყოველთაო, არამედ უპირატესად ქართული გარემოს ატრიბუტებიცაა. თუმცა მსგავსება აქ არ მთავრდება. რუსთველიც და ბარათაშვილიც წარმოაჩინენ გმირს, მხედარს, რომელსაც სწორად აქვს გააზრებული იდეალისკენ, თავისუფლებისკენ, ჭეშმარიტებისკენ სავალი გზის სირთულეც და საზღაურიც, ანუ ის მსხვერპლიც, რომელიც ამ გზამ უნდა მოითხოვოს. და რა შეიძლება იყოს გმირობისა და თავდადების საფასური თუ არა მსხვერპლის გაღებით სიკეთის გამარჯვება? ასე ხდება რუსთველთან, ასე სჯერა ბარათაშვილსაც.

მართალია, ბარათაშვილმა მწირი ინფორმაციულობის პირობებში უფრო მეტად შეიგრძნო ახალი დროის ლიტერატურული მოთხოვნები, ვიდრე თეორიულად დაეუფლა მათ, თუმცადახშული სივრცის მიუხედავად, მომავალი ცვლილების, გარღვევისგარდაუვალობაც იწინასწარმეტყველა. სწორედ ამ კონტექსტში მან, როგორც ქვეყნის გულშემატკივარმა თავისი პოეტური ენერგია უპირატესად მაინც თანამემამულეთა შორის რწმენის გენერირებისკენ მიმართა (მაგრამ რადგანაც...). რწმენის, რომელიც დათრგუნვდაუმოქმედობის, უპერსპექტივობის იმ განცდას, რომელიც 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ მოიტანა. იმედისადმი ეს დამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ პოეტის პესიმიზმის ერთგვარ „მეორე მხარედ“, რომელიც ისევე აუცილებელია რომანტიკოსის შემეცნებისთვის, როგორც სრული უიმედობა. „მერანის“ აშკარად გამოკვეთილი რელიგიური პათოსიც, „ცხოვრების წყაროს“, როგორც უკანასკნელი ინსტანციის, როგორც შვების მომტანი არსის ერთადერთობის თუ არა, უპირატესობის დეკლარირების სურვილიც, ისევე როგორც ტრანსცედენტურ სამყაროში გაჭრა, პასუხის პოვნა-მიგნების გზაა კონსერვატულ-ობივატელურ გარემოში დარჩენისთვის განწირული მგრძნობიარე სულისთვის. „მერანის“ პათოსი, როგორც აღვნიშნეთ რელიგიურია, მაგრამ იგი სხვა განზომილებაშიც იკითხება. ეს სხვა განზომილება კი ქართული სულიერებისთვის ზოგადად დამახასიათებელ მიწისა და ცის ერთიანობაა, რომელზედაც თავის დროზე გ. ასათიანიც წერდა. კრიტიკოსმა თ. ვასაძემაც აკი ბარათაშვილის „შემოღამებას“ ციურისა და მიწიერის საკრალური შეხვედრის ადგილი უწოდა (ვასაძე 2010: 20).

„მერანმა“ გამოავლინა პოეტისსულიერი ამბოხი და, თუ გნებავთ, მისი პასუხისმგებლობა საკუთრივ მისი და მისი თანამემამულეების მომავლის წინაშე. სახეზეა უიმედობისგან გამიჯვნისა და საზრისის მაძიებლობაზე დაფუძნებული ცხოვრებისეული აქტივობის ძალა, რომელიც პოეტის მთელ შემოქმედებას განსაკუთრებულ შინაარსს, ილიას დეფინიციას თუ გამოვიყენებთ, „საყოველთაობას, საკაცობრიო“

მნიშვნელობას ანიჭებს. იმავდროულად ბარათაშვილი შეგნებულად არ სწყდება ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას და ბოროტისა და კეთილის ურთიერთმიმართების საკითხს ქრისტიანულ მრწამსს უკავშირებს. საბოლოო ჯამში „მერანი“ თავისი სულისკვეთებით ბოროტების ძლევის „ვეფხისტყაოსნისეულ“ კონცეფციას ემყარება.

### **დამოწმებანი:**

**ბატი 1994:** Батаи 1994: Батаи Ж. *Литература и зно*, Москва: 1994.

**ბრეგაძე 2016:** ბრეგაძე კ. „ისტორიული მოდერნი და ლიტერატურული მოდერნიზმი“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXXVII. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017.

**გომართელი 2012:** გომართელი ი. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩემი რჩეული*. თბილისი: 2012.

**ვასაძე 2010:** ვასაძე თ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. *ლიტერატურა ქემ-მარიტების ძიებაში*. თბილისი: 2010.

**ჯამბურია ... 2010:** ჯამბურია კ., კაციტაძე კ. „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“. *ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები*. თბილისი: 2010.

**ჯალიაშვილი 2016:** ჯალიაშვილი მ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული ლიტერატურის ტრადიცია“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXXVII. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016.